

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორია

თამარ ლეკვიშვილი

ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა

ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს  
ასოცირებული პროფესორი, ნანა გელაშვილი  
თანახელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი, გიორგი სანიკიძე

თბილისი

2020

## შინაარსი

შესავალი (კვლევის აქტუალობა, სიახლე, მიზნები, ამოცანები, თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგია, ნაშრომის სტრუქტურა) ..... 3

წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ..... 8

### თავი I - ირანი XVIII ს-ის პირველ მესამედში (ნადერ შაჰის აღზევება)

1.1. უკანასკნელი სეფიანები ..... 34

1.2. ავღანელთა შემოსევები ..... 43

1.3. ნადერ შაჰის აღზევება ..... 54

### თავი II - ნადერ შაჰის მმართველობა

2.2. ნადერ შაჰის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ..... 63

2.3. ნადერ შაჰის რელიგიური პოლიტიკა ..... 83

### თავი III- ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა

3.1. ნადერ შაჰის ლაშქრობები კავკასიაში ..... 99

3.2. ნადერ შაჰი და საქართველო ..... 111

3.3. მოჰამად ქაზემის ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნის სხვა წყაროების შუქზე ..... 118

დასკვნა ..... 161

გამოყენებული ლიტერატურის სია ..... 165

## შესავალი

### კვლევის აქტუალობა და სიახლე

ნადერ შაჰ ავშარის (1736-1747) მოღვაწეობის პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ეპოქაა როგორც ირანის, ისე ზოგადად ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ისტორიაში. ეს ეპოქა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოსთვისაც, რადგან სწორედ ნადერ შაჰის დროს და მისი უშუალო მონაწილეობით დასრულდა ე.წ. „კომპრომისული ხანა“ ირან-აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობებში, რომელმაც საუკუნეზე მეტხანს გასტანა. ეს ეპოქა, თითქოს, მოწყვეტილია როგორც წინა, ისე შემდეგი პერიოდისგან. მართლაც, ნადერ შაჰმა უმოკლეს დროში აღადგინა სეფიანთა სახელმწიფოს ძლიერება, განდევნა მეტოქეები ქვეყნიდან, არაერთხელ ილაშქრა უცხო ქვეყნებში და გააფართოვა საკუთარი სახელმწიფოს საზღვრები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ნადერ შაჰის ეპოქა, მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი მუდამ იყო და არის ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში. მიუხედავად იდეოლოგიური ხასიათის ცნობილი სირთულეებისა, ნადერ შაჰის ეპოქის შესახებ საბჭოთა კავშირშიც არაერთი საყურადღებო ნაშრომი დაიწერა. ამ მხრივ არც ქართველი ისტორიკოსები წარმოადგენენ გამონაკლისს. მიუხედავად ამგვარი იდეოლოგიური „მარწუხებისა“, გამორჩეულია ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომები. ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხშირ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად ობიექტურადაა წარმოჩენილი ნადერ შაჰის ეპოქის მთავარი მახასიათებლები და საქართველოსთან მისი ურთიერთობის სპეციფიკა.

ბუნებრივია, ნადერ შაჰის ეპოქა და მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი დასავლელ მეცნიერთა ყურადღებასაც იპყრობდა და იპყრობს - არაერთი ფუნდამენტური ნაშრომიც არსებობს ამ საკითხების ირგვლივ, რომელთაშიც ობიექტურად, ღრმად არის გამოკვლეული როგორც ცალკეული პასაჟები, ასევე

მოცემულია ეპოქის ზოგადი და ასევე ამომწურავი დახასიათება. თუმცა, საქართველოსა და კავკასიას, რიგი მიზეზების გამო, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა და სწორედ ამ „სიცარიელის“ შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. აქვე დავძენთ, რომ არც დასავლეთში არსებობს ნადერ შაჰის მოღვაწეობის ერთგვაროვანი შეფასებები და მუდმივად მიმდინარეობს პოლემიკა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ეპოქის ამ წინააღმდეგობრივმა ხასიათმა და არაერთი „თეთრი ლაქის“ არსებობამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული თემატიკით. ყოველივე ზემოთქმული, ჩვენი თვალთახედვიდან, ნაშრომს აქტუალობას და სამეცნიერო სიახლეს ანიჭებს.

### **ნაშრომის მიზნები:**

ნაშრომის მთავარი მიზანია ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის საერთო სურათის წარმოჩენა. ბუნებრივია, მთავარი ადგილი ეთმობა აღმოსავლეთ საქართველოსთან ნადერ შაჰის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტის კვლევას. ამ კვლევითი მიზნების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს მე-18 საუკუნის ავტორის, მოჰამად ქაზემის ნაშრომი „ალამ არაიე ნადერი“ („ნადერის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“). ამ შედარებით ნაკლებად ცნობილი ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ეძღვნება კავკასიას და, კერძოდ, საქართველოს. კვლევა საქართველოს შესახებ ქაზემის „ალამ არაიე ნადერის“ მიხედვით პირველად შემომაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში და, ასევე, მეტი სიზუსტისათვის, დანართის სახით წარმოდგენილია ჩემი წიგნი, რომელიც 2016 წლის დეკემბერში გამოიცა (ქაზემი 2016) (ვისარგებლე მოჰამად ამინ რიაჰის გამოცემით და შევეცადე შეძლებისდაგვარად დამეცვა ავტორის წერის სტილი, რათა მკითხველს შეექმნას წარმოდგენა იმ პერიოდისა და კერძოდ, ქაზემის წერის მანერის შესახებ). სწორედ აღნიშნული ნაშრომის ანალიზი და მისი მონაცემების შეჯერება სხვა პირველწყაროებთან შეადგენს კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს. ნაშრომის მიზანს

ასევე წარმოადგენს ამ თხზულებაში არსებული არაერთი დღემდე უცნობი ფაქტისა თუ ნაცნობი მოვლენების შემავსებელი ინფორმაციის შეჯერება სხვა წყაროების მონაცემებთან მათი უტყუარობის დადგენის მიზნით და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა; საბოლოო ჯამში კი, განხორციელებული კვლევის საფუძველზე, ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების წარმოჩენა.

### **ნაშრომი ამოცანები შემდეგი სახისაა**

- ა) თხზულება “ალამ არაიე ნადერის” ფუნქციის/ხასიათის განსაზღვრა;
- ბ) ზემონახსენებ თხზულებაში არსებული მასალების შეძლებისდაგვარად ისტორიული უტყუარობისა ან უზუსტობის სანდოობის ხარისხის დადგენა;
- გ) ამ პერიოდის და საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ენაზე არსებული ყველა ხელმისაწვდომი პირველწყაროს დამუშავება და მათში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერება;
- დ) ქაზემის თხზულების სხვა პირველწყაროების და ასევე სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე მე-18 საუკუნის I ნახევრის ირანში არსებული ვითარების ზოგადი სურათის წარმოდგენა;
- ე) ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის კვლევა (კავკასიაში ლაშქრობების მიზეზები და შედეგები, ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებთან სპეციფიკური ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორები და ა.შ.);
- ვ) ნადერ შაჰის პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში (ურთიერთობა სამეფო საგვარეულოსთან და თავადაზნაურობასთან, თანამშრომლობისა და დაპირისპირების განმაპირობებელი ფაქტორები და ა.შ.).

## ნაშრომის თეორიული ჩარჩო

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ სხვადასხვა თეორიული მიდგომების გარკვეული ელემენტები. მათ შორისაა: ისტორიზმის პრინციპი - მოვლენის განხილვა მისი განვითარების პროცესში (წარმოქმნა, ჩამოყალიბება, დაღმასვლა); მოდერნიზაციის თეორია (კერძოდ, პროცესი მრავალი შემადგენელი ნაწილით, როდესაც „ჩამორჩენილები“ ეწევიან „წინწასულებს“). ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, ასევე გვერდს ვერ ავუვლიდით ისტორიაში პიროვნების როლის პარადიგმას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გვესახება სინერგეტიკული თეორია, რომლის თანახმადაც შესაძლებელია სისტემის ორი მთავარი მდგომარეობის გამოცალკევება: წესრიგის არსებობის პირობებში სისტემა/საზოგადოება არ უშვებს არსებით ტრანსფორმაციებს. ქაოსი კი, მიუხედავად ნეგატიური კონოტაციისა, მისთვის წარმოადგენს ახალ მდგომარეობაში (როგორც „ქვევით“, ისე „ზევით“) გადასვლის საშუალებას. ამ მეორე შემთხვევაში, რაც უფრო მეტად მოწყვლადია საზოგადოება და რაც უფრო მეტად მორღვეულია ძველი, ტრადიციული კონსტრუქციები, მით უფრო დიდი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს მასზე პიროვნებამ. ანუ, სხვა სიტყვებით, პიროვნების როლი ხშირად საზოგადოების სტაბილურობისა და სიმყარის უკუპროპორციულია. ვფიქრობთ, ეს მიდგომა ზუსტად შეესატყვისება სეფიანთა იმპერიის დაცემის პერიოდში შექმნილ ქაოსს, რომლის პირობებშიც აღზევდა სწორედ ნადერ შაჰი.

## კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ისტორიული კვლევის კომპარატიული მეთოდი, რაც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენას და მათ ანალიზს,

პირველადი და მეორადი წყაროების მონაცემთა შეჯერებას საერთო დასკვნის გამოტანის მიზნით.

### ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისგან (რომელშიც ხუთი ქვეთავია), დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან.

შესავალ ნაწილში განხილულია ნაშრომის სიახლის განმაპირობებელი ფაქტორები; კვლევის მიზნები და ამოცანები; ნაშრომის თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია; გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა.

პირველი თავი – „ირანი XVIII ს-ის პირველ მესამედში (ნადერ შაჰის აღზევა)“ – შედგება რამდენიმე ქვეთავისგან: ა) „უკანასკნელი სეფიანები“ - განხილულია ირანში არსებული ვითარება მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში; ბ) „ავღანელთა შემოსევები“ - შესწავლილია ირანში ავღანელთა შემოჭრის მიზეზები და შედეგები; გ) „ნადერ შაჰის აღზევა“ - გამკვლეულია ნადერ შაჰის მოღვაწეობის პირველი პერიოდი.

მეორე თავის, „ნადერ შაჰის მმართველობა“, პირველ ქვეთავში – „ნადერ შაჰის საშინაო და საგარეო პოლიტიკა“, განხილულია ის რეფორმები, რომლებიც ჩაატარა ქვეყანაში ნადერმა, უპირველესად სამხედრო სფეროში; მისი ბრძოლა ავღანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ; ლაშქრობა ინდოეთში და ა.შ. ; მეორე ქვეთავში – „ნადერ შაჰის რელიგიური პოლიტიკა“ – ყურადღება გამახვილებულია ნადერის მცდელობაზე, „შეერწყა“ შიიზმი სუნიზმთან და ამ სურვილის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევაზე.

მესამე თავი – „ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა“ – ასევე რამდენიმე ქვეთავისგან შედგება: ა) ნადერ შაჰის ლაშქრობები კავკასიაში – აქ განხილულია დაღესტანში ნადერ შაჰის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიები და გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებები ამ ლაშქრობების შესახებ; ბ) ნადერ შაჰი და საქართველო - შესწავლილია ამ პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა

ასპექტები; ნადერ შაჰის ურთიერთობები ქართულ სამეფო ოჯახთან და დიდგვაროვნებთან; გამოკვეთილია აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ სეფიანთა და ნადერ შაჰის პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებები; გაანალიზებულია როგორც ქართული მხარის, ისე ნადერ შაჰის ამა თუ იმ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ფაქტორები.

მესამე ქვეთავი\_ „მოჰამად ქაზემის ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნის სხვა წყაროების შუქზე“ \_ პირველ ნაწილში განხილულია სეფიანთა პერიოდის მიწურულს ქართულ-ირანული ურთიერთობები მოჰამად ქაზემის ცნობების მიხედვით. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ავღანეთთან დაკავშირებულ ამბებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნაშრომის ძირითად საკვლევ პერიოდს წინ უსწრებს, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი ნაშრომში შეტანა, ვინაიდან იგი კარგად ასახავს ნადერის აღზევებამდე არსებულ ქართულ-ირანულ ურთიერთობებს და ქართველების როლს ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. მოჰამად ქაზემის თხზულებაში არსებული ცნობები აქამდე უცნობი იყო ქართული საისტორიო საზოგადოებისთვის, რომელიც სხვა წყაროებში არსებულ მონაცემებს ავსებს, მეტიც \_ ხშირ შემთხვევაში აქამდე უცნობ ინფორმაციასაც იძლევა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ფასეულია ამ საკითხებიც კვლევა იმ კუთხით, თუ რა მემკვიდრეობა მიიღო ნადერ შაჰმა სეფიანებისგან. ქვეთავის მეორე ნაწილში კი შესწავლილია უშუალოდ ნადერ შაჰისა და ქართველების ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული ქაზემის თხზულებაში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განზოგადებულია განხორციელებული კვლევის შედეგები.



## წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

### წყაროები

ნადერ შაჰის (შაჰის ტახტის დაკავებამდე ნადერ ყული ხანი 1736-1747) ეპოქა გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერიოდია არა მხოლოდ ირანის, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის და კავკასიის ისტორიაში.

როგორც ირანელ, ისე არაირანელ მეცნიერებს არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეკუთვნით ამ პერიოდის შესახებ. ხაზგასასმელია, რომ ჩვენამდე მოღწეულია ნადერ შაჰის ზეობის, მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი მრავალი თანადროული პირველწყარო სპარსულ, ევროპულ, არაბულ, სომხურ თუ ქართულ ენებზე.

ქვემოთ შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ნაშრომში გამოყენებული ძირითადი პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა.

“შეიხ მოჰამად ალი ხაზინის ისტორია, რომელიც თავად დაწერა”. მისი ყველაზე ცნობილი თხზულებაა. (Hasin 1830-31) შეიხ ხაზინი – დაიბადა გილანში 1692 წელს, გილანელ დერვიშ შეიხთა ოჯახში. ის არაერთი ნაშრომის ავტორია. ის გახლდათ მეცნიერი (ზოოლოგი) და ასევე მოგზაური. ხაზინი გვამღევეს მეტად ფასეულ ცნობებს ავღანელების და თურქების ირანთან ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის ოციან წლებში. შეიხ ხაზინის ნაშრომი, ისე როგორც ამ პერიოდის სხვა ავტორების თხზულებები, განსაკუთრებით ფასეულია იმის გამო, რომ ავტორი თანამონაწილე იყო იმ ამბებისა, რომელსაც თავად აღწერს, შესაბამისად, წარმოადგენს პირველწყაროს. ხაზინი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში გვამღევეს ცნობებს ასევე ირანის ეკონომიკური დაკნინების მიზეზების შესახებაც. იგი საკმაოდ კრიტიკულადაც აფასებს ნადერ შაჰის გარკვეულ ქმედებებს და არ აიდევალებს მას. მისი თხზულება შეიცავს საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს ირანისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გლეხების ბრძოლის შესახებ შემოჭრილი ოსმალებისა და ავღანური ტომების

წინააღმდეგ, და, ასევე, იმ დროს ქვეყანაში არსებულ სიღატაკეზე. ხაზინი თავის თხოვლებას მულანის ველზე ნადერ შაჰის გამეფების (1736 წ.) ეპიზოდის აღწერით ასრულებს.

„თაზქირათ ალ-მულუქი“ (Minorsky 1943) – („ხელმწიფეთა სამახსოვრო კანონთა კრებული“), რომელიც შედგენილია უცნობი ავტორის მიერ ავღანელი ემირის, მაჰმუდ ლილზაის დავალებით. თხოვლებებში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი სეფიანთა სახელმწიფო კარის მოხელეების, პროვინციების გამგებლებისა და დედაქალაქ ისპაჰანის მოხელე-ხელისუფალთა უფლება-მოვალეობები. „თაზქირათ ალ-მულუქის“ ხელნაწერი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში. ის შედგება ხუთი თავისგან.

მირზა მოჰამად მეჰდი ხან ასთარაბადი მსახურობდა ნადერ შაჰის კარზე და საკმაოდ დაახლოებულიც იყო მასთან. ის თან ახლდა შაჰს არაერთ ლაშქრობაში, აწარმოებდა ოფიციალურ მიმოწერას ოსმალეთის სულთანთან, რუსეთის სამეფო კართან. 1736 წელს იგი შაჰის კარის მემატიანე გახდა, ხოლო 1738 წელს კი ნადერ შაჰმა მას ხანის ტიტული უბოძა. მისი ერთ-ერთი თხოვლება „თარიხ-ე ნადერი“ (ნადერის ისტორია), (Astrabadi 1385) ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთსა და ევროპაში და ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. მაჰდი ხანის ნადერის ისტორია მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ნადერ შაჰის ექსპანსიონისტური პოლიტიკის კვლევისთვის. თხოვლებებში მრავალი ზუსტი თარიღი და რამდენიმე ოფიციალური საბუთის პირია მოტანილი. ავტორი საკმაოდ მიკერძოებულია და საერთოდ არ განიხილავს ისეთ მოვლენებს, რომლებიც ნადერ შაჰის მარცხს (მაგალითად, დაღესტანში ლაშქრობა 1741-1743) ან მის არასწორ საშინაო პოლიტიკას (მაგალითად, არაადეკვატური საგადასახადო სისტემა და ა.შ.) ასახავს. საგულისხმოა, რომ ეს წყარო საფუძვლად დაედო მრავალ კომპილაციურ საისტორიო თხოვლებას და გამოკვლევას.

ყურადსაღები და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ არსებობს მირზა მეჰდი ხან ასთრაბადის ამ თხზულების ქართული თარგმანი,<sup>1</sup> რომლის ხელნაწერებიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და სანქტ-პეტერბურგის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ამ ხელნაწერებში ყველაზე ძველი ხელნაწერის (H 2310) სათაური ასეთია: „საქმენი, შრომანი და ღვაწლნი დიდისა ხელმწიფისა ნადირ ავშარელისა, რომელიცა აღუწერიეს ნამდვილთა ისტორიითა მირზა მეჰთის ვეზირსავე მისსა, რომელიცა თანა ჰყვებოდა ყოველსა საქმესა მისსა. ხოლო ესე ითარგმნა იმისი უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის, რუსეთის ღენერალლეიტენანტისა და კავალერისა დავითისა, გიორგი მეფის პირმშოს ძისგან. წელსა ჩყბ ქს უჟ დეკემბრის კ. სრულ იქმნა სამეფოს ქალაქსა ტფილისს“. ხელნაწერი H2104 კი გადმოწერილია H2310-დან გარკვეული სტილისტური შესწორებებით და სათაურში აღნიშნულია, რომ ამ წიგნის თარგმნაში დავითს ვინმე ყარამან გურგენის ძე ენაკოლოფაშვილი დახმარებია. ხელნაწერს მინაწერი აქვს: „სრულ იქმნა ისტორია ესე ს. პეტერბურხსა. გთხოვთ მიკითხველთა ამა ისტორიასათა ხსოვნასა ჩემსა ჰყოფდ წელს 1814“. მესამე ხელნაწერი (H604) მე-19 საუკუნის ბოლო წლებშია გადმოწერილი H2104-დან. ქართველი მკვლევარი ანდუყაფარ ჭეიშვილი აღნიშნავს: „ირან-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების განმავლობაში სპარსული ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნიმუშია თარგმნილი ქართულად. ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ სპარსულ საისტორიო მწერლობას და იყენებდნენ სპარსული წყაროებიდან ამოკრეფილ ცნობებს, მაგრამ სპარსული წყაროს მთლიანად თარგმნის შემთხვევა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე არ ფიქსირდება. ეს არ შეიძლება აიხსნას მარტო შუა საუკუნეების საისტორიო მეცნიერების ჩამორჩენილობით. საჭიროა, მხედველობაში მივიღოთ

---

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი სტატია აქვს გამოქვეყნებული ანდუყაფარ ჭეიშვილს: “მირზა მოჰამედ მეჰდი ხანის “თარიხე ნადერის” ქართული თარგმანის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, 1964 .

სპარსული საისტორიო მწერლობის პანეგირიკული ხასიათი და ანტისპარსული ტენდენციების გაძლიერება საქართველოში, რომელიც მე-17 საუკუნიდან დაიწყო..... XVII-XVIII სს. ლიტერატურაში და მეცნიერებაში შეინიშნება ეროვნული მოტივების აღორძინება და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება. ეროვნული სული იგრძნობა სპარსულიდან ნათარგმნ ნაწარმოებებში – საკუთარი სახელები ქართულ ფორმას იღებს, გვხვდება ქართული რეალიები. ითარგმნება ზოგი ტერმინიც.“ (ჭეიშვილი 1964,399) ა. ჭეიშვილი დასძენს, რომ საქართველოში რუსულ-ევროპული კულტურული ნაკადის შემოჭრის გამო, საქართველო ნელ-ნელა ზურგს აქცევს აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებს და სწორედ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებით უნდა აიხსნას, რომ ქართველი მემკვიდრეები საისტორიო მწერლობის აღმავლობის პერიოდში (XVII-XVIII სს.) მხოლოდ ნაწილობრივ იყენებდნენ და მთლიანად არ თარგმნიდნენ სპარსულ საისტორიო წყაროებს, რომელშიც შაჰი და მისი ლაშქარი უძლეველადაა დახატული, ხოლო ქართველები – ურჯულო ლაჩრებად და უმადურ მემკვიდრეებად. სწორედ ამიტომაც, რაკვირველია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ნადერ შაჰის მეხოტბე ისტორიკოსის თხზულება ითარგმნა მაშინ, როცა საქართველო თითქმის შეუერთდა რუსეთს და ამით თავიდან აიცილა სპარსეთისა და თურქეთის გამანადგურებელი შემოტევები. თხზულების ქართულად თარგმნის მიზეზებს დავით ბატონიშვილი თავად განმარტავს თარგმანის წინასიტყვაობაში, საიდანაც ვიგებთ, რომ „დავით ბატონიშვილს შეგნებული აქვს ამ წყაროს მეცნიერული ღირებულება. იგი აღნიშნავს, რომ ეს წიგნი საყურადღებო, ქართველებისათვის დღემდე უცნობი წყაროა და მისი გაცნობა ჩვენს ერს დიდ სარგებლობას მოუტანსო. დავით ბატონიშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ განსწავლული და ნაყოფიერი მეცნიერი იყო. სხვა ბატონიშვილებთან ერთად, იგი დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა და ნადირ-შაჰის ისტორიის თარგმანიც ამ მოღვაწეობის სფეროში შედის. მაგრამ მას თხზულება პოლიტიკური მოსაზრებებითაც აინტერესებდა: დავით ბატონიშვილი გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრე გახდა, მიიმხრო უმცროსი ბატონიშვილები, კახეთის თავად-აზნაურობის

ნაწილი და ენერგიული ბრძოლა გააჩაღა თავისი ბიძის, იულონის, წინააღმდეგ, რომელიც მას საქართველოს ტახტს ეცილებოდა. თანაგამზრახველ ბატონიშვილთა და დიდებულთა გასამხნეებლად დავით ბატონიშვილმა საჭიროდ მიიჩნია, ეთარგმნინებინა მირზა მეჰდი-ხანის თხზულება, რომელშიც აღწერილია ნადირ ავშარის ბრძოლა სამშობლოს გასათავისუფლებლად და ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად. თხზულების თარგმნის ეს მეორე მიზეზი უფრო აშკარადაა გამოხატული ხელნაწერ H2104 წინასიტყვაობაში: „... განმხედველმან არა ვრიდე შრომასა და გარდმოვიღენ ისტორია ესე სპარსთა ენისაგან ქართულად, რომელიცა შეცულ არს ოთხსა შინა წიგნსა და აღმოვაჩინენ საქმენი შრომანი და ღუაწლნი, თუ ვითარისა შრომითა და გოლიათობითა მიიწვნა სიმდაბლისაგან სიმადლისა ღირსებასა და ანუ ვითარითა ღუაწლითა გამოიხსნა და განთავისუფლნა მამული თვისნი ხელთაგან მტერსათა, ესე იგი თურქთა ავღანთა რუსთა და ლეკთაგან, ანუ ვითარ განადიდა სამეფოი თვისი და დასძინა სპარსეთსა ინდიაი თურქისტანი სინდეთი ხვარაზმი და კავკასი. ვგონებ შრომაი ესე ჩემი არა წინააღმდეგების ერთა მათ, რომელთაც აქუსთ სიმხნე მამაცებრი და შური ერთგულებისათვის მამულისა...“ (ჭეიშვილი 1964, 401) აქვე უნდა აღინიშნოს და ამასვე წერს ანდრეაფარ ჭეიშვილი, რომ ამ თხზულების თარგმნა საკმაოდ რთული საქმე იქნებოდა, რადგან ესაა პანეგირიკული ნაწარმოები, გადატვირთული მეტაფორებით, ჰიპერბოლებითა და ალეგორიებით. ტექსტში გვხვდება გარითმული პროზაც, ასევე ნაწყვეტები ყურანიდან და ლექსები. ქართველ მთარგმნელებს ეს „სტილისტური სამკაულები“ გამოუტოვებიათ და მოუციათ საკმაოდ ზუსტი თარგმანი.

XVIII საუკუნის ირანის შესახებ საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ცნობებს გვაწვდის ირანელი ისტორიკოსი მოჰამად ქაზემი (დ.1720/21). მისი ისტორიული თხზულება „ალემარა-ი ნადერი“ („ნადერის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“) შედგება სამი წიგნისგან და მოიცავს ცნობებს ამ პერიოდის კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს შესახებაც.

მირზა მოჰამად ქაზემი დაიბადა ქალაქ მერვში, სახელმწიფო მოხელის ოჯახში. ცნობილი არ არის, თუ რა თანამდებობა ეკავა მის მამამისს, თუმცა, ვიცით, რომ XVIII საუკუნის 30-იან წლებში იგი ნადერ შაჰის ძმის, იბრაჰიმ ხანის, – შემდგომში აზერბაიჯანის მმართველის, სამსახურში იდგა და უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. მოჰამად ქაზემმა მერვში მხოლოდ ბავშვობა გაატარა, შემდეგ კი ოჯახთან ერთად მეშქედში გადასახლდა. 1736 წელს იბრაჰიმ ხანი მეშქედიდან მულანის ველისკენ გაემართა, სადაც ნადერ შაჰი ირანის ახალ შაჰად აირჩიეს. ამავე წელს იბრაჰიმ ხანი აზერბაიჯანის მმართველად დაინიშნა და თავრიზში წავიდა. 1737 წელს ამ უკანასკნელს გარდაეცვალა ცოლი, რომლის ცხედრის მეშქედში გადასვენება მან სწორედ მოჰამად ქაზემის მამას დაავალა და თან ვაჟიშვილის ჩამოყვანაც უბრძანა, რათა სამსახურში მიეღო იგი. მამამ 16 წლის ქაზემი აზერბაიჯანში ჩამოიყვანა, რის შემდეგაც იგი იბრაჰიმ ხანის სამსახურში ჩადგა. 1739 წლიდან მოჰამად ქაზემი მერვის ბეგლარბეგს ემსახურება. 1740 წელს იგი მონაწილეობს ნადერ შაჰის ლაშქრობაში შუა აზიაში, როგორც კანცელარიის მოხელე. 1741 წელს კი ლაშქარნავის<sup>2</sup> თანამდებობაზეა და მონაწილეობს ქალაქ ბალხზე ლაშქრობაში. 1744-1746 წლებში ქაზემი მერვის არსენალის საფინანსო უწყების მოხელეა. 1746-1747 წლებში კი მერვის არტილერიაში მსახურობს ბიჭბუდ ხანთან, რომელიც ირანის ჯარის სარდალი იყო თურქესტანში. იმხანად, როცა მოჰამად ქაზემმა თავისი თხზულების წერა დაიწყო (დაახლ. 1749/50 წ.), იგი, როგორც ჩანს, მერვის ბეგლარბეგის ვაზირი (ანუ ფინანსური უწყების უფროსი) იყო.

ჩვენამდე მოღწეულია მოჰამად ქაზემის ამ თხზულების ერთადერთი ხელნაწერი. თავდაპირველად სპეციალისტებს ხელთ მხოლოდ მეორე და მესამე ტომები ჰქონდათ, რის გამოც თხზულების სათაური არ იყო ცნობილი. შემდგომ, კერძოდ, 1940 წელს, მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მიაგნეს ამავე ხელნაწერის I ტომს და გაირკვა მისი სათაურიც – „ალემარა-ი ნადერი“. კალიგრაფიით,

---

<sup>2</sup> ლაშქრის ანგარიშმწარმოებელი XVII-XVIII საუკუნის ირანში.

სტილითა და მინიატურებით იგი აბსოლუტურად მსგავსი იყო თხზულების მეორე და მესამე ტომებისა, რომლებიც ლენინგრადის აზიის მუზეუმში ინახებოდა. პირველი ტომის დათარიღებაც – 1166 (1752/53) წელი – იმას ადასტურებდა, რომ სამივე ტომი ერთსა და იმავე ხელნაწერს მიეკუთვნება.

ქაზემის პირველი ტომი ეხება პერიოდს, როცა ნადერ შაჰი ჯერ კიდევ არ იყო გამეფებული ამიტომ, ცხადია, რომ ავტორი წინამორბედი ირანელი ისტორიკოსების სათანადო წყაროებით სარგებლობდა, რადგან თავად ვერ იქნებოდა იმ მოვლენების უშუალო თვითმხილველი. მეორე ტომში აღწერილია 1736-1743 წლების მოვლენები, ხოლო, მესამე, ჩვენთვის საინტერესო ტომი, მოიცავს ნადერ შაჰის მმართველობის ბოლო პერიოდს (1743-1747 წწ.).

მოჰამად ქაზემის თანამედროვეებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვევლინებიან მეტად ცნობილი და სანდო მემატთანეები თუმცა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთი და იგივე მოვლენა ან ფაქტი იმდროინდელი ისტორიკოსების მიერ ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებულადაც იყოს აღწერილი.

ცნობილია, რომ მოჰამად ქაზემი საკმაოდ სანდო წყაროა თუნდაც იმის გამო, რომ მის მიერ აღწერილი მოვლენების უშუალო თვითმხილველი და მონაწილეა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსი თანაუგრძნობს ნადერ შაჰს და ლოიალურად არის მის მიმართ, ის შაჰის გარკვეულ ქმედებებს აკრიტიკებს კიდევ. კერძოდ, საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც ძალიან მძიმედ დააწვა მოსახლეობას. ქაზემის თხზულებიდან ჩანს, რომ ისტორიკოსი კარგად იცნობს ფინანსურ უწყებათა დოკუმენტებს. ამგვარი საგადასახადო პოლიტიკა მას უსამართლოდ მიაჩნია. გარდა ლაშქრობების აღწერისა, ქაზემი განსხვავებით XVIII საუკუნის სხვა მემატთანეებისგან, უფრო ვრცელ მასალას გვაწვდის ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მის თხზულებაში ზედმიწევნით არის აღწერილი იმდროინდელი სახალხო აჯანყებებიც. ავტორი საკმაოდ ვრცელ და დაწვრილებით ინფორმაციას იძლევა მერვში და, საზოგადოდ, ცენტრალურ აზიაში განვითარებული ამბებისა და კავკასიასა და ინდოეთში წარმოებული ბრძოლების შესახებ.

“ალემარა-ი ნადერის” მეორე და მესამე ტომების ხელნაწერები შეისწავლა ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ვ.ბარტოლდმა. იგი ამ ისტორიულ თხზულებას ნადერ-შაჰის ისტორიის ძირითად წყაროდ მიიჩნევს და წერს, რომ “ალემარა-ი ნადერი” თავისი მდიდარი ცნობებით უფრო მნიშვნელოვანი წყაროა ნადერ შაჰის შესახებ, ვიდრე, თუნდაც, ასევე ნადერ შაჰის თანამედროვის მაჰდი ხანის თხზულება.

1940 წელს აღმოჩენილი პირველი ტომი დაწვრილებით აქვს აღწერილი ცნობილ რუს ორიენტალისტს, ნიკოლაი მიკლუხო მაკლაის. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ირანის ისტორიის შესასწავლად ქაზემის თხზულებას ეს უკანასკნელიც უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევს (Миклухо - Маклаи 1948, 11).

რიგი მეცნიერებისა, რომლებსაც ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ამ წყაროს შესწავლის საქმეში, გარკვეულ საკითხებში ბარტოლდს არ ეთანხმებიან. ისინი არ მიიჩნევენ ‘ალემარა-ი ნადერის’ ნადერ შაჰის პერიოდის ძირითად წყაროდ. თუმცა, საკმაოდ სამართლიანად თვლიან, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სწორედ ბარტოლდმა შეასრულა ქაზემის წყაროს შესწავლის საქმეში.

მოკამად ქაზემის სახელი არ ჩანს იმ პერიოდის წყაროებში, რადგანაც იგი არ ყოფილა ცნობილი ფიგურა არც პოლიტიკის და არც ლიტერატურის დარგში. აქა-იქ იგი საკუთარ თავზე გარკვეულ ცნობებს იძლევა, თუმცა, მათში ჩვენთვის საინტერესო ისტორიული მასალის მოწოდების ნაცვლად, აქცენტი უფრო მეტად ლირიკულ გადახვევებზეა გაკეთებული. ქაზემის ბიოგრაფიის შესახებ ცნობების სიმცირის მიუხედავად, მათ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ამ წყაროს შესწავლისთვის. რომ არა მისი ბიოგრაფია, ჩვენ ყველა ნაწილს ამ წყაროსას ერთნაირად მივუდგებოდით, რაც ძალიან არასწორი იქნებოდა. მისი ცნობები იყოფა ორ ტიპად : როგორც თვითმხილველისა და როგორც წყაროსი, რომელიც ეყრდნობა სხვა ცნობებს. თუმცა, ხშირად არც ქაზემის, როგორც თანამედროვესი და არც სხვათა ცნობები, რომლებსაც ავტორი ეყრდნობა, არაა ზუსტი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ ვიზიარებთ ვ. ბარტოლდის მოსაზრებას, რომელიც ქაზემის თხზულებას ნადერ შაჰის ისტორიის ძირითად წყაროდ მიიჩნევდა, მაინც უნდა ითქვას, რომ



ქაზემის მიერ მოწოდებული უზარმაზარი მასალა, როგორც ორიგინალური ხასიათის, ისე მანამდელი ისტორიკოსების თხზულებიდან ამოკრეფილი ცნობები, საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ხშირად, საქმეს ართულებს ავტორის წერის ღვარჯნილი სტილი, რაც ხანდახან არაერთ ადგილს ბუნდოვანს ხდის, თუმცა ეს სტილი, ე. წ. „მოსაჯა“ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო. როგორც თხზულებიდან ჩანს, და ამას თავად ავტორიც აღიარებს, მას არასაკმარისი განათლება ჰქონია; ხშირად იგი შეცდომებს უშვებს გეოგრაფიულ ტერმინების გადმოცემისას; რაც შეეხება ორთოგრაფიულ შეცდომებს, არაა გამორიცხული, რომ ამაში ბრალი გადამწერსაც მიუძღოდეს. მოჰამად ქაზემს ახასიათებს საკითხის ზედ მეტად გავრცობაც. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ამან დააბნოს მკითხველი, რადგან კონკრეტული ბრძოლისა თუ ნებისმიერი სხვა ისტორიული მოვლენის აღწერის დროს, მას ზედმეტად მოეჩვენოს ავტორისეული, შესაძლოა, ხშირად უზომოდ გადაჭარბებული ბუნების აღწერა ან რომელიმე ისტორიული პიროვნების დახასიათება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად ამგვარი დეტალიზაცია ამა თუ იმ მოვლენისა, ზუსტადაც რომ კონკრეტული საკითხების დაზუსტებაში გვეხმარება და ამას უფრო ვრცლად, სათანადო მაგალითების მოხმობით ქვემოთ შევხებით.

“ქაზემს მოსწონს სასწაულები და მათ ხშირად ვხვდებით მის თხზულებებში, მაშინ, როცა მას არ ჰყოფნის ფაქტები ან არ სურს მათი გადმოცემა. იგი ეპიკურ პროზაში ბევრად უფრო გამოუცდელია, ვიდრე ნიჭიერი და განსწავლული მაჰდი ხანი. გარდა ამისა, ის ხშირად ზედმეტად აგრძელებს თხრობას და ინარჩუნებს ამპარტავნულ, პირფერულ და შენიღბულ სტილს, თუმცა, სიმართლეს მაინც ამბობს. ნათელია მისი დამოკიდებულება სასწაულების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სურს, მიუთითოს მოვლენათა თავისეულ ვერსიაზე და თარიღებსაც ძალიან ძუნწად უთითებს.” (Avery 2008, 6).

ირანელი მკვლევარი, მოჰამად ამინ რიაჰი აღნიშნავს, რომ მოჰამად ქაზემი, რომელიც იყო უბრალო ადამიანი და როგორც დღეს იტყვიან იყო „სამუალო დონის

მოხელე“, წერდა შესაბამისად. მას ძალიან გულწრფელად გადმოჰქონდა ქალაქში ის ყველაფერი, რასაც თავად ხედავდა და გრძნობდა. „აი, ეს გულწრფელობა და სისადავე იგრძნობა მის თხზულებაში. იგი არც ნადერ შაჰის კრიტიკას გაურბის და ხშირად ისეთ საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც არც თუ ისე კარგად ახასიათებს ნადერს“. (Kazem 1374, 3) მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ მოჰამად ქაზემის ენა არ განსხვავდება დღევანდელი ყოველდღიური ენისაგან. რომ ის ძალიან უბრალო ენითაა დაწერილი, რადგან თვითონ ქაზემიც იგივე სოციუმს მიეკუთვნებოდა. „აღემ არა-ი ნადერი ორსაუკუნე ნახევრის წყაროა, დაწერილია იმ ენით, რომელმაც, შეიძლება ითქვას, დღევანდელ სპარსულ ენაზეც იქონია გავლენა“ (Kazem 1374, 3) რთულია ამაში დავეთანხმოთ რიაჰის, რადგან მე-18 საუკუნე უფრო მეტი ღვარჰნილობით გამოირჩევა, ვიდრე, თუნდაც, მე-17 საუკუნე (მაგ. აღემ არა-ი აბასი და მისთ.)

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოჰამად ქაზემის თხზულებაში საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVIII საუკუნის კავკასიისა და საქართველოს შესახებ. თხზულებაში მრავალი თავი ეძღვნება კავკასიას, უმეტესად დაღესტანს, ხოლო ხუთი თავი – კონკრეტულად საქართველოს. ჩვენს უკვე მქონდა შესაძლებლობა, მკითხველისთვის გამეცნო ამ ისტორიული წყაროს რამდენიმე ცნობა ქართული თარგმანითურთ და ყურადღება გამემახვილებინა მასში არსებულ გარკვეულ ინფორმაციულ შეუსაბამობებზე (ლეკვეიშვილი 2005; ლეკვეიშვილი 2014).

აბრაამ ერევანცი „ომების ისტორიის“ ავტორია (ერევანცი 1976) იგი ასახავს 1721-1736 წლების ირან-ოსმალეთის ომებს. თხზულებაში დაწვრილებით არის აღწერილი ნადერ ყული ხანის წარმატებული ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. მისი ლაშქრობა ოსმალების მიერ დაპყრობილი ირანის მიწების დასაბრუნებლად, ასევე ნადერის გამეფება მუღანის ველზე. „ომების ისტორია“ ასევე საინტერესო და საყურადღებო ცნობებს შეიცავს კავკასიის შესახებაც.

ნადერ შაჰის ეპოქის შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანია კავკასიაში შექმნილი წყაროები, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი უჭირავს სომეხი კათოლიკოსის, სიმეონ ერევანცის თხზულებას “ჯამბრი” (Simeon 2009), სადაც დაწვრილებითაა

გადმოცემული სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა მხარეებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ავტორი ეხება ასევე ნადერ შაჰის საგადასახადო პოლიტიკას.

ნადერ შაჰთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წყარო სომხურ მატთანეთა შორის ეჩმიაძინის კათოლიკოსის, აბრაამ კრეტაცის დღიურებია. (Kretats'i 1999) ნადერ ყული-ხანი, ეძებდა რა თანადგომას სომეხ სასულიერო პირთა და მდიდარ ვაჭართა შორის, ავლენდა კეთილგანწყობასა და ყურადღებას აბრაამ კრეტაცის მიმართ. ეს უკანასკნელი 1736 წელს მულანის ველის ყურულთაიზე იყო მოწვეული და აქვს კიდევ აღწერილი თავის თხზულებაში ეს მოვლენა. მას იმდენად დაწვრილებით და ობიექტურად აქვს მოთხრობილი მულანის ყურულთაის ამბები, რომ, როგორც მ. არუნოვა და კ. აშრაფიანი აღნიშნავენ, მიუხედავად ავტორის მიერ ნადერ შაჰის გაიდებებისა, აბრაამ კრეტაცის მიერ აღწერილი ეს ყურულთაი, საგრძნობლად ავსებს ირანული და ევროპული წყაროებიდან მოწოდებულ ცნობებს ამ მოვლენის შესახებ (Арунова 1958, 22).

კრეტაცი თავის თხზულებაში აღწერს სომხეთისა და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახანოების ეკონომიკურ მდგომარეობას XVIII საუკუნის 30-იანი წლების შესახებ. ასევე ფასეულ ცნობებს იძლევა იგი ნადერ შაჰის ფეოდალური ჯარის ორგანიზების შესახებ.

მულანის ყურულთაი აღწერილი აქვს ასევე კათოლიკოს ჰაკოფ შემახეცის თავის თხზულებაში „თაჰმასხ ყული ხანის ლაშქრობები და მისი შაჰად არჩევა“ (Шемахеци 1932). თხზულება მოიცავს 1721-1736 წლების პერიოდს და გამოირჩევა ზუსტი დათარიღებებით. გარდა მულანის ყურულთაის, ნადერ შაჰის ეჩმიაძინში მისვლის (1736 წ.) და ამ პერიოდის საომარი პოლიტიკის აღწერისა, ჰაკოფ შემახეცი გამოირჩევა იმითაც, რომ იგი საკმაოდ ობიექტურად ახასიათებს თავად ნადერ შაჰს.

„ასარი-დაგესტანის“ (Алкадари 1929) ავტორი, XIX საუკუნის ცნობილი დაღესტნელი არაბისტი ჰასან ალკადარია. მან ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით თავი მოუყარა არაბულ, თურქულ და სპარსულ პირველწყაროებში არსებულ ყველა ცნობას დაღესტნის შესახებ. თხზულებაში, რომლის წერაც ავტორმა

1892 წელს დაასრულა, აღწერილია დალესტნის ამბები ნადერ შაჰის მმართველობის პერიოდში (სამ მირზას აჯანყება, ჰაიდარ ხანის მკვლელობა, 1743 წლის შირვანის აჯანყების ჩახშობა).

აზერბაიჯანელი მკვლევარი აბას ყული ალა ბაკიხანოვი (დ. 1794 წ.) ავტორია თხზულებისა “გულისთან ირამ”/ სპარს. “გოლესთან ერამ“, რომელიც სპარსულ ენაზე დაწერა 1841 წელს, ხოლო 1844 წელს თარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე. ის მოგვითხრობს შირვანისა და დალესტნის ამბებს უძველესი დროიდან მოყოლებული შირვანის რუსეთთან შეერთებამდე. ჩვენთვის საინტერესო და ყურადსაღებია თხზულების ის ნაწილი, სადაც ავტორისათვის კარგად ნაცნობ სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით, აღწერილია XVIII საუკუნის 30-40-იანი წლების მოვლენები (Бакиханов 1926).

რაც შეეხება ნადერ შაჰის პერიოდის რუსულ პირველწყაროებს, ხაზგასასმელია, რომ საარქივო მასალებში ბევრად მეტი და საყურადღებო ცნობაა, ვიდრე გამოქვეყნებულ თხზულებებში. ამ უკანასკნელთაგან მნიშვნელოვანი და ცნობილია შემდეგი: ფეოდორ საიმონოვის თხზულება. (Соймонов 1763) ის მოიცავს ცნობებს კასპიისპირეთის პროვინციების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული არტემი ვოლინსკის (რუსეთის ელჩი ირანში 1715-1718 წწ.) „ჟურნალში“ (Волынского 1715-18), სადაც იგი დაწვრილებით აღწერს სეფიანთა სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას XVIII საუკუნის 20-იანი წლებში. ვ. ბრატიშევი თავის თხზულებაში „ცნობა ნადერ შაჰის და მისი ვაჟის რეზა ყული მირზას შორის მომხდარი სამწუხარო თავგადასავლების შესახებ 1741-1742 წლების სპარსეთში“, გარდა ნადერ შაჰის ბრძანებით რეზა ყული მირზას დაბრძალებისა, მოგვითხრობს მოსახლეობის სამი წლით გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებაც.

იოჰან ლერხი, დაბადებული პოტსდამში 1703 წელს, 50 წლის მანძილზე ცხოვრობდა რუსეთში და ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურში იდგა. ირანში იგი ორჯერ იყო (1733-1735 და 1745-1747 წწ.), როგორც რუსეთის საელჩოს ექიმი. დღიურებში იგი სხვადასხვა საკითხებს ეხება. მაგალითად, აღწერილი აქვს

ადგილობრივი ფლორა, მოსახლეობის ყოფა, იმ მხარეების ძეგლები, სადაც იგი თავად ყოფილა. ძალიან საინტერესოა მისი დღიურები, რომლებიც ეხება კავკასიასა და ირანში მოგზაურობას, სადაც აღწერილია ნადერ შაჰის მიერ დამორჩილებული კავკასიის მრავალი მხარე და ქალაქი. ლერხი გვიამბობს ქალაქების გადატაკების, სოფლების მოსახლეობისგან დაცლის შესახებ XVIII საუკუნის 40-იან წლებში ( Lerch 1735).

პიოტრ ბუტკოვის (1775-1857) თხზულებაში, „ცნობები კავკასიის ახალი ისტორიისთვის 1803-1722წწ“, შესულია დიპლომატიური დოკუმენტები, ოფიციალური აქტებიდან ამონარიდები, ასევე მოგზაურთა ჩანაწერები, რომელთა დიდი რაოდენობაც ავტორმა შეაგროვა კავკასიაში მსახურობის დროს. განსაკუთრებულად საყურადღებოა ბუტკოვის მიერ ნაამბობი დადესტნელთა განმათავისუფლებელი ომის შესახებ. ( Бутков 1869)

შესწავლილი საკითხთან დაკავშირებულ საკმაოდ მდიდარ მასალას შეიცავს დასავლეთევროპული პირველადი წყაროები.

ინგლისელი ვაჭრის, ჯონას ჰანვეის თხზულებაში “ისტორიული ესე ბრიტანული ვაჭრობისა კასპიის ზღვაზე” (Hanwey 1729-42) დაცულია მეტად საინტერესო ცნობები რიგ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელთა თვითმხილველიც ავტორი თავად იყო. ასე, მაგალითად, 1744 წლისა ასტრახადისა და მაზანდარანის ამბოხების ჩახშობა ჰანვეის თვალწინ მოხდა და იგი მოგვითხრობს კიდევ ამ კონკრეტული მოვლენის შედეგად ქალაქებისა და სოფლების დაცარიელების, მოსახლეობის გადატაკებისა და შიმშილის შესახებ. ჰანვეის თხზულებაში შესულია ასევე დღიურები და ცნობები ცალკეული მოგზაურებისა (ჯონ კუკი, ჯონ ელტონი და სხვ.), მდიდარი დოკუმენტური მასალა სპარსეთ-ინგლისის ვაჭრობის ისტორიასთან დაკავშირებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და ა.შ.

მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც ნადერ შაჰის მეფობის ბოლო წლებს ასახავს, არის ფრანგი მისიონერის, ნადერ შაჰის კარის ექიმის, (1741-1747 წლებში თან ახლდა იგი შაჰს ყველა ლაშქრობაში), იეზუიტი ბაზენის (Bazin 1780) წერილები, სადაც

აღწერილია ნადერ შაჰის საგადასახადო პოლიტიკა, ვაჭრობის დაქვეითება, გლეხების სილატაკე. ავტორი ასევე მოგვითხრობს ნადერის რელიგიური პოლიტიკის და 1746-47 წლების სისტანის აჯანყების შესახებ.

ყურადსაღებია ასევე ფრანგი მოგზაურის, ჟან ოტერის ორტომეული, (Otter 1748) რომელშიც აღწერილია ავტორის მოგზაურობა ირანსა და ოსმალეთში. თხზულებაში, ასევე, მოთხრობილია ავღანელების შემოსევების, ირან-ოსმალეთისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობების შესახებ. აქვე ვიგებთ ნადერ შაჰის ბრძოლაზე ავღანელების წინააღმდეგ.

ამ პერიოდის კავკასიის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენებისა თუ ფაქტების გასარკვევად მეტად ფასეულია ქართული წყაროების შესწავლა.

XVIII საუკუნის ირანის, კერძოდ ნადერ შაჰის მიერ კავკასიაში გატარებული პოლიტიკის შესახებ საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მისი თანამედროვე ისეთი ცნობილი და სანდო ქართველი მემატიანეები, როგორებიც არიან პაპუნა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, ომან ხერხეულიძე, იესე ბარათაშვილი და სხვანი.

ქართული საისტორიო მწერლობის მეტად საყურადღებო ძეგლია პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“. (ორბელიანი 1981) თხზულების ავტორი XVIII ს-ის 30-50-იანი წლების ქართლ-კახეთის შესახებ წერს. პაპუნა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სწორედ მისივე თხზულებიდან ვიგებთ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მასში დაცული ცნობების მეშვეობითაც ვერ ხერხდება მისი ბიოგრაფიის სრული სახით აღდგენა, რადგან მიუხედავად თვითმხილველობისა და ხშირად თხზულებაში აღწერილ ამბებში თავისივე მონაწილეობისა, ის ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობებს მაინც მცირე ადგილს უთმობს. ავტორი ასევე არაფერს ამბობს, თუ რა თანამდებობა ეკავა მას, თუმცა ორბელიანების საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებს სარდლებად და სხვა დიდ მოხელეებად ასახელებს. პაპუნა ორბელიანი გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებაზე და ასევე, მის თხზულებაში

მნიშვნელოვანი ცნობებია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ (ორბელიანი 1981,12-13).

XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ომან ხერხეულიძე. მისი საისტორიო თხზულებაა „მეფობა ირაკლისა მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა“. (ხერხეულიძე 1989 ) ბიოგრაფიული ცნობები ომან ხერხეულიძის შესახებ ძალიან მცირეა. ჩვენთვის ცნობილია, რომ მას ერეკლე II-ის კარზე ლაშქარნავის<sup>3</sup> თამადადობა ეკავა. ომან ხერხეულიძის ბიოგრაფიის აღდგენა ვერც მის ნაშრომში დაცული ცნობების მიხედვით ხერხდება. თუმცა, შემდგომი პერიოდის ისტორიულ დოკუმენტებში, კერძოდ, XVIII ს-ის 70-იანი წლებიდან და XIX ს-ის დამდეგიდან, შედარებით მეტი ცნობა გვხვდება მის შესახებ.

ომან ხერხეულიძე აქტიურად მოღვაწეობდა ერეკლე II-ის კარზე (საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტებში ეს კარგად ჩანს). თხზულების ავტორი სამხედრო ოპერაციებშიც იღებდა მონაწილეობას. მას, განსხვავებით ჰაკუნა ორბელიანისგან (რომლის თხზულებაზეც – „ამბავნი ქართლისანი“ – ასევე ქვემოთ შევჩერდებით), არ დაუტოვებია სხვა სახის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

თუმცა ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „ჩვენს მემათიანეს თავისი თანადამხვედურობა და თვითმხილველობა სხვებსავით საგანგებოდ აღნიშნული არა აქვს“, იგი იმასაც აღნიშნავს, რომ „თავისი ზეპირი წყაროს შესახებ, მოამბეებზე, განსაკუთრებით მოხსენიებული აქვს, რომ ისინი „სარწმუნო კაცნი“ იყვნენ, მამასადაძმე, ომან მდივანსაც არ დაჰვიწყებია საისტორიო მწერლობის უტყუარობისათვის ეს აუცილებელი მოთხოვნილება“. (ჯავახიშვილი, 1977, 371) გამომდინარე აქედანაც, უნდა ითქვას, რომ ომან ხერხეულიძის ეს თხზულება სანდო და მნიშვნელოვანი წყაროა.

---

<sup>3</sup> ლაშქრის ანგარიშმწარმოებელი XVII-XVIII სს ირანში.

ეს ქართული წყაროებიც, მსგავსად ზემოაღნიშნული სპარსული თუ სხვა კავკასიური წყაროებისა, სანდოობით გამოირჩევა თუნდაც იმის გამოც, რომ ხშირად ავტორები თავად იყვნენ მათ მიერ აღწერილი მოვლენების უშუალო თვითმხილველები და მონაწილეები.

უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამგვარ წყაროებზე დაყრდნობითაც არის გაშუქებული ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი ასპექტი.

სეხნია ჩხეიძის ეკუთვნის საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთა“<sup>4</sup>, რომელიც იწყება 1653 წლის ამბავით და მთავრდება 1739 წლით. ავტორი ამ თხზულებაში საკუთარ თავზე ბევრს წერს, რაც შემდგომში დაეხმარა მკვლევრებს მისი (ავტორის) ვინაობის გარკვევაში. თხზულებაში „ცხოვრება მეფეთა“ ქართლისა და კახეთის მეფეების ამბებია მოთხრობილი (86 წლის განმავლობაში). სეხნია ჩხეიძე სპარსეთში იყო ნაცხოვრები და სწორედ ამიტომ მის თხზულებაში დიდი ადგილი უჭირავს ირანის ამბებსაც. „ამგვარად, ს. ჩხეიძის ისტორია ისე ქართლის ისტორია არ არის, როგორც მართლაც ქართლის „მეფეთა ცხოვრება“. ხოლო რაკი ბედის უკუღმართობის წყალობით ქართლის მეფეები იძულებულნი იყვნენ თავიანთი მეფობის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეშე გაეტარებინათ და სპარსეთში „ბეგლარ-ბეგობისა და ამირ-სპასალარობისა“ თანამდებობითაც დატვირთულნი სპარსეთის ურჩ ქვემეგრდომთათვის შეეღიანათ თავიანთი ძალ-ღონე და დღენი, ამიტომ მათი „ცხოვრება“ უნებლიეთ ისტორიკოსს უნდა დაეწერა „ამბით უცხოთა ქვეყნისათა არა მარტივად ქართლისა.“ (ჯავახიშვილი 1977, 359). ივანე ჯავახიშვილი ასევე მიიჩნევს, რომ სეხნია ჩხეიძის თხზულება მსგავსია იმდროინდელი სპარსული ისტორიული მატეანეებისა. იგი წერს, რომ მისი „აღწერილობა“ ხშირად არის გაზვიადებული და ამ მხრივ უფრო სპარსელ ისტორიკოსებს მიაგავს, ვიდრე ქართველებს (ჯავახიშვილი, 1977, 361). დავით ჩუბინაშვილი, რომელმაც თავად

---

<sup>4</sup> სეხნია ჩხეიძის თხზულება პირველად დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა ბ. ბროსს ქართლის ცხოვრების კრებულში, ხოლო შემდგომ იგი გადაბეჭდა ზ. ჭიჭინაძემ 1913 წელს.



გამოსცა ეს თხზულება 1854 წელს პეტერბურგში, წერს, რომ ჩხეიძე სეხნია დაწვრილებით გვაწვდის საკმაოდ მნიშვნელოვან ცნობებს იმ პერიოდის ირანის შესახებაც (ჩხეიძე 1913, 3).

## ბ) სამეცნიერო ლიტერატურა

ბუნებრივია, საკვლევი თემატიკის შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს. მეცნიერებს (ქართველებს, კავკასიელებს, დასავლელებს, ირანელებს) ეკუთვნით მნიშვნელოვანი გამოკვლევები ირანის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (ლოურენს ლოქჰარტი, მაიკლ ოქსფორსი, ვილემ ფლორი, მორტიმორ დიურანტი და სხვ). ასევე საჭიროდ მივიჩნევთ იმ ავტორთა ჩამოთვლას, რომლებიც თავიანთ გამოკვლევებში აშუქებენ ნადერ შაჰის მმართველობის ამა თუ იმ ასპექტს. ესენი არიან: ჯონ მალკოლმი, პერსი საიქსი, ნ.კ. ლემბტონი, რუდი მეთი, ჯორჯ ბურნუთიანი, ლუიზა შენგელია, კარლო კუცია, დავით კაციტაძე, გიორგი სანიკიძე, ტიმურ აიტბეროვი, ჯორჯო როტა, ენდრიუ ნიუმანი, სუზან ბაბაი, მოჰამად ამინ რიაჰი, რეზა შაბანი, ჯენი გართუაითი, ერნესტ ტაკერი, ვილემ ფლორი და მისთ. შევეცდები, მოკლედ განვიხილო ამ და სხვა ავტორთა მნიშვნელოვანი ნაშრომები ნადერ შაჰის პერიოდთან დაკავშირებით:

ნადერ შაჰის ეპოქის ახალი და უახლესი დროის თანამედროვე მსოფლიო ისტორიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული ცნობილი ირანისტის, მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის ორი ფუძემდებლური ნაშრომის ავტორის, ლოურენს ლოქჰარტის სახელთან. მისი თხზულება ნადერ შაჰ ავშარის ეპოქაზე (Lockhart 1958) იმდენად ფუნდამენტურია, რომ დღესაც ამ ეპოქაზე მომუშავე ისტორიკოსთა სამაგიდო წიგნია. ეს ნაშრომები მართლაც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებლად მიიჩნევა ნადერ შაჰის ეპოქის სრულფასოვანი კვლევა.

ვილემ ფლორი თავის წიგნში „სექსუალური ურთიერთობების სოციალური ისტორია ირანში“ (Floor 2008) განიხილავს 2500-წლიან ირანის სოციალურ ისტორიას სექსუალურ ურთიერთობების პრიზმაში. ქორწინებას, დროებით ქორწინებას, ჰომოსექსუალიზმს, პროსტიტუციას და ხშირად მათგან გამომწვევ დაავადებებსაც ეხება თავის მონოგრაფიაში. გამოყენებული აქვს მოგზაურთა ჩანაწერები, საერთაშორისო ურთიერთობების ამსახველი საარქივო მასალები და, ასევე, სახელმწიფო დოკუმენტები. წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია ვ. ფლორის ანალიზი ირანში მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ამ საკითხებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

ამავე კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია ნარკოტიკების/გამაბრუებელი საშუალებების როლზე ირანის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუდოლფ მეთის ნაშრომი „სიამოვნებისკენ სწრაფვა: ნარკოტიკები და სტიმულატორები ირანის ისტორიაში, 1500-1900 „(Matthee 2005) იგი ეხება ასევე ყავის, ჩაის, ღვინის მოხმარებას ირანის სამეფო კარზე (1500-1900 წლებში). მეთის ნაშრომი არაპირდაპირ ეხმაურება დღეს სამეცნიერო წრეში ფართოდ მიმდინარე დებატებს, კერძოდ, ნარკოტიკებისა და სტიმულატორების როლს თანამედროვე დასავლეთის ფორმირებაში. ეს ნაშრომი საინტერესოა თავისი პანორამული ხედვითა და მდიდარი დეტალებით. მასში ავტორი განსხვავებული თვალთახედვით განიხილავს უძველესი დროიდან მოყოლებულ ინტოქსიკანტებსაც (ღვინო და ა.შ.) და, ასევე, მოგვიანებით შემოსულ თუთუნს, ყავასა და ჩაის. მეთის აზრით, ეს ყველაფერი აერთიანებს წარმოებას, ვაჭრობას და მოხმარებას და ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ უთავსებდნენ სპარსელები ამ საშუალებებს თავიანთ მოთხოვნილებებს, გემოვნებას, ახდენდნენ მათ ინტეგრირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ისტორიის რიგი საკითხების გასაშუქებლად მკვლევრები ხშირად ამხვილებენ ყურადღებას ირანელების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებაზე. მაგალითად, თუნდაც რელიგიური და საერო პირებს შორის წარმოქმნილ

უთანხმოებაზე და მისთ. მეთვის ნაშრომი გამოვიყენეთ ამ კუთხით ნადერ შაჰის გარემოცვაში არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად.

უკანასკნელ წლებში არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა ზემოაღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით. მათ შორის მეტად ყურადსაღებია ერნესტ ტაკერისა და მაიკლ ოქსუორსის ნაშრომები. მათი კვლევები ეფუძნება, როგორც გამოცემული, ისე გამოუქვეყნებელი წყაროების ანალიზს და გამოირჩევა მაღალი აკადემიური დონით. ერნესტ ტაკერის გამოკვლევა, „ნადერ შაჰი ლეგიტიმაციის ძიებაში პოსტ-სეფიანურ ირანში“ (Tucker 2006), ეძღვნება ნადერ შაჰის მიერ საკუთარი ძალაუფლებისთვის ლეგიტიმურობის მინიჭების მცდელობების განხილვას. ტაკერის აზრით, თუ სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლები თავიანთ ძალაუფლების ლეგიტიმურობას იმით ასაბუთებდნენ, რომ მეშვიდე იმამის შთამომავლები იყვნენ, ნადერ შაჰი ცდილობდა, მოეძია თავისი ძალაუფლების ლეგიტიმურობის ახალი საფუძვლები, რომლებიც არც რელიგიიდან მომდინარეობდა და არც კონკრეტული ეთნიკური კუთვნილებიდან გადაეხედათ. ავტორი მეტად ზედაპირულად მიიჩნევს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომ ჯაფარიტული მაზჰაბის სუნიტურ მაზჰაბებთან დაკავშირებით ნადერი ცდილობდა ირანის სუნიტურ ქვეყნად ქცევას და ამით სეფიანთა კვალის გაქრობას.

ტაკერი მართებულად აღნიშნავს, რომ ნადერ შაჰის პოლიტიკური თუ რელიგიური რეფორმების რეგიონის ისტორიაზე გავლენის შეფასება, შესაძლოა, ყველაზე სრულადაც კი იყოს მნიშვნეული. მის მიერ სპარსული წყაროების და ასევე, ოსმალური არქივების ახალი (შეუსწავლელი) მასალების გამოყენება, ტაკერის ნაშრომი ახლო აღმოსავლეთისა და ირანის ისტორიის მკვლევრებისთვის მართლაც დამხმარე სახელმძღვანელოს მნიშვნელობის მატარებელია. გარდა ამისა, ამ და მომდევნო ნაშრომებშიც იგი ზედმიწევნით სრულად განიხილავს მე-18 საუკუნის ოსმალეთის იმპერიის და სეფიანთა ირანის ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერნესტ ტაკერის გამოკვლევა – ეს არის მართლაც ახალი სიტყვა ნადერ შაჰ ავშარის ეპოქის კვლევის სფეროში.

მაიკლ ოქსუორსის „სპარსეთის ხმალი: ნადერ შაჰი, ტომის მებრძოლიდან დამპყრობელ ტირანამდე“ (Axworthy 2006) დიდი მოცულობის ნაშრომია ნადერ შაჰ ავშარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აზერბაიჯნელი მკვლევრის, ნიგარ გოზელოვას აზრით, ოქსუორსის, როგორც ჩანს, სურდა, ლოურენს ლოკჰარტის „მოძველებული“ ნაშრომის ამ თავისი ნაშრომით „ჩანაცვლება“. მის გამოკვლევაში გამოყენებულია ნადერ შაჰის იმპერიის აღმავლობისა და დაცემის ამსახველი ახალი წყაროები და წარმოდგენილია ბევრად უფრო თანამედროვე ინტერპრეტაცია. (Гозелова 2014, 144) ოქსუორსი ნაწილობრივ ეთანხმება ნადერ შაჰის დაბადების დათარიღებას, მოცემულს პიტერ ევერის მიერ (არა 1688 წელი არამედ 1698) და ცდილობს, ამას ლოგიკური ახსნა მოუძებნოს. ბუნებრივია, რომ ირანის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის ქვეყნის, მდიდარი კულტურული და ინტელექტუალური მიღწევებით, პოლიტიკური და კულტურული გავლენა ვრცელდებოდა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, არამედ მთელ მსოფლიოზე.

მაიკლ ოქსუორსი თავის წიგნში „გონის იმპერია, ირანის ისტორია“ ( Axworthy 2010) საკმაოდ ხატოვნად გადმოგვცემს ირანის ისტორიას, დაწყებული ზოროასტრული პერიოდიდან, უძველეს, ძლევამოსილ სპარსეთის იმპერიებიდან, დამთავრებული 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე. ავტორი მკაფიოდ ხსნის დინასტიების რთულ თანმიმდევრობას, რომლებიც უძველეს სპარსეთს მართავდნენ და, ასევე, თანამედროვე ქვეყნის ერთი კულტურით გაერთიანებულ და გასაოცარ ეთნიკურ მრავალსახეობას. ირანის, როგორც მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მყოფი ქვეყნის (შეიძლება ითქვას, არასტაბილური ქვეყნის) ისტორიის აღსაქმელად ოქსუორსის ეს წიგნი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია.

აქსოურსი ერთ-ერთ პუბლიკაციაში – „ნადერ შაჰი და სპარსული საზღვაო ექსპანსია სპარსეთის ყურეში 1700-1747 წლებში“ (Axworthy, 2011) განიხილავს ნადერ შაჰის საზღვაო ფლოტის მნიშვნელობას, მის უფრო ფართო მიზნებსა და მისწრაფებებს (ინდოეთის ლაშქრობა და მისთ.).

ინტერესის გაღვივება ნადერ შაჰის მმართველობის პერიოდთან დაკავშირებით შეიმჩნევა რუსეთის თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც. აღსანიშნია ა. სოტავოვისა (Сотавов 2013) და ვ. გაჯიევის (Гаджиев 1996) შრომები, რომლებიც დაღესტნელი ხალხების ანტიირანული გამოსვლების სკრუპულოზურ ანალიზს წარმოადგენს. სოტავოვის წიგნი, „სამყაროს რისხვის კრახი“, მეტად ღირებული და მნიშვნელოვანი ნაშრომია, რადგან ის აღწერს დაღესტნელების ბრძოლას და გამარჯვებას მრისხანე მეტოქესთან ბრძოლაში. ავტორი დაღესტნელების სიმამაცეზე და საოცარ ერთიანობაზე მოგვითხრობს და, გამომდინარე თხრობის მანერიდან თუ სტილიდან, კიდევ იგრძნობა, თუ როგორ ამაყობს იგი ამ გამარჯვებით. ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მკვლევრისთვის შთამომავლობაზე ზრუნვა, ერთიანი სულისკვეთება, წინაპრების, ტრადიციების მნიშვნელობა და მისთ. ასევე, გამორჩეულად ყურადსაღებია დაღესტნელი მკვლევრის, ტიმურლან აიტბეროვის წიგნი „ნადერ შაჰ ავშარი და დაღესტნელები 1741 წელს“, სადაც ავტორს გამოყენებული აქვს ადრეული უცნობი ხელნაწერები, ხოლო სხვადასხვა წარმომავლობის უკვე გამოქვეყნებულ წყაროებს, მკვლევარი ახლებური ინტერპრეტაციით გვთავაზობს და ამიტომ ბევრად რეალურ სურათს გვიხატავს ნადერ შაჰის დაღესტანში ლაშქრობისა და მისი შედეგების შესახებ, ვიდრე აქამდე დაწერილა.

ნადერ შაჰის ეპოქისადმი ინტერესის გაღვივების ახალ ტალღად იქცა ირანის ისტორიის კემბრიჯის გამოცემის მე-7 ტომში, პიტერ ევერის (Avery 1993) მიერ წარმოდგენილი ნადერის ეპოქის მოვლენათა განხილვა. ევერის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველ რიგში იმიტომ, რომ მან ახლებურად გაიაზრა და გადახედა ირანისტი ისტორიკოსების ნაშრომებში უკვე დამკვიდრებულ შეხედულებებს ნადერ შაჰის პერიოდის პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მკვლევარმა კონკრეტული ფაქტების ახლებური დათარიღება მოგვცა (მაგ. ნადერ შაჰის დაბადების თარიღი და მისთ.) პიტერ ევერის გამოკვლევებმა, შეიძლება ითქვას, საფუძველი დაუდო ნადერ შაჰის ეპოქის გამოკვლევის ახლებურ

მიმართულებას და უბიძგა მკვლევრებს ამ უძლიერესი მხედართმთავრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ინტერესის უფრო მეტად გაღვივებისკენ.

ნადერ შაჰის პერიოდთან დაკავშირებული ახალი, ძალიან საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი კრებული გამოიცა 2018 წელს<sup>5</sup>, სახელწოდებით: „კრიზისი, კოლაფსი, მილიტარიზმი და სამოქალაქო ომი: მე-18 საუკუნის ისტორია და ისტორიოგრაფია“.<sup>6</sup> ამ კრებულის შემდგენლები არიან ცნობილი ირანისტები და მასში შესულია ისეთი მაღალკვალიფიციური მკვლევრების ნაშრომები, როგორებიც არიან: მაიქლ ოქსფორსი, სუზან ბაბაი, ჯორჯო როტა, ვილემ ფლორი, რუდი მეთი, დევიდ მორგანი, ენდრიუ ნიუმანი, გუდარზ რაშთიანი და მისთანანი. ზემოხსენებულ მკვლევრებს ახლებურად და უაღრესად საინტერესოდ აქვთ დანახული მე-18 საუკუნე და, კონკრეტულად, ნადერ შაჰის მართველობის პერიოდი. განიხილავენ რა საკმაოდ საკამათო საკითხებს, ამ ნაშრომებს შეიძლება ეწოდოს ახალი სიტყვა მე-18 საუკუნის ირანის ისტორიის კვლევაში.

შევეცდები, მოკლედ მიმოვიხილო ამ კრებულში დაბეჭდილი ნაშრომები:

ვილემ ფლორი ნაშრომში - "სპარსული ეკონომიკა XVIII ს-ში: სავალალო/მძიმე რეკორდი" (Floor 2018) განიხილავს ეკონომიკურ სიტუაციას ირანში (დაახლ. 1700 წელი). იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ადამიანურ რესურსებს, ეკონომიკის სტრუქტურასა და საერთაშორისო ვაჭრობას, რის შემდგომად იკვლევს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებს. ამას მოჰყვება ცვლილებები ეკონომიკაში 1722 წლიდან, როცა სპარსეთი დაპყრობილი და ოკუპირებული იყო ავღანელების, რუსებისა და ოსმალების მიერ, რასაც მოჰყვება თითქმის ომის მუდმივი მდგომარეობა 1790 -იან წლებამდე. მეორე თავი, „ტომების აღორძინება XVIII ს-ში: სასარგებლო

---

<sup>5</sup> მე მომეცა საშუალება, ამ კრებულს გავცნობოდი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გამოცემულიც არ იყო, რამაც შემიწყო ხელი კონკრეტული პერიოდის კვლევის დროს, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ჩემს იტალიელ კოლეგას, ირანისტ ჯორჯო როტას.

<sup>6</sup> Crisis, Colapse, Militarism and Civil war: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran; Oxford University Press 2018

ნიშანი“, ეძღვნება ენ ლამბტონის მიერ 1970-იან წლებში შექმნილ ტომობრივი აღორძინების თეორიის ანალიზს. ცნების „ტომობრივი აღორძინება“ გამოყენების უპრიანობის განსასაზღვრად, საჭიროა, გაანალიზდეს მანამდე შექმნილი გარემო – ბიუროკრატიული სისტემის მოშლა, ცენტრალური ხელისუფლების დაკნინება და ა.შ. სწორედ ეპოქის სისტემური ანალიზი ქმნის იმდროინდელი ირანის პოლიტიკური სტრუქტურის ამ თეორიულ ჩარჩოში მოქცევის საშუალებას. ამიტომ ამ სტატიაში მოკლედ არის ჩამოყალიბებული არსებული პოლიტიკური სისტემის ძირითადი მახასიათებლები; ხოლო შემდეგ განიხილება, ნამდვილად მიესადაგება თუ არა ცნებები „ტომობრივი აღორძინება“ და „ბიუროკრატიის დაცემა“ მე-18 საუკუნის ირანის პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას.

რუდი მეთი თავის სტატიაში „მე-18 ს-ის ირანის ისტორიოგრაფიული ჩანაწერები: დაცემა და იზოლაცია (დახშულობა), იმპერიული ოცნებები თუ რეგიონალური სპეციფიკა?“ (Matthee, 2018) ცდილობს, დაადგინოს გარკვეული ისტორიული კანონზომიერება საკმაოდ ქაოტური მე-18 საუკუნის ირანის ისტორიაში. ცდილობს, ასევე, გარკვეულ ინტერლუდიად განიხილოს ნადერ შაჰის ეპოქა სეფიანებსა და ყაჯარებს შორის. იგი ამ გარდამავალი პერიოდის კვლევისათვის გვთავაზობს სამ ინტერპრეტაციულ მოდელს ან რეგიონალურ მიდგომას, რომელიც ირანს უფრო ფართო ევრაზიულ სტრუქტურაში აქცევს. უფრო ვიწრო თვალსაზრისი, რომელიც ქვეყანას აღიქვამს ერთიან პოლიტიკურ და კულტურულ სივრცედ, თუმცა არა აუცილებლად ეროვნული ნიშნით და რეგიონალური თვალსაზრისით, რომელიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ იმ დროისთვის ირანი ჯერ კიდევ არ იყო ნაციონალური სახელმწიფო, არამედ წარმოადგენდა სუსტად შეკავშირებულ, პირობითად ავტონომიურ რეგიონალური ცენტრების კონგლომერატს.

სტატიაში „სპარსეთი 1700-1750: რამდენიმე მოსაზრება ცენტრალური ევროპიდან“, (Rota 2018) ჯორჯო როტას წარმოდგენილი აქვს მე-18 საუკუნის პრაქტიკულად უცნობი ევროპული წყაროების აღწერილობა სპარსეთის შესახებ, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა ენაზე და მოიცავს პერიოდს შაჰ სოლთან ჰოსეინ

სეფიანის მეფობიდან ფათჰალი შაჰ ყაჯარის მეფობის პირველ ნახევრის ჩათვლით. აქვეა წარმოდგენილი ექვსი წყაროს ტექსტი. ეს ტექსტები არა მხოლოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სპარსეთის ისტორიის ამ ბუნდოვანი ეტაპის შესახებ, არამედ იმაზეც მიუთითებს, რომ, მიუხედავად ევროპის ქვეყნებში სპარსეთისადმი ინტერესის საგრძნობლად კლებისა სეფიანთა ხანასთან შედარებით, იგი მაინც მნიშვნელოვანი იყო.

გუდარზ რაშთიანის სტატიის „XVIII ს-ის ირან-რუსეთის ურთიერთობა“ (Rashtiani 2018) მიზანია, გააანალიზოს XVIII ს-ის ირან-რუსეთის ურთიერთობების თავისებურებანი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, დაწყებული ისფაჰანის დაცემის პერიოდიდან (1722წ.), დამთავრებული ყაჯარების დინასტიის ხელისუფლების სათავეში დამკვიდრებით (1796) და შეადაროს ეს ურთიერთობები წინარე ხანებში არსებულ კავშირებს და გამოავლინოს განსხვავებები, ირანის ტერიტორიაზე რუსეთის ქმედებების ფონზე (კასპის ზღვა და კავკასია); გაამახვილოს ყურადღება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ეთნიკური უმცირესობების, ადგილობრივი სახანოების, რეგიონული და საერთაშორისო პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სტატიაში ასევე წარმოდგენილია ნადერ შაჰის, როგორც ნოვატორისა და მომავალზე ორიენტირებული ფიგურის სასარგებლო არგუმენტები.

სტატიაში „ნადერ შაჰის მოუქნელობა“ (Axworthy 2018) ოქსუორსი მიიჩნევს, რომ ნადერ-შაჰის მმართველობა საკმაოდ წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა. მისი ცხოვრებიდან არაერთი ფაქტია იგნორირებული, ან სათანადოდ არ არის გამოკვლეული. მთელი თავისი ცხოვრება 60 წლის განმავლობაში და მას მერეც ნადერი ევროპაში განთქმული ფიგურა იყო, ნაპოლეონი და ველინგტონი შეისწავლიდნენ მის კამპანიებს. მაგრამ მოგვიანებით, მე-19 საუკუნეში, მისი „საგმირო საქმეები“ დავიწყებას მიეცა და დასავლურ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებობს წარმოდგენა, რომ მისი მოღვაწეობა გარკვეულწილად „ამოვარდნილია“ ირანისა და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის უკიდურესი დასუსტებისა და ევროპასთან შედარებით ჩამორჩენის



პერიოდიდან ან, შესაძლოა, სხვა მიზეზების გამო. ოქსოურსი ასევე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ევროპაში ეს პერიოდი აღიქმებოდა, ერთი მხრივ, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის ხანა და, მეორე მხრივ, როგორც სამხედრო რევოლუცია. საერთო ჯამში, ნადერისა და მისი დინასტიის გადაშენებამ გააღრმავა ირანის კრიზისი და ხელი შეუწყო მე-19 საუკუნეში კიდევ უფრო დაკნინებას.

სუზან ბაზაის სტატია \_ „ნადერ შაჰი, დელის ხელში ჩაგდება და მე -18 საუკუნის იმპერიის ეგზოტიკა“ \_ შეიძლება ითქვას, ამ კრებულის უაღრესად სასარგებლო და მნიშვნელოვანი დამატებაა. დელის ცნობილი ძარცვა, რომელიც ნადერ შაჰის მიერ 1739 წლის დიდ მოგოლთა კარნალთან რბევას მოჰყვა. ავტორის აზრით, ნადერ შაჰის აღმშენებლობითმა პროექტებმა, წამოწყებულმა ინდოეთის კამპანიის შემდეგ, ინდურ-სპარსული იმპერიის ჩამოყალიბების საფუძვლები შექმნა მე-18 ს-ში. მისი წამოწყება, რომელიც თითქოსდა მისდევდა თემურ ლენგის ინდოეთის დაპყრობის გეგმას, ითვალისწინებდა ინდოელ ოსტატთა და ხელოვანთა გამოყენებას ახალი, გრანდიოზული ძეგლების აღმშენებლობისთვის, რათა შექმნილიყო ცენტრალურ ელემენტად გადასაქცევი შთამბეჭდავი ჰიბრიდული ძეგლი.

საინტერესოა, რომ საკუთრივ კრებულშიც კი გვხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები (ერთ-ერთი შეუთანხმებლობა ეხება ზოგიერთი მკვლევრის მიერ ტერმინ „ნადერის“ გამოყენებას, სადაც სხვები ნადერ შაჰისა და მისი დინასტიის მთავრობისათვის იყენებენ „ავშარს“). მაიკლ ოქსოურსი, რომელიც ამ კრებულის შემდგენელი რედაქტორია, ამასთან დაკავშირებით წერს: „2013 წლის კონფერენციაზე ჩემი გამოსვლისას აღვნიშნე, რომ არაერთი მონაწილისგან განსხვავებული აზრი მქონდა.

როგორც რედაქტორს, მე დროდადრო დამისვამს კითხვები ავტორებისთვის ამ უთანხმოებების შესახებ, მომიყვანია მათთვის არგუმენტები, რათა გამესწორებინა და შემენიღა არსებული ბზარები. კრებულზე მუშაობისას არაერთი კითხვა გაჩნდა და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა თუნდაც მცირედი კონსენსუსის მისაღწევად. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ისტორიული კვლევა წარმოადგენს დინამიურ პროცესს

და შემოქმედება სულაც არ მოითხოვს ერთიანი ხედვის არსებობას“ (Axworthy 2018, 6).

დავასახელებთ რუს და საბჭოთა მკვლევრებსაც, რომლებმაც სპეციალური შრომები მიუძღვნეს ნადერ შაჰ ავშარს: მ.რ. არუნოვა, კ.ზ. აშრაფიანი, ვ.ფ. მინორსკი, ი.პ. პეტრუშევსკი და სხვ.

ავშარების პერიოდის ირანის ისტორიის მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა აგრეთვე ი.ვ. პიგულევსკაიასა და ავტორთა გუნდის ერთობლივი ნაშრომი, სადაც მონაკვეთი ნადერ შაჰის შესახებ ი.პ. პეტრუშევსკის ეკუთვნის.

რუს ისტორიკოსთა გამოკვლევებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მონოგრაფიას „ნადერ შაჰ ავშარის სახელმწიფო“. სეფიანებისა და ნადერ შაჰის მმართველობისდროინდელი ირანის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას ამ წიგნის ავტორები (არუნოვა და აშრაფიანი) ასევე დაწვრილებით განიხილავენ ეკონომიკური ვარდნის მიზეზებს და მის გავლენას სახალხო მღელვარებებზე.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი ძირითად ყურადღებას ნადერ შაჰის უმართებულო ქმედებებზე, მის შეცდომებზე ამახვილებენ, განსაკუთრებით, მისი მმართველობის ბოლო ოთხ წელიწადზე და ვერ აფასებენ მისი მოღვაწეობის დადებით მხარეს, კერძოდ, ეკონომიკური ვითარების გამოსწორებასა და ცენტრალური ხელისუფლების კონსოლიდაციას რეგიონში.

არაერთი ნაშრომი ეკუთვნით ქართველ მკვლევრებს ნადერ შაჰის ეპოქასთან დაკავშირებით. დავასახელებთ კარლო კუციას, ლუიზა შენგელიას, დავით კაციტაძეს, გიორგი სანიკიძეს, ლელა მიქიაშვილს,<sup>7</sup> ნანა გელაშვილს, ხათუნა ბაინდურაშვილს,

---

<sup>7</sup> მე-18 საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა, კერძოდ, ომან ხერხეულიძის შემოქმედების თემატიკასთან დაკავშირებით დიდი დახმარება გაგვიწია მკვლევარმა ლელა მიქიაშვილმა, რისთვისაც მოვასხენებთ მას მადლობას.

ნიკო ჯავახიშვილს, კახაბერ დემეტრაშვილს.<sup>8</sup> ძალიან მნიშვნელოვანია სპარსული ისტორიული საბუთები, რომლებიც გამოცემულია ქართველი მკვლევრების მიერ (ხუბუა 1949, ფუთურიძე 1977, Тодуа 1989, Тодуа 1995, )

ამ პერიოდის კავკასიისა ისტორიასთან დაკავშირებული ერთი და იმავე მოვლენის თუ ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაჯერებლად მეტად ფასეულია სპარსული წყაროების შესწავლა. საგულისხმოა, რომ კავკასიურ (მათ შორის ქართულ) და ირანულ წყაროებში დაცული არაერთი ინფორმაცია ხშირად ურთიერთგამომრიცხავია.

---

<sup>8</sup> იხ.:კუცია, კ. ნადირ შაჰი და საქართველო. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III. თბ., 2002; კაციტაძე, დ. ირანის ისტორია III-XVIII სს. თბილისი:2011; ბაინდურაშვილი,ხ. ნადირ-შაჰის რელიგიური პოლიტიკა დაღესტანში. დავით კაციტაძე 80. თბილისი:2009; დემეტრაშვილი, კახაბერ. ირანელ ცრუ უფლისწულთა ურთიერთობა საქართველოსთან პაპუნა ორბელიანის ცნობათა მიხედვით . ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. X. 20017. გელაშვილი,ნანა. სეფიანთა ხანის საისტორიო წყაროების კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. VIII. 2014.208-213; „ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“. თბილისი, 1995. „მეცნიერება“. ჯავახიშვილი, ნიკო. აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინების ისტორიიდან. საისტორიო კრებული:“წელიწდეული“.თბილისი, 2011. ტ.1. 75-82.; მიქიაშვილი, ლელა. ერეკლე II-ის სამხედრო პოლიტიკა.ბროშურა სერიიდან „მეომრის ბიბლიოთეკა“,თბილისი 2009; ქართლ-კახეთის მეფეთა ლეგიტიმაციის საკითხი და რუსეთის ფაქტორი (XVIII ს. მეორე ნახევარი), კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, #1 (18), თბილისი, 2016. უნივერსალი; ახალი ისტორია (1744-1819) როგორც საისტორიო წყარო: დის...ისტ. მეცნ.კანდ. 07.00.09. საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრაფ. ინ-ტი. თბილისი, 1983

## თავი I

### ირანი XVIII ს-ის პირველ მესამედში (ნადერ შაჰის აღზევება)

#### 1.1. უკანასკნელი სეფიანები

XVII საუკუნის დასასრულს ირანი ჯერ ეკონომიკურად დაკნინდა, შემდეგ კი, ბუნებრივია, ამას პოლიტიკური დასუსტება მოჰყვა. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები იყო სოციალური დაძაბულობა, არასწორი საგადასახადო პოლიტიკა, რამაც გამოიწვია სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის და ვაჭრობის მოშლა.

სეფიანთა ირანის ეკონომიკურ დაცემას ხელი შეუწყო ასევე იმ ფაქტმა, რომ XVII საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მთლიანად აითვისეს საზღვაო გზა ევროპიდან ინდოეთამდე აფრიკის შემოვლით, რის გამოც ირანზე გამავალი სახმელეთო საქარავნო გზების მნიშვნელობა შესუსტდა და შემცირდა სატრანზიტო ვაჭრობაც, დაეცა ირანული ქალაქების მნიშვნელობა. ჯერ კიდევ შაჰ სოლეიმანის მმართველობის დროს (1666-1694), უკვე შეიმჩნევა ირანის დასუსტების ნიშნები. ამ დროს ჰოლანდიელებმა დაიკავეს კუნძული ყემში სპარსეთის ყურეში.

ყველა ეს ფაქტორი კიდევ უფრო გამოიკვეთა შაჰ სოლთან ჰოსეინის მმართველობის პერიოდში (1694-1722), რომელიც სუსტი მონარქი აღმოჩნდა.

პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ იმდროინდელი ავტორების მიერ არსებული სიტუაციის შეფასებაზე:

მინისტრ-რეზიდენტი, ასტრახანის გუბერნატორი არტემი ვოლინსკი, რომელიც რუსეთის ელჩი იყო ირანში, შაჰ სოლთან-ჰოსეინის შესახებ წერდა: "ძნელია მოიძებნოს ასეთი სულელი არამცთუ გვირგვინოსნებს შორის, არამედ უბრალო ხალხშიაც კი"

“თვითონ არავითარ საქმეში არ ერევა და ყველაფერში ეყრდნობა თავის ეთემად ად-დოვლეს”<sup>9</sup> (Пигулевская 1958, 308).

პოლონელი მისიონერი თადეუმ კრუშინსკი აღნიშნავს, რომ მეფე, რომელიც თავის ჰარამხანას ცალკე სახელმწიფოდ მიიჩნევდა, ხოლო ხელისუფლება კი ჰარამხანის საჭურისებს ჩაუგდო ხელში, ქვეყნის საკეთილდღეოდ ნამდვილად ვეღარ შეძლებდა ფიქრსო. „ვერც ერთი მისი წინაპარი ვერ გაუტოლდებოდა სეფიანთა დინასტიის უკანასკნელ ხელმწიფეს ვერც ცოლების სიმრავლით და ვერც მათ შესანახად გაწეული უზომო ხარჯებით. ძალაუფლება ჰარამხანის საჭურისთა ხელში მოექცა. რა ხიერი უნდა ენახა ქვეყანას, რომლის კეთილდღეობა მხოლოდ მონარქის პიროვნულ თვისებებზე იყო დამოკიდებული! ძლიერი ხელმწიფის ხელში სახელმწიფოც ძლიერი იყო, სუსტი ხელმწიფის ხელში კი – სისუსტეს ვინღა ჩივის, უკვე დაღუპვა ემუქრებოდა“ (Krusinski 1735, 120-21).

ამავე აზრისაა როსთამ ალ ჰოქამაც, რომელიც წერს, რომ ჰოსეინი წინდაუხედავი და არაკომპეტენტური მმართველი იყო, რომელსაც დრო გარყვნილებაში გაჰყავდა (Hokama 1973, 82).

XVIII-ში ირანში ჩასული ჰოლანდიელი მხატვარი კორნელიუსი, რომელსაც თავის დღიურში შაჰ სოლთან ჰოსეინის ცნობილი პორტრეტი ჩაუხატავს, მასზე წერდა: „ეს ხელმწიფე ისე გადაყოლია ქალებს, რომ თავისი გარყვნილი ცხოვრების ზღვარი არ იცის და სრულიად აღარ ზრუნავს სახელმწიფოს კეთილდღეობაზე.“ (ციტ. ნატროშვილი 1991, 456). „მისი ავი მაგალითი მიზეზია იმისა, რომ მართლმსაჯულება დაეცა სეფიანთა დიდ იმპერიაში, სადაც ახლა მეფობს აღვირახსნილება და არ ისჯება ბოროტება“, – წერს თამაზ ნატროშვილი (ნატროშვილი, 1991, 456).

სემიონ ავრამოვმა, რომელიც რუსეთის კონსული იყო ისპაჰანში, 1129/1717 წელს იხილა, თუ როგორ შემოვიდა სამეფო ქარავანი ქაშანში 525 აქლემით, რომელთაც 1000 ქალი მოჰყავდათ, ხოლო მათ იცავდა 200 საჭურისი. ჰარემის შესავსებად შაჰმა ძველი

---

<sup>9</sup> დიდი ვეზირი

სამეფო კარის პრაქტიკა გაამყარა: სასახლისათვის ლამაზი ქალების შერჩევა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფენ 1700 წელს, რომელიც ცნობილი გახდა “ქიზლარუნ ილი”-ს (ქალების წელი) სახელწოდებით. რუსთამ ალ ჰოქამას ამბობს, რომ შაჰმა თავის სიცოცხლის მანძილზე 3000 ქალის დეფლორირება მოახდინა, ხოლო კიდევ 2000-თან ჰქონდა სქესობრივი კავშირი (ციტ. Encyclopedia Iranica, Mathee 2015).

რუსი ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო პირი პიოტრ ბუტკოვი ასე ახასიათებს შაჰ სოლთან ჰოსეინს: „სპარსეთის შაჰი ჰოსეინი ქვეყნის მართვას შეუდგა 1694 წელს. სასიამოვნო გარეგნობამ, გულუხვობამ და, რაც მთავარია, მამამისის, სოლეიმანის თვისებების გმობამ, კარის დიდებულები მისდამი კეთილად განაწყო. მეფობის პირველი წლები იგი გამოირჩეოდა სამართლიანობით, პატიოსნებითა და კაცთმოყვარეობით, თუმცა, დრომ აჩვენა, თუ რას უნდა ელოდო მეფისგან, რომელიც გაიზარდა ქალების გარემოცვაში და ცოტა რამ თუ გაეგება ცხოვრების შესახებ. ის მთელს დღეს თავის ჰარემში ატარებდა და ყველაფერში ეყრდნობოდა თავის მინისტრებს. იყო უმაქნისი და ამპარტავანი. ქვეყანას კი მართავდნენ მინისტრები, რომლებსაც ერთმანეთი სძულდათ და იყენებდნენ რა ჰოსეინის სისუსტეს, ამყარებდნენ თავიანთ ძალაუფლებას (Бутков 1869, 1).

ისტორიკოსები შაჰ სოლთან ჰოსეინს საკუთარი სამეფოს მარიონეტად მიიჩნევენ.

მოჰამად ქაზემის ცნობით, შაჰ სოლეიმანი, შაჰ სოლთან ჰოსეინის მამა, საკუთარი შვილის უმოქმედობას და სისუსტეს ხედავდა. ქაზემი წერს, რომ სიკვდილის პირას მყოფმა შაჰ სოლეიმანმა დაიბარა ვაზირები და დაახლოებული პირები და განუცხადა მათ, რომ ქვეყნის კეთილდღეობისათვის აჯობებდა, მისი მეორე ვაჟი, აბასი აეყვანათ ტახტზე და არა ჰოსეინი.

„როდესაც შაჰ სოლეიმანმა არსობის ბარგი საიქიოს სასახლეში გადაიტანა, სიკვდილამდე ქვეყნის ამირებსა და სახელმწიფოს დედაბოძებისთვის ასეთი ანდერძის დატოვება ინება: თუ ქვეყანათა დაპყრობის სურვილი გექნებათ, ჩემი შვილი აბასი გაამეფეთ და თუ ისურვებთ, რომ [თქვენ თვითონ] მოსვენებით ცხოვრობდეთ, ხოლო

სამეფოს აოხრება იხილოთ, ტახტზე ჩემი შვილი სოლთან ჰოსეინ მირზა აიყვანეთ! ეს ანდერძი რომ დატოვა, 1105 (1694) წელს [ამ] წუთისოფელს გამოეთხოვა და გარდაიცვალა” (ქაზემი 2016, 16).

სოლეიმანის კარის დიდებულებმაც, რომლებიც საკუთარი ინტერესებისთვის ზრუნავდნენ, სოლთან ჰოსეინის გამეფებას შეუწყვეს ხელი, რადგანაც იცოდნენ, რომ მამაცი და მკაცრი აბას მირზას გამეფებით (როგორც მას ქაზემი ახასიათებს), სარგებელს ვერ ნახავდნენ.

თამაზ ნატროშვილის აზრით, ამ ორი პრეტენდენტისგან უფრო სუსტი და ლმობიერი იმიტომ გაუმეფებიათ, რომ, თითქოს, ჰოსეინი მარტოობისა და ლოცვების მოყვარული ადამიანი ყოფილა და შესაძლოა მრჩეველთა ხელში სათამაშო მარიონეტად ქცეულიყო. (ნატროშვილი 1991, 451). ამას ადასტურებს ქაზემის ცნობაც: „დიდებულ ამირებს აბას მირზასი ემინოდათ, რადგან იგი შეუპოვარი და სისხლისმსმელი [კაცი] იყო და ერთმანეთთან დაითათბირეს, თქვეს: ამის [მეფობის] დროს სიმშვიდეს ვერ მოვიპოვებთ. ახლა მთავარი [საქმე] ეს არის, სოლთან ჰოსეინ მირზა გავამეფოთ“ (ქაზემი, 2016, 16).

გამომდინარე იქიდან, რომ ირანში არასახარბიელო ვითარება იყო, XVII საუკუნის მეორე ნახევარში გადასახადები მოსახლეობას 2-3-ჯერ გაეზარდა, გაღარიბებული გლეხობა ტოვებდა თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. შაჰ სოლთან ჰოსეინის 1710 წლის ფირმანით<sup>10</sup> კვლავ დამტკიცდა გლეხების მიწაზე მიმაგრება. რაიათებს,<sup>11</sup> რომლებიც დატოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს, 12 წლის განმავლობაში ეძებდნენ და აბრუნებდნენ ძველ ადგილზე. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მათი ძებნა აკრძალული იყო და ისინი უკვე ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეჰყავდათ საგადასახადო რეესტრში.

---

<sup>10</sup> შაჰის ბრძანებულება.

<sup>11</sup> ამ პერიოდის სპარსულ წყაროებში რაიათი აღნიშნავს გადასახადის გადამხდელ მოსახლეობას (მიწათმოქმედი გლეხობა). საქართველოსთან დაკავშირებულ სპარსულ ტექსტებში რაიათი გლეხობას აღნიშნავს.

სოფლის მეურნეობის დაცემამ გამოიწვია შაჰის ხაზინისა და ცალკეული ფეოდალების შემოსავლის შემცირება. ბუნებრივია, რომ ფეოდალები შაჰის მთავრობით უკმაყოფილოები იყვნენ. შაჰს უნდოდა ირანის შემოსავლის გაზრდა საგარეო ვაჭრობიდან ვაჭრობის მეშვეობით და ჰოლანდიელი ვაჭრების (ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია) გავლენის შესუსტების მიზნით (ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ხელში ჩაიგდო ევროპის ქვეყნებთან ირანის ვაჭრობის მონოპოლია), მან საფრანგეთთან დადო ორი სავაჭრო ხელშეკრულება (1708 და 1715 წწ). ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ფრანგ ვაჭრებს გაცილებით მეტი შეღავათი და პრივილეგია ეძლეოდათ, ვიდრე ჰოლანდიელებს. ფრანგი ვაჭრები გაათავისუფლეს საბაჟო გადასახადიდან და, ამავდროულად, ისინი შაჰის მთავრობის განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

სოფლების გაჩანაგებამ დაასუსტა შიდა ვაჭრობა და შესუსტდა ეკონომიკური კავშირი ცალკეულ ოლქებს შორის. შაჰ სოლთან ჰოსეინი, რომელიც შიიტი სასულიერო პირების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, დევნიდა სუნიტებს, რომლებიც ბევრნი იყვნენ ქურთისტანში, ავღანეთში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. დევნიდა იგი ასევე დერვიშ-სუფიებს და უკიდურესი შიიტური სექტების მიმდევრებსაც.

ესაია ჰასან ჯალალიანცის ცნობების მიხედვით ჩანს, თუ როგორ ხდებოდა ახალი გადასახადებით დაბეგვრის მიზნით ხალხის აღწერა: ყოველ სოფელში გამოარჩევდნენ რამდენიმე კაცს – სოფლის მამასახლისს, სასულიერო პირებს და საპატიო ხალხს, რომლებსაც ცალ-ცალკე აიძულებდნენ ჩვენების მიცემას სოფლის მცხოვრებლების, მათი მეურნეობის და დაბეგვრას დაქვემდებარებული ობიექტების შესახებ. მოხელეების მიერ ჩაწერილ ამ ხალხის ჩვენებებს ერთმანეთს უდარებდნენ. ადამიანებს, რომლებიც, მოხელეთა აზრით, არასწორ ჩვენებას იძლეოდნენ, სასტიკად უსწორდებოდნენ (C 1971, 20).

დოჟრე ევენდი, რომელიც ოსმალეთის სულთანს ელჩად ჰყავდა გაგზავნილი 1720 წელს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ირანის სეფიანთა სახელმწიფოზე ამბობს, ოდესღაც გაბრწყინებული და გამართული სახელმწიფო თავის დასასრულს



უახლოვდებაო (Tienn 1810, 51) ასევე პეტრე I- ის ელჩი ირანში, არტემი ვოლინსკიც სეფიანთა ირანის ეკონომიკურ დაცემაზე მიუთითებს და ამ მოვლენას არაკეთილსინდისიერ მმართველებს მიაწერს. (ციტ. Арунова 1958.51).

სეფიანთა პერიოდის ირანის ისტორიის უკლებლივ ყველა მკვლევარი უხვად იყენებს შარდენის ცნობებს და ეყრდნობა მას, როგორც პირველწყაროს. ის წერს, რომ ახას I-ის მართველობის პერიოდი მწვერვალი იყო სეფიანთა ისტორიაში და ამიტომაც იყო გარდაუვალი მისი დაცემა: „ერთხელაც, როცა ამ დიდებული უფლისწულის სიცოცხლე დასრულდა, დასრულდა სპარსეთის გაფურჩქვნაც“ (Chardin 1811, 291).

ისტორიკოსებს არაერთი საკვანძო საკითხი აქვთ განხილული სეფიანთა სახელმწიფოს რღვევის მიზეზებთან დაკავშირებით. მათი აზრი, საერთო ჯამში, არ განსხვავდება ბოლო სეფიანების თანამედროვე ისტორიკოსებისგან. ისინი სწორად განიხილავენ პერიოდს და, ამავედროულად, მნიშვნელოვანია აქცენტები, რომლებზეც ისინი ამახვილებენ ყურადღებას. საერთო სურათი ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: ეკონომიკურმა ფაქტორებმა, შიდა დაპირისპირებამ, მძიმე საგადასახადო პოლიტიკამ, კორუფციამ და ჰარემის როლის წინ წამოწევამ, ასევე დროსტარებისა და ალკოჰოლისადმი მიდრეკილებამ, ზოგადად, თანამდებობის პირების ამორალურმა ქცევამ და დიდი ფულის ხარჯვამ ამ ამორალური სურვილების დაკმაყოფილების გამო, გამოიწვია სეფიანთა დინასტიის დაკნინება. მათი აზრით, ერთი მიზეზი ხდებოდა მეორის გამამწვავებელი.

„ერანის დეგრადაცია შაჰაბაზის გარდაცვალებისთანვე დაიწო. ისპაჰანის ტახტზე მას მოჰყვა მთელი რიგი უნიჭო უნერგიო შაჰებისა, რომელნიც საომარ ბანაკში შეჭირვებულად ცხოვრებას იმას ამჯობინებდნენ, რომ მშვიდობიანად სასახლეში მჯდარიყვნენ რბილ ბალიშებსა და მუთაქებზე ფეხმორთხმულნი, შარბათი და ღვინო ესვათ, მუტრიბთა გამაღიზიანებელი ცეკვისთვის ეცქირათ და ჰარამხანის დიაცთა ალერსი ეგემნათ“ (ქიქოძე 1941, 21).

სოლთან ჰოსეინის მართველობას ამგვარად აფასებს რუდი მეთი: „შაჰ სოლთან ჰოსეინი, სოლეიმანის ძე, არ მოიაზრებოდა ლოგიკურ მმართველად, როცა, 1694 წელს,

მამამისი გარდაიცვალა, მაგრამ მის გამეფებას ხელი შეუწყვეს მეფის ჰარამხანის საჭურისებმა, კარის დიდებულებმა და მისმა გამზრდელმა ბების დამ, მარიამ ბეგუმმა (რომელიც საკმაოდ დიდი ძალაუფლებითა და გავლენით სარგებლობდა იმ პერიოდის სეფიანთა ირანში.), რადგანაც დამყოლი მმართველი მათთვის საქმეს უფრო გააიოლებდა, ვიდრე დამოუკიდებელი პიროვნება“ (Mathee 2005, 27).

ირანის დასუსტებას მარტო მისი ყმა ქვეყნები როდი ამჩნევდნენ?! ამას ხედავდნენ მეზობელი დიდი სახელმწიფოებიც – ოსმალეთი და რუსეთი და ეჭვის თვალთ ზვერავდნენ ერთმანეთს მტრულადო, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი. შაჰ სოლთან ჰოსეინზე კი წერს, რომ „ისფაჰანში იჯდა შაჰი – უნიჭო სიბარიტი, რომლის სახელმწიფო კარი უპასუხისმგებლო მექრთამეთა სასუფევლად გადაქცეულიყო“ (ბერძენიშვილი 1973, 301).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შაჰ სოლთან ჰოსეინი შიიტი სასულიერო პირების ზეგავლენას განიცდიდა. ამასვე წერს გიორგი სანიკიძე და აღნიშნავს, რომ შაჰ სოლთან ჰოსეინის მოღვაწეობას მოჰამად ბაქერ მაჯლესი აკონტროლებდა. ეს უკანასკნელი 1687 წელს ისფაჰანის შეიხ ოლ-ესლამი გახდა, ხოლო 1694 წელს მიიღო სამღვდელოების მეთაურის – მოლაბაშის ტიტული. „სწორედ მაჯლესიმ შეამკო სოლთან ჰოსეინი სამეფო ინსიგნიებით ინაუგურაციის დროს. ამ უკანასკნელის შეკითხვაზე, თუ რას ისურვებდა კომპენსაციის სახით, მაჯლესიმ მოითხოვა სამეფო ბრძანების გამოცემა ღვინის სმის აკრძალვაზე, ორთაბრძოლებისა და სპორტული სანახაობების კანონგარეშედ გამოცხადებაზე. გარდა ამისა, მან მოითხოვა ყველა სუფის განდევნა ისფაჰანიდან. ღვინის სმის აკრძალვა საკმაოდ პირობითი აღმოჩნდა, ვინაიდან თავად შაჰი გამოდგა თრობის დიდი მოყვარული.<sup>12</sup> თუმცა, სხვა მიმართულებით მაჯლესიმ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია“ (სანიკიძე 2005, 141).

---

<sup>12</sup> ცნობების თანახმად, სასახლის სარდაფებში ნაპოვნი 6000 ბოთლი ღვინო, დემონსტრაციულად გადაღვარეს მოედანზე. აიკრძალა ასევე ალკოჰოლის მიღება, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის ყავახანეებში შესვლა, თუკი მათ თან არ ახლდათ მამაკაცი, ასევე სხვა გასართობი

საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს რუდი მეთი სეფიანთა სამეფო კარის და მმართველი ელიტის დამოკიდებულების შესახებ ღვინოზე და ნარკოტიკულ საშუალებებზე. ისტორიკოსის აზრით, სუსტი ნებისყოფისა და ლოცვების მოყვარული შაჰ ჰოსეინის მიერ ღვინის სმისა და ნარკოტიკის აკრძალვა იყო საუკეთესო გამოსავალი ამ უკანასკნელის მხრიდან ქვეყნის სწორად მართვისა და ჯარში დისციპლინის გამყარებისთვის. თუმცა, აღნიშნავს, რომ შაჰი თავად იყო ალკოჰოლზე დამოკიდებული, „ ღვინო სამეფო კარის ცხოვრებაში შემოიჭრა“, აღნიშნავს მეთი (Mathee 2005, 60). მეთი იქვე დასძენს: „არ არის გამორიცხული, რომ ქართველების ბუნებრივმა მიდრეკილებამ ალკოჰოლის მიმართ, ირანულ საზოგადოებაში შეაღწია და, უპირველეს ყოვლისა, სამეფო კარის კულტურაში ... მათ შორის, ვინც სვამდა, ბევრი ღოღამი იყო.“ მკვლევრის აზრით, დიდი იყო ასევე სამეფო ჰარემის როლი: სწორედ იმის გამო, რომ შაჰ აბას I-ის მემკვიდრით დაწყებული, სეფიანთა მმართველებით დამთავრებული, ძირითადად ყველა ქართველი ქალების გარემოცვაში იზრდებოდნენ, ბუნებრივია, რომ, სავარაუდოდ, მრავალი მმართველის მიდრეკილება ღვინის სმისადმი ამ გარემოში წარმოიშვა“ (Mathee 2005, 43). „თავდაპირველად, ჰოსეინმა სასულიერო პირებთან შეთანხმებით აკრძალა ღვინის სმა (დაამსხვრია დაახლოებით 6000 ბოთლი ქართული და შირაზული ღვინო, რომლებიც ინახებოდა შაჰის ღვინის მარანში). ეს აქტი სიმბოლურ ხასიათს უფრეო ატარებდა, ვიდრე პრაქტიკულს“. (Rula 2004, 126). „საბოლოოდ, საჭურისებმა და მთავრებმა დაარწმუნეს შაჰი, რომ ღვინოს სასარგებლო თვისებების აქვს“ (Krushinski 1973, 75-5).

საბჭოთა ისტორიკოსების ნაწილიც შაჰ სოლთან ჰოსეინს უნიჭო და სუსტი ნებისყოფის მქონე პიროვნებად მიიჩნევს, და თვლის, რომ ის იყო სეფიანთა კარის დიდებულების მარიონეტი (Арунова 1958, 53), მაგრამ, ამავდროულად, იმასაც აღნიშნავს, რომ სეფიანთა სახელმწიფოს დაშლის მიზეზი მხოლოდ შაჰის უნიჭობა არ ყოფილა. ამის მიზეზი გახდა გაბატონებული კლასის შიგნით წინააღმდეგობის

---

ღონისძიებები.ბრძანება წაიკითხეს პროვინციებში და ამოკვეთეს მეჩეთების ქვის ფრიზეზზე (Fendereski 2009, 35-36; 82-83; Nasiri 1994, 35-40; Navai 1984, 61-63; Mathee 2005, 92-95).

გამწვავებაც, ქვეყნის საერთო ეკონომიკის დაცემა, რამაც შემდგომში მთელი სახელმწიფო აპარატის მოშლა გამოიწვია (Пигулевская 1958, 308).

„ერთი მხრივ, ამ არაკანონიერი გადასახადების დაწესება იყო შედეგი ეკონომიკური დაცემის პროცესის დაწყებისა, მეორე მხრივ, ახალი მკვეთრი ზრდა ფეოდალური ექსპლუატაციისა, კიდევ უფრო აძლიერებდა სოფლის შემდგომ განადგურებას და ეკონომიკურ დაცემას“ (კაციტაძე 2001, 421). „შინაფეოდალური ბრძოლა წითელ ზოლად გასდევს მთელ მე-18 საუკუნის ისტორიას, რომელმაც ირანი სრულ გაჩანაგებასა და განადგურებამდე მიიყვანა“ – აღნიშნავს ზურაბ შარაშენიძე (შარაშენიძე 1970, 3).

ჯონ ფორანი გამოყოფს საკითხს ირანული აბრეშუმის მოთხოვნის შემცირებასთან დაკავშირებით, გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა მოთხოვნა ბენგალურ ნაწარმზე. ასევე დიდ პრობლემად იქცა კორუფცია. მკვლევარი აღნიშნავს, რომ დიდ ვაზირ მოჰამად თაყის შემდეგ, რომელიც ჯაშუშების მეშვეობით ებრძოდა კორუფციას და სწორედ ამის გამო იქნა კიდევ მოკლული, არც ერთ სხვა დიდ ვაზირს ამგვარი სისტემით კორუფციასთან ბრძოლა არათუ უცდია, არამედ, პირიქით, ხელსაც კი უწყობდნენ მის გაღვივებას. სწორედ ამას მოჰყვა მძიმე საგადასახადო პოლიტიკა და ვერაფრით გადაიჭრა ფინანსური პრობლემების მოუგვარებლობა (Foran 1992, 281-304).

„ჰარემის წინ წამოწევა, მისი მნიშვნელობის გაზრდა, ფრაქციონალიზმის ზრდა და სამეფო კარის მორალური დაცემა განიხილება სეფიანთა დაკნინების მიზეზად. ამ პერიოდში შეიმჩნევა შაჰების ალკოჰოლისადმი მიდრეკილება და, ასევე, ჰარემისადმი მიჯაჭვულობა. ამის ნათელი მაგალითია შაჰ სოლთან ჰოსეინის ბეზის დის, მარიამ ბეგუმის გავლენიანობა სეფიანთა სახელმწიფოში“ (Axworthy 2007, 149).

1722 წლისთვის, აღნიშნავს ჯონ პერი, 220-წლიანი სეფიანთა იმპერია დაშლის ზღვარზეა. პერი, ისევე, როგორც სხვა დასავლელი მკვლევრები, სეფიანთა საუკეთესო პერიოდად მოიაზრებს შაჰ აბას დიდის ეპოქას. ხოლო შაჰ სოლეიმანისა და შაჰ ჰოსეინის მმართველობის ხანას ავტორი ახასიათებს, როგორც კვდომის პროცესს. ის ხაზს უსვამს შაჰის სამოხელეო აპარატის კორუმპირებულობას, სისასტიკეს, შაჰ

სოლეიმანის გაუწონასწორებლობასა და შაჰ ჰოსეინის ქვეყნისთვის საზიანო პოლიტიკას. ორივე მონარქი გამოირჩეოდა გულგრილობით სახელმწიფო საქმეების მიმართ. პერი წერს, რომ სეფიანთა მყიფე სტრუქტურას მაინც დამაარსებელთა დიადი მონაპოვარი ამაგრებდა, სანამ მირ მაჰმუდ ავღანელმა სულ რაღაც რვა თვეში, მას , როგორც პოლიტიკურ სუბიექტს , ბოლო არ მოუღო (Perry 1971, 59).

ენდრიუ ნიუმენის აზრით, შაჰ სოლთან ჰოსეინის მმართველობის პერიოდში გამოიკვეთა, რომ ის იქნებოდა ბოლო შაჰი ესოდენ ხანგრძლივი სეფიანთა დინასტიისა (Newman 2009, 115).

საერთო ჯამში, პირველწყაროების მონაცემები საკმაოდ ზუსტად ასახავს სეფიანთა დაკნინების ძირითადად მიზეზებს. შესაბამისად, თანამედროვე დასავლურ გამოკვლევებში შეინიშნება გარკვეული კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ამ თანხედომი პოზიციის მიუხედავად, სხვადასხვა მკვლევრები, როგორც ვხედავთ, წინ წამოწევენ დინასტიის დასუსტებისა და შემდგომი დაცემის რომელიმე კონკრეტულ მიზეზსა თუ ელემენტს (სოციალური დამაბულობა, გარეგანი ფაქტორები, სეფიანი მონარქების სისუსტე და ა.შ.) და საკითხის შესწავლისას სწორედ მასზე ამახვილებენ ძირითადად ყურადღებას. მათი გამოკვლევების შეჯერების შედეგად კი ვიღებთ სეფიანთა სახელმწიფოს თანდათანობითი განადგურების საკმაოდ სრულ და დამაჯერებელ სურათს.

## 1.2. ავღანელთა შემოსევები

შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ავღანეთის ისტორიაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ხორასნის პროვინცია. ხორასნის ოთხი ძირითადი დედაქალაქიდან ორი (ბალხი და ჰერათი) ამჟამად ავღანეთში მდებარეობს. ყანდაჰარის,<sup>13</sup> ლაზნის და ქაბულის გარშემო სხვადასხვა დროს არსებულმა სახელმწიფოებმა ხორასანსა და

---

<sup>13</sup> ქალაქი სამხრეთ ავღანეთში. XVIII საუკუნის შუა წლებში ირანელთა გამგებლობაში იყო.

ინდოსტანს შორის შექმნეს სასაზღვრო რეგიონი. ამ მიწას, რომელიც ავღანური ტომებით (პუმტუნების წინაპრებით) იყო დასახლებული, ეწოდა ავღანეთი, რომელიც მოიცავდა მეჩხერად დასახლებულ უზარმაზარ ტერიტორიას ჰინდუქუმის ქედსა და მდინარე ინდუსს შორის, ძირითადად სულეიმანის მთების გარშემო. სახელწოდება „ავღანელი“ („აბგანი“) ყველაზე ადრე ნახსენებია III საუკუნის სასანური იმპერიის შაჰის, შაფურ I-ის წარწერაში. დღევანდელი თურქულენოვანი ავღანელების მრავალი წინაპარი დასახლდა ჰინდუქუმის რეგიონში და დაიწყო იქ უკვე მცხოვრები პუმტუნი ტომების კულტურისა და ენის შეთვისება. მათ შორის იყო დღეს დიღაბად ცნობილი ხალხი.

1709 წელს, ყანდაჰარში, სწორედ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ავღანური ტომის - დიღაბების აჯანყება დაიწყო. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ამბოხი სეფიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაპყრობილი ხალხების აჯანყებებიდან.

ამ აჯანყებას სათავეში ედგა დიღაბების ტომის ბელადი მირ ვეისი, რომელიც ქალაქ ყანდაჰარის მემკვიდრეობითი ქალანთარი<sup>14</sup> იყო.

დიღაბების ტომი ეთნიკურად ჭრელი იყო. ნაწილი მკვლევრებისა მიიჩნევს, რომ ამ ტომის ბირთვი თურქული მომთაბარე ხალაჯის ან ხილაჯისაგან შედგებოდა, რომლის ერთი ნაწილიც ავღანეთში დასახლდა და ავღანელებს შეერია, შემდგომ კი დიღაბად იწოდა (კაციტამე 2001, 409). ამ ტომის წარმომავლობის შესახებ სომეხი ისტორიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანცი წერს: „ამ ხელმწიფის, სოლთან ჰოსეინის დროს, ხორასნისა და ყანდაარის მხარეებში ბინადრობდა ხალხი, რომელსაც ავღანელებს უწოდებენ. ამ ხალხის შესახებ მოგვითხრობენ, რომ თითქოს ისინი წარმომავლობით კავკასიის მთიელნი არიან, აღვანთა ქვეყნიდან, რომ მოდგმით ისინი ავღანელებს ეკუთვნიან, რომელთაც ამჟამად წინანდელი სახელით მოიხსენებენ. სარწმუნოებით ისინი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ შემდგომ ლანგ-თემურად წოდებულმა დამპყრობელმა, რომელიც თავისი გამარჯვების წყალობით დაეპატრონა მსოფლიოს

---

<sup>14</sup> უხუცესი.

მომეტებულ ნაწილს, რასაც მის შესახებ მოგვითხრობენ მემატინეები და გადმოგვცემენ, რომ მან აპყარა ეს ხალხი მათი ქვეყნიდან და ოცდახუთი ათასი ოჯახი წაასხა და დაასახლა ხსენებულ ქვეყანაში. დროთა განმავლობაში ისინი მაჰმადის რჯულზე მოექცნენ“ (კუცია 1971, 21).

მირ ვეისის მოწინააღმდეგე იყო ქართლის მეფე, გამაჰმადიანებული გიორგი XI, იგივე გორგინ ხანი, შემდგომში ირანის სპასალარი და ყანდაარის ოლქის ბეგლარბეგი. „რაკი სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხლობა კი გამოცდილებით იცოდნენ, ამის გამო ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე“ (ჯავახიშვილი 1953, 21).

1688 წელს შაჰ სოლეიმანმა გიორგი XI–ს ქართლის მეფობა ჩამოართვა და თეიმურაზ პირველის შვილიშვილს, ერეკლეს, იგივე ნაზარალი-ხანს გადასცა. ერეკლეს ირგვლივ გიორგის მოწინააღმდეგე თავადები ჰყავდა შემოკრებილი. გიორგიმაც მოლაღატე თავადები ირანის შაჰის დახმარებით დააშოშმინა. მან ადვილად აღადგინა ურთიერთობა სეფიანთა ირანის სამეფო კართან, რომლის მმართველიც 1694 წლიდან უკვე შაჰ სოლთან ჰოსეინი იყო. გიორგის ისფაჰანში ჩასვლას ასე აღწერს სეხნია ჩხეიძე: „დღესა მეოთხესა ნახა ყაენმან, დახვდა ტკბილად და საყვარლად, ვითარცა მამასა, და დასდო პატივი მისად შესაფერად, მოეწონა სიკეთე მეფისა გიორგისა“ (ჩხეიძე 1913,10).

გორგინ ხანი სასტიკი ღონისძიებებით ცდილობდა შაჰის შერყეული ხელისუფლების განმტკიცებას ავღანეთში. მან დააპატიმრა მირ ვეისი და ისპაჰანში გაგზავნა შაჰთან, თუმცა მირ ვეისმა შეძლო თავისი უდანაშაულობის დამტკიცება. ამ უკანასკნელის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ღილზაებმა დაიკავეს ყანდაარი, გაანადგურეს შაჰის გარნიზონი და მოკლეს გორგინ ხანი.

1712 წელს მირ ვეისმა სასტიკად დაამარცხა შაჰის ჯარი და სიკვდილამდე (1715 წ.) დამოუკიდებელ მმართველად დარჩა.

გიორგი XI-სა და მირ ვეისის ურთიერთობებზე ქვემოთ უფრო ვრცლად შევჩერდებით, სადაც გავამახვილებთ ყურადღებას ასევე მოჰამად ქაზემის ცნობებზე ამ პერიოდთან დაკავშირებით.

იმ დროისათვის ქართლში ვითარება ასეთი იყო: ნაზარ ალი ხანი ტახტს უფრთხილდებოდა. ირანს ქართველი მხედრების სამსახური ძალიან სჭირდებოდა. შაჰმა გიორგი XI-ს ბეგლარბეგობა შესთავაზა, რაზეც ამ უკანასკნელმა თავდაპირველად უარი თქვა. პირველ რიგში მას ქართლის ტახტის დაბრუნება უნდოდა. „არა ინება მეფე გიორგიმ ქირმანი, რომ საქართველოს პატრონი იყო და ქირმანი იუკადრისა, მოახსენა უარი, მაგრამ არ მოეშვა ხელმწიფე, დაუჭირა ხელი ხელითა, აღარა გაეწყობოდა რა, აკოცა მუხლსა, იამა ხელმწიფეს მორჩილება მისი.“ (ჩხეიძე 1913, 10) საბოლოოდ იგი ქერმანში წავიდა და მას მერე სამშობლოში დაბრუნება აღარც ღირსებია. მან არაერთი წარმატება მოუტანა სპარსელებს და, რა თქმა უნდა, ამის გამო ავღანელთა სიძულვილი დაიმსახურა. იგი მხოლოდ სპარსელთა მთავარსარდალი არ იყო. მასთან ერთად ავღანელების წინააღმდეგ საქართველოდან საგანგებოდ გაწვეული მეომრებიც იბრძოდნენ. გიორგი XI-ს თან თავისი ძმა, ლევან ბატონიშვილი ახლდა. „შაჰის სამეფო კარზე აღარ იცოდნენ, რა ზომები მიეღოთ, გადაწყვიტეს, გაგზავნონ ყანდაარში ეს პრინცი, რომლის მხნეობას, სიმამაცეს და და სხვა დადებით თვისებებს შეეძლოთ გაეხადათ ის საშიშ პიროვნებად სხვა პროვინციებში“, – წერს ჰანვეი გიორგი XI-ის შესახებ და შესანიშნავ პიროვნებას უწოდებს მას (ნატროშვილი 1991, 45).

სეხნია ჩხეიძე გიორგის სისასტიკის შესახებაც ამახვილებს ყურადღებას: „საითკენაც ურჩნი იყო, გაუსევდის ჯარსა და უყვის ყათლამი, ზოგი კლდესა გარდაყრის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთ კბილები დააძვრის და თავზე დაარჭვის. შეშინდა ყანდაარის ქვეყანა“ (ჩხეიძე 1913, 22). ცნობილია, რომ სეხნია ჩხეიძე ქართლის სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირი იყო; განსაკუთრებით კი გიორგი მეფის ძმასთან, ლევან ბატონიშვილთან ყოფილა ყველაზე ახლოს. „თავად ლევანის გაზრდილი იყო და მერმე ქაიხოსროსთან შეზრდილიო“, წერს ისტორიკოსი საკუთარ



თავზე (ჩხეიძე 1913,10). ერთ-ერთი შეტაკების დროს ბელუჯებთან სეხნიას ლევან ბატონიშვილი სიკვდილს გადაურჩენია, იგი მას წინ გადაჰფარებია, როცა ამ უკანასკნელისათვის თოფი უსვრიათ. საბედნიეროდ, ტყვიამ მხოლოდ ცხენი იმსხვერპლა. თამაზ ნატროშვილი აღნიშნავს, რომ ავღანური წყაროს მიხედვით, გორგინ ხანს (ე.ი, გიორგი XI-ს), ორ მთავარ ავღანურ ტომს – ღილზაებსა და აბდალებს შორის მტრობით უსარგებლია, რის გამოც აბდალები დასუსტებულან. „ირანის ჯარის მოულოდნელი თავდასხმის დროს დაიღუპნენ აბდალთა ტომის წინამძღვრები. რამდენიმე ათასი ოჯახი გადაასახლეს ქირმანსა და ჰერათში, ხოლო მათი მიწები გაუნაწილეს ღილზაებს, რომლებმაც აბდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი XI-ს დაუჭირეს მხარი. დასუსტებული და სისხლდაცლილი აბდალები აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას სეფიანთა სახელმწიფოსთვის.“ (ნატროშვილი 1991,45). სეხნია ჩხეიძე ასევე გვაწვდის ცნობებს გადამწვარ უდაბნოში მომხდარი ბრძოლების შესახებ: „წყალსა სადაცა ვნახევდით, ამას ბრძანებდით, მლაშე თევზის წვენი არისო“ (ჩხეიძე 1913, 15). ჯარის სიმცირის მიუხედავად, ქართველები უფრო ხშირად იმარჯვებდნენ. „ასე სიხარულით მივდიოდით, ვითარცა ქორწილსა შინა წვეულ ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენის ჯარის სიმცრო გვიმძიმდა.“ „მოვიდა რისხვა ღვთისა თქვენზედაო, მობრძანდა საქართველოს ვალი ლევან, ახლავს ქართველნი ჯარნი კაცის მჭამელნი“ (ჩხეიძე 1913, 12).

მირ ვეისის მონაცვლე მირ აბდულა (1715-1717 წწ.) მზად იყო შერიგებოდა შაჰს იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი გააუქმებდა გადასახადებს და ყანდაჰარის საბეგლარბეგოს გადააქცევდა მირ ვეისის შთამომავლების სამკვიდრო სამფლობელოდ. ეს მოლაპარაკება ავღანელებმა ღალატად მიიჩნიეს, რის გამოც მირ აბდულა მოკლეს.

1717 წელს, ყანდაჰარის ოლქი, რომელიც სეფიანთა მფლობელობაში შედიოდა და შაჰების მიერ დანიშნული მმართველების მიერ იმართებოდა, სეფიანებს გამოეყო. ხოლო 1721 წელს ყანდაჰარის მმართველი მირ მაჰმუდი გახდა. ბუტკოვი წერს, რომ ეს უკანასკნელი იყო ბევრად მამაცი, ვიდრე მისი მამა, მირ ვეისი. მან შეძლო,

მოეპოვებინა შაჰის კეთილგანწყობა, ერთგულად მოეჩვენებინა თავი და დაახლოებოდა შაჰის პირველ ვაზირს, ფათჰ ალი ხანს. ამ სიახლოვის ხარჯზე მან, ბუნებრივია, იცოდა სეფიანთა კარის სისუსტეების შესახებ და უფრო მეტად გაუადვილდა, რომ სათავისოდ ემოქმედა. (Бутков 1869, 7). ავღანელთა ღილზაის ტომის წამომადგენელი მირ მაჰმუდი ირანის ტახტზე სამი წელი იჯდა. ის იყო საკმაოდ ჭკვიანი და დესპოტი. მირ მაჰმუდი არა მხოლოდ ირანელებს, არამედ ავღანელებსაც დევნიდა და ხოცავდა. ამიტომაც იყო, რომ ეს უკანასკნელი სწორედ ავღანელებმა მოიშორეს თავიდან - წერს რეისნერი (Реиснер 1954, 312). მიუხედავად იმისა, რომ მირ მაჰმუდს არ ჰქონდა ქვეყნის მართვის გამოცდილება, არ შეშინებია და დაუწყია ქვეყნის მართვა იმგვარად, თითქოს ამისთვის იყო დაბადებული. გამოუმჟღავნებია ისეთი თვისებები (საკმაოდ ბევრიც), რაც ახასიათებდა სრულფასოვან სახელმწიფოს მმართველს, წერს ჰანუი (Hanway 1858, 183). ამგვარად ახასიათებს მაჰმუდს ლოურენს ლოქჰარტიც: „სპარსეთის ახალი მმართველი მირ მაჰმუდი, ხასიათითა და ცხოვრების სტილით ბევრად განსხვავდებოდა წინამორბედი შაჰისგან, რომელიც იყო ზარმაცი, გართობის მოყვარული, ჰუმანურიც და ასევე, მას არ გააჩნდა მმართველისათვის საჭირო თვისებები“ (Lockart 1958, 190-91).

1721 წელს მირ მაჰმუდის მეთაურობით ღილზაებმა ირანზე გაილაშქრეს. მათ შეუერთდნენ სხვა ავღანელი (მაგ., აბდალები) და არაავღანელი ხალხების ცალკეული რაზმები. 1722 წელს ალყა შემოარტყეს სეფიანების დედაქალაქ ისპაჰანს, ხოლო 1722 წლის 22 ოქტომბერს, შაჰ სოლთან ჰოსეინმა თავი დამარცხებულად სცნო და მირ მაჰმუდს შაჰის გვირგვინი გადასცა.

ყურადსაღებია ირანელი ისტორიკოსის, სარდავარ აბუ თარაბის მიდგომა ირანის ტახტზე ავღანელების შაჰებად აღიარებასთან დაკავშირებით. მკვლევარი ლუიზა შენგელია აღნიშნავს: „სარდავარ აბუ თარაბი ის სპარსელი ისტორიკოსია, რომელიც გადაჭრით უარყოფს ირანის ტახტზე ავღანელი უზურპატორების შაჰებად აღიარებას. მათ არც არსად იხსენიებს შაჰის ტიტულით. იგი აკრიტიკებს ინგლისელ ისტორიკოსებს ლოქჰარტს, მალკოლმს და სპარსელ ისტორიკოსებს, რომლებიც

თვლიან, რომ 1722 წელს შეწყდა სეფიანთა დინასტიის მმართველობა ირანში და დაიწყო ავღანთა ბატონობის ხანა. იგი ამბობს, რომ 1722-1729 წლებში ირანის შაჰინშაჰობა არ ყოფილა ავღანელთა ტიტული, რომ მაჰმუდისა და აშრაფის მმართველობა ეს მხოლოდ მეამბოხე ტომების დროებითი ბატონობა იყო, რომლებმაც დროებით მოახდინეს ირანის მცირე ნაწილის ოკუპაცია. აბუ თარაბი შენიშნავს, რომ ირანში ამ დროს სამი პიროვნება იყო შაჰის ტიტულით, რომ ერთდროულად სამი სხვადასხვა შაჰის სახელით მოიჭრა სხვადასხვა ფული: მირ მაჰმუდის, შაჰ თამაზის და მელიქ მაჰმუდ სისტანის სახელით ხორასანში. ამ სამიდან ჭეშმარიტ ფადიშაჰად მას მხოლოდ შაჰ თამაზი მიაჩნია, როგორც სეფიანთა დინასტიის კანონიერი მემკვიდრე“ (შენგელია 2005, 37).

„ირანის ისტორია უნდა გასწორდეს – წერს სარდადვარ აბუ თარაბი – და უნდა ვადიაროთ, რომ სეფიანთა დინასტიის დაცემა ნადერ შაჰის ხელით მოხდა.“ (Tarab 1975, 198).

დროთა განმავლობაში ავღანელები ფარსში, ქერმანსა და ირანის ერაყში გამაგრდნენ. ასთარაბადში ფაქტიურად დამოუკიდებლად განაგებდა ყაჯარი ფათჰ ალი ხანი. მან შეიფარა ავღანელებისგან ალყაშემორტყმული ისპაჰანიდან გამოქცეული სოლთან ჰოსეინის შვილი თაჰმასბ მირზა, რომელმაც მაჰმუდის ჯარების მიერ ისპაჰანის აღების შემდეგ თავი ირანის შაჰად გამოაცხადა.

სეფიანების მიერ ძალაუფლების დაკარგვამ ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება გამოიწვია. ამ უკანასკნელს შირვანსა და დაშლილ სეფიანთა სახელმწიფოს ზოგიერთ ოლქში თავისი ხელისუფლების დამყარება ჰქონდა განზრახული. ზუსტად ამ დროს დაიწყო პეტრე პირველის სპარსეთის ლაშქრობაც. 1722 წელს რუსეთის ჯარმა აიღო დერბენდი, ხოლო 1723 წელს – ბაქო. ამავე წლის გაზაფხულზე თურქებმა თბილისი დაიკავეს. ამან აიძულა თაჰმასბი, რუსეთთან დაემყარებინა კავშირი. შაჰ თაჰმასბსა და რუსეთს შორის 1723 წლის სექტემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, თაჰმასბს პეტრე პირველი დახმარებას ჰპირდებოდა ავღანელებთან ბრძოლაში, ხოლო შაჰ თაჰმასბმა დერბენდი და ბაქო

რუსულ სამფლობელოდ ცნო და დაუთმო ასევე გილანი, მაზანდარანი და ასთარაბადი. თუმცა, რუსეთის ჯარმა მხოლოდ გილანი დაიკავა დროებით.

სპარსეთის ლაშქრობასა და 1723 წლის ხელშეკრულებას რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების მკვეთრი გამწვავება მოჰყვა, თუმცა ეს მომწიფებული კონფლიქტი მათ შორის 1724 წლის ივნისში დადებულმა ზავმა მეტნაკლებად მოაგვარა. სულთანმა ცნო 1723 წლის ხელშეკრულების თანახმად რუსეთისთვის გადაცემული მიწები, ხოლო რუსეთმა თურქებისთვის – ამიერკავკასიის ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი ირანი. ამის შემდეგ სულთნის ჯარმა მთლიანად ჩრდილო-დასავლეთი ირანის, აზერბაიჯანის, ქურთსთანის და აგრეთვე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ზოგიერთი ოლქიც დაიკავა (ყაზვინი, არდებილი).

ავღანელ და თურქ დამპყრობელთა ბატონობამ ირანში, გაუთავებელმა ბრძოლებმა ამ ორს შორის, ყაჩაღობამ, მოსახლეობის ექსპლუატაციამ და ადგილობრივი დიდგვაროვნების შინაომებმა, უკიდურესად უარყოფითი გავლენა იქონია ისედაც გაკოტრებული სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ავღანელებს არ ჰქონდათ დასაყრდენი ქვეყნის მოსახლეობაში, თუ არ ჩავთვლით ვაჭართა უმნიშვნელო ფენას, ზოროასტრელებს და ზოგიერთ სუნიტ ტომს.

ჯერ კიდევ მირ მაჰმუდის, ხოლო შემდეგ მისი მემკვიდრის და ბიძაშვილის, აშრაფის მცდელობამ, დასაყრდენი ძალა მოეპოვებინა მოხელეებისა და მომთაბარე ტომების დიდგვაროვანთა შორის ფუჟად ჩაიარა. ირანის ავღანელმა მმართველებმა ასევე ვერ გადაიბირეს ირანელი ვაჭრები (გარდა ზოროასტრელებისა). ამიტომ ავღანელი მმართველები მხოლოდ საკუთარ ჯარს თუ დაეყრდნობოდნენ. ავღანთა ბატონობას ირანში თან სდევდა თვითნებობა, ძალადობა და ტერორი.

ავღანელ დამპყრობელთა მდგომარეობა აშრაფის დროს გართულდა. ამ უკანასკნელს თაჰმასბთან და ასთარაბადის მმართველ ფათჰ ალი ხან ყაჯართან ჰქონდა შეტაკებები გილანში მყოფ რუსეთისა და ოსმალეთის საოკუპაციო ჯარებთან. რუსებთან აშრაფი დამარცხდა. წარუმატებელი იყო მისი ბრძოლა თურქებთანაც. 1723 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულებით მან სცნო სულთნის ძალაუფლება

აზერბაიჯანზე, ქურდისთანზე, ხუზისთანზე და ცენტრალური ირანის ნაწილზე. ეს მარცხები ავღანელთა დასუსტებაზე მიუთითებდა. მათი სამხედრო ძალა აშკარად მნიშვნელოვნად დაკნინდა აშრაფის მმართველობის დროს. ეს განაპირობა ყანდაარელი ღილზაებისა და ავღანელებს შორის მომხდარმა განხეთქილებამ. საბაბი ამისა კი იყო აშრაფის მიერ მაჰმუდის მოკვლა, რომლის ძმაც ჰოსეინ ხანი ყანდაარის მმართველი იყო. აშრაფმა ბევრჯერ მიმართა ჰოსეინ ხანს თხოვნით, დახმარებოდა, თუმცა არც ერთხელ არ მიუღია ყანდაარიდან დამხმარე ძალა.

დამპყრობელთა ძალების დასუსტებამ, ჯარის დაშლამ, ხელი შეუწყო მათ წინააღმდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლას.

არსებული მონაცემების საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ფართო მასები მონაწილეობდნენ.

შეიხ მოჰამად ხაზინის აზრით, ირანში ხალხმა ავღანელ დამპყრობლებს წინააღმდეგობა მხოლოდ სამშობლოს დაცვის მიზნით გაუწიეს და არა სეფიანთა მხარდასაჭერად, რადგან მოსახლეობა საკმაოდ ზეწოლას განიცდიდა სეფიანთა მხრიდან ეკონომიკური, სოციალური თუ ეროვნულ ჩაგვრის თვალსაზრისით. თურქი და ავღანელი დამპყრობლებისთვის ამ ხალხთან ბრძოლა გაცილებით რთული იყო, ვიდრე შაჰის ჯართან (Hasin 1830, 120-26).

მოჰამად რაშიდი, ოსმალეთის ელჩი ისპაჰანში, წერდა, რომ ირანის მოსახლეობა შიმშილით იხოცებოდა და იყო მუდმივად დატერორებული, მათ სახლებს მარცვავენდნენ, არბევდნენ და წვავენდნენ ავღანელი დამპყრობლები (Lockhart 1958, 298). „ავღანელები ვერ ხვდებოდნენ, რომ ამგვარი მმართველობა, საბოლოო ჯამში გამოიწვევდა დამანგრეველ წინააღმდეგობას მოსახლეობის მხრიდან“, აღნიშნავს ქავე ფაროხი (Farrokh 2011, 99).

ავღანელთა წინააღმდეგ აჯანყებების შესახებ ესაი ჰასან ჯალალიანციც მოგვითხრობს „ამათ (იგულისხმება ავღანელები) და ყველა ზემოთ ხსენებულმა მხარი მისცეს ერთმანეთს და დაიწყეს ყველა თავიანთი მახლობელი და მეზობელი ქვეყნის რბევა-აოხრება [მოსახლეობის] ტყვევნა და მახვილით ხოცვა-ჟლეტა“ (კუცია 1971, 21-

22). ავტორი აღნიშნავს, რომ ეს გრძელდებოდა დიდხანს და, მიუხედავად ყველანაირი მცდელობისა შაჰის მხრიდან, დაემოშმინებინა ხსენებული ძალა, მარცხდებოდნენ ისევ და ისევ სპარსელები.

მირ მაჰმუდის მცდელობა, აელო იაზდი, უშედეგოდ დასრულდა 1722 წელს. ზოროასტრელების შეთქმულება, ავღანელებისათვის გაელოთ ქალაქის კარი, გაცემულ იქნა. ადგილობრივმა მუსლიმებმა დახოცეს ხალხი, შემდეგ გააპარტახეს ქალაქის შემოგარენი და დაიწყეს მზადება თავდაცვისათვის. ავღანელთა რაზმის მიერ ქალაქის ალყა გაჭიანურდა, ხოლო რამდენიმე მარცხის შემდეგ მათ გადაწყვიტეს, აღარ აელოთ ქალაქი. ავღანელები ციხე-სიმაგრეებსა და კოშკებს აშენებდნენ დაპყრობილ ქალაქებში. ჩაყენებული ჰყავდათ ასევე თავიანთი გარნიზონები, თუმცა, ისინი მაინც ვერ ასცდნენ ანტიავღანურ ამბოხებას და საბოლოოდ კიდევ დამარცხდნენ ხორასანში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება მოხდა და განადგურდა ავღანელთა რაზმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამათავისუფლებელი ბრძოლების დროს ხშირად ჩნდებოდნენ თვითმარქვია პირები, რომლებიც იჩემებდნენ, რომ სეფიანთა საგვარეულოს წევრები იყვნენ და სათავისოდ იყენებდნენ შექმნილ მდგომარეობას ძალაუფლების მოსაპოვებლად. მაგალითად, ბახთიარიში გამოჩნდა თვითმარქვია საიდ ჰოსეინი, რომელიც თავს სოლთან ჰოსეინის ძმად ასაღებდა. როგორც წყაროები იუწყებიან, მას თავისნაირი “მდაბიოები” და “ხელმოცარულები” ჰყავდა ირგვლივ შემოკრებილი. იგი დაიღუპა ისპაჰანის შემოგარენში ავღანელებთან ერთ-ერთი შეტაკებისას, ხოლო მისი ჯარი განადგურეს.

კიდევ ერთი ანტიავღანური მოძრაობა უკავშირდება თვითმარქვია საიდ აჰმადის სახელს. ის რამდენჯერმე დაუპირისპირდა ავღანელების ჯარს, დამარცხდა შირაზში, თუმცა დაეუფლა ქერმანს, ნეირიზსა და დარაბს. 1727 წელს, შემოდგომაზე, მან თავი შაჰად გამოაცხადა, მის სახელზე აღევლინა ხუტბა და მოიჭრა მონეტა, მაგრამ შემდეგ, აშრაფის მიერ გაგზავნილმა 30 000-კაციანმა ჯარმა ჰასან აბადის ციხესიმაგრეში

თავშეფარებულ საიდ აჰმადს ალყა შემოარტყა, იგი ტყვედ აიყვანა და ისპაჰანში სიკვდილით დასაჯეს.

ასევე სეფი მირზამ თავი სოლთან ჰოსეინის შვილად გაასაღა. მას ოცი ათასამდე ადამიანი შეუერთდა ავღანთა წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად. მან მოახერხა, რამდენიმე ქალაქს დაუფლებოდა და თავი შაჰდაც კი გამოეცხადებინა, თუმცა მისი მცდელობაც კრახით დასრულდა. ბახთიარელმა ხანებმა იგი მოკლეს.

უბრალო ვაჭარმა, ვინმე შამილ ქერამმა, გამოაცხადა, რომ სოლთან ჰოსეინის ძმა იყო. მის რაზმში უამრავი “მაწანწალა” იყრიდა თავს. მან ხელთ იგდო ომანის სრუტის სანაპირო და ბელუჯითანისკენ გაემართა, სადაც მასსა და აბდულა ხანს შორის მოხდა შეტაკება. როდესაც ქერამმა აშრაფისგან გამოგზავნილი რაზმის შესახებ შეიტყო, ინდოეთში გაიქცა.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> თვითმარქვია სეფიანების შთამომავლები მოგვიანებითაც გამოჩნდნენ. მაგალითად შირვანში, 1743 წელს, ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ ყველაზე გრანდიოზულმა აჯანყებამ იფეთქა. ოსმალეთი, რომელიც ხედავდა ირანის გაძლიერებას და საკმაოდ შემფოთებული იყო ამ ფაქტით, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ნადერ შაჰის მოწინააღმდეგეებს. ირანის სამეფო ტახტის მამიებელ თვითმარქვიებს, რომლებიც თავს სეფიანთა შაჰების შთამომავლებად ასაღებდნენ, ირანის მოწინააღმდეგე ოსმალეთის ხელისუფლება მფარველობდა (История Азербайджана 1958, 327); ეს ამბები აღწერილია, ასევე, „ამბავნი ქართლისანიში“, პაპუნა ორბელიანთან - “ამ ამბავთა შინა შეიყარა შირვან-შემახიის ხალხი და ქმნეს ჯანყი და უკუუდგნენ ყაენს შაჰანშას, დაიჭირეს თავისი ხანი და ვექილ-ვეზირნი, ზოგი დახოცეს, ზოგი დააპატიმრეს, იავარჰყვეს საქონელი მათი. დაღისტნის ქვეყნებიც შეყრილიყო და რაც პირი მიეცათ ხელმწიფისათვის, გაუტეხეს. იმათაც ამ ქვეყნებს ძალა მოსცეს, ერთი ვინმე დასვეს: „ეს ძველი ყაენის შვილი არისო“. და იმას შემოეხვივნეს“ (ქართლის ცხოვრება 1854, 363; პაპუნა ორბელიანი 1981, 70). აბას ყული-აღა ბაქიხანოვის გადმოცემით, ნადირ შაჰის ძმის, იბრაჰიმ ხანის აზერბაიჯანში მმართველობის დროს, ვინმე საამი გამოჩნდა, რომელიც თავს სულთან ჰუსეინ შაჰის (1694-1722) ძედ ასაღებდა და ხალხში მღელვარებას იწვევდა. იბრაჰიმ ხანმა ის დაიჭირა, ცხვირი მოაჭრა და გაუშვა. ამ უკანასკნელმა თავი დაღესტანს შეაფარა. 1743 წლის ზაფხულის დასაწყისში, როდესაც ირანის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში გადასახადების აკრეფა დიდი სიმკაცრით დაიწყო, საამ მირზამ დრო იხელთა, ხალხის უკმაყოფილება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და დარუბანდისა და თაბასარანის მოსახლეობა ირანის შაჰის წინააღმდეგ აამხედრა. 1743 წლის ოქტომბერში, ის, იმავე მიზნით, აზერბაიჯანში, კერძოდ,

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთჩამოთვლილი ადამიანები „თვითმარქვიები“ იყვნენ და, როგორც წყაროები იუწყებიან, მათი ბრძოლები დამპყრობელთა წინააღმდეგ საკუთარი ინტერესებისა და ამბიციების დასაოკებლად ხდებოდა, მაინც უნდა ითქვას, რომ მათმა შემართებამ (სულ ერთია, რას ემსახურებოდა ეს შემართება), საკმაოდ დაასუსტა ავღანელები.

გასაოცარია, \_ აღნიშნავს შეიხ ხაზინი, \_ რომ რამდენიმე სოფელი შვიდი წლის მანძილზე ეწინააღმდეგებოდა ავღანელთა ბატონობას და, მიუხედავად ავღანელთა ძალისხმევისა, არ დამორჩილებიან მათ. ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად გამარჯვებებისა, ავღანელებს მუდამ ეშინოდათ, რომ რაიათებს არ დაერბიათ ისინი და

---

შირვანში ჩავიდა. მას პროოსმალურად განწყობილი ფეოდალები მიემხრნენ. ნადირ შაჰმა მღელვარების ჩახშობა შირვანის ბეგლარბეგ ჰეიდარ ხანს დაავალა, მაგრამ ეს უკანასკნელი შემახიასა და შაბრანს შორის შეტაკების დროს მოკლეს [Бакиханов 1926, 121-122; История Азербайджана 1958, 328]. ცოტა ხანში ოსმალეთში ირანის სამეფო ტახტის მეორე თვითმარქვია პრეტენდენტი გამოჩნდა. ზემოთ ნახსენები ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობის დასაწყისში, ოსმალეთის ხელისუფლებამ, ბაღდადის აჰმედ ფაშას მეთაურობით, ყარსთან 50 ათასიან ჯარს მოუყარა თავი. მათთან ერთად, ირანის თვითმარქვია უფლისწული, ვინმე სეფი მირზაც იმყოფებოდა (Хроника воин Джара: 1931, 40)]. შირვანის აჯანყებამ, თანდათან სერიოზული სახე მიიღო. აჯანყებულებმა, (20 000 კაცის მონაწილეობით) დედაქალაქი აყსუ (ახალი შემახა) აიღეს, ხოლო ქალაქ ყუბაში მუღანლოელი ჯარისკაცების ერთმა ჯგუფმა იქ მდგომი ავღანელების გარნიზონის მეომრები ამოხოცა. შემდეგ ქალაქი საამ მირზასა და აჯანყების ერთ-ერთ მეთაურს, მუჰამედ ხან ყაზიყუმუხელს ჩააბარა. ნადერ შაჰმა მათ წინააღმდეგ, აზერბაიჯანის ჯარების სარდალ აშურ ხან ავშარს, ურმიისა და განჯის სარდლებთან ერთად, აჯანყებულებისთვის შეტევა უბრძანა. და თავისი შვილი ნასროლაჰ მირზა გაუგზავნა 25 ათასიანი ჯარით. ირანელების ჯარს გაუჭირდა ამ აჯანყების ჩახშობა. მათ 1743 წლის 20 დეკემბერს, ახალ შემახასთან ახლოს, ბაღე ბაჰში, აჯანყებულები დაამარცხეს . შაჰის ბრძანებით, აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ. დაჭრილი მუჰამედ ხანი დაღესტნის მთებში გაიხიზნა ხოლო საამ მირზა საქართველოში გადმოიხვეწა (Абдуррахманов 1964, 94). ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ.: დემეტრაშვილი, კახაბერ. ირანელ ცრუ უფლისწულთა ურთიერთობა საქართველოსთან პაპუნა ორბელიანის ცნობათა მიხედვით. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. X. 2017.



ამის გამო არასდროს არ მოუპოვებიათ სიმშვიდე” (Hasin 1830, 120-26). ამგვარად, ვიდრე ირანის დიდგვაროვნები შეარჩევდნენ პიროვნებას, რომელიც წარუძღვებოდა ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მანამდე ხალხი დამოუკიდებლად დაუპირისპირდა მათ; ამ ხალხის აქტიურმა ბრძოლამ ავღანელების ჯარის დასუსტებას შეუწყო ხელი. ირანელების ამგვარი შემართება ძალიან გამოადგა ნადერ ყული ხანს. (Арунова 1958, 57). ეს უკანასკნელი სწორედ ამგვარ ვითარებაში, ქვეყანაში არსებული სრული ქაოსის პირობებში გამოჩნდა ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე. შეიძლება ითქვას, რომ დიდწილად სწორედ ამ ქაოსმა „შვა“ ახალი ძლიერი ლიდერი, რომელმაც შეძლო ამ „მღვრიე წყალში თევზის დაჭერა“ და ახალი სიცოცხლე ჩაჰბერა მომაკვდავ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოს აღდგენისათვის კი, პირველ რიგში, ოსმალებისა და ავღანელების განდევნა იყო საჭირო. პიტერ ევერი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ნადერმა ვერ შეძლო, მიეღწია ერთიანი და მყარი სუვერენიტეტისათვის და მიუხედავად ირანის დაკნინებისა, ნადერის მიერ ავღანებისა და ოსმალების განდევნამ, ქვეყნის საბოლოო გათავისუფლებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა“ (Avery 2008, 57).

### 1.3. ნადერ შაჰის აღზევება

მე-18 საუკუნის 20-იანი წლებიდან ირანში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც მთლიანად შეცვალა ქვეყანაში არსებული სიტუაცია. რომლის ექსტრაორდინარული დაპყრობები და ბრუტალურობა, რიგი მკვლევრების აზრით თემურ ლენგთან ასოცირდება.

1720 წელ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ 1722 წელს, სეფიანთა დინასტიის დაცემის შემდეგ, ირანი შეიძლებოდა, მთლიანად გამქრალიყო და ის მეზობლებს გადაენაწილებინათ. რამდენიმე წელიწადში კი ქვეყანამ კვლავ ქვეყანა კვლავ გვევლინება რეგიონში დომინანტად და ეს იყო ნადერ შაჰის მმართველობის დროს“ (Axworthy 2018, 2).

მე-18 საუკუნის ირანის ისტორიაში მკაფიოდ იკვეთება სამი საკვანძო მომენტი: სეფიანთა დაცემა, ნადერ შაჰ ავშარის აღზევება და მმართველობა, ქვენის დანაწევრება პოსტავშარულ პერიოდში ყაჯარების აღმსავლასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ სეფიანთა და ყაჯართა პერიოდებთან შედარებით, მე-18 საუკუნის ირანის ისტორიის კვლევას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგრამ ამ მხრივ ნადერ შაჰის ეპოქა გამონაკლისია (Garthwaite 2018, 29).

ნადერ ყულის დაბადების თარიღად 1688 წელია მიჩნეული, თუმცა, მისი თანამედროვე მეჰდი ხან ასთრაბადი წერს, რომ ის დაიბადა ჰიჯრით 1110 წელს, მოჰარამის თვის 28-ში (Avery 2008, 3), რაც შეესაბამება 1698 წლის 6 აგვისტოს და რიგი ისტორიკოსებისა ხშირად მხოლოდ ამ თარიღს მიუთითებენ ხოლმე.

ნადერ ყული ღარიბ ოჯახში, დასთგერდის ციხე-სიმაგრეში დაიბადა. ამასვე აღნიშნავს ჰანვეი, როცა ის ნადერის მამის, ემამ ყულის სიღარიბეზე წერს. თუმცა, მოჰამად ქაზემის ცნობას თუ დავეყრდნობით, მწყემსის კვალობაზე ეს ოჯახი შეძლებულიც კი ყოფილა (Avery 2008, 3). ნადერი ავშარის ტომიდან იყო, რომლის ნაწილიც ჯერ კიდევ შაჰ ისმაილის დროს ირანის აზერბაიჯანიდან ხორასანში გადაესახლებინათ. ავშართა თურქმანული მოდგმის ნახევრადმომთაბარე ყიზილბაშური ტომი ხორასნის, ირანის ჩრდილოდამოსავლეთის პროვინციის ჩრდილოეთ ხეობებში ბინადრობდა. იგი ეკუთვნოდა ქერქელუს საგვარეულოს.

18 წლის ასაკში ნადერი დედასთან ერთად ხორეზმელმა ოზბეგებმა ტყვედ წაიყვანეს, საიდანაც ის გამოიქცა და ხორასანში სხვადასხვა დიდგვაროვნის ლაშქარში მსახურობდა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ნადერმა ხორასანში წარჩინებული მმართველის, ბაბა ალი ბეგ აბივერდის რაზმში ჩაეწერა. მალევე იგი ამ რაზმის მეთაური გახდა და დაიმორჩილა აბივერდი და დასჯერდი. თუმცა, ხორასნის დამორჩილება ვერ შეძლო, რადგან მას ერთ-ერთმა ძლევამოსილმა დიდებულმა, მელიქ მაჰმუდ სისტანელმა გაუწია წინააღმდეგობა. ამ უკანასკნელის გავლენა მთელს ხორასანსა და სისტანზე ვრცელდებოდა. დიდგვაროვნები ცდილობდნენ ხორასნის დაუფლებას და ყველაზე სერიოზულ მეტოქეობას ერთმანეთს სწორედ რომ ნადერ

ყული და მელიქ მაჰმუდ სისტანელი უწევდნენ. მათ შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ხორასნის მრავალრიცხოვანი ტომების დასამორჩილებლად. მიუხედავად რიგი წარმატებებისა, ნადერმა საბოლოოდ სისტანელზე მაინც ვერ გაიმარჯვა. მელიქ მაჰმუდის დედაქალაქის, მეშჰედის არაერთგზის აღების მცდელობა ნადერ ყულისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა.

1726 წელს თაჰმასბ შაჰი და ფათჰ ალი ხან ყაჯარი მელიქ მაჰმუდის ჩამოსაგდებად ხორასანში შევიდნენ. ნადერი თავისი რაზმით შაჰ თაჰმასბის სამსახურში ჩადგა. ამგვარად იგი მელიქ მაჰმუდის დამარცხებას აპირებდა. ასევე სჭირდებოდა შაჰ თაჰმასბსაც ნადერი. ჯერ ერთი, ეს უკანასკნელი თავისი ჯარით შაჰის არმიას გააძლიერებდა და, მეორეც, ნადერის საშუალებით თაჰმასბი ფათჰ ალი ხანის გავლენას შეასუსტებდა.

მას შემდეგ, რაც ნადერ ყულიმ მელიქ მაჰმუდი ფათჰ ალი ხანთან საიდუმლო კავშირში ამხილა, შაჰ თაჰმასბის ბრძანებით, მეშჰედის ალყის დროს, ფათჰ ალი ხანი მოკლეს. „იყო თუ არა ეს სიმართლე, ძნელი სათქმელია, თუმცა, ერთი რამ ცხადია, ნადერ ყულის არ უნდოდა თავისი გავლენა შაჰზე და ჯარზე ფათჰ ალი ხანთანაც გაეზიარებინა. მასში ის ხედავდა საშიშ მეტოქეს, რომელიც იბრძოდა ძალაუფლებისთვის“ (Арунова 1958, 59). ნადერი შაჰის ჯარის მთავარსარდალი გახდა. აბრაამ ერევანცის ცნობების მიხედვით, როდესაც შაჰს ნადერი მთელი ჯარის მეთაურად დაუნიშნავს, თაჰმასბ ყული ხანს უთქვამს მისთვის: „ამ ბრძანებას ჩემს თავზე სიამოვნებით ვღებულობ, მაგრამ ერთი თხოვნა მაქვს შენთან, თუ შემისრულებ, მაშინ მეც მონდომებით მოვკიდებ ხელს ამ საქმეს, ხოლო თუ არა – ვერ შევძლებ (ბრძანების ასრულებას). ‘რაში მდგომარეობს ეს თხოვნა?’ (შეეკითხა შაჰ-თამაზი). ‘უნდა მომცე სრული უფლებები მთელი სამეფო საქმეების (საწარმოებლად), შენ კი ტახტით და პატივით იქნები (ჩემზე) მაღლა. არც ერთ საბრძოლო საქმეს არ შეეხო, ყოველივე მე უნდა მქონდეს მონდობილი. დათანხმდა თამაზი ამ (თხოვნაზე), ენდო მის ერთგულებას და უწყალობა ის, რასაც ითხოვდა“ (ერევანცი 1976, 46).

ფათჰ ალი ხანთან დაახლოებული ყაჯარი დიდებულები ისევ თავთავიანთ თანამდებობებზე რჩებოდნენ. მალევე ნადერმა მეშვედი დაიკავა, მაგრამ მელიქ მაჰმუდი ბრძოლას არ წყვეტდა. მან მოახერხა და ნადერ ყულისა და შაჰ თაჰმასბს მერვის შემოგარენში დასახლებული ტომი დაუპირისპირა. თუმცა, მელიქ მაჰმუდის მცდელობა, აღედგინა ძალაუფლება ხორასანში, უშედეგოდ დასრულდა. იგი სიკვდილით დასაჯეს.

ნადერის მოღვაწეობის ამ პირველ ეტაპზე იკვეთება მისი მიზანმიმართულობა, სამხედრო ნიჭი, ძალაუფლებისაკენ ლტოლვა და ისიც, რომ იგი არაფერს თაკილობდა მიზნის მისაღწევად (ნადერის ამგვარის ხასიათის ამსახველ არაერთ მაგალითს შევხვდებით ქვემოთ).

ამის შემდეგ ნადერმა ჯარსა და მმართველ აპარატში თავისი ერთგული ხალხი შემოიკრიბა. 1727 წლის ზამთარში კი ამ უკანასკნელსა და შაჰ თაჰმასბს შორის მოხდა ღია დაპირისპირება. ამ სამხედრო შეტაკებაში გაიმარჯვა ნადერმა, ხოლო შაჰი შეურიგდა ნადერ ყულის, რაც თავისთავად დანებებას გულისხმობდა. აქ ნათლად ჩანს, თუ რაოდენ გაიზარდა ნადერის ავტორიტეტი და, ჩვენი აზრით, მისი ტახტის ხელში ჩაგდების წინაპირობაც ყველაზე მკაფიოდ სწორედ აქ იკვეთება. თაჰმასბი თავისი 'მონის' ხელში უბრალოდ იარაღად იქცა", – წერს დავით კაციტაძე (კაციტაძე 2001,420).

ნადერმა შეძლო ქურთთა და თურქმანთა ტომების დამორჩილება და მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთის გაერთიანება. ბუნებრივია, ეს არ მოსწონდა აშრაფს, ავღანელთა მმართველს ირანში, და იგი ნადერთან საბრძოლველად ხორასანისკენ გამოემართა.

1729 წლის 30 სექტემბერს, მდინარე მიჰმანდუსის ნაპირთან ბრძოლაში აშრაფი დამარცხდა. ნადერ ყული არ დასდევნებია ავღანთა ჯარს, აშრაფმა თეირანისკენ დაიხია და იქიდან ისპაჰანში წავიდა, რის შემდეგაც ოსმალეთის სულთანს სთხოვა დახმარება. ამ უკანასკნელმაც ნადერის წინააღმდეგ ჯარი გამოგზავნა. 1729 წლის 13 ნოემბერს ნადერსა და აშრაფს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. გაიმარჯვა

ნადერმა. ავღანელებმა უკან დაიხიეს და გაიქცნენ. ნადერმა დაიკავა ისპაჰანი. ამის შემდეგ თაჰმასბის სახელზე მოიჭრა მონეტა, ალევლინა ხუტბა, ხოლო ირანული სამეფო გვირგვინი თავზე ამ უკანასკნელს სწორედ ნადერმა დაადგა.

წყაროების მიხედვით (ხაზინი, რეშეთოვი, ფრეზერი), გახიზნული მოსახლეობა, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ბრუნდებოდა საკუთარ სახლებში და მხარში ედგა ნადერ ყულისა და შაჰ თაჰმასბს უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. (Арунова 1958, 61) ნადერისა და შაჰის ჯარი საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის ხარჯზე. 1727 წლის, 21 იანვრის “სანკტ პეტერბურგის უწყებებში” სოიმონოვი წერს, რომ შაჰ თაჰმასბმა, ხორასნის ლაშქრობა 3000-კაციანი, გლეხებით დაკომპლექტებული ჯარით წამოიწყო (Соймонов 1763, 219).

1725 წელს, პეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ, მეფის მთავრობამ გადაწყვიტა, კასპიისპირეთის ოლქი თაჰმასბისთვის დაებრუნებინა, ოღონდ, იმ პირობით, რომ ეს ოლქები ოსმალეთის ხელში არ გადავიდოდა. 1730 წელს ნადერის ჯარებმა თურქები დაამარცხა და მათგან გაათავისუფლა ჰამადანი, ქერმანშაჰი და სამხრეთი აზერბაიჯანი.

შაჰ თაჰმასბი უკვე შიშობდა, რომ ისედაც ესოდენ დიდი ძალაუფლების მქონე ნადერის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, თუ ეს უკანასკნელი სამხრეთ კავკასიასაც დაიპყრობდა. ამიტომ შაჰი დამოუკიდებლად (ნადერი დაკავებული იყო ავღანელთა აჯანყების ჩაქრობით) შეებრძოლა ოსმალებს და დაამარცხა კიდევ 1731 წელს, რის გამოც იძულებული გახდა, ოსმალეთთან ზავი დაედო. „ზავის მიხედვით, თურქეთი იტოვებდა მდ. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე ამიერკავკასიის ტერიტორიას. გარდა ამისა, აჰმედ ფაშა ბაღდადეღმა სარჩოდ (არფალიქ) ქერმანშაჰში ცხრა ოლქი მიიღო. 1732 წელს რეშთში რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება დაიდო. რუსეთი ირანს დაუყოვნებლივ უბრუნებდა გილიანს, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მიწების დაბრუნებას კისრულობდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ტერიტორია თურქებისგან გაათავისუფლდებოდა. ნადერმა ეს ხელშეკრულება სამრცხვინოდ მიიჩნია, არ სცნო იგი“ (კაციტაძე 2001, 421).

საინტერესოდ მიმოიხილავს ამ ზავის წინა პერიოდს ირანელი მკვლევარი გუდარზ რაშთიანი და აღნიშნავს, რომ თავმასბ ყული-ხანის (შემდგომში ნადერ-შაჰის) მზარდი სიძლიერის მიუხედავად, რუსების წინააღმდეგ დაკავშირებით ირანმა ხისტი პოლიტიკა განახორციელა (Rashtiani 2018, 168).

ასთრაბადი წერს, რომ რუსებთან ნადერ შაჰის პირველი კონტაქტი 1728 წლით თარიღდება, როცა მან თავმასბის ხელით რუსეთის სამეფო კარზე წერილი გაგზავნა და მათ გილანის ევაკუირება მოსთხოვა. 1728 წლის ოქტომბერში ლონდონში გაგზავნილ ანგარიშში, აღნიშნულია, რომ, როცა ირანი პრინცის ძალაუფლების გარშემო გაერთიანდება, მისი პირველი გადაწყვეტილება რუსული მამულების დაბრუნება და მათი აზიის იმ ნაწილიდან გასახლება იქნება, რომელიც მოხსენიებულია, როგორც მუსულმანური მემკვიდრეობა (Lokhart 2004, 304).

„რუსეთის მიმართ ნადერის პოლიტიკა თავდაპირველად ოკუპირებული ტერიტორიების ევაკუაციისკენ იხრებოდა. შესაბამისად, მან 1728 წელს გააფრთხილა ავრამოვი (რუსეთის კონსული ირანში), რომ, თუ აბდალი ავღანების წინააღმდეგ მიმართული მისი სამხედრო კამპანია წარმატებულად ჩაივლიდა, ირანში მაცხოვრებელი რუსები გემებში უნდა ჩამსხდარიყვნენ და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ (Аврамов 1726, 101). ავრამოვი დასძენს: „როცა მან 1729 წლის იანვარში რუსეთში დაბრუნება გადაწყვიტა, ჰკითხა შაჰ თავმასბის ეთემად ად დოულეს (ვაზირს), რატომ არ თხოვს პრინცი თავისი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარებას რუსებსო, მან უპასუხა, თუ თავმასბი ამას გააკეთებდა, ნადერ შაჰი მის მხარეს აღარ დაიჭერდა და მისი მდგომარეობა არ იქნებოდა მყარი. (Аврамов 1726, 103).

საინტერესოა ასევე, გუდარზ რაშთიანის მოსაზრება, რომ ნადერ შაჰის დაღესტანში წარუმატებლობა და დაღესტანში საზღვაო საქონლის გაგზავნის აუცილებლობა იყო ნადერ შაჰის მთავარი მოტივაცია საზღვაო-სამხედრო ფლოტის შესაქმნელად კასპიის ზღვაში. „უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ეს გეგმა,

შესაძლოა, ადრე ჰქონოდა ჩაფიქრებული, ჯერ კიდევ ტახტზე ასვლამდე (Rashtiani, 2018,172).

“როდესაც შეიტყო (ყული ხანმა), თუ რა მოიმოქმედა შაჰმა ოსმალებთან დაკავშირებით, როგორ დალუპა ჯარი თავისი სიმხდალის გამო, ჩაუგდო ჰამადანი ოსმალებს ხელში და დადო მათთან სამშვიდობო ზავი, საშინლად განრისხდა და დაიწყო ფიქრი, თუ რა საშუალება გამოენახა შაჰის შესაპყრობად და დასატყვევებლად, ხოლო შემდეგ სახელმწიფოს მთელი ძალაუფლების ხელში ასაღებად” (ერევანცი 1976, 61).

მოიწვია ხანებისა და დიდებულების კრება (ყურულთაი-მონღ., ქენგემ-თურქ.), მიაღწია, თაჰმასბ II ტახტიდან გადაეყენებინა და აბას III-ის სახელით შაჰად დასვა მისი 8 თვის შვილი.

აბრაამ ერევანცის ცნობების მიხედვით, ნადერ ყულიმ შაჰ თაჰმასბი ნადიმზე მიიწვია, დაათრო და შეიპყრო იგი. შემდეგ შეიპყრო შაჰის ყველა დიდებული და დახოცა ისინი. შაჰის ცოლი, და, დედა და სხვა ნათესავები თავისთან წაიყვანა. ცოლად შეირთო შაჰის და, დანარჩენი ქალები ხასებად გაიხადა, შაჰის დედა და თვითონ შაჰ თამაზი კი ბორკილდადებულები ხორასანში გაგზავნა. და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ერევანცი ამბობს, მოქალაქეები შემცბარან და გლოვას მოუცავს ისინი, მაინც ვერავინ გაბედა შესწინააღმდეგებოდა ნადერ ყულის და გაეთავისუფლებინათ თავიანთი მბრძანებელი (ერევანცი 1976, 65).

ამის შემდეგ რეალური ხელისუფლება მხოლოდ ნადერის ხელში იყო. „თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით, ნადერს შეეძლო შაჰ თაჰმასბის მოშორება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე“, \_ აღნიშნავს ქავე ფაროხი და იქვე დასძენს, რომ ნადერ ხანი ახლა უკვე დეფაქტო მმართველი გახდა და ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე თავისი ნდობით აღჭურვილი პირები დასვა (Farrokh 2011, 110).

ნადერ ყული ხანი ხედავდა, რომ სეფიანთა დინასტიამ დაკარგა არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ ავტორიტეტიც დიდგვაროვანთა დიდ ნაწილში. მან გამოიყენა თავისი სამხედრო წარმატებები და ამის შედეგად მოპოვებული ავტორიტეტი და 1736

წლის იანვარში, მულანის ველზე მოიწვია ყრილობა, სადაც მოწვეულები იყვნენ იმამები, მოჯთაპედები, ყადიები, ბეგლარბეგები ხანები და სხვ. ყურულთაის ესწრებოდნენ ასევე ქრისტიანები, მათ შორის ქართველები. მულანის ველზე გამართულმა ყურულთაიმ ოფიციალურად გააფორმა ეს რეალური მდგომარეობა, ლეგიტიმური სახე მისცა თამაზ-ყული-ხანის მბრძანებლობას ირანში – აღნიშნავს კარლო კუცია (კუცია 2002, 122). ნადერმა ამ ხალხს ახალი შაჰის არჩევა შესთავაზა. მიზეზად კი მოიტანა ის ფაქტი, რომ აბას III ბავშვია, ხოლო თავად კი ძალიან დაიღალა სახელმწიფო საქმეების გაძლიერებით. სპეციალურად შერჩეული ხალხით დაკომპლექტებული ყურულთაი ნადერის გარდა სხვას ვერავის აირჩევდა.

„მულანის ველზე მაჰმადიანთა ახალი წლის – ნოვრუზ ბაირამობის დღეს ასი ათასამდე კაცმა მოიყარა თავი. აქ მთელი დროებითი ქალაქი გაშენდა ბაზრებითა და ცალკე უბნებით სხვადასხვა ხალხებისათვის ჯარისკაცებისა და უბრალო ხალხისათვის ნადირმა ქეჩის კარვები დაადგმევინა, ხოლო საპატიო სტუმრებისათვის, რომელთა შორის თურქეთის და რუსეთის ელჩები და ქართლ-კახეთის დიდებულნიც იყვნენ, მან ლერწმის სახლები ააგებინა, მდიდრულად და მხატვრულად მოფარდაგებული სპარსული ხალიჩებითა და აბრეშუმის ქსოვილებით. კიდევ უფრო მდიდრულად იყო მოწყობილი თვით ნადირის დროებითი სახლი და უზარმაზარი კარავი, რომელიც თორმეტ მოვერცხლილ სვეტზე იყო დაყრდნობილი და გარედან წითელი და ნაცრისფერი ძვირფასი ქსოვილებით იყო შემოხურული. ამ სასახლეს და კარავს არაფერი არ აკლდა, არც ნაოჭიანი კრეტსაბმელები, არც ოქრომკედით ამოკერილი ბალიშები, არც ვერცხლისა და ფაიფურის ჭურჭელი.

„ნოვრუზ ბაირამობის დღეს, მილოცვის შემდეგ, ნადირმა სტუმრებს დიდებული ნადიმი გაუმართა, რასაც სხვადასხვა სანახაობა მოჰყვა, ჯამბაზების თამაში, ფალავნების ჭიდაობა, აქლემთა ბრძოლა, ხოლო დღესასწაული დასრულდა აბრეშუმის ხელსახოცებით, ეჟენებით და სატკაცუნეებით აღჭურვილი მოცეკვავეების მოხდენილი თამაშით“ (ქიქოძე 1941, 29).



ეს ყურულთაი აღწერილი აქვთ მოჰამად ქაზემსა და მეჰდი ხან ასთრაბადის. მათზე ობიექტური და საყურადღებო ცნობებია შემონახული სომეხ პატრიარქ-კათოლიკოს აბრაამ კრეტაცის და აბრაამ ერევანცის საისტორიო თხზულებებში.

აბრაამ ერევანცის ცნობით, 1736 წელს, როდესაც ნადერი მულანის ველზე დაბანაკდა, თავისთან იხმო სპარსეთის, სომხეთის დედებულები და იქ შეკრებილ ირანელ და, ასევე, სხვა ქვეყნების, ირანს დაქვემდებარებული რეგიონების მმართველებსა და დიდგვაროვნებს ასეთი კითხვით მიმართა: „იცით, რისთვის გიხმეთ თქვენ? აი, უკვე რამდენი წელია თქვენი გულისთვის ხმაღს ვიქნევ. დღეს თქვენი მტრები – ავღანელები, ოსმალები და მოსკოველები უკვე გამევებულნი არიან ჩვენი ქვეყნიდან და სპარსეთის სამეფოს ყველა ქალაქი გათავისუფლებულია მათგან. ახლა, როდესაც ყველაფერი დასრულდა, დაგბრუნდი და მოვედი აქ. აი, იმის შემდეგ, რაც მე დავიმორჩილე ყველა მტერი და განვამტკიცე საიმედო მშვიდობა, თქვენ გევალებათ ხელმწიფის დასმა [სამეფო ტახტზე].“ ერევანცი წერს, რომ ნადერის ამ სიტყვებზე დიდებულებს არ ჰქონიათ რეაქცია და ამიტომ მას სამჯერ გაუმეორებია ერთი და იგივე. ერთ დიდებულს მისთვის თამაზ II-ის კვლავ ტახტზე დასმა შეუთავაზებია, გაბრაზებულ ნადერს კვლავ უკითხავს ხალხისათვის, რას იტყვით ჩემს ნათქვამზე?! შემინებულ „იშხანებს“ სამჯერ გაუმეორებიათ, “შენ ხარ ხელმწიფე”. საგანგებო წერილში, რომელიც თაჰმასბ-ყულიმ “იშხანებს” მოსთხოვა, ეწერა, რომ ყული ხანია მეფე და მის გარდა არავინ გვინდა (კუცია 2002, 123). ერთ-ერთი ფირმანი, რომელიც საქართველოს წიგნთსაცავებში დაცულ სპარსულ ისტორიულ საბუთებში მოიპოვება, მულანის ყურულთაიზე შემდეგს მოგვითხრობს: „მაღალი ღვთის შეწევნით გამოვიდა უზენაესი ფირმანი მასზე, რომ მბრძანებლობისა და სიძლიერის თავშესაფარმა, სიდიადისა და ბრწყინვალბის ძალამ, მაღალადგილოვანმა, ძლიერებითა და მორჩილებით მოსილმა ყაითაყის უცმიმ აჰმედ-ხანმა, დაიმედებულმა ხელმწიფური ლმობიერებითა და მეფური მოწყალებით, უწყოდეს, რომ იმ ძლევადასილ ჟამს, როდესაც დიდი და პატარა, მთელი ირანის დიდებულები და გამარჯვებისნიშნისანი ლაშქრის მეთაურები მულანში შეიკრიბნენ სათათბიროდ, ყველა ერთხმად, მორჩილად

შეგვედრა და შეგვეხვეწა, რომ ირანის მთელი სახელმწიფოს მბრძანებლობისა და მმართველობის საქმეების გაძლოლაზე დავთანხმებულიყავი და ქვეშევრდომთა და ყველას დაცვა და მფარველობა მეკისრა. რადგანაც ირანის ხალხის დამშვიდება მუდამ იყო და არის მზის სხივთა მფრქვეველი უზენაესის თვალთახედვის არე, ამიტომ მმართველობის სადავეები ჩემს ძლევამოსილ ხელში ავიღე“. (ფუთურიძე 1977, 18-19).

მულანის ყურულთაის შესახებ თხრობას ამგვარად ასრულებს ჰაკოვ შემახეცი: „და ყველა ეს გასულელებული დაუბრუნდა თავის სახლს და საწყლებმა ვერ შეიგნეს, რომ მეუფე, რომელმაც არ დაინდო მათი შაჰი, ასევე მოექცეოდა მათაც, რამეთუ ვინც შებორკავს ძლიერს, მიზნად აქვს გაანადგუროს მისი სახელიც, ასევე ვინც მეზღეს კლავს, ის არც ზალს დაინდობს, და ისინი, ცხვრები, თავისივე მწყემსად მგელს აყენებენ“ (კუცია 2002, 124).

## თავი II

### ნადერ შაჰის მმართველობა

#### 2.1. ნადერ შაჰის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

ნადერ შაჰის ძალაუფლება პრაქტიკულად შეუზღუდავი იყო. მკვლევრები მის მმართველობას დესპოტურს უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ ეს აისახებოდა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. ტახტზე ასვლისთანავე ნადერმა სპარსელებს დაანახა, რომ მიუხედავად სახელმწიფო აპარატის შექმნისა/არსებობისა, მის გარეშე ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გადაწყდებოდა და ყველა ძირითად გადაწყვეტილებას ის ერთპიროვნულად მიიღებდა (Решитов 1790, 185).

თავისი ძალაუფლების გასამტკიცებლად ნადერი ცდილობდა, გაენადგურებინა სეფიანთა დინასტიის ერთგული, პრაქტიკულად სამემკვიდრეოდ გადაქცეული

დინასტიაში არსებული მთელი რიგი ოლქების ადგილობრივი მმართველები – ხანები, ირანის მომთაბარე თუ ნახევრადმომთაბარე სხვადასხვა ტომების სამხედრო არისტოკრატია. ფარსის, ჰერათის, ხორასნის, განჯის, შირვანის, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის, ერევნის მმართველებად ინიშნებოდნენ სამხედრო-ფეოდალური მაღალი ფენის წარმომადგენლები, მაგრამ არა იმ ტომებიდან, რომელთა ხელშიც იყო ათობით თუ ასობით წლის განმავლობაში ამ ოლქების მმართველობა.

ნადერ შაჰისთვის ეკონომიკის საყრდენს გლეხები და ვაჭარ-ხელოსნები წარმოადგენდნენ. სწორედ მათზე დაკისრებული გადასახადების ხარჯზე ინახავდა შაჰი მრავალათასიან ლაშქარს, უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატს. როგორც ოქსუორთი აღნიშნავს, ნადერი დაბალ ფენებს იყენებდა ძალაუფლების მოსაპოვებლად. ამის დასტურია 1732 წელს მის მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალება მარიონეტი მეფის, თაჰმასპ II-ის წინააღმდეგ, რასაც 1736 წელს მოჰყვა მისივე კორონაცია (ორივე მოვლენა თითქმის სისხლისღვრის გარეშე მოხდა), რადგან ნადერისთვის მნიშვნელოვანი იყო და ითვალისწინებდა ხალხის აზრს და, განსაკუთრებით, ხალხის სურვილს, აუცილებლობას, ჰყოლოდათ ძლიერი ლიდერი (Axworthy 2018, 54).

სანამ ნადერი ხელში ჩაიგდებდა ძალაუფლებას, შეეცადა, მოეპოვებინა ხალხის სიყვარული და ნდობა. მან დაიწყო რეფორმების გატარება, რათა დაემყარებინა წესრიგი. მოსახლეობის საჩივრების საფუძველზე, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსებისა, დასაჯა ბევრი მაღალჩინოსანი, იმისთვის, რომ ბოლო მოეღო ამ უკანასკნელთა არაკეთილსინდისიერი ქმედებებისთვის. „ამით ნადერ ყულიმ ირანელების გულებში ჩასახა იმედი იმისა, რომ ქვეყანაში დაისადგურებდა სიმშვიდე და ეკონომიკური აღმავლობა“ (Арунова 1958, ). გადარიბებულ გლეხებს სჯეროდათ, რომ, თუკი ნადერ ყული ხანი განდევნიდა ავღანელ დამპყრობლებს, მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა გადასახადების შემსუბუქების ხარჯზე. 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანების დასაწყისში ნადერსა და შაჰ თაჰმასპს დიდძალი თანხები სჭირდებოდათ, ამიტომაც, არათუ გადასახადების

შემცირება, არამედ მათი საგრძნობლად გაზრდა გახდა საჭირო, რათა შესძლებოდათ ჯარის შენახვა.

თავდაპირველად ნადერს ემადლიერებოდა ხალხი იმის გამო, რომ მან, თითქოსდა, სეფიანთა სახელმწიფო აღადგინა და დამპყრობლებისგან გაათავისუფლა ირანი. ეს მადლიერება იქცა პანიკად, როდესაც ნადერმა რელიგიური უთანხმოებების დაფარვა დაიწყო – უთანხმოებების, რომლებითაც ირანის თვითმყოფადობა იკარგებოდა. მისმა ამბიციებმა, გასტოლებოდა თემურ ლენგს, დააბრმავა იგი, რის შედეგადაც, ველარ დაინახა, რომ ირანს სჭირდებოდა მშვიდობა და სტაბილურობა. შეიხ ხაზინის ცნობების მიხედვით, ირანის ეკონომიკური დაცემა ჯერ კიდევ ნადერის მიერ ავღანელების განდევნის დროს დაიწყო, გამომდინარე ძვირადღირებული საომარი ექსპედიციებიდან. ინდოეთმა დიდი სიმდიდრით უზრუნველყო ქვეყანა, მაგრამ ბრძოლებმა ბაღდადთან, მოსულთან და კირკუკთან ვერანაირი მატერიალური კომპენსაცია ვერ მოუტანა. ამ რეგიონებში წარმოებულმა საომარმა კამპანიებმა დაგვანახა ნადერის სახე (ეს იყო ბოლო შტრიხები), რომელიც ახლა უკვე გვევლინება არა როგორც ქვეყნის კეთილისმსურველი, არამედ, როგორც მბრძანებელი, რომელიც ყველასგან ზედმეტ მორჩილებას ითხოვს, რისი გაკეთებაც უკვე აღარ სურს მის გარემოცვას (Avery 2008, 57).

ნადერის ექსპანსიონისტური პოლიტიკა, ბუნებრივია, მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას და აისახა მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაშინ, როდესაც სეფიანთა დინასტიის დაკნინების შედეგად ქვეყანაში უკვე ისედაც საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობა იყო ეკონომიკის თვალსაზრისით და მიუხედავად ნადერის მიერ დამორჩილებული ქვეყნებიდან მოპოვებული სიმდიდრისა, ირანის ეკონომიკურ მდგომარეობას მაინც არ ეტყობოდა გაუმჯობესება.

1739 წელს ნადერ შაჰის ინდოეთში შეჭრამ გამანადგურებელი კვალი დატოვა ინდოეთის ისტორიაში. ეს ლაშქრობა იყო ამ პერიოდის ყველაზე დიდი უბედურების მომტანი ლაშქრობა ისედაც დასუსტებული მოგოლთა იმპერიისთვის. აურანგზების სიკვდილის შემდეგ, მოგოლთა იმპერია არეულობამ მოიცვა, რადგან მისმა

მემკვიდრეებმა ვერ მოახერხეს მასსავით ემართათ იმპერია. გამუდმებით მიმდინარეობდა ტახტისათვის ბრძოლა და ასევე ერთმანეთის ღალატი მაღალჩინოსანთა წრეში, რამაც გამოიწვია დიდ მოგოლთა იმპერიის დასუსტება. ამასობაში ნადერ შაჰი ირანის მმართველი გახდა და გამოიყენა ეს შანსი. დასუსტებულ იმპერიაში შეჭრით მან გაზარდა თავისი ავტორიტეტი. არსებობდა ბევრი საფუძველი, რამაც უზიბგა ნადერ შაჰს ინდოეთში შეჭრილიყო. საბაზად იქცა დელის იმპერატორის, მუჰამად შაჰის მიერ დელის სამეფო კარზე მისული სპარსეთის ელჩის შეურაცხყოფა და სპარსეთის სამეფო კართან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა. რაც ნადერისთვის ძალზედ დამამცირებელი კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ისიც, რომ მუჰამად შაჰმა უარი განაცხადა, დაებრუნებინა ინდოეთს შეფარებული ნადერ შაჰის მოწინააღმდეგეები სპარსეთისთვის; თანაც, ნადერ შაჰმა მშვენივრად იცოდა ინდოეთის აუარაცხელი სიმდიდრის შესახებ, რომლის მითვისებაც მას ნამდვილად სურდა.

ნადერ შაჰის არმია 80 000 კაცისგან შედგებოდა. აქედან 3 000 კაცი მან წინა ხაზზე ჩააყენა. მოგოლთა იმპერიას 200 000 ჯარისკაცი (კავალერია) და 1500 სპილო ჰყავდა. იმპერატორის განკარგულებაში იყო ასევე 8000 საარტილერიო დანადგარი, რომლებიც ხარებს და სპილოებს გადაჰქონდათ. ინდოეთს ნადერმა 1738 წელს შეუტია. 1739 წელს მან დაიკავა იმპერიის დასავლეთი საზღვრები (ქაზული, ღაზნი, ლაჰორი), როდესაც ნადერ შაჰმა ხიზარის გადასასვლელი გადაჭრა. პენჯაბის მმართველმა იმპერატორს ჯარით დახმარება სთხოვა, მაგრამ მუჰამად შაჰმა ყურად არ იღო ეს თხოვნა. ამასობაში ნადერი დიდი ჯარით პენჯაბში შევიდა. მუჰამად შაჰმა არმია გააგზავნა ხან დურანისა და ნიზამ ულ-მულქის მეთაურობით. ამ უკანასკნელთა მარცხის შემდეგ, მუჰამად შაჰი იძულებული შეიქნა, თავად გაძლოლოდა ჯარს. 1739 წლის 13 თებერვალს, ქამალში, ნადერ შაჰის და მუჰამად შაჰის ჯარებმა ერთმანეთს შეუტოეს. ნადერის ჯარი რაოდენობრივად დიდად აღემატებოდა მოწინააღმდეგე არმიას. სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ მუჰამად შაჰი დამარცხდა. ორივე მმართველი 1739 წლის 12 მარტს დელიში შევიდა და დამარცხებულმა მუჰამად შაჰმა დელიც და მთელი მისი

სიმდიდრეც ნადერ შაჰს გადაეცა. მან დაიკავა დელის წითელი ციხესიმაგრის სამეფო პალატები. დაიწყო ქალაქის ძარცვა. „დელი არეულობამ მოიცვა. დახოცეს სპარსელი ჯარისკაცები. როცა ნადერმა დელის ქუჩებში სპარსელი ჯარისკაცების გვამები ნახა, სასტიკად გაბრაზდა და დაიწყო ცნობილი „ყათლამი“ (ხოცვა-ჟლეტა). მისი ბრძანების საფუძველზე დახოცეს უამრავი ადამიანი, დაარბიეს და გაძარცვეს დელის მოსახლეობა. უამრავი ადგილი აივსო გვამებით, როგორც ინდუსების, ასევე მუსლიმების. უამრავმა ადამიანმა მოიკლა თავი და თავად დახოცა თავიანთი ცოლ-შვილი, იმის შიშით, რომ სპარსელების ხელში არ ჩაცვენილიყვნენ. ასობით ადამიანს კლავდა ნადერ შაჰი ყოველდღიურად, რომელთა გვამებსაც შემდეგ ერთად მარხავდნენ ან წვავდნენ“ (Maps of India, Nadir Shah's Invasion of India). დელი მთლიანად განადგურდა ნადერ შაჰის ხელით. აურაცხელ ნადავლში, რომელიც ნადერმა ინდოეთიდან წამოიღო, ერია ასევე „ფარშევანგის ტახტი“<sup>16</sup> და ლეგენდარული „ქუჰ-ე ნურის ალმასი“<sup>17</sup> ასევე ათი მილიონი რუპიის ოქრო, 600

---

<sup>16</sup> ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ტახტი, რომელიც მე-17 საუკუნეში, დიდ მოგოლთა იმპერატორის შეკვეთით დამზადდა და იდგა დელის „წითელ ციხე-სიმაგრის“, „დივან-ი ხას-ში“ (აუდიენციის ოთახში).

<sup>17</sup> მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ალმასი (105.6 კარატი; 21-12 გრ.). აქვე მინდა, მოვიტანო ფრანგი მოგზაურის ჟობერის ცნობა: „ცერემონიების დღეებში ფათჰ-ალი შაჰი ფასდაუდებელი ღირებულების სამკაულებსა და იარაღს ატარებდა. ნაპოლეონის ემისარი ამედე ჟობერი წერს: “ მის მკლავებს ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სამკაულები ამშვენებდა. ერთ-ერთ სამაჯურში სპარსელების მიერ “ქუჰ-ი ნურად” ანუ “სინათლის მთად”, ხოლო მეორეში - “დარიაი-ე ნურად” ანუ “სინათლის ზღვად” წოდებული ბრილიანტები იჯდა. ეს ორი ქვა ეკუთვნოდა მოჰამედ შაჰს, რომელსაც ნადირმა ისინი დელის აღებისას წაართვა. შაჰის ტნსაცმელზე ყოველი მხრიდან ათასობით ბრილიანტი, ლალი, ზურმუხტი და საფირონი ბრწყინავდა“ (ნაჭყებია 1997, 146 ). ირანში 1807-1809 წლებში საფრანგეთის მისიის წევრი, კაპიტანი ოგუსტ დე ბონტამ-ლეფორი წერდა, რომ ქვეყანაში სიმშვიდის დამყარების შემდეგ მას ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთიდან გამოტანილი განძის შეგროვება დაეწყო, რომელიც აჯანყებებს მთელ იმპერიაში მიმოფანტა (R 1807, 130); “ჟან-ფრანსუა რუსოს მამა, მესაათე-იუველირი ჟაკ რუსო (1679-1753) 1705 წელს ლუი XIV მიერ შაჰ სულთან ჰუსეინთან გაგზავნილ ელჩობას გაჰყვა, სპარსეთში დარჩა და ჯერ სეფიანთა, შემდეგ კი ნადირ შაჰის კარის იუველირი იყო. ნადირ შაჰს სწორედ მისთვის

მილიონი რუპიის ოდენობის ძვირფასეულობა, 6 მილიონი რუპიის ოდენობის მონეტები. ინდოეთის ლაშქრობის შემდეგ მისი ქონება შეადგენდა 700 მილიონ რუპიას.

„ნადერ შაჰის ინდოეთის ლაშქრობის მსგავსი სასტიკი ლაშქრობა არ ახსოვს ინდოეთის ისტორიას. მას შემდეგ ისე დასუსტდა მოგოლთა იმპერია, რომ ვეღარ უმკლავდებოდა იგი ვერც ერთ მტერს, ვეღარ მოახერხა მან ძალის მოკრება, აღდგენა. ამ ლაშქრობამ დაუტოვა მათ გამოუსწორებელი კვალი. ნადერის შემდეგ აჰმად შაჰ აბდალიც მრავალჯერ შეიჭრა ინდოეთში (Maps of India. Nadir Shah's Invasion of India).

ძალიან საინტერესოდ, განსხვავებული კუთხით განიხილავს ხელოვნებათმცოდნე სუზან ბაბაი ნადერ შაჰის ინდოეთის ლაშქრობასთან დაკავშირებულ ერთ საკითხს. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ნადერ შაჰის დაკვეთით აგებულ ორიგინალურ, ჰიბრიდულ ნაგებობაზე - „ქასრე ხორშიდზე“, (მზის სასახლე) რომელიც მდებარეობს კელატში (ჩრდ.მაშჰადიდან 150 კმ-ის დაშორებით პატარა ქალაქი) და ამბობს, რომ შენობა, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა სტილის და მასალის ნაზავს, არქიტექტურული თვალსაზრისით თითქმის გაუგებარია, მაგრამ ნამდვილად არის განსაკუთრებული. მიუხედავად ნადერის ამბიციური იმპერიული ზრახვებისა, ეს ნაგებობა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მისი „პატრონაჟი“ ინდოეთის მიმართ. ბაბაი აღნიშნავს, რომ სპარსული ხელოვნების ისტორიაში ნადერ შაჰის ეპოქის აღქმა უმნიშვნელო პერიოდის მიმართ დამოკიდებულებას ჰგავს და ამიტომ ამ კონკრეტული პერიოდის ამ კონკრეტულ თემატიკაზე მკვლევრები ან ძალიან ცოტას ამბობენ, ან საერთოდ არაფერს. „ეს გამიზნული ფორმა ჰიბრიდიზაციისა, გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებზე და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ნადერის ამბიცია, გამხდარიყო მსოფლიო მმართველი „შაჰანშაჰი“, განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც ის გამოჩნდა ასპარეზზე, როგორც ირანის მიწების და დამხობილი სეფიანი

---

მიუხედავად თავისი გვირგვინისათვის ინდოეთიდან გამოტანილი აღმასების შერჩევა-დამუშავება” (Rousseau 1810, 2-3).

პრინციპის (1501-1722) მფარველი, რომელთა დედაქალაქი ისპაჰანი და მისი განძეულობა გაძარცვეს აღვანელებმა 1722 წლის თავდასხმის დროს. სპარსული ხელოვნების ისტორიაში ნადერის პერიოდის კვლევები შემოიფარგლება მხოლოდ მოპარული ძვირფასი ქვების და საიუველირო ნაწარმის, დაშლილი ავეჯის სიით, ასევე, გაჩუქებული ძვირფასი საგნებით და ა.შ., რომლებიც განიხილება, როგორც სეფიანთა ეპოქის მიწურულის გამოყენებითი ხელოვნების მდარე დონის გაგრძელება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნადერის და, ზოგადად, ავშარების პატრონაჟის შესახებ იშვიათად მოიხსენიება ან საერთოდ უგულებელყოფილია, როგორც მნიშვნელოვანი პერიოდი ყაჯართა „ახალი“ ეპოქის ხელოვნების და პოლიტიკური გამოცოცხლების დაწყებამდე (1785-1925)“ (Babaie 2018, 225). ბაბაი მიიჩნევს, რომ არქიტექტურული ნაგებობები, რომელიც ნადერისთვის იქმნებოდა, მიზნად ისახავდა თემურ ლენგის მემკვიდრეობის აღდგენას (1370-1405) კიდევ ერთი ადამიანისა, ვინც დაიპყრო დელი და ჩრდილოეთ ინდოეთი 1398-1399 წლებში. „ნადერ შაჰის ალაფი, ისევე, როგორც თემურის შემთხვევაში, გასცდა ბრჭყვიალა საგნებს და მოიცავდა ასევე სხვადასხვა მასალასა და ტექნოლოგიებს. ნადერ შაჰმა, თან წამოიყვანა ასობით ინდოელი ხელოსანი და ოსტატი, რომლებმაც, სავარაუდოდ, ადგილობრივებთან ერთად დაასრულეს ღირშესანიშნავი ჰიბრიდული ძეგლი, „ქალათ-ე ნადერის“ (ნადერის ციხე) დაპროექტებული ურბანული ცენტრის ცენტრალური ნაწილი. ნადერ შაჰის შენობის პროექტში ჩანს ინდოეთის ექსპედიციის კვალი, რაც გამოიხატება იმპერიული ესთეტიკისა და საკუთარი თავისთვის ისტორიული მნიშვნელობის მინიჭების მცდელობაში (Babaie 2018, 215-217). იგი ასევე დასძენს, რომ ნადერის მიერ დელის საგანძურის გაძარცვამ და მოგოლთა ტახტის მიტაცებამ, თუნდაც დროებით, ირანის საიმპერიო მხატვრულ ფორმების განვითარებაზე წარუშლელი კვალი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა ამ ეპიზოდს ფორმებისა და სტილის ირანულ-ინდური შეზავების თვალსაზრისით, შეუძლებელია ზენდების და განსაკუთრებით ყაჯართა პერიოდის გვირგვინებისა თუ საიმპერიო რეგალიების წარმოდგენა ნადერის მიერ ინდური ანალოგების მიღება-გათავისების გარეშე (Babaie



2018, 225). სუზან ბაბაი ნადერ შაჰის ლაშქრობას ინდოეთში განიხილავს არა როგორც შეშლილის მიერ სუსტი ქვეყნის მდიდარი საგანძურის ძარცვას, არამედ როგორც კარგად გააზრებულ და დაგეგმილ იმპერიული პროექტს (Babaie 2018, 231).

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება მთლიანად გასაზიარებელია საკუთრივ ნადერ შაჰის ამბიციებიდან გამომდინარე. ერთიანი პოლიტიკური სივრცის შექმნის მცდელობა თავისთავად მოითხოვდა კულტურათა სინთეზს. სიუზან ბაბაი ასევე სამარმართლიანად ხედავს ნადერის მოღვაწეობაში დიდ მოგოლ იმპერატორთა და თემურ ლენგის მიბაძვის მცდელობას: „წინაპრებთან კავშირი მისი ამბიციების მკაფიო გამოხატულება იყო. ამ თვალსაზრისით ინდოეთი იმ უმძლავრეს დამაკავშირებელ ხაზს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც ნადერს შეეძლო საკუთარი თავის მოგოლი იმპერატორებისა და მათი ყველაზე დიდი წინაპრის, თემურის გვერდით დაეყენებინა“ (Babaie 2018, 231).

„დიდ მოგოლთა“ სახელმწიფოსგან უზარმაზარი კონტრიბუციის აღების შემდეგ ნადირ-შაჰმა თავისი ქვეშევრდომები სამი წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან. მაგრამ ინდური განძი ნაწილობრივ სამხედრო საჭიროებას მოხმარდა, ნაწილი კი ხელუხლებლად იდო ნადირის საგანძურში, კალატის ციხეში: იგი არ გამოუყენებიათ ირანის საწარმოო ძალების აღდგენისათვის” (კაციტაძე 2201, 430).

1743 წლიდან ნადერ შაჰმა ხელახლა დაიწყო სამი წლის აუკრეფავი გადასახადების აკრეფა, რომელსაც თან ახლდა რაიათებზე ძალადობა, მათი რბევა და ძარცვა. თუკი ვინმე გადასახადს არ გადაიხდიდა, წერს მოჰამად ქაზემი, მას დააბრმავებდნენ, ენას ამოგლეჯდნენ; იმათ კი, ვინც ხალხს შფოთისკენ მოუწოდებდა, ყურებს, ცხვირს და ენას სჭრიდნენ და მთელ ქონებას ჩამოართმევდნენ. ასევე, ვინც არ მოიტანდა დაწესებულ თანხას, ცოლ-შვილს გაუყიდიდნენ - ფრანგ და ინდოელ ვაჭრებს მიჰყიდიდნენ. ქაზემის ცნობის მიხედვით, 2-3 წლის განმავლობაში, გადასახადების გადაუხდელობის გამო, 200-დან 300 ათასამდე რაიათი ციხეში გამოამწყვდიეს და დაასახიჩრ ეს.

ჰანვეის ცნობით, ნადერის იმპერიის წლიური შემოსავალი 2950 ათას თუმანს აღწევდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფული გაუფასურდა, ეს თანხა ორჯერ ნაკლები იყო ვიდრე უკანასკნელი სეფიანების სახელმწიფოს წლიური შემოსავალი (კაციტაძე 2001, 431). სააღმშენებლო სამუშაოების დროს შაჰი ისევ რაიათებს ამუშავებდა და ცნობილია ისიც, რომ ეს იყო მძიმე შრომა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ნადერი ამით რაიათებს ავიწროებდა, მაგრამ ეს სააღმშენებლო სამუშაოები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის საწარმოო ძალების აღდგენისათვის. მაგალითად, აღდგა საირიგაციო ქსელი (სულთანაბადის კაშხალი მდ. მურღაბზე), ბუმეჰრში, სპარსეთის ყურის სანაპიროზე აშენდა ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა, ამულის მახლობლად კი, მაზანდარანში – რკინის ქარხანა, რომელშიც ამზადებდა ზარბაზნის ყუმბარებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ რიგი მკვლევრებისა ნადერ შაჰის სააღმშენებლო საქმეებს და აქაც შევჩერდები იმავე საკითხზე. მკვლევარი სიუზან ბაბაის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ნადერ შაჰს ჰქონდა მხოლოდ მეომრის და არა მშენებლის რეპუტაცია, გარდა კელატე ნადერისა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, მან რამდენიმე გრანდიოზული სამშენებლო პროექტი განახორციელა მაშჰადში; ააშენა გუმბათოვანი ნაგებობა თავისი დაბადების ადგილის აღსანიშნავად დარა-გაზის ახლოს, ხორასანში, რომელსაც ეწოდა მოლუდხანა (დაბადების ადგილი); ბრძანება გასცა, დაეარსებინათ ახალი სტილის ქალაქები - ნადერაბადი (ნადერის ქალაქი), ყანდაჰარის მახლობლად, მას შემდეგ რაც ის მიწასთან გაასწორა, და ფათჰაბადი (გამარჯვების ქალაქი) დაღესტანში. ყველაზე საინტერესო გახლავთ ნადერის ბრძანება, რომ მისთვის ჩამოეტანათ თემურ ლენგის საფლავიდან მისი სარკოფაგის მუქი მწვანე ფერის იასპის საფარველი, რომელიც მდებარეობს გურე ამირში, სამარყანდში. ის მას ჩამოუტანეს კიდევ 1740 წელს, დელიდან დაბრუნების შემდეგ (Babaie 2018, 227).

მიიჩნევა, რომ ნადერის მცდელობა, გაეტარებინა ცენტრალიზაციისკენ მიმართული პოლიტიკა, სასურველი შედეგების მომტანი არ აღმოჩნდა. ნადერ შაჰი

ცენტრალისტური პოლიტიკის წარმართვას ცდილობდა. თუ ამგვარი პოლიტიკა შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო სხვა მმართველების დროს, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურად გამართული იყო, ნადერ შაჰის დროს, სრული სამეურნეო ნგრევისა და რიგ ოლქებს შორის კავშირის არარსებობის ვითარებაში, ნამდვილად არ იყო სახარბიელო შედეგების მომტანი.

ისტორიულად, ქვეყნის განსაკუთრებული კლიმატური პირობების გამო, ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით ირანში სოფლის მეურნეობას წამყვანი პოზიცია ეკავა. ნადერ შაჰი, აცნობიერებდა რა ამ დარგის (სოფლის მეურნეობა) მნიშვნელობას, ინტენსიურად შეუდგა ირანის ქალაქებისა და რეგიონების შესწავლას ამ კუთხით. მანვე გამოსცა ბრძანება დაუმუშავებელი და მიტოვებული მიწებისთვის სარწყავი სისტემის მოწესრიგების შესახებ. ნადერმა ასევე ბრძანა, სახაზინო მიწებისთვის მიეკუთვნებინათ ის მიწები, რომელთა მფლობელებიც ვერ ამუშავებდნენ მათ, ან არ გააჩნდათ საამისოდ საკმარისი სახსრები. ამგვარი მიწების დასამუშავებლად შაჰმა ზოგიერთი პროვინციიდან ხალხი ასეთ რეგიონებში გადმოსახლა. საყურადღებოა ასევე, რომ ნადერ შაჰი ტომების გადასახლებას ხშირად სამხედრო მიზნითაც ახორციელებდა. მოჰამმად ქაზემი წერს: როდესაც ნადერ შაჰი ინდოეთისკენ გაემართა, ზოგიერთი ტომის მერვში გადასახლება ბრძანა, იმ მიზნით, რომ თავისი ჯარისთვის ზურგი გაემაგრებინა და სამომავლოდ შეექმნა ყველა პირობა თურქესტანში გასალაშქრებლად.

ამგვარად, ამ რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარებამ 200 დინარიდან 10 დინარამდე დაიწია (ციტ. Арунова 1958, 229-30).

არაერთი ისტორიკოსის აზრით, ნადერ შაჰმა დააკნინა ქვეყნის ეკონომიკა. დავით კაციტაძე მიიჩნევს, რომ ძალის გამოყენებით გაერთიანებული იმპერია ვერ იქნებოდა მყარი სახელმწიფო (კაციტაძე 2001, 433). ამასვე ფიქრობენ რიგი რუსი მკვლევრებისა: „სამეურნეო რღვევის, და ნადერ შაჰის იმპერიის ცალკეული ნაწილების ეთნიკური კავშირის სისუსტის პირობებში, ეს იმპერია – ხმლის ძალით გაერთიანებული ტომებისა და ხალხების კონგლომერატი - არ შეიძლებოდა, ყოფილიყო მყარი

სახელმწიფო. ცენტრალურ ხელისუფლებას მისი ერთიანობის შენარჩუნება შეეძლო მხოლოდ ტერორისტული რეჟიმის დახმარებით. ამიტომაც არ იყო არავითარი პროგრესული ტენდენციები ნადერ შაჰის ცენტრალურ პოლიტიკაში“ (Пигулевская 1958, 324). „გამეფების შემდეგ ნადერი არა ქვეყნის გადატაკებულ ხალხზე, არამედ თავისი ძალაუფლების გასამტკიცებლად ზრუნავდა“ (Kazem 1961, 7). საინტერესოა ზურაბ შარაშენიძის მოსაზრებებიც. ერთგან იგი ამბობს, რომ ნადერ შაჰის მკვლელობის შემდეგ მისი იმპერია – სხვადასხვა ტომებისა და ხალხების კონგლომერატი, რომელიც გაერთიანებული იყო მხოლოდ დაპყრობითი ომებით და, რა თქმა უნდა, მტკიცე ვერ იქნებოდა, სწრაფად დაშლილა (შარაშენიძე 1970, 15). თუმცა, ასევე წერს: „იმის გამო, რომ ირანი ეკონომიკურად და ფინანსურად სრულიად გაჩანაგებული იყო, ნადირ შაჰი შეეცადა დაპყრობითი ომების გზით გამოესწორებინა ვითარება“ (შარაშენიძე 1970, 11). „ირანიდან უცხოელ დამპყრობთა განდევნამ საგრძნობლად აამაღლა ნადირის ავტორიტეტი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, და სწორედ ამან შეუწყო ხელი 1736 წელს მის შაჰად “არჩევას”, მაგრამ თავისი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ნადირს პირადი მიზნები ამოქმედებდა“, – აღნიშნავს ლუიზა შენგელია (შენგელია 1970, 3). ის ასევე მიიჩნევს, რომ საომარი ოპერაციებისათვის საჭირო სახსრებს ნადერი ქვეყნის მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე იღებდა და რომ ფეოდალები ნადერს მხარს უჭერდნენ იმიტომ, რომ : 1. მათ იმ ხალხთა მასების დამორჩილება უნდოდათ, რომელთა აქტიური გამოსვლები საფრთხეს უქმნიდა მათ ბატონობას. ნადერი კი ის ძლიერი ხელისუფალი იყო, რომელიც შეძლებდა ხალხის იძულებით დამორჩილებას; 2. ნადერი იყო ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იმ დამპყრობლური გეგმებისა, რომელთა განხორციელების ხარჯზეც ფეოდალებს ექნებოდათ შემოსავალი. ისინი გამდიდრდებოდნენ უცხო ხალხების ძარცვისა და რბევის შედეგად. თუმცა, ავტორი იქვე დასძენს, რომ ნადერ შაჰის სამხედრო ლაშქრობების წარმატებით დასრულება ინდოეთსა და შუა აზიაში, აიხსნება არა იმდენად ნადერის ღირსებებით, რამდენადაც მოწინააღმდეგეთა სისუსტით, რადგან ინდოეთი ამ წლებში პოლიტიკურ და

ეკონომიკურ დაცემას განიცდიდა, ხოლო ბუხარა და ხორეზმი ურთიერთშორის მუდმივი შუღლით დაუძღურებულ ცალკეულ ფეოდალურ სახანოებს წარმოადგენდნენ. უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან კი, როგორებიც იყვნენ დალესტანი და თურქეთი (1743-1747 წწ) ნადერ შაჰი დამარცხდა (შენგელია 1970, 3). საბოლოოდ, ნადირ შაჰმა, თავის იმპერიაში ძალით გაერთიანებული ერების ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირება ვერ შეძლო. ის ბრწყინვალე მხედართმთავარი იყო, მაგრამ სახელმწიფოს მართვის ნიჭი ნაკლებად ჰქონდა. როგორც ვიცით, ნადირ შაჰი აწარმოებდა დაპყრობით ომებს, რაც უამრავ ხარჯს მოითხოვდა. ეს კი, როგორც დაპყრობილი ქვეყნების, ისე, საკუთრივ ირანის მოსახლეობას კისერზე მძიმე ტვირთად აწვებოდა (დემეტრაშვილი 2001, 23).

ნათელია, რომ უმეტესობა ქართველი მკვლევრებისა იზიარებენ რუს ისტორიკოსთა მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ ნადერ შაჰის საშინაო პოლიტიკას უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი შედეგი ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საჭიროა ახალი მიდგომები და შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია გავიზიაროთ ამგვარი მოსაზრებები, რის საშუალებასაც იძლევა პირველწყაროებში დაცული ცნობების ახლებური ანალიზი და, ასევე, სამეცნიერო მიმოქცევაში ჯერ კიდევ არშემოსული წყაროების მონაცემების შესწავლა. მაგალითად, მკვლევრების ნაწილი თვლის, რომ ნადერ შაჰმა დიდი ძალისხმევა მოახდინა საშინაო თუ საგარეო ვაჭრობის განვითარებას, ცდილობდა მოეზიდა სახსრები სახელმწიფო ხაზინაში და აედორძინებინა სხვა ქვეყნებთან ირანის სავაჭრო ურთიერთობები, რომ იგი ზრუნავდა საზოგადოების უსაფრთხოებაზე, რათა შეექმნა საუკეთესო პირობები, როგორც საგარეო, ასევე საშინაო ვაჭრობის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის. ბაზენის ცნობის თანახმად, ირანში, როგორც იქნა, სიმშვიდესა და უსაფრთხოებას დაუსადგურებია. გახსნილა სავაჭრო გზები, ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების შედეგად ინტენსიურად ვითარდებოდა ვაჭრობა ქალაქებსა და რეგიონებს შორის. უცხოელი ვაჭრები უფრო მეტად დაცულები ყოფილან, ვიდრე

ადგილობრივები. მაგალითად, თუკი სახელმწიფო მოხელე შეიტყობდა, რომ ჩამოსულ ვაჭარს ცხენი გაუხდა ავად, სასწრაფოდ შეუცვლიდნენ მას ჯანმრთელი ცხენით (Bazin 1780, 305). ამასვე წერს მოჰამად ქაზემიც: „იმ დროისთვის, მთელს ირანში, რომელიც გადაჭიმული იყო ქალაქ შოხიჩახანაბადიდან ქაბულამდე, დერბენდის კავის ტაძრიდან ბაღდადამდე, თურქესტანიდან სირდარიის ნაპირებამდე, ხორეზმიდან ასტრახანამდე, პატივცემული შაჰის ძალისხმევით წყალობით ყველგან მშვიდობამ და სიწყნარემ დაისადგურა. მაშინაც კი, როდესაც ჩვეულებრივ მოკვდავს დაუფარავად მოჰქონდა ძვირფასეულობა ინდოეთიდან ირანამდე, ირანიდან თურქესტანამდე, თურქესტანიდან ევროპაში და ევროპიდან ბიზანტიაში, ვერავინ გაბედავდა, დაედგათ თვალი მის ამ ქონებაზე (Kazem 1374, 21). გამომდინარე იქიდან, რომ მოჰამად ქაზემი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ხშირ შემთხვევებში ნაკლებად მიკერძოებული მემატანეა, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც თავს არიდებს ტენდენციურობას.

ყურადსაღებია იმ თანამედროვე მკვლევართა ანალიზი, მოსაზრებები ნადერ შაჰის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომლებიც შაჰის არასწორ ქმედებებს კი უსვამენ ხაზს, მსჯელობენ ამაზე მსგავსად ზემოაღნიშნული ისტორიკოსებისა, მაგრამ ხშირად, აქცენტები სხვაგვარადაც აქვთ დასმული – მიაჩნიათ, რომ ნადერის საშინაო პოლიტიკა რიგ შემთხვევებში საკმაოდ ჭკვიანური და ხშირად დადებითი შედეგების მომტანიც კი იყო ქვეყნისთვის.

ოქსფორტის აზრით ნადერს რომ უფრო დიდ ხანს და გონივრულად ემეფა და მმართველობა გადაეხარებინა კომპეტენტური მემკვიდრისათვის, მისი წარმატებული არმიისთვის ჯამაგირის გადახდის აუცილებლობას შეეძლო გარდაექმნა სპარსეთის სახელმწიფოს მმართველობა და, საბოლოო ჯამში, ეკონომიკა – როგორც ეს ევროპაში მოხდა. ის ასევე მიიჩნევს, რომ, სამწუხაროდ, ნადერის მიერ ჯარისათვის დიდძალი თანხების ხარჯვამ ვერ განავითარა ქვეყანა, უდაბნოდ აქცია იგი. ასეთმა გაუმაძღარმა ლტოლვამ ფულისადმი დაამხო დინასტიაც და თავად შაჰიც, მაგრამ იქვე დასძენს: „ნადერმა გონივრულად გამოიყენა მის ხელთ არსებული ძალაუფლება, გაატარა

მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი საგადასახადო რეფორმა და გააჩნდა ძლიერი ადმინისტრაციული ძალაუფლება”. (Axworthy 2008, 104).

ოქსუორთი გარკვეულ თანხვედრას ხედავს ნადერისა და სხვა ცნობილი მმართველების მოღვაწეობაში. მისი აზრით, ტექნოკრატიული სამხედრო ავტოკრატია ირანში ისეთივე გამოსავალი იყო, როგორც ეგვიპტეში მეჰმედ ალის, პრუსიაში ფრიდრიხ დიდის, რუსეთში პეტრე დიდის, საფრანგეთში ლუი მე-14-ისა და მრავალ სხვა სახელმწიფოში სხვადასხვა მონარქის მმართველობის პერიოდში. (Axworthy 2018, 56).

„ამ ადამიანების და მათი მოქმედებების შედარება არ ნიშნავს ე.წ. „დიადი ადამიანების“ ქება-დიდებასა, არც მათი მნიშვნელობის გადაჭარბებას. სხვა შედარებებისგან განსხვავებით, ისინი ავლენდნენ მსგავს გულგრილობას ადამიანების სიცოცხლისა და სიკვდილისადმი და განიხილავდნენ ჯარისკაცებს თუ ბრძოლებში არამონაწილე სამხედროებს, როგორც მიზნის მისაღწევ საშუალებებს. ამ გარემოებათა აღიარება და მათი, როგორც ისტორიული ფენომენის სერიოზულად აღქმა სულაც არ ნიშნავს მათთვის ტაშის დაკვრას ან მოწონებას“ (Axworthy 2018, 56).

ოქსუორთის მოსაზრებები დიდწილად სწორად წარმოაჩენს ნადერ შაჰის მმართველობის წინააღმდეგობრივ ხასიათს. თუმცა, ჩვენი მხრიდან ხაზს გაუუსვამთ, რომ ირანის ჰიპოთეტური „ევროპეიზაცია“, გამომდინარე ეპოქისა და რეგიონის სპეციფიკიდან, აბსოლუტურად გამორიცხული იყო.

ეკონომიკის ნგრევა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ნადერმა ავღანელებს შეუტია და შემდეგ სხვადასხვაგან საომარი კამპანიები განაგრძო. მიუხედავად ინდოეთის ლაშქრობაში მოპოვებული სიმდიდრისა, ბაღდადში, დაღესტანში, მოსულსა და კირკუკში მისმა ლაშქრობებმა ამ კუთხით წარმატება ვერ მოიტანა, პირიქით, უზარმაზარი გაუმართლებელი დანახარჯები გამოიწვია (Cambridge Hist. 2008, 57). სტივენსის აზრით, ნადერ შაჰი იყო ბრწყინვალე მეომარი, თუმცა, უიღბლო მმართველი, რომელმაც დელის იავარქმნისა და გაძარვის შემდეგ დამპყრობლური

კარიერა მხოლოდ იმიტომ გააგრძელა, რომ უკეთეს პერსპექტივას ვერ ხედავდა (Stevens 1979, 30).

„ირანის დამოუკიდებლობის აღდგენა თურქმანული აფშართა ტომის წარმომადგენლის, ნადირ ყული ხანის დამსახურებაა. აფშართა ძველი ყიზილბაშური ტომის მეომრებზე დაყრდნობით ნადირმა განდევნა ავღანელები და დაპყრობითი ომები გააგრძელა კავკასიაში, ავღანეთში, უფრო მოგვიანებით კი ინდოეთის ჩრდ.-დას. ნაწილში. ამ წარმატების შედეგად ნადირ ხანი პრაქტიკულად ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად გადაიქცა“ – წერს გიორგი სანიკიძე (სანიკიძე 2005, 144).

“ნადერ შაჰის აღზევება ასეთი დაბალი რანგიდან, მისი აბსოლუტურ მონარქად ქცევა, ყურადსაღები მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ მან ეს მოიპოვა როგორც დამპყრობელმა და დამანგრეველმა, მისი სახელი არის მაინც უკვდავყოფილი” – ჯონ მალკოლმი (Malcolm 2015, 44) „ნადერი საკმაოდ გამჭრიახი იყო საიმისოდ, რომ არ შეემჩნია, არ შეპუებოდა თავის მარცხებს, რადგანაც ამის გააზრება მისსავე უდიდეს ამბიციებზე ხელის აღებას ნიშნავდა. (Avery 2008,53)

ნადერ შაჰი მხოლოდ ირანის ერთიანობის აღდგენითა და სეფიანთა მიერ ჯერ დაპყრობილი, შემდეგ კი დაკარგული მიწების დაბრუნებით არ დაკმაყოფილებულა. თავისი მმართველობის დროს ის აქტიურ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ეწეოდა და, ბუნებრივიცაა, ამას თან სდევდა დაპყრობილი ქვეყნების გაძარცვა; ამ თემასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით.

ოქსფორთი აღნიშნავს, რომ ნადერისადმი და მისი ხანმოკლე მმართველობისადმი თანდაყოლილი მტრული დამოკიდებულება, რომელიც მოიცავს ნადერის თერთმეტ, ხოლო მისი მემკვიდრეების ორმოცდაცხრაწლიან მმართველობას, ხშირად განიხილება, როგორც დაღმავალი სპირალის გაგრძელება, რომელიც გამოწვეული იყო სეფიანთა მოგვიანო პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გაუარესებით; ამას შედეგად მოჰყვა ავღანელების თავდასხმა და მმართველობის ცენტრალიზებული სისტემის მოშლა ირანში (Axworthy 2018, 56).



„დამაბნეველია იდეა, რომ, თითქოს, ნადერ შაჰის დაპყრობითი ომები იყო უმიზნო და შემთხვევითი. ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს ტერმინი „ტომის ბელადი“ გამოგონილია ნადერ შაჰის დასამცირებლად და მარგინილიზებისთვის, მსგავსად იმ შეხედულებისა, თითქოს, მისი რელიგიური და სხვა სახის პოლიტიკა იყო გაუგებარი ან გაუაზრებელი. მაგრამ ეს მცდარი აზრია“ (Axworthy 2018, 55). ოქსფორტის აზრით, სპარსეთისა და, ზოგადად, აღმოსავლეთის შესახებ არსებობს ზედაპირული შეხედულება, რომ სპარსეთი და აღმოსავლეთი იყო პასიური, დაკნინებული და ისინი ექვემდებარებოდა კოლონიზაციას და ჩარევას გარედან. ისეთი ენერგიული და უზომოდ ეფექტური მმართველი, როგორც ნადერი იყო, სულაც არ მიესადაგება ამ სურათს. სწორედ ამიტომაც გარიყეს იგი. ამას გარდა, მის სამხედრო წარმატებას ინდოეთში შეიძლება დაეკნინებინა კლავის და სხვა კოლონიზატორების დიდება და ექვემდებარებინა დასავლეთის შეიარაღებული ძალების სიდიადე, აღმატებულება მაშინ, როდესაც ეს გარემოება იმპერიისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მითს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პატივისცემას იწვევდა მე-19 საუკუნის ევროპაში, მაინც ანომალიად მიიჩნეოდა ირანის ისტორიაში (Axworthy 2018, 55).

„ნადერ შაჰზე ლაპარაკი, მსჯელობა მის მოღვაწეობაზე, დღესაც კი, ორსაუკუნე-ნახევრის შემდეგაც, ძალიან რთულია. ესაა პიროვნება, რომლის ნიჭსა და გენიალურობას აღიარებენ მისი მტრებიცა და მოყვარეებიც, ხოლო მის პოლიტიკურ მოღვაწეობას უდარებენ მსოფლიოს ისეთ დიად დამპყრობლებს, როგორებიც არიან ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგიზ ყაენი, თემურ ლენგი და ნაპოლეონი. მას გააჩნია ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული სახე: ერთი, ეს არის სახე სარდლისა, რომელმაც გაათავისუფლა ირანი და კვლავ გააერთიანა იგი, რომლის შემხედვარე მტერი ცახცახს აეტანა და რომელმაც წინ წამოსწია თავისი ქვეყანა. ხოლო მეორე, ესაა სახე იმ პიროვნებისა, რომელიც იყო ტირანი. ესაა სახე ისტორიაში იმ ტირანთა უმრავლესობისა, რომლებიც წარმატებებს ვერ მიაღწევდნენ, რომ არა ეს თვისებები“. \_ აღნიშნავს მოჰამად ამინ რიაჰი (Kazem 1374, 16).

„აზიის ცნობილი დამპყრობელი და, შეიძლება ითქვას, მე-18 საუკუნის უდიდესი მეომარი, რომელიც იყო დაჯილდოებული საოცარი ნიჭით, მსოფლიო ისტორიაში გვევლინება, როგორც ერთ-ერთი გენიოსი“, – აღნიშნავს ირანელი მკვლევარი რეზა შაბანი და ასევე დასძენს, რომ ძალიან რთული იყო იმის გაგება, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ნადერ შაჰის მომდევნო ნაბიჯი, გამომდინარე მისი წინა ნაბიჯებიდან (Sha'bani 1369, 51).

„ამ კაცს, სახელად ემამ ყოლის, რომელსაც ისტორიამ შემდეგ ნადერ შაჰ ავშარი შეარქვა, თავისი სიმამაცის, ავანტიურიზმის, განუმეორებელი და ლეგენდარული გამარჯვებების, ბრძოლის სწორი ტაქტიკის გამო, შესაძლოა, ეწოდოს ყველაზე დიდი გენიოსი აზიის ისტორიაში“ (Seidi 2015, 8). ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს ნადერ შაჰს ირანელი მკვლევარი ქალიმოლა თოუჰედი: „ნადერ შაჰი, ეს არის უდიდესი პიროვნება ირანისა და მსოფლიოს ისტორიაში, გამორჩეული თავისი სიმამაცით, პატივმოყვარეობით, მებრძოლი სულისკვეთებით, გამარჯვებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვით, პროგრესული აზროვნებით და განსჯის უნარით, პატრიოტიზმით. ის ყოველთვის ებრძოდა სისუსტეს, აპათიას, ცრურწმენებს, რადგანაც ეს თვისებები იყო მუდამ კაცობრიობის შეცდომებისა და ჩამორჩენილობის მიზეზი. ნადერ შაჰი იყო მეფეთ-მეფე, რომელმაც თავისი ვრცელი ქვეყანა, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით თითქმის სასანიანთა იმპერიის ტოლი გახადა. მისი, ყველაზე მაღლა მდგომი სატახტო ქალაქის ზღურბლთან კი იდგნენ დანარჩენი ქვეყნების მმართველები. და ამ სატახტო ქალაქს, რომელსაც მიეპყრო მსოფლიოს ყველა დიდი იმპერატორისა თუ პოლიტიკოსის ყურადღება, ჰყავდა ყოველგვარი რესურსის მქონე ძლიერი რეგულარული ჯარი, რათა დაეპყო“ (Touhedi 1382,1).

ერთი მხრივ, მას XVIII ს-ის დასაწყისის მოცემულობაში შეუძლებლის ჩამდენად მიიჩნევენ: მან შეძლო თავისი ყველა მოწინააღმდეგის დამარცხება და 1736 წლისთვის სეფიანთა სახელმწიფო საზღვრების აღდგენა. თუმცა, სწორედ 1736 წელს, ანუ იმ მომენტიდან, როცა მან თავი შაჰად და ერთპიროვნულ მმართველად გამოაცხადა, მისი

მოღვაწეობის შეფასება ერთგვარად უარყოფითისკენ გადაიხარა. მაგრამ ერთიანი აზრი მისი მმართველობის შესახებ ჯერ არ დამკვიდრებულა და უცხოელ მეცნიერებში ჯერ კიდევ თვალსაჩინოა რადიკალურად დაპირისპირებული მოსაზრებები (Гезалова 2014, 145).

„სამხედრო ისტორიაში უამრავი სხვადასხვა ამბავსა და შეხედულებას შევხვდებით, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა განსახილველი ისტორიის პერიოდში დომინირებს ისეთი მილიტარისტი, როგორც ნადერ შაჰია. თუ ირანის ჩვენეული მოდელი თანამედროვე პერიოდის ადრეულ ეტაპზე ვერ ხსნის მჭიდროდ ორგანიზებულ, ცენტრალიზებულ, მილიტარისტული სახელმწიფოს არსებობას, რომელმაც აღადგინა და შემდეგ განავრცო ქვეყნის ადრინდელი საზღვრები და დაიპყრო დელი 1730-1740 წლებში, მაშინ ის საჭიროებს გადახედვას და ადაპტირებას.“ (Axworthy 2018, 57).

„ნადერ შაჰის ღირშესანიშნავად წარმატებული სამხედრო სტრატეგიები და მის მიერ ტერიტორიების სწრაფი დაპყრობები ავღანეთსა და ჩრდილოეთ ინდოეთში ვრცლადაა შესწავლილი, მაგრამ ეს უფრო მნიშვნელოვნად აღწერეს მის სიცოცხლეშივე ირანში, ინდოეთსა და ცენტრალურ აზიაში, ასევე ევროპულ ენებზე. ნაპოლეონი მას მოიხსენიებდა, როგორც სპარსეთის დიად მეომარს; ევროცენტრული სულისკვეთების ნაშრომებში კი მას მოიაზრებენ, როგორც სპარსეთის ნაპოლეონს. მისი, როგორც დამპყრობლის დიდება, ძირითადად უკავშირდება მის შეუპოვარ ლაშქრობას ინდოეთში და, ასევე, 1739 წელს მუჰამედ შაჰის (1719-1748) მუღალის ჯარების დამარცხებას (Babaie 2018, 221).

ჟან-ფრანსუა რუსო, საფრანგეთის კონსული ბაღდადში, წერდა: „ნადერ შაჰის, იგივე თამაზ ყოლი ხანის, დაპყრობების ისტორია ევროპაში საკმაოდ ვრცლად, მაგრამ არასრულყოფილადაა აღწერილი და შესამჩნევია შეცდომები; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს არაჩვეულებრივი კაცი ავშარების ტომიდან, ქურდების მეთაური იყო ხორასანში და წარმოგვიდგება სპარსეთის სუვერენად და ინდოეთის დამპყრობლად“ (Rousseau 1795, 143).

1735 წელს ნადერ შაჰმა დაიმორჩილა ბახთიარები – ირანელი მომთაბარე ტომები, 1737-1738 წლებში – ავღანური ტომები. მისი ძალისხმევით ოზბეგებმა უარი თქვეს ავღანელების დახმარებაზე. ამის შემდეგ შაჰმა უკვე ინდოეთის „დიდ მოგოლთა“ სახელმწიფოსთან დაიწყო ომი და დაამარცხა კიდევ იგი. ცნობილია, რომ „დიდ მოგოლთა“ სახელმწიფომ დიდი კონტრიბუცია გადაიხადა (ევროპული წყაროების მიხედვით 30-დან 87 მილიონამდე გირვანქა სტერლინგი). ნადერის მიერ მოპოვებული სიმდიდრე ამ გამარჯვების შედეგად შეფასებულია 700 მილიონ რუპიად.<sup>18</sup>

1740 წელს ნადერმა ოზბეგების სახანოებზე გაილაშქრა (ბუხარა და ხორეზმი). ბუხარის მბრძანებელმა აბულ ფეიზ ხანმა (1711-1747) თავი ნადერ შაჰის ვასალად ცნო. ხორეზმი, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ბოლოს მაინც გახდა იძულებული, ნადერს დამორჩილებოდა. 1741-1743 წლებში კი ნადერმა დალესტნის სახანოებზე გაილაშქრა. მიუხედავად ცალკეული გამარჯვებებისა, აქ იგი დამარცხდა. ამ ომს შაჰისთვის, რა თქმა უნდა, არ მოუტანია სიმდიდრე. ეს იყო მისი წარუმატებელი სამხედრო ექსპედიცია და ამ საკითხს უფრო ვრცლად შემდეგ განვიხილავთ, როდესაც გადავალთ ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის განხილვაზე მოჰამად ქაზემის ცნობებზე დაყრდნობით, რაც ჩვენი თემის ძირითადი და მთავარი ნაწილია. ომი ოსმალეთთან (1743-1746) ხან წარმატებული იყო ნადერისათვის, ხანაც – არა. გამარჯვება მისთვის ამ ომს არ მოუტანია. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ ამ პერიოდში ირანში და ასევე დაპყრობილ ქვეყნებში აჯანყებები დაიწყო. ამ აჯანყებების ჩასაქრობად კი საჭირო გახდა ჯარის გარკვეული ნაწილის შესაბამის მხარეებში გადასროლა 1746 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთსა და ირანს შორის ადრინდელი საზღვრები აღდგა. ნადერ შაჰმა 1737-38 და 1741-43 წლებში ჯარები ომანის და სამხრეთ არაბეთისკენ გაგზავნა, თუმცა აქაც წარუმატებლად. რამდენიმე წყაროს მიხედვით, ნადერს კასპიის ზღვის მთელი

---

<sup>18</sup> ვერცხლის მონეტა ინდოეთში. გავრცელდა XV საუკუნეში.

დასავლეთ სანაპიროს დაპყრობა უნდოდა და ამიტომ მისი მმართველობის დასაწყისში არსებული კარგი ურთიერთობა რუსეთთან შემდეგში გაფუჭდა. რუსეთი შეაშფოთა ნადერ შაჰის ლაშქრობებმა დაღესტანში. ასევე, კასპიის ზღვაზე ირანის ფლოტის შექმნის განზრახვამ ინგლისური სავაჭრო კომპანიის წარმომადგენლის, კაპიტან ელტონის (1743 წლიდან) ხელმძღვანელობით.

ნადერ შაჰის მმართველობის დროს ჯარს სახელმწიფოში უდიდესი როლი ენიჭებოდა. ეს იყო ჯარი, რომელიც ქვეყნის შიდა ფეოდალურ აჯანყებებს ახშობდა, აწარმოებდა გამათავისუფლებელ ბრძოლებს და ამით, ბუნებრივია, შაჰი ამყარებდა თავის ძალაუფლებას.

რუსი და ქართველი მკვლევრების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ნადერ შაჰის საბრძოლო წარმატებები სწორედ მისივე ჯარის დამსახურებაა. ეს ბუნებრივია და ამგვარად აიხსნება ეს საკითხი თითქმის ყველა იმ ისტორიკოსის თხზულებასა თუ ნაშრომში, რომლებიც ამ პერიოდს ეხება, არიან ისინი თავად ნადერ შაჰის თანამედროვენი თუ შემდეგი პერიოდისა. მაგრამ აქ საინტერესოა აქცენტები, რომლებსაც რუსი მკვლევრები აკეთებენ განსხვავებით დასავლელი მკვლევრებისაგან. როგორც ყოველთვის, უმეტესობა ქართველი ისტორიკოსებისა ეთანხმება წინამორბედი რუსი ისტორიკოსების აზრს.

ჯარის საკითხთან დაკავშირებით დასმული აქცენტები ამგვარია: ნადერის საბრძოლო წარმატებები არის მხოლოდ მისი ჯარის დამსახურება, მაგრამ ნაკლებადაა გაანალიზებული ის, რომ ასეთი ჯარის შექმნა არის თავად ნადერის დამსახურება (შესაძლოა, „ხალხის“ გადამწყვეტი როლის გამოსაკვეთად აზვიადებენ საკუთრივ ჯარის როლს და უნებლიეთ გამოსდით სარდლის დაკნინება). აი, აქ, განსხვავებით ზემოთნახსენები მკვლევრებისგან, ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერების (ძალიან იშვიათად ქართველი მკვლევრების) აქცენტები მოსაზრებები ასეთია: ჯარის ფაქტორი, ბუნებრივია, გადამწყვეტ როლს ასრულებდა სამხედრო წარმატებებში, მაგრამ თავად ამგვარი ქმედითუნარიანი არმიის შექმნა სწორედ ნადერის დამსახურებაა.

ჩვენ ამ მოსაზრებას მთლიანად ვიზიარებთ: მართლაც, პრაქტიკულად დაშლილი და სრულ ქოასში ჩაფლულ ქვეყნის ერთიანობის აღდგენის ერთადერთი გზა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების აღდგენა იყო; ამ ხელისუფლების აღდგენის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი კი – კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული ჯარი. შექმნილ ვითარებაში კი მხოლოდ არაორდინარული ნიჭისა და ენერჯის ადამიანს შეეძლო ამგვარი ამოცანის განხორციელება. ნადერი სწორედ ამგვარი პიროვნება გამოდგა.

„ნადერის ამგვარი ძალაუფლება მისი ჯარის დამსახურება იყო, ამ ჯარის მეშვეობით გაიმარჯვა მან ხორასნელ ფეოდალების დაჯგუფებებზე და შემდეგ კი ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. ბუნებრივია, რომ ის ყველანაირი გზით ცდილობდა, თავისი ჯარის ბრძოლისუნარიანობა აემალლებინა და, რაც მთავარია, შეენარჩუნებინა ჯარის მხარდაჭერა“. – წერენ მ. არუნოვა და კ. აშრაფიანი. ასევე უნდა ითქვას, რომ როდესაც ზემოაღნიშნული მკვლევრები განიხილავენ ნადერ შაჰის მეომართა რაოდენობას ამა თუ იმ ბრძოლის დროს, აღნიშნავენ, რომ შედარებით უფრო სანდო მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით მოცემული აქვთ ირანში მოღვაწე რუს დიპლომატებს. ასევე დასძენენ, რომ ნადერის თანამედროვე ისტორიკოსების მონაცემები შაჰის მეომართა რაოდენობასთან დაკავშირებით გადაჭარბებულია. ბუნებრივია, თანამედროვე ისტორიკოსები ხშირად მიკერძოებულები არიან (Арунова 1958, 128).

ჰანვეის ცნობის მიხედვით, ნადერ შაჰის ჯარი 200 000 მეომრისგან შედგებოდა (Hanwey1729-42,170). მოჰამად ქაზემი წერს, რომ ოსმალეთთან საბრძოლოდ გამზადებული ჯარი (1743 წ.), თითქმის 375 000 კაცისგან შედგებოდა (ციტ.Арунова 1958.131). ი. პეტრუშევსკის აზრით კი ეს ციფრები არაა სანდო და ძალზედ გადამეტებულია (Петрушевский 1949, 292). ზემოაღნიშნული რუსი დიპლომატების ცნობების მიხედვით, XVIII საუკუნის 30-იანი, 40-იანი წლების ნადერ შაჰის ჯარს 50-80 ათასი კაცი შეადგენდა.

„ნადერ შაჰის დაპყრობითი პოლიტიკის ძირითადი მიზეზები ასეთი იყო: მას უნდოდა, რომ მომთაბარე და ბინადარი ფეოდალური არისტოკრატია თავის მხარეს ჰყოლოდა. შაჰი მათ აძლევდა შესაძლებლობას, რომ ისინი სამხედრო ნადავლის ხარჯზე გამდიდრებულიყვნენ. დაპყრობების შედეგად ხელში ჩაგდებული სიმდიდრე მას ხაზინის შესავსებად და ჯარის შესანახად სჭირდებოდა. ჯარის შეგროვება და შენახვა გალატაკებულ ირანში რთული საქმე იყო. ნადერს თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად აუცილებლად მიაჩნდა ძლიერი არმიის არსებობა. დაპყრობებს მისთვის დიდება უნდა მოეტანა და გამდიდრებინა ახალი დინასტიის წევრები“ (Пигулевская 1958, 321). „სიმდიდრის მოხვეჭა იყო ძალაუფლების შენარჩუნების აუცილებელი პირობა“ (Avery 2008, 52-53).

ყურადსაღებია პ. პეტროვის მოსაზრება ნადერის საბრძოლო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მისი აზრით, რთულია განისაზღვროს, თუ რა ამოდრავებდა უფრო მეტად ნადერ შაჰს: პატრიოტიზმი თუ პირადი ინტერესები; მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს, ფაქტია, რომ მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ პერიოდის ირანის გაერთიანებასთან, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან, ავღანების განდევნასთან (ამავდროულად ოსმალებთან ბრძოლასთან), აჯანყებულების დამორჩილებასთან. ამას კი ისეთი გამორჩეული პოლიტიკური აზროვნება ესაჭიროებოდა, როგორც ნადერს ნამდვილად გააჩნდა (Петров 1961, 7). დავით კაციტაძის აზრით, ნადერ შაჰი აშკარად გადაჭარბებულად აფასებდა თავისი სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს და ფინანსურ შესაძლებლობებს, ამიტომ მისი სამხედრო გეგმები სულ უფრო და უფრო ავანტიურისტული ხდებოდა (კაციტაძე 2001, 429). ამ აზრს ნადერის სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალთან დაკავშირებით ემთხვევა ი. პეტრუშევსკის აზრიც (Пигулевская 1958, 322). მათსავე მოსაზრებებს იზიარებს ლუიზა შენგელიაც: „ნადერ შაჰის დამპყრობლურმა პოლიტიკამ გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა, რაც გამოიხატა გლეხების აყრა-გაქცევით საცხოვრებელი ადგილიდან, გადასახადებზე უარის თქმით და აჯანყებებით“ (შენგელია 1970, 5).

ხაზგასასმელია, რომ ნადერი საკმაოდ კარგად აფასებდა ამა თუ იმ მოწინააღმდეგეთა ძალებს. მისი სამხედრო კამპანიებიც, ხშირ შემთხვევაში წარმატებული იყო და ირანის ახალი მონარქისათვის პოლიტიკური დივიდენდები მოჰქონდა.

## 2.2. ნადერ შაჰის რელიგიური პოლიტიკა

„ძნელი იყო იმის დადგენა, თუ რომელ აღმსარებლობას აღიარებდა ნადერ შაჰი. ადამიანები, რომლებსაც მასთან ჰქონიათ ურთიერთობა, ამტკიცებდნენ, რომ ის არ იყო რელიგიური ადამიანი”, – წერს იეზუიტი მისიონერი ბაზენი (Bazin 1780, 318). ჰანვეი კი დასძენს, რომ ნადერ შაჰი ისლამის ორივე მიმდინარეობის მიმართ გულგრილი იყო. იგივე ავტორი წერს, რომ შაჰს, თითქოს, იმის სურვილიც კი გამოუთქვამს, რომ ახალი რელიგია შეექმნა ქრისტიანობასა და ისლამზე დაყრდნობით, რომელიც იქნებოდა „საუკეთესო რელიგია, რაც კი ოდესმე უქადაგიათ“ (Hanway 1858, 404).

“როდესაც ნადერ შაჰი ბიბლიისა და ყურანის სპარსულ თარგმანებს უსმენდა, დასცინოდა, როგორც ებრაელ წინასწარმეტყველებს, ასევე მუჰამადსა და ალის (Hanway, 1858, 403). ის ამბობდა საჯაროდ, რომ მუჰამადზე და ალიზე ნაკლებად არ მიიჩნევს საკუთარ თავს, რადგან სწორედ მათსავით, იარაღის ძალით მიაღწია დიდებას” (Bazin 1780, 141).

„ნადერის ტოლერანტულ რელიგიურ პოლიტიკას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ეს მოწინააღმდეგეები სეფიანთა მოტრფიალეები იყვნენ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი ტენდენცია არც თუ ისე ცოტა ადამიანში შეინიშნებოდა (Kazem 1374, 17).

„უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ყველა ნიჭიერი მმართველი, ნადერ-შაჰიც თავისი რელიგიურობით, ანუ შიიტურ-იმამიტური სარწმუნოებისადმი ფანატიკური განწყობით არ გამოირჩეოდა. იგი ნათლად ხედავდა, რომ სეფიანთა მიერ სუნიტების დევნა ქვეყნისათვის არახელსაყრელ სიტუაციას ქმნიდა“ (ჯაფარიძე 1999, 427).



„ნადირ-შაჰი პოლიტიკური საჭიროებიდან გამომდინარე მიმართავდა რელიგიას. მან კარგად იცოდა სარწმუნოების როლი სახელმწიფოთა ურთიერთობებისა და სამხედრო ოპერაციების მსვლელობის დროს. შიიტური სარწმუნოებისა და მისი მიმდევრების დაცვა, ნადერის მოწოდებად მაშინ ხდებოდა, როცა საამისო საჭიროება შეიქმნებოდა.“ (Kishmishev 1889, 71-72 ციტ. ბაინდურაშვილი).

1736 წელს, მულანის ყურულთაიზე ნადერ შაჰის მიერ წამოყენებული სამი პირობიდან (მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ, ავიდოდა იგი ტახტზე.)<sup>19</sup>, ერთ-ერთის მიხედვით, მუსლიმანთა შორის სისხლის ღვრის მიზეზი (ძირითადად ოსმალეთსა და ირანს შორის), რელიგიური დაპირისპირება იყო. ამის თავიდან ასაცილებლად ნადერ შაჰის დაქვემდებარებულ შიიტებს შიიზმი უნდა უარეყოთ და სუნიზმს დაბრუნებოდნენ (შენგელია 1970, 5). „მის მხარდამჭერ ფეოდალურ თურქმანულ არისტოკრატასთან მოლაპარაკებების შედეგად მან გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა მოესპო ირანში შიიზმის ჰეგემონობა. მისი შეხედულებით შიიზმი უნდა გამხდარიყო მეხუთე მაზჰაბი – საღვთისმეტყველო სამართლებრივი სკოლა.“ (სანიკიძე, 2005, 144). ნადერმა მოითხოვა, რომ შიიტებს, ოთხ მაზჰაბთან ერთად, შეედგინათ მეხუთე მაზჰაბი და გაუქმებულიყო, ასევე, შაჰ ისმაილ I-ის დროიდან ოფიციალურად შემოღებული პირველი სამი მარლთმორწმუნე ხალიფას – აბუ ბაქრის, ომარის და ოსმანის წყევლა“ (Penahi 1375, 140-41; Pirnia, Ashtiani, Aghali 1380, 621-22).

ნადერ შაჰმა სცადა ირანში საკუთარი რელიგიური პოლიტიკის გატარება. ის ოცნებობდა პანისლამური სახელმწიფოს შექმნას და მის საჭეთმპყრობელობას. ვინაიდან, მისი მეომრების უმეტესობას სუნიტები შეადგენდნენ და ისლამური სამყაროს უმრავლესობა – სუნიტები, მისი მომავალი იმპერიის ქვეშევრდომები უნდა

---

<sup>19</sup> პირველი ორი პირობა იყო ასეთი: ა) არავის მხარი არ უნდა დაეჭირა სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლებისათვის; ბ) მისი (ნადერის) სიკვდილის შემდეგ მისი ყველა ქვეშევრდომი ვალდებული იყო დარჩენილიყო მისი საგვარეულოს ერთგული და არ დადგომოდა დაუმორჩილებლობის და ღალატის გზას.

გამხდარიყვნენ, ამიტომაც უარი თქვა შიიზმზე და სახელმწიფო რელიგიად სუნიზმი გამოაცხადა. მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში შიიზმმა მნიშვნელოვანი, პოლიტიკური, მორალური და მატერიალური დარტყმა მიიღო (სანიკიძე 2005, 143-149).

წერილში, რომელიც ნადერ შაჰმა ოსმალეთის სულთანს მისწერა, ხაზგასმული იყო, რომ ქაბაში, მეხუთე, ჯაფარიტების<sup>20</sup> სვეტი უნდა აღმართულიყო და მსგავსად სირიელების და ეგვიპტელებისა, ირანელებსაც უნდა ჰყოლოდათ საკუთარი ამირ ალ-ჰაჯი – პილიგრიმების ხელმძღვანელი.

“1736 წელს ნადირის მიერ ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაში გატარებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ, თუ ირანელები უარს იტყოდნენ შიიტობაზე და აღიარებდნენ სუნიტურ ისლამს, მაშინ ისინი თავისუფლად იმოგზაურებდნენ წმინდა ადგილებში და ირანელი ვაჭრები მიიღებდნენ თავისუფალი მიმოსვლის უფლებას აღნიშნულ ტერიტორიებზე” (სვანიძე 2000, 94).

1742 წლის 22 აპრილის რელაციაში ბრატიშჩევი დერბენტიდან იუწყებოდა, რომ ნადერ შაჰმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყველა შიიტმა სუნიტობა უნდა აღიაროს. იმის გამო, რომ ბრატიშჩევმა ვერ შეძლო თავად ტექსტის მოპოვება, მან მხოლოდ შინაარსი გადმოსცა თავის პატაკში, სადაც ეწერა, რომ „შუღლი, ზიზღი, სისხლის ღვრა, მხოლოდ კანონთა წნეხის შედეგია, რითაც ხარობენ შორიდან ურჯულოები და იმდენად, რამდენადაც მუჰამადის დროს არ ყოფილა სუნიტობის გარდა რაიმე სხვა აღმსარებლობა, საღი აზრი მოითხოვს, რომ არსებულ გაუგებრობებს დებულებებში ბოლო უნდა მოეღოს.“ (Арунова 1958, 142). „ნადირ-შაჰს სურდა შეექმნა ერთიანი მუსლიმური იმპერია და ცდილობდა შიიტებს და სუნიტებს შორის არსებული მტრობის მოსპობას, რათა რელიგიურ ფაქტორს ხელი არ შეეშალა ამ მიზნის განხორციელებისათვის. ამიტომ იყო, რომ 1736 წელს ოსმალეთთან წარმოებული მოლაპარაკებისას, ნადირი დაჟინებით მოითხოვდა ოსმალეთის სულთნისაგან

---

<sup>20</sup> ალ-ჯაფარია - იმამიტ შიიტთა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის (ალ-მაჰზაბ ალ-ჯა'ფარია) მიმდევრები.

„ჯაფარიტული“ მაზჰაბის მეხუთე „მარლთმორწმუნე“ (ე.ი. სუნიტურ) მაზჰაბად აღიარებას, რაზედაც უარი მიიღო. სწორედ ეს გახდა 1743 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ომის განახლების ერთ-ერთი მიზეზი.“ (სვანიძე 2000, 94).

ასორაბადიც ხაზს უსვამს ნადერის მიზანს: “სუნიტების და შიიტების მუდმივი მტრობის აღმოსაფხვრელად ნადერ შაჰი ცდილობდა, რომ მეხუთე მაზჰაბი შეექმნა და გაეერთიანებინა ისლამის ეს ორი მიმდინარეობა” (ციტ.სანიკიძე 2005, 145).

„1732 წლის სახელმწიფო გადატრიალებამდე, ნადერმა გამოსცა მანიფესტი იმ დამამცირებელი საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც თაჰმასბმა ოსმალეთის იმპერიასთან გააფორმა და დაგმო ეს ზავი. მისი მანიფესტი გაჯერებული იყო რელიგიური სენტიმენტებით და იმ შიიტი ირანელებისადმი თანაგრძნობით, რომლებიც დაატყვევეს ან დაიმონეს სუნიტმა ოსმალებმა. ამავე დროს, მან წერილები გაუგზავნა პროვინციების მმართველებს, რომლებიც განკუთვნილი იყო ფართო საზოგადოებისათვის. აღნიშნულ წერილებში ნათქვამი იყო, რომ ნადერი გმობდა და აკნინებდა არა მხოლოდ ხელშეკრულებას, არამედ სეფიანთა მონარქიის ლეგიტიმაციას და პოლიტიკურ ტრადიციებსაც აყენებდა ეჭვქვეშ. შესაბამისად, მიზნად ისახავდა ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვებას. „ექვგარეშეა, რომ ნადირ შაჰი წარმომავლობით შიიტი იყო. ავმართა თურქმენული ტომი იმ შვიდი ტომის რიცხვში შედიოდა, რომლებმაც ფაქტობრივად მოიყვანეს სეფიანები ხელისუფლების სათავეში“ - წერს გიორგი სანიკიძე და იქვე აღნიშნავს, რომ სეფიანთა სახელმწიფოში არაშიიტისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო პოლიტიკური ან სამხედრო კარიერის გაკეთება (სანიკიძე, 2005, 145). „სწორედ ნადირ შაჰის დროს დაედგა მაშჰადის მავზოლეუმს ოქროს გუმბათი. საგულისხმოა, რომ 1731 წელს იგი წერილს უგზავნის სეფიან მონარქს შაჰ თაჰმასბ II-ს და ატყობინებს, რომ ყველა მისი გამარჯვება შიიზმის დიდებას ემსახურება.“ (სანიკიძე, 2005, 145). შაჰის ამგვარი ქმედებების შემდეგ გიორგი სანიკიძე მის ანტიშიიტურ პოლიტიკასა და სუნიზმზე მოქცევას შემდეგნაირად ხსნის: ირანში და ზოგადად ისლამურ სამყაროში იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების მიხედვით, გამოჰყოფს ნადერ შაჰის რელიგიური

პოლიტიკის განმაპირობებელ რამდენიმე ფაქტორს: ა) შიიზმი ასოცირდება მოსახლეობისათვის სახელგატეხილ, არაპოპულარულ სეფიანებთან, ბ) ნადერის მეომართა დიდ ნაწილს სუნიტები შეადგენდნენ; გ) დაპყრობებით გათამამებული ნადერ შაჰი პანისლამური სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდა; დ) ნადერ შაჰის სურვილი იყო, დაებრუნებინა სეფიანთა რელიგიური პოლიტიკის შედეგად მუსლიმურ სამყაროს მოწყვეტილი ირანი თავის ძველ ადგილზე და, ასევე, რაოდენ რთულად განსახორციელებელი და უტოპიურიც არ უნდა ყოფილიყო, მომხდარიყო მუსლიმური სამყაროს გაერთიანება ირანიდან წამოსული იმპულსის საფუძველზე.

სეფიანთა რელიგიური პოლიტიკა გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა. ნადერმა გადაწყვიტა ამ საკითხისადმი გულგრილობის გამოვლენა. 1979 წლის ირანის მოვლენები არის შეხსენება იმისა, რომ რელიგიისადმი გულგრილი დამოკიდებულება არის მუდმივი საფრთხე. დღევანდელი ირანის ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური პოზიცია, რელიგიური მოსაზრებიდან გამომდინარე, ნეგატიურია ზოგადად მონარქიის ინსტიტუტის მიმართ, თუმცა ცალკეულ მონარქებს გარკვეულწილად პატივი მიეგებათ (ისლამამდელ შაჰინშაჰებს და ისლამური პერიოდის იმ მონარქებს, რომლებიც შიიზმის ერთგულები იყვნენ, იგივე შაჰ აბას I). ნადერ შაჰის დამსახურებები კი, რომლებიც მართლაც განუზომელია (მოახერხა უკვე განადგურებული ქვეყნის აღდგენა), მიჩუმათებულია და ამის მიზეზია არა მის მიერ შაჰის ტიტულის მიღება, არამედ მისი „განდგომა“ შიიზმისგან, რაც უპატიებელ „ცოდვადაა“ მიჩნეული და აფერმკრთალებს ყველა მის დამსახურებას ირანის წინაშე.

რიგი რუსი მკვლევრების აზრით, თავად რელიგიებისადმი გულგრილად განწყობილი ნადერ შაჰის იდეა, გაერთიანებულიყო შიიზმი და სუნიზმი, აიხსნებოდა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით. შაჰი ხედავდა, რომ სუნიტების შევიწროებამ სეფიანების დროს გამოიწვია აჯანყებები ქურთისტანში, დაღესტანში, ავღანეთსა და სამხრეთ აზერბაიჯანში, ასევე, ოსმალეთისა და უზბეკეთის სახანოს ჩარევა ირანის საქმეებში. ნადერს სურდა, რომ ავღანელი სუნიტი დიდებულები გადმოებირებინა და არა მხოლოდ ავღანელები. ასევე, მისი აზრით, შიიტური სამღვდელთაობის

დასუსტებით კნინდებოდა სეფიანთა ძლიერი საყრდენი ძალაც (Пигулевская 1958, 320). ქართველი მკვლევარი ხათუნა ბაინდურაშვილი მიიჩნევს და, ასევე, ციტირებს რუსი მკვლევრის, პეტრუშევსკის აზრს, რომ ნადერ შაჰისთვის შიიტობისა და სუნიტობის უნიას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ღონისძიებით იგი ცდილობდა, დაემხო სეფიანთა დინასტიის ძლიერი დასაყრდენი – მოესპო შიიტური სამღვდელთა. მაგრამ მის ამ გეგმას როგორც შიიტ, ისე სუნიტ სამღვდელთაში, ძლიერი ფარული ოპოზიცია ჰყავდა. გარდა ამისა, აღნიშნული უნიის რეალურად დაარსება უტოპიური აღმოჩნდა. ის მხოლოდ „ქალაქში“ არსებობდა. „ჯაფარიტობა“ სუნიტების მიერ „მართლმორწმუნე“ მაზჰაბად არ იქნა აღიარებული არც უზბეკეთში და არც ოსმალეთში (ბაინდურაშვილი 2009, 64). ნადერ შაჰის რელიგიური პოლიტიკა საკუთრივ ისლამში მიზნად ისახავდა, რომ შიიტურ-იმამიტური მაზჰაბი გამხდარიყო სუნიტური. ნადერს ჯაფარიტობის გაუქმება და მისი სუნიტური მაზჰაბით შეცვლა არ მოუთხოვია. ეს აუცილებლად გამოიწვევდა შიიტების მკვეთრ რეაქციას. ნადერი დიპლომატიურად, მიზანმიმართულად მიდიოდა რეფორმისკენ, ჯაფარიტული მაზჰაბის სასულიერო პირები ექცია საკუთარ დასაყრდენად (Масе 1982, 152; Климович 1965, 118). ყურადსაღებია, ასევე, ხათუნა ბაინდურაშვილის მოსაზრება ნადერ შაჰის რელიგიურ პოლიტიკაზე დაღესტანში: დაღესტნის ისლამიზაციის პროცესი დასრულდა მე-15 საუკუნეში.<sup>21</sup> არაბების დროიდან მოყოლებული, თემურ-ლენგის შემოსევების ჩათვლით, დაღესტანში მუდმივად იყო მცდელობა და

---

<sup>21</sup> დაღესტნის მოსახლეობა ისლამს არაბთა დაპყრობითი ომების შედეგად გაეცნო, მე-7 საუკუნის მეორე ნახევრიდან. იქ ისლამი ნელი ტემპით იკიდებდა ფეხს და ვრცელდება მე-10 საუკუნის შუა ხანებიდან. არაბების მიერ დაღესტნის ოკუპაციამ და მათ სამსაუკუნოვანმა ბატონობამ იქ ვერ მოახერხა, სწრაფად გადაექცია დაღესტანი მუსლიმური სამყაროს ნაწილად, როგორც ეს რიგ ისტორიკოსებს მიაჩნიათ. თემურ ლენგის მიერ დაღესტნის დაპყრობის შედეგად (1396 წ.), ისლამი ლეკებში, ავარიელებში და დაღესტნის ძირითად ნაწილში გავრცელდა და ამ უკანასკნელის ისლამიზაციის პროცესი მე-15 საუკუნეში დასრულდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: (Шихсаидов 1967, 121-175; Каимарзов 1971; Хашаев 1961 )

გავრცელდა კიდევ სუნიტური ისლამი, ხოლო აქ ჰანაფიტური<sup>22</sup> მაზჰაბის გავრცელება თემურ ლენგის „დამსახურებად“ უნდა მივიჩნიოთ (ბაინდურაშვილი 2009,62). 1736 წლის გაზაფხულზე, დაღესტანში, აჰმად ხანის სახელზე გაიცა რაყამი.<sup>23</sup> ნადერ ყული ატყობინებდა მას, რომ იგი არჩეულ იქნა ირანის შაჰად და ამიერიდან რელიგიას, რომელსაც ის (ნადერი) გაავრცელებდა (ჯაფარიტული მიმდინარეობის ჰანიფატური სარწმუნოებას) და რომელიც, მისივე თქმით, წარმოადგენდა „სუნიტებისა და ჯამაათის ერთ-ერთ რელიგიას“, არავინ გადაუხვევდა. ამ რელიგიით ისინი თავს დაიცავდნენ უმეცრებისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებოდნენ. „დაიწერა და უწმინდეს სარქაში გამოიგზავნა ბეჭედდასმული ოქმი ხსენებული ოქმი ხსენებულ საქმეზე და იმაზე, რომ ამის შემდეგ ჩვენში გავავრცელებ ჯაფარიანთა ჰანიფიტურ რელიგიას, რომელიც სუნიტებისა და [სხვა] ჯამაათის სარწმუნოებაა და მოვსპობ უგუნურებას, რათა ამის შემდეგ არავინ გადაუხვიოს [ამ რჯულს]. ვინც ამას უარყოფს, სიკვდილით დაისჯება. ხუთშაბათს, ამ თვის 24-ს, მოხდა ბედნიერი ხელდასხმა, ხუტბა ითქვა უზენაესის სახელზე და ფული გავრცელდა. რადგან ის მაღალადგილოვანი (აჰმედ-ხან უცმი) ამ ზეცისკარვიანი ოჯახის ერთგულთა და კეთილისმსურველთა რიგს ეკუთვნის, ამიტომ მისდამი დიდი პატივისცემის გამო ამ სასიხარულო ამბის დაწერა ვბრძანეთ. საჭიროა, რომ ამ ბედნიერების მაცნე ანგელოზის ამბავი მთელი დაღესტნის დიდსა და მცირეს გააგებინოს და ყველა დააიმედოს ხელმწიფური წყალობით“ (ფუთურიძე 1977,18-19).

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, აღნიშნავს ხათუნა ბაინდურაშვილი, რომ ნადერ შაჰი ჯაფარიტულ და ჰანაფიტურ მიმდინარეობას ერთმანეთთან აიგივებს და ჯაფარიტობასაც ორთოდოქსულ ისლამს მიაკუთვნებს, მაშინ, როდესაც ჯაფარიტობა შიიტურ-იმამიტური საღვთისმეტყველო იურიდიული სკოლაა. ვფიქრობთ, ეს გამოწვეული იყო არა ნადერის რელიგიური უვიცობით, არამედ მისი დიპლომატიით.

---

<sup>22</sup> საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა, რომლის ფუძემდებელი აბუ ჰანიფა (გარდ.767 წ.). ჩამოყალიბდა ქუფაში (ერაყი), მე-8 საუკუნის შუა ხანებში.

<sup>23</sup> შაჰის წერილი, ბრძანება.

საკითხის ასე დაყენებას მოითხოვდა ის გარემოება, რომ დაღესტნელები სუნიტური ისლამის ჰანაფიტური მაზჰაბის მიმდევრები იყვნენ. რელიგიური მიმდინარეობების (ჯაფარიტობისა და ჰანაფიტობის) ასეთ სინთეზს, ნადირ-შაჰისა და მისი მომხრეების აზრით, უნდა გამოეწვია იმ წინააღმდეგობების დაძლევა, რომლებიც დაღესტანში აჯანყებების სახით იკვეთებოდა და სარწმუნოებისთვის ბრძოლის სახეს იღებდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ დაღესტანში ირანის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებების ლოზუნგი ურწმუნო ერეტიკოსების – ირანელებისადმი მართლმორწმუნე სუნიტი დაღესტნელების დაუმორჩილებლობა იყო. ზემოთხსენებულ რაყამზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ შიიტური ისლამის ჯაფარიტული მაზჰაბი დაღესტანში ჰანაფიტურ მაზჰაბთან უნდა გაიგივებულიყო, მაშინ, როდესაც თვითონ ირანში და ოსმალეთშიც იგი სუნიტურ მეხუთე (მართლმორწმუნე) მიმდინარეობად უნდა ეღიარებინათ (ბაინდურაშვილი 2009,66).<sup>24</sup> ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ორთოდოქსიისა და ჰეტეროდოქსიის მისადაგება ისლამურ სამყაროსთან (სუნიზმის ორთოდოქსიად მიჩნევა, ხოლო შიიზმის - ჰეტეროდოქსიად), არ არის სწორი – ეს ქრისტიანული სამყაროში არსებული ვითარების ასახვაა და არ მიესადაგება ისლამური სამყაროს სპეციფიკას (მაგ., ისლამში არ არსებობს „ეკლესია“, როგორც ორგანიზაცია, შესაბამისად, არ ყოფილა საეკლესიო კრებები, რომლებზეც განისაზღვრებოდა, თუ რა იყო „ორთოდოქსია“ და რა – „ჰეტეროდოქსია“).

ნადერ შაჰის ამ რელიგიურ მოთხოვნას დაღესტანში წინააღმდეგობა შეხვდა და 1741-1743 წლებში, როგორც ცნობილია, ნადერმა გაილაშქრა დაღესტნის სახანოების და ასევე, თავისუფალი თემების დასაპყრობად (ჯაფარიძე 1999, 152).

---

<sup>24</sup> იმდენად მნიშვნელოვანი იყო ნადერ შაჰისთვის ჯაფარიტობის და ჰანაფიტობის გაერთიანება, რომ 1743 წელს მან შიიტებისა და სუნიტების სასულიერო პირების კრებაც მოიწვია ნეჯეფში, სადაც ზემოაღნიშნულ საკითხებზე გაიმართა კამათი. ამ კრებას შედეგი არ გამოუღია. ნადერის რელიგიურმა პოლიტიკამ საკუთრივ ისლამში მარცხი განიცადა (Климович 1965,118-126).

ცნობილი ფაქტია, რომ მუღანის ყურულთაის დროს დამსწრე შიიტურმა სასულიერო პირებმა ვერ გაბედეს აშკარად დაეცვათ შიიტობა.<sup>25</sup>

ოქსუორთი გარკვეულ პარალელს ავლებს ნადერ შაჰისა და რეზა შაჰის მოღვაწეობას შორის და რელიგიური კუთხით სხვადასხვა ეპოქებისა და სიტუაციის მიუხედავად, გამოყოფს მათ მთავარ მიზანს – შიიტური სამღვდელთა სრულდამორჩილებას და საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩაყენებას. ორივე შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. შიიტურმა სამღვდელთა შეინარჩუნა სოციალური კავშირები და ზეგავლენა ტრადიციონალისტურად განწყობილ მოსახლეობაზე. ამ თვალსაზრისით, 1979 წლის ირანული რევოლუციის ფესვები შეიძლება ნადერ შაჰის ანტიშიიტურ პოლიტიკაშიც მოვიძიოთ (Axworthy 2018, 56). მეცნიერები მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ ნადერს ჰქონდა წინასწარი განწყობა, გაემიჯნა თორმეტი იმამის შიიზმი, მაგრამ ამას გარდა, მეცნიერებს მეტისმეტად არ შეუწუხებიათ თავი რელიგიური ცხოვრების ასპექტებით და/ან თორმეტი იმამის შიიზმის ბედით ირანის შიგნით ან სადმე სხვაგან. ენდრიუ ნიუმენი სამართლიანად მიუთითებს, რომ მკვლევრები მხოლოდ ზედაპირულად განიხილავენ ნადერ შაჰის „ანტიშიიტურ“ პოლიტიკას და ხშირ შემთხვევაში ყურადღების მიღმა რჩება, თუ რეალურად რას წარმოადგენდა იმამიტური შიიზმი და რა ზეგავლენა ჰქონდათ შიიტ სასულიერო პირებს მოსახლეობაზე (Newman 2018, 108). ჩვენც ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია „თეთრი ლაქები“ და ამ მიმართულებით კვლევების წარმოება საშური საქმეა.

ტაკერი მიიჩნევს, რომ ნადერის პოლიტიკა არ იყო ხისტად ანტიშიიტური. ის, უბრალოდ, უპირისპირდებოდა სეფიანთა რადიკალურად ანტისუნიტურ შიიზმს და, თითქოსდა, ცდილობდა ჯაფარიტული მაზჰაბის ფუძემდებლის, შიიტთა მეექვსე იმამის, ჯაფარ ას-სადიკის (მე-8ს.) დროს არსებული ვითარების აღდგენას, როდესაც

---

<sup>25</sup> ცნობილია, რომ როდესაც მულა ბაშიმ სეფიანთა დინასტიის შენარჩუნების იდეა გამოთქვა, მოკლეს. ამის შემდეგ კი დანარჩენი ულემები გაჩუმდნენ.



ისლამის ამ ორ ძირითად მიმართულებას შორის დაპირისპირება არ იყო მკვეთრი (Tucker 1994, 163-179).

ნიდრიუ ნიუმენი პრაქტიკულად აგრძელებს ამ აზრს და ხაზს უსვამს კვლევების სიმცირეს ამ საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, ედვარდ ბრაუნის ნაშრომის (ზეგავლენას) შემდეგომ კვლევებზე (Newman 2018, 108).

ნიუმენი ასევე მიმოიხილავს საკუთრივ შიიზმში წარმოჩენილ მე-18 საუკუნიდან მოყოლებულ წინააღმდეგობებს. ის აღნიშნავს, რომ 1979 წლამდე (ე.ი. ისლამურ რევოლუციამდე), მხოლოდ ჰამიდ ალგარი შეეხო საფუძვლიანად ამ საკითხებს. ის იზიარებს ალგარის მოსაზრებას (ენ ლემბტონის საწინააღმდეგოდ, რომ „ავღანელების თავდასხმა მთელი თავისი დესტრუქციულობით იყო მხოლოდ ეპიზოდი“), რომ ისპაჰანი რჩებოდა განათლების დიდ ცენტრად და რომ შიიზმმა შეინარჩუნა დომინანტობა ირანში და წარმოაჩინა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. მნიშვნელოვანია, რომ ალგარი ეხება უსულისა და ახბარის სკოლების დაპირისპირებას, ანუ განხეთქილებას იმამიტურ შიიზმში” (Newman 2018, 108). ეს საკითხი მართლაც საკმაოდ საფუძვლიანად არის გამოკვლეული. ამ განხეთქილებამ ორ ჯგუფად გაყო შიიტები. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი, ბუნებრივია, არ არის, ამ საკითხის კვლევა, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ახბარის სკოლის წარმომადგენლები, ე.წ. ტრადიციონალისტები, გარიდებული იყვნენ პოლიტიკურ პროცესებს, ხოლო უსულის სკოლის მიმდევრები თანდათანობით პოლიტიკურად უაღრესად გააქტიურდნენ, რაც, საბოლოო ჯამში, დაგვირგვინდა 1978-79 წლების ირანის ისლამური რევოლუციით. ამ სკოლების წარმომადგენელთა ურთიერთობისა და ნადერ შაჰთან დამოკიდებულების საკითხი კი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ გამოკვლეული.

საინტერესოა ასევე დევის მორგანის მოსაზრებები, რომელიც აღნიშნავს, რომ დელიში ნადერ შაჰის დაპყრობებს უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია. დიდი ხანია, დადასტურდა, რომ სეფიანების დაცემის შემდეგდროინდელ რელიგიურ ცვლილებებს დიდი და ხანგრძლივი მნიშვნელობა ჰქონდა; ასევე იმიტომაც, რომ სახელმწიფო ვედარ ახორციელებდა კონტროლის იმ ხარისხს რელიგიურ ისტებლიშმენტზე, რისი

გაკეთებაც ზოგჯერ სეფიანებს შეეძლოთ. ამის შემდგომ კი, როცა უსულის სკოლამ გაიმარჯვა, ახბარებსა და უსულის სკოლის მიმდევარ შიიტებს შორის ბრძოლის შედეგებს უზარმაზარი და გრძელვადიანი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს თვალსაჩინოა თანამედროვე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ამგვარად, XVIII საუკუნე მეცნიერთა ჩვეულზე მეტ ყურადღებას იმსახურებს. (Morgan 2018,10).

საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც ქერიმ ხანმა გარკვეულწილად მოახდინა ნადერ შაჰის დროს დაკნინებული შიიზმის აღორძინება. მიიჩნევს, რომ ქერიმ ხანი განსაკუთრებული რელიგიურობით არ გამოირჩეოდა და შიიტ ულემებს „პარაზიტებად“ თვლიდა. ამ შემთხვევაშიც გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება ნადერ შაჰთან (Perry 2011, 220-22).

საჭიროდ მიმაჩნია, ყურადღება გავამახვილო ნადერ შაჰის მიერ კავკასიაში გატარებულ პოლიტიკაზე რელიგიის საკითხებში. ამ საკითხთან დაკავშირებული მოვლენებისა თუ ფაქტების გასარკვევად, როგორც ირანულ, ასევე ევროპულ და კავკასიურ წყაროებთან ერთად, მეტად ფასეულია ქართული წყაროების შესწავლა. საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ და ირანულ წყაროებში დაცული არაერთი ცნობა ხშირად ურთიერთგამომრიცხავია.

ნადერ შაჰის მიერ გატარებული რელიგიური პოლიტიკის შესახებ საქართველოში საკმაოდ ვრცელ და საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მისი თანამედროვე ისეთი ცნობილი და სანდო მემატიანეები, როგორებიც არიან პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე, ვახუშტი ბატონიშვილი თუ იესე ბარათაშვილი.

ამ წყაროებზე დაყრდნობით შევეცდები, გავაშუქო ნადერ შაჰის მიერ საქართველოში გატარებული რელიგიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი.

საინტერესო და ყურადსაღებია ომან ხერხეულიძის თხზულებაში შემდეგი ცნობა:

1735 წელს ლეკებს ქიზიყი დაურბევიათ, 15 წლის ერეკლეს კი სოფლებიდან ჯარი შეუკრებია და შერკინებია ლეკებს. დიდი სიმამაცე გამოუჩენია და კიდევ

დაუმარცხებია ისინი, რაც დიდი სიხარულის მიზეზი გამხდარა. ამავე წელს ნადერ შაჰმა თბილისში მყოფ ოსმალებს შეუთვალა: „სარასკარზედ“<sup>26</sup> გავიმარჯვე და თქვენც მზად იყავითო“. ოსმალებმა თბილისი დატოვეს, ამის შემდეგ ნადერი შემოვიდა იქ და მეფობა კახეთისა მისცა თეიმურაზს, ხოლო ქართლი – მის ძმისშვილს, ალი ხანს. თბილისში სხვა, ყიზილბაში ხანი დასვა.

1736 წელს კი ნადერ შაჰმა ქართლში სეფი ხან სარდალი გამოაგზავნა, რომელმაც თეიმურაზს კახელებისა და ქართლელების სოფელ ფხვენისში შეკრება მოსთხოვა, სადაც თეიმურაზს უღალატეს (გივი ამილახორმა, არაგვის ერისთავმა ბარამმა, თარხანმა ლუარსაბ, ჩოლოყაშვილმა გივიმ, ქიზიყის მოურავმა ქაიხოსრომ). ყიზილბაშებმა შეიპყრეს მოღალატეები და სპარსეთში წაიყვანეს. შემდეგ კი შეიწყნარეს ისინი. თეიმურაზ მეფე კი ნადერ შაჰმა თან წაიყვანა ყანდაარში და უთხრა, თუ შენს შვილს, ირაკლის ჩამოიყვან, გაგიშვებო (ხერხეულიძე 1989,40). როგორც ომან ხერხეულიძე წერს: „ხოლო მსმენელთა ამისათა ქართველ-კახთა ერთ-პირობით არა ინებეს წარსვლა ირაკლისა სპარსეთად“, მაგრამ ერეკლე მაინც წავიდა სპარსეთში „მამაჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ და ჩემის იქ მისვლით გამოუტყევებდნენ და მე ამაზედ დავბრკოლდე და არა წარვიდე, ეს ჩემგან შეუძლო არისო“ (ხერხეულიძე 1989,40).

ვფიქრობთ, ყურადსაღები და საინტერესო ამ პასაჟიდან არის დიალოგი შემდგარი უფლისწულ ერეკლესა და ირანის შაჰს შორის.

ერეკლეს ირანში ჩასვლის შემდეგ ნადერ შაჰს მისთვის ისლამის მიღება მოუთხოვია, რაზეც ერეკლეს მისთვის უარი უთქვამს. მოგვაქვს თხზულების ეს მონაკვეთი: „წელსა 1737 წარვიდა ირაკლი ფებერვალს შაჰ-ნადირთან და ყანდაარს შთავიდა. ხოლო ნადირ-შაჰს ყანდაარი მარტის 16 აელო და ოდეს მოვიდა ირაკლი, მყისვე წინაშე ნადირ-შაჰისა წარადგინეს და შაჰ-ნადირ ლაპარაკი დაუწყო და ჰკითხა ირაკლის ბრძანების გვარად, საშიშარის სახით: „არ გასთათრდებიო?“, და ვითარცა მოწამემამან აღიარა მძლავრისა წინაშე ქრისტე და პასუხ-აგო წლითა და დლითა

---

<sup>26</sup> მხედართმთავარი.

ყრმამან, ხოლო გონებითა ბრძენმან: „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერვის ძალუძსო და არც მე გავმაჰმადიანდებო“. შემდგომად უბრძანა ნადირ: „ნუ გეშინიან, მე აღარ გაიძულეხო“. და მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ და ქართველ-კახნი მიაყვანიან და ყოველნი დაითხოვა და გამოისტუმრა და თვით ნადირ ინდოეთზედ განიძხედრა და ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი თან წარიყვანა“ (ხერხეულიძე 1989, 41).

ამ კონკრეტული დიალოგის შინაარსი საინტერესოა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას ნარატიულ წყაროში ვკითხულობთ, არამედ იმიტომაც, რომ იგი გვაძლევს შესაძლებლობას, გავანალიზოთ ნადერ შაჰის პოლიტიკური მიდგომა თუ დიპლომატიური სვლები კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებით.

1. მიუხედავად იმისა, რომ ირანის მმართველებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო დაპყრობილი ერის გამუსლიმება, ამ შემთხვევაში ნადერ შაჰმა ლოიალობა გამოამჟღავნა უფლისწული ერეკლეს მიმართ და მისთვის ძალა არ დაუტანებია. ჩვენი აზრით იმიტომ, რომ:

ა) მას შემდგომი ლაშქრობებისათვის სჭირდებოდა, მართალია, ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ სიმამაცითა და ერთგულებით გამორჩეული ერეკლე.<sup>27</sup>

---

<sup>27</sup> ყურადსაღებია, რომ ერეკლესა და ნადერ შაჰის ურთიერთობის შესახებ წერდა ფრანგული პრესაც. ვსარგებლობ მკვლევარი ირინე ნაჭყებიას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას: „ცნობები საქართველოს შესახებ საფრანგეთის სამთავრობო გაზეთის, „Journal de l'Empire“-ის, სამ ნომერში ფინკენშტეინის ხელშეკრულების დადებამდე, 1807 წლის მარტსა და აპრილში, გამოქვეყნდა. ამ მეტად ვრცელი საგაზეთო წერილების ავტორი იყო საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი დანიელი მეცნიერი კონრად მალტ-ბრუნი (1775-1826). თავისი წერილების წყაროდ იგი წმ. ალექსანდრე ნეველის არქიმანდრიტის, ევგენი ბოლხოვიტინოვის, 1802 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ნაშრომს უთითებს (Journal de l'Empire, Mardi, 10 Mars 1807). ვფიქრობთ, საგაზეთო წერილების მომზადებისას მალტ-ბრუნმა სწორედ ამ თარგმანით ისარგებლა. მალტ-ბრუნის მიერ „Journal de l'Empire“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა დედანს და გერმანულ თარგმანს შევუდარეთ; რუსი არქიმანდრიტის ნაშრომის შინაარსი საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული, ზოგიერთ ცნობას კი მალტ-ბრუნი თავის კომენტარსაც ურთავს. მეორე წერილში გადმოცემულია საქართველოს ისტორია

ბ) თეიმურაზ მეფის ავტორიტეტი სულ უფრო მეტად იზრდებოდა ირანის კარზე და, გამომდინარე აქედან, თუკი ნადერ შაჰი და მეფე თეიმურაზი ამგვარ ერთგულ ურთიერთობებს შეინარჩუნებდნენ, ქართველი დიდებულების კავშირს ქრისტიანულ რუსეთთან ხელი შეეშლებოდა, რაც ხელსაყრელი იქნებოდა ირანისათვის კავკასიაში თავისი პოზიციების მეტად გამყარების თვალსაზრისით.

გ) მნიშვნელოვანი იყო ასევე ოსმალეთის ფაქტორი. ისინი ხომ გამუდმებით ცდილობდნენ ქართველი თავადების თავის მხარეს გადაბირებასა და ამით თავიანთი პოლიტიკის გატარებას და, ბუნებრივია, საქართველოში ფეხის მოკიდებას?!

დ) შესაძლოა, რომ ამ ყველა მიზეზთან ერთად (საქართველოსადმი ასეთმა ლოიალური დამოკიდებულების გამომჟღავნებამ რელიგიურ საკითხში), ერთ-ერთი მიზეზი იყოს ისიც, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ნადერ შაჰი რელიგიებისადმი ზოგადად გულგრილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

როგორც უკვე ვთქვით, პაპუნა ორბელიანის თხზულებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი თავადის, გივი ამილახორის 1742 წლის აჯანყებას. ვრცლადაა განხილული მისი კავშირი ლეკებთან და ოსმალებთან, ასევე მეფე

---

უძველესი დროიდან და სრულდება 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-ის მანიფესტით, რომლის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა (Journal de l'Empire, 18.03.1807, Variétés). მესამე წერილი საქართველოს რელიგიის, კულტურისა და ცივილიზაციის საკითხებს ეძღვნებოდა. თავის მხრივ, მალტ-ბრუნი აღნიშნავდა, რომ ქართველებს მრავალი უძველესი ხელნაწერი ჰქონდათ, ბევრი მათგანი კი დიდი ღირებულებისა და მეცნიერთა ყურადღების ღირსი იყო. საგაზეთო წერილებში მოყვანილი ორი ცნობა მიუთითებდა საქართველოს გარკვეულ კავშირს მისგან ტერიტორიულად მეტად დაცილებულ ინდოეთთან. მალტ-ბრუნი იმეორებდა არქიმანდრიტის სუბიექტურ მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ინდური პოემის მიბაძვა იყო და მას ასე იმიტომ ეწოდებოდა, რომ მისმა გმირმა ინდოელმა პრინცმა, სახელად ტარიელმა, ქვეყნიერება ვეფხის ტყავით შემოსილმა მოიარა. ამავე წერილში ხაზგასმული იყო, რომ ნადირ-შაჰმა სათანადოდ შეაფასა ქართველთა ვაჟკაცობა და ქართულმა კავალერიამ მას უდიდესი სამსახური გაუწია დიდი მოგოლის წინააღმდეგ წარმოებულ ცნობილ ექსპედიციაში (Journal de l'Empire, 6.04.1807, Variétés).

თეიმურაზისა და ყიზილბაშების ერთიანი დაპირისპირება აჯანყებული ქართველი თავადების წინააღმდეგ.

პაპუნა ორბელიანის თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ირანის შაჰი ენდობოდა თეიმურაზსა და ერეკლეს, რადგან, ფაქტია, ისინი გადაუხრელად ადგნენ ირანის ორიენტაციის გეზს და აშკარა იყო, რომ ირანელ ხანებზე და გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებზე უკეთ შეეძლოთ აღმოსავლეთ საქართველოს დამშვიდება, ხშირად გვხვდება ორბელიანის თხზულებაში სწორედ რომ ნდობის გამომხატველი მსგავსი შინაარსის შაჰის წყალობის რაყამები. მაგალითად:

ა) „შენი უნებური არა იქნას რაო, როგორც შენ მამსახურებ, ჩვენ შენ სიტყვას ვჯერვართო“ – წერს ნადერ შაჰი თეიმურაზს.

ბ) „თეიმურაზ ხანთან მიდი და მაგის ბრძანების მორჩილი იყავი“ – წერს შაჰი ერეკლეს.

გ) ქართველებს მოუვიდათ რაყამი:<sup>28</sup> „მეფეს თეიმურაზ შეეყარენით და რაც თქვენი საქმე იყოს, ეგ მომახსენებდესო და მაგის სიტყვის მორჩილი იყავითო“...

ერთ-ერთ რაყამში კი ხელმწიფე წერს თეიმურაზს: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორსავ საერისთაო შენთვის მოგვიცემიაო“. ასეც მოხდა და ამ გამარჯვების შემდეგ თეიმურაზი და ერეკლე ქართული, ქრისტიანული წესით ადიან ქართლ-კახეთის ტახტებზე.

პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს:

1744 წელს, თვესა ივლისს, მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფეს თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ძესა მეფისასა ერეკლესა. იყო სიხარული ქართლსა და კახეთსა, სიხარული უზომო. მოვიდა იბრეიმ-ბეგ, მხლებელი ყმა ხელმწიფისა და ხალათები და რაყმები მოუტანა მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს. ებოძა ჯამაგირი ბატონისათვის ორი ათასი თუმანი და ბატონიშვილისათვის ათას ოთხასი

---

<sup>28</sup> შაჰის წერილი, ბრძანება.

თუმანი. მივიდა ეს იბრეიმ-ბეგ გამოართო ალი-ხანს დროშა და მოხელენი კარისანი, მოართვა მეფეს თეიმურაზს და იქმნა მეფედ ქართლისად.

აყარა ფრიდონ-ბეგ ეს ჯარები, მოვიდნენ, ჩამოხდნენ, ნახევარი ავლაბარში, ნახევარი სეიდ ახადში აყარეს, რაც ქალაქში ჯაზირჩისა და არყის ქვეყნის კაცი იყო, შეყარეს/ერთად ანუ. ამ ჯარებს გაუძღვა ფრიდონ-ბეგ, შეიარეს ლორეზე და შეეყარნენ/შეხვდნენ ერევნის ქვეყანაში ხელმწიფეს. წავიდა ალი ხანიც შამშადილოს ფათალი-ხანთან. მობრძანდა მეფე, კეთილმორწმუნე თეიმურაზ, დადგა ლილოზე, შემოეყარნენ ქართველნი, ხელმწიფესთან წასულნი ქართველნიც მოვიდნენ, ეპატივებინა ხელმწიფეს ქართლის ხარაბის, ადგილის ხარჯი და ან თუ რამ მეტად ქართლს სათხოვარს არ აკლებდნენ, მეფის გულისათვის ყოველზე ხელი აიღო. ბატონიშვილის აბდულა ბეგისათვის და ქაიხოსრო სარდლისათვის ებოძა ხელმწიფეს ხალათები და ასი თუმანი ინამად. აიყარა მეფე თეიმურაზ ლილოდამ, შემობრძანდა ქალაქსა თბილისისასა, თვესა ივლისსა თ. მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება და შესწირეს მადლობა ღმერთსა, გაუშალეს მოქალაქეთა ფიანდაზი, შეიქნა სროლა ზარბაზანთა, რომე ყურთა ხმა აღარ იყო. ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირაღდნით. იყო სამი დღე და ღამე განუწყვეტლად მეჯლისი და ლხინი უზომო, სიხარული ფრიადი. და მეფე ვახტანგ ქართლით წაბრძანებულყო. კ წელს გადევლო და მემკვიდრე - მეპატრონე აღარავინ მჯდარიყო ქართლსა. ამისთვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემკვიდრე ქრისტესმოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყოველი შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა.

მიუვიდა ეს სიხარულისა ამბავი ბატონიშვილს ერეკლეს, მაშინვე წაბძანდა ქალაქს, გავიდნენ, გაშალეს კარავი დიდუბეში, შევიდა შიგნით, გავიდა იბრეიმ-ბეგ, მიიტანა რაყამი ხელმწიფისა და ხალათი ჩაიცვა იქ და ეგრე შემობრძანდა ქალაქში. გაეგება მამა თვისი, მიულოცეს ერთმანეთს და ეგრე შემობრძანდნენ. თქვენმა მზემა, ისევ მეფენი მნახავთათვის სასიამოვნო იყო, ვითაც მეფეს თეიმურაზს ეგრევ ჩირაღდნით და ფიანდაზით მორთვეს ქალაქნი და განვიდეს შესხმად ქებისად

მოქალაქენი. იქმნა მეფედ კახეთისად მეფე ერეკლე, დაიდევს ნადიმი და დასხდნენ მეჯლისად მეფენი ქართლისა და კახეთისანი (ორბელიანი 1981,82-83). „ქორონიკონს 432 (1744 წ) მაისს, მეფეს თეიმურაზს ქართლის მეფობა უბოძა ყეენმა, მეფეს ერეკლეს კახეთისა. მაშინ ვიყავ წლისა თხუთმეტისა სრული და ექვსის თვისა. რა მიგიტხრა, რა სიხარული იყო ჩვენგან. ტყვეობის შიშით სამი თვე რომ სიონის აკლდამაში ვისხედით, ამოვედით. ქართველობა შეიქნა, საყდრებში თათრების შიში აღარ იყო. ვექილები, ვეზირები, მუსტოფი რომ ქართველ ბატონს მსახურებდენ და თავს დაუკრევდენ, გაგვიოცდის და გაგვიკვირდის. შიგნით არმის სასახლე რომ ვნახეთ და მეფეთ მეჯლისი და დილაზედ სალამი, უცხო რამ სიხარული იყო ყმაწვილის კაცისათვის. ამასობაში ვალიც აღარ გვემართა. კარგად მეცვა, მეხურა და მეთექვსმეტეს წელს მივდიოდი. დიად, უცხო დღე არის კაცის ასაკი მაშინ. დიდდად მიხაროდა, დიდად მომწონდა თავი და დიდად მომიტაცა სოფელმან. აგვისტოს სანატრელი თამარ დედოფალი შემობრძანდა ქალაქში, და ამან უფრო სიხარულით აღგვაგსო ყოველი ქართლში მყოფნი. ყოელთა შვილურებრ გვიკითხევდა და ეგრე გვწყალობდა. ღმერთმან განუსვენოს დიდი მოღვაწე იყო ქართველთათვის და მე უფროსიერთა იქ ვახლდი. ზამთრისაგან განყინული, უმღთოს თატართაგან დაჩაგრული იმ ღუთის წყალობას ვხედევდი, სასუფეველი მეგონის“. (ბარათაშვილი 1950,7) ამ საკითხთან დაკავშირებით მოჰამად ქაზემი მხოლოდ იმას წერს, რომ თეიმურაზი და ერეკლე ქართლისა და კახეთის მმართველებად დანიშნეს (ქაზემი 1374,1044).

როგორც ვხედავთ, ქართულ წყაროებშიც იკვეთება ნადერი შაჰის შედარებით გულგრილი დამოკიდებულება რელიგიისადმი და, რაც მთავარია, სეფიანთა პოლიტიკაზე უარის თქმა: სამეფო კარზე დაწინაურებისათვის გამუსლიმების უპირობო მოთხოვნა. ამ პოლიტიკიდან გადახვევა ნადერის შემდგომ მოღვაწეობაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა.



## თავი III

### ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა

#### 3.1. ნადერ შაჰის ლაშქრობები კავკასიაში

ნადერ შაჰის მიერ კავკასიაში გატარებული პოლიტიკის შესახებ საკმაოდ ვრცელი და საინტერესო ცნობები არსებობს. ამ საკითხსაც, ისე როგორც სხვა ზემოაღნიშნულ თემებს, შეეხნენ როგორც თავად ნადერის დროინდელი ირანელი და არაირანელი, ასევე შემდგომი პერიოდის ისტორიკოსები.

სწორედ ამ ისტორიკოსებზე, პირველ რიგში კი მოჰამად ქაზემის თხზულებაზე დაყრდნობით, შევეცდებით გავაშუქოთ ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი.

ავშართა დინასტიასა და დაღესტანს შორის კონფლიქტი XVIII დასაწყისიდან დაიწყო, როდესაც ამ უკანასკნელებმა სამხრეთ კავკასიაში ამბოხებულ სუნიტებს, ხოლო 1723-27 და 1730-36 წლების ირან-ოსმალეთის ომებში, ოსმალეთს დაუჭირეს მხარი. დაღესტნელი მკვლევრის, მაგომედ აიგუნოვის აზრით, დაღესტნის საკითხის მოგვარება იგეგმებოდა შემდეგნაირად: როდესაც სრულად გაანადგურებდნენ პასიონარულ ელემენტს, მასობრივად გადაასახლებდნენ დაღესტურენოვან მოსახლეობას სპარსეთში, რათა სამუდამოდ დასახლებულიყვნენ იქ და განეცადათ ასიმილაცია (Аитберов 2011,6). ნადერ შაჰის მეფობის დროს დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მმართველი, რომელმაც დაიქვემდებარა შირვანისა და ყაზიყუმუხის სახანოები, სურხაი ხანი იყო. მისი ბრძანებით, შათირები,<sup>29</sup> რომლებიც 1734 წელს ნადერ შაჰმა შემახაში მასთან გამოგზავნა, რათა დანებებულიყვნენ შაჰს, დახოცეს.

---

<sup>29</sup> მალემსრბოლი, შიკრიკი.

ჰასან ალ-კადარის ცნობის მიხედვით, ჩულაკ სურხაი ხანი, რომელიც იყო შირვანის ხანი, მყარად იდგა და გადაწყვეტილი ჰქონდა, დაეცვა თავისი მიწა. მიუხედავად იმისა, რომ მასთან მოვიდა ბრძანება, დაეტოვებინა ტერიტორია და ძალაუფლება გადაეცა ირანის შაჰისათვის, სურხაი ხანმა მოკლა ასთარის მმართველის, მუსა თალეშელის მიერ გამოგზავნილი კაცი, რომელმაც ეს ბრძანება მოიტანა და შეუთვალა მას, რომ შირვანს იგი ფლობს მუსლიმი ლეკების ხმლების წყალობით და არა თურქეთის მთავრობის სურვილით. ამის გამო ნადერ შაჰი განრისხდა და სურხაი ხანის დასასჯელად შირვანისკენ გაემართა (Алкадари, 1929, 63).

ამ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით ანალოგიური ინფორმაციას იძლევა აბას ყული ალა ბაკიხანოვ კუდსიც (Бакиханов 1991, 69). დაღესტნელი მკვლევარი ტიმურლან აიტბეროვი აღნიშნავს (იგი ასევე უთითებს ბახარლი ველიევს), რომ ალ-კადარს თითქმის მთლიანად გადმოწერილი აქვს ბაკიხანოვ კუდსის „გულისთან ირამი“. აიტბეროვს ასევე უკვირს, თუ რატომ დაწერა ბარტოლდმა ალ-კადარის ამ თხზულებაზე, რომ იგი მოიცავს მნიშვნელოვან ცნობებს, განსაკუთრებით, დაღესტნის ისტორიის გვიან პერიოდზე და რომ არ არის დაწერილი უნიჭოდ. თუმცა, აიტბეროვი თავადვე აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ბარტოლდისათვის ნაცნობი იყო „გულისთან ირამი“, არ ყოფილა მისთვის ხელმისაწვდომი (Аитберов 2011, 26).

1734 წლის ნოემბერში შემახას მახლობლად ერთმანეთს ნადერის ჯარები შემახასა და ღაზიყუმუხის ჯარებს დაუპირისპირდნენ. სურხაი ხანი დამარცხდა. მალევე, თურქებზე გამარჯვების შემდეგ (ისინი სურხაი ხანს უჭერდნენ მხარს), ნადერის მეომრებმა დაიკავეს მთელი შირვანი. შემახა დაინგრა, განადგურდა. ხოლო მისი ნანგრევებიდან ექვს კილომეტრში დაარსდა ახალი შემახა, სადაც ძველი ქალაქის მაცხოვრებლები დასახლდნენ. მოსახლეობას დააკისრეს დიდი გადასახადები. სურხაი ხანმა დაღესტნის მთებს შეაფარა თავი, ხოლო მის კვალს დადევნებული ნადერი გზადაგზა ანადგურებდა, ანგრევდა აულებს და უმაწყალოდ უსწორდებოდა მშვიდობიან მოსახლეობას. ავარიის, ახტისა და დაღესტნის სხვა ტომებმა

დამპყრობლებს ბრძოლა გამოუცხადეს. მათვე შეუერთდნენ თაბასარანელები და ხაიდაყელები. მთიელებით დასახლებულ ტერიტორიებზე უშედეგო შეჭრის მცდელობების შემდეგ, ნადერი იძულებული გახდა, შირვანისკენ დაეხია. შირვანის ბეგლარბეგად შაჰმა მაჰდი ყული ხანი დანიშნა. მას დაექვემდებარა დერბენდის სახანო და ბაქოს სახანო. ნადერის ამგვარმა პოლიტიკამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და 1736-1737 წლებში შირვანი და დაღესტანი მღელვარებამ მოიცვა. სოლთან მურადმა, რომელიც შირვანის ყოფილი მმართველი იყო, სურხაი ხანთან გააბა კავშირი ნადერის წინააღმდეგ. ისინი გაერთიენებული ჯარებით დერბენდს, მეჰდი ყული ხანის რეზიდენციას მიუახლოვდნენ. მეჰდი ყული ხანი მოკლეს, ციხე-სიმაგრე აიღეს, ამოხოცეს გარნიზონი და ამის შემდეგ სულთან მურადი შირვანის მმართველი გახდა.

ი. კალუშკინი წერს, რომ სურხაი ხანი თავს დაესხა შემახას და მიწასთან გაასწორა დერბენდის შემოგარენი. „ამგვარი მღელვარების ჩაცხრობა შაჰს უჭირს, ვინაიდან საჭიროა დიდძალი ჯარი, რომლის შევსებაც რთულია. ძნელია ასევე ჯარის შენახვა უკიდურესი სიღატაკის გამო” (Калушкин 1747, 410). დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე გლეხები, ჭარელების თავისუფალი გაერთიანებები, ავარიელები, შირვანელები. გარკვეულ დიდებულებს, რომლებიც ნადერ შაჰს დამორჩილდნენ, დიდძალი გადასახადები დაეკისრათ.

1737 წლის ზაფხულს, ნადერ შაჰის ძმამ, ებრაჰიმ ხანმა რამდენჯერმე დაამარცხა კახეთში შემოჭრილი დაღესტნელები (ლეკები), ხოლო შემდეგ მისი ჯარი დაღესტნისკენ გაემართა. დიდებულთა გარკვეული ნაწილი დამორჩილდა მათ, თუმცა უცმი<sup>30</sup> და სურხაი ხანის შვილი მორთაზ ალი არ დანებდნენ და ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ.

მოჰამად ქაზემის ცნობის მიხედვით: „და იმ ველაიათის მცხოვრებნი ორ ჯგუფად გაიყვნენ. წესრიგის მოყვარული (წესიერი ჯგუფი), ემორჩილებოდა საჰბეყერანს

---

<sup>30</sup> ხაიდაყის საუცმიოს (მთიანი დაღესტნის ტერიტორიაზე V-XIX საუკუნეებში არსებული ფეოდალური სამფლობელო ) მმართველი. ტერმინი უცმი გვხვდება XIV საუკუნიდან.

(ქვეყნისმპყრობელს, ნადერ შაჰს), ხოლო მეორე ჯგუფს გადაეხვია თავმდაბლობის გზიდან და სახელმწიფოს ეწინააღმდეგებოდა რა, ბრძოლასა და კამათში ჩართულიყვნენ” (Kazem 1374, 371).

ჩვენი აზრით, ზუსტად ამგვარ ფრაზებს უნდა გულისხმობდეს ტიმურლან აიტბეროვი, როდესაც წერს, რომ არც ადრე და, ხშირ შემთხვევაში, არც ახლა, არ წერენ ბევრს დალესტნისა და ირანის ბრძოლების ამ პერიოდის შესახებ და რომ ირანშიც მწირი იყო ცნობები ამ მოვლენების ირგვლივ. აიტბეროვი ხაზს უსვამს იმ პერიოდის და არა მხოლოდ იმ პერიოდის ისტორიკოსების არაობიექტურობას, როდესაც წერს: „ირანელებმა მოგვაწოდეს ცნობები ნადერ შაჰის ქმედებების შესახებ დალესტანში თავიანთი საისტორიო თხზულებებში, რომლებიც ირანის ხელისუფლებას ეძღვნებოდა. ხელისუფლება, რომელიც იმ პერიოდში იყო მთელი ევროპის ტოლი. ნუთუ ბევრს წერენ დღეს დალესტანზე ისეთ წიგნებში, როგორებიცაა, მაგალითად, რუსეთის ისტორია? მხოლოდ რამდენიმე ხაზს. შაჰის ირანშიც ზუსტად იგივე ხდებოდა” (Аитберов 2011, 12). თუმცა, იმავე მოჰამად ქაზემზე ვერ ვიტყვით, რომ არაა ობიექტური, როდესაც აღნიშნავს, რომ „დიდებულმა საჰებყერანმა (ნადერმა) სურხაი ხანისა და ლეკების სიმამაცის ამბავი შეიტყო“ (Kazem 1374, 371); „ლეკების უცმი იყო ამ მიდამოების პატივცემული, მამაცი, გამოცდილი კაცი“ (Kazem 1374, 371). შაჰის კარის მემატთანებს სჩვევიათ ხოლმე მოწინააღმდეგე მხარის თვისებების ხშირად არაობიექტურად შეფასება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად არაა ასე.

1738 წელს ებრაჰიმ ხანი 32 000-კაციანი ჯარით უცმის სამფლობელოსკენ დაიძრა. აქ ბურჯის მიდამოებში მას ციხე-სიმაგრის აშენება უნდოდა. ის უნდა ყოფილიყო ე.წ. სამხედრო ბაზა ჭარისა და თალას ხალხების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩატარების დროს. აქ ბურჯის მახლობელ აულებში მცხოვრები მთიელები წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებოდნენ. მათ შეუერთდა 20 000-კაციანი ჯარი ყარახაიდაყიელებისა. ქ. ჯანიკასთან ახლოს გამართულ ბრძოლაში ებრაჰიმ ხანი და უღურლუ ხანი მოკლეს. მათი ჯარი დამარცხდა. მოჰამად ხანი ძლივს თავმოყრილი ჯარის ნაწილით არაქსის ნაპირამდე მივიდა. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით იძლევა

ცნობას ჰასან ალ კადარიც: „1738 წელს ჭარისა და თალას ლეკებმა ნადერ შაჰს უღალატეს და რადგანაც თვითონ ნადერ შაჰი იმ დროს ინდოეთის ლაშქრობაში იმყოფებოდა, მისი ძმა, ებრაჰიმ ხანი დაიძრა ლეკების დასასჯელად. გაიმართა ბრძოლა ამ ორ მხარეს შორის, სადაც ებრაჰიმ ხანი მოკლეს, ხოლო მისმა ჯარმა უკან დაიხია. ორივე მხრიდან ბევრი ადამიანი დაიღუპა. ლეკებმა გათხარეს სანგრები ჭარში, ასევე ყაზახსა და აგზიბირში და იქ თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს. როდესაც ნადერ შაჰმა ეს ამბავი შეიტყო, 1739 წელს, ინდოეთიდან აბდალი განი ხანის მეთაურობით ლეკების დასასჯელად აბდალების ჯარი გამოუშვა” (Kazem 1374, 672).

დაწვრილებით აქვს აღწერილი მოჰამად ქაზემს 1738 წლის ეს ბრძოლაც და აღურლუ ხანისა და ებრაჰიმ ხანის სიკვდილიც. იგი მოგვითხრობს, რომ როდესაც ჭარელ ლეკებს ყიზილბაშთა ჯარის შემოსვლის ამბავი შეუტყვიათ, სასწრაფოდ შეუტყობინებიათ სურხაი ხანისა და დიდებული უცმისთვის (რომელიც თაბასარანის მცხოვრები იყო), რომ ამჯერად ყიზილბაშების ჯარი ნადერ შაჰის ძმის, ებრაჰიმ ხანის მეთაურობით დაღესტნის მიდამოებში შემოსულა და საჭიროა, რომ ტომებისა და სარწმუნოების ხათრით გაეწიოს მათ წინააღმდეგობა.

ქაზემი წერს, თუ როგორ ჰქონდა მიმართული ებრაჰიმ ხანს მტრისკენ „რკინის სიკვდილის ისარი და თოფი“, როცა განჯის მმართველი აღურლუ ხანი მივიდა მასთან და შეჰყვირა: „თავს გავწირავ, მოკვდები შენთვის, აქ ნუ გაჩერდები, ცხენს მათრახი დაჰკარი და უსაფრთხო ადგილას გაიქეცი, რათა ცბიერ მტერს ბოლო მოეღოს!“ ებრაჰიმ ხანმა უპასუხა: „მიწა დამეყაროს თავზე მაშინ, როცა ბრძოლის ველს დავტოვებ!“ სწორედ ამ დროს აღურლუ ხანს ისარი მოხვდა გულში და სული განუტევა.“ ქაზემის ცნობის მიხედვით, ამ ადგილას ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა ყველა მეომარი, ვინც კი თურმე ებრაჰიმ ხანის ჯარს შეერთებია, უკან დახევას ამჯობინებდა – ხედავდნენ, რომ აღარ დაედგომებოდათ იქ. ებრაჰიმ ხანი კი არ იხევდა უკან და განაგრძობდა ბრძოლას. ამ დროს იგი დაიჭრა მხარში, შემდეგ მას ცხენი დაუჭრეს და ბოლოს გულში მოხვდა ისარი და სული განუტევა (Kazem 1374, 673-674).

მოკამად ქაზემის თხზულებაში საკმაოდ ობიექტურად და დაწვრილებით არის აღწერილი დაღესტნელების თავგანწირული ბრძოლა ნადერ შაჰის ჯარების წინააღმდეგ და ყიზილბაშთა უკან დახევის ამბავი.

მსგავსად მოგვითხრობს ბაკიხანოვ კუდსიც ამ ამბავს. ის წერს, რომ როდესაც ინდოეთში მყოფმა ნადერ შაჰმა ქარელი ლეკების დასაშოშმომებლად ებრაჰიმ ხანი გამოგზავნა, თავდაპირველად ბედი უღიმოდა ებრაჰიმ ხანს, მაგრამ, ერთხელ, ლეკებმა ალყაში მოაქციეს ის და მოკლეს. დამარცხებულმა სპარსელებმა კი უკან დაიხიეს. შაჰმა ფეშავარში შეიტყო ეს ამბავი. შემდგ წელს ნადერაბადში, ავღანეთში ჩავიდა და ზამთარში, როცა მთებში გზები გაუვალია, განი ხან აბდალი გამოუშვა ქარელი ლეკების დასასჯელად (Бакиханов 1991, 69).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1739 წელს, ნადერ შაჰმა მრავალათასიანი ჯარი გამოუშვა ლეკების დასასჯელად განი ხან აბდალის მეთაურობით. ყიზილბაშთა ჯარებს რთულ პირობებში უწევდათ ბრძოლა. ისინი ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც კი წინ დახვდებოდათ, თუმცა დაღესტნელები მუდმივად ესხმოდნენ მათ თავს. ამ ბრძოლაში ყიზილბაშებს გვერდში ედგა ფათჰ ალი ხანი თავისი 15 000-კაციანი ხორასნელი ჯარით, ასევე შაჰის ბრძანებით შეუერთდნენ მათ ქართველი დიდებულები თავიანთი ჯარებით. დაღესტნელი დიდებულების ნაწილი, რომლებიც მანამდე შაჰს ემორჩილებოდნენ, განუდგნენ მას და ოსმალეთის სულთანს სთხოვეს დახმარება. 1741 წელს ი. კალუშკინი წერდა: „თურქებისგან შეგულიანებული მთიელი ხალხი ნამდვილად არ ავლენდა შაჰისადმი იმხელა მორჩილებას, რამხელასაც თავად შაჰის კარი უვრცელებდა მათ. დაღესტანი ფაქტიურად იმპერიას მოწყდა“ (ციტ. Арунова 1958, 190).

შაჰის ჯარმა გაანადგურა დასახლებები, დაზიანებული მისადგომებთან დაარბია ყველა სოფელი, თუმცა მოსახლეობა არ ნებდებოდა. „დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უშლიდა ადგილობრივი დაღესტნელი დიდებულების გაუთავებელი ქიშპი ერთმანეთთან“ (Арунова 1958, 191). ალკადარი წერს, რომ დაუნდობელი ბრძოლის დროს ლეკებს უკან დაუხევიათ, ხოლო დანარჩენებს კი ხოცავდნენ და

ატყვევებდნენ. სიცოცხლის კვალი აღარ ეტყობოდა იმ მიდამოებს (Алкадари 1929,70). სურხაი ხანი ნადერ შაჰს დამორჩილდა. ნადერ შაჰი ჯერ ცივად შეხვდა მას თავის ბანაკში, თუმცა შემდეგ საპატიო ხალათით დააჯილდოვა (Калушкин 1742, 282, 1741). მალევე დამორჩილდნენ შაჰს უცმი და სურხაი ხანის შვილებიც. ი. კალუშკინის ცნობების მიხედვით (1741 წლის 29 აგვისტოს რელაცია), რამდენიმე უუნარო სოფელი დაიმორჩილა ნადერ შაჰმა, მაგრამ დანარჩენებისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ერთ-ერთი ასეთი სოფელი, ჩვენი ბანაკიდან 15 კილომეტრში მდებარეობდა და მიუხედავად სპარსელების დამცინავი ქილიკისა, დამსახურებულად მოიხვეჭა სახელი. კალუშკინის ცნობის მიხედვით, ამ სოფელში მხოლოდ 600 ადამიანს შეეძლო თოფის გამოყენება, ხოლო მათ წინააღმდეგ იბრძოდა ათასკაციანი რაზმი და სათადარიგო შემადგენლობის 7000-კაციანი რაზმი. შეტაკებები მათ შორის ათი დღე გრძელდებოდა და ირანელები საკმაოდ დიდი დანაკარგით იხევდნენ უკან. მამაკაცებთან ერთად, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, წერს კალუშკინი, იბრძოდნენ ქალებიც, რომლებიც მოულოდნელად დასხმიან თავს ყიზილბაშებს. ამ შეტაკებაში შაჰის ჯარის რჩეულთა რაზმის მარცხს ისე დაუბნევია მეომრები, რომ თურმე სანგრებიდან აღარ გამოდიოდნენ. მეორე დღეს მოსახლეობამ დატოვა დაცარიელებული სოფელი და მთებში გაიხიზნა, ისინი ყოველ ღამე ესხმოდნენ თავს ბანაკს, იტაცებდნენ ცხენებს; ხშირად თავიანთ სოფლებში ჩამოსულები, საკუთარი ყანიდან ესროდნენ თოფიდან მტერს. ნადერ შაჰმა სურხაი ხანსა და უცმის ჯარის შეგროვება მოთხოვა. მოთხოვა, ასევე, სურსათ-სანოვაგე და ათასი კაცი, რომლებიც ირანში უნდა გადაესახლებინა. კალუშკინი წერს, რომ ეს იყო მოკრძალებული მოთხოვნები შაჰის მხრიდან, რათა არ გაბრაზებულიყო მთიელი ხალხი. თუმცა, ვერც ეს მოთხოვნები დაუკმაყოფილეს ნადერს. 1741 წლის 8 ნოემბერს, წერს კალუშკინი, შაჰის ბანაკში სურხაი ხანი მოვიდა თავისი რაზმით (400 ქვეითი ჯარისკაცით) და მოახსენა შაჰს, რომ მეტი ძალაუფლება მას (სურხაი ხანს) არ გააჩნია, ხოლო მისი შვილების ადგილ-სამყოფელი არც კი იცის (Калушкин 1742, 375-76-77).

1741 წლის შემოდგომაზე ნადერ შაჰმა ავარიაში გაილაშქრა. ისტორიკოსები წერენ, რომ ავარიის ლაშქრობა და, საერთოდ, დაღესტნის კამპანია მეტად არაპოპულარული იყო ნადერის მეომრებისთვის. ავარიის მთები მიუდგომელი იყო, შემოდგომაზე იქ უკვე საშინელი უამინდობა იცოდა და ამის გამო ხშირად გაისმოდა ხოლმე შაჰის ჯარში გამოთქმული პრეტენზიები. ავრიელ უცმის საკმაო წინააღმდეგობა გაუწევია ნადერის ჯარებისთვის.

1741 წლის 21 სექტემბრის რელაციაში კალუშკინი ავარელების წინააღმდეგ წარმოებულ წარუმატებელ სამხედრო ქმედებებზე გვიყვება. ვიწრო მთებში გამართული ბრძოლების შედეგად ბევრი ადამიანი დაიღუპა. ავარებს სხვადასხვა ტომები ეხმარებოდნენ. იბრძოდნენ ქალები, მოხუცები, ბავშვებიც კი. ნადერ შაჰის ჯარი სასტიკად დამარცხდა და უკუიქცა (Таман 1953, 180-82-83). შაჰი იყენებდა ყველა გზას (მოსყიდვა, შეპირებები), რათა დაემორჩილებინა ავარელები, მაგრამ ამაოდ. ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ ხშირად ნადერ შაჰი იძულებული იყო, უკან დაეხია. ავარელები ქვებს უშენდნენ მათ მთებიდან და განუწყვეტლივ აცხრებოდნენ თავს. წვიმის გამო ირანელების ფითილიანი თოფები მწყობრიდან გამოვიდა და ისინი ფაქტიურად შეუიარაღებლებიც დარჩნენ. მთიელებს კი კაჟის თოფები ჰქონდათ და ირანელები მათ სამიზნედ იქცნენ. უცმი ნადერ შაჰს წერდა, რომ დაეტოვებინა დაღესტნის საზღვრები, ასევე წერდა: „შორიდან ძალიან გვეშინოდა შენი, მაგრამ ახლა, როცა თავად გიხილეთ, არც ისეთი საშიში ყოფილხარ, რომ შენთან გამკლავება ვერ შევძლოთ.“ 28 სექტემბრის რელაციაში კალუშკინი წერს: „დაღესტნელთა ამგვარი სიმამაცის და ირანელების მარცხების შემხედვარე ნადერ შაჰი სიმწრისგან ტირის ხოლმე, ხშირად, ღამეში ორჯერ, ან სამჯერ ქალების კარვიდან გამოსული, რამდენიმე საათით თავის კარავში ჯდება და თუ ვინმე თვალში არ მოუვა, თავისთან იხმობს და უმიზეზოდ დასჯის სიკვდილით. გაუჩერებლად ყვირის.“ (Калушкин 1742-47, 409).

„მირზა მაჰდი ხან ასტრახადისა და მოჰამად ქაზემის აზრით, ნადერ შაჰის ფსიქიკური აშლილობა გამოიწვია მისსავე ბრძანებამ, დაებრძავებინათ მისი ვაჟიშვილი. (Avery 2008, 53) აჰმად შაჰ დურანის მსახური მაჰმუდ ალ ჰოსეინი ნადერ



შაჰის ჭკუიდან შეშლის სხვა მიზეზებსაც ასახელებს. ესენია: დაღესტანში დამარცხება და დაღესტნელების მისი ძმის – იბრაჰიმის მოკვლა. ფაქტია, რომ ამ სამმა მემკვიდრემ აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი ის ბოლო წლების საშინელებები, რამაც გამოიწვა ამ უდიდესი პიროვნების ფსიქიკური აშლილობა“ (Avery 2008, 53-4).

„ნადირ შაჰის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ყველაზე ეჭვიანობა იყო. ეჭვიმტანილებში ის მტრებს ეძებდა. მოწინააღმდეგეთა რიგებში ირანის მბრძანებელი საგანგებოდ თესავდა შულსა და განხეთქილებას და მათ სამკვდროდ გადაკიდებდა ხოლმე“ (კუცია 2002, 132; Shabani 1977, 139).

„უნაყოფო სწრაფვამ დიდებისკენ ნადერი გააბოროტა და მოძალადედ აქცია. მისი ამგვარი საქციელი, ირგვლივ მყოფებმა სიგიჟეს მიაწერეს. ნადერი თავიდანვე უნდა მიმხვდარიყო, თუ როგორ ისმობოდა მისი მასშტაბური ამბიციები, რამაც იგი სასოწარკვეთაში ჩააგდო და ჭკუიდან შეშალა. მისი ძალისხმევა არაფრისმომტანი აღმოჩნდა“ (Avery 2008, 54).

ნადერს დაღესტანში 52 000 მეომარი ჰყავდა, მაგრამ ამ ბრძოლის შემდეგ 27 ათასი დარჩა და, ისიც, უმეტესობა დაჭრილი და დაავადებული იყო.

მეტად საინტერესოდ აქვს განხილული დაღესტნელთა ჯარის მდგომარეობა ტიმურლან აიტბეროვს. იგი აღნიშნავს, რომ ნადერ შაჰის ჯარებთან შეტაკებების, ბრძოლების დროს მოპოვებული გამარჯვებები არა მხოლოდ დაღესტნელი ხალხის სიმამაცით და თავდადებითაა მოპოვებული, არამედ მათი სამხედრო მზადყოფნით. XVIII საუკუნის I ნახევარში დაღესტანში არსებობს სამხედრო ორგანიზაციები. თუნდაც ის ფაქტი, რომ XV საუკუნეში დაღესტნელებმა შეძლეს შეევიწროვებინათ საქართველო, რომლის ჯარიც დიდი სახელით სარგებლობდა აღმოსავლეთში, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ დაღესტანში სამხედრო ორგანიზება არსებობდა. აიტბეროვი აღნიშნავს, რომ ებრაჰიმ ხანის 30 000-კაციანი ლაშქრის განადგურება (1738 წ.) მხოლოდ „ველური ტალღით“ ვერ მოხერხდებოდა. როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები დაღესტნელები XVIII ს-ის პირველ ნახევარში ფლობდნენ საკმაოდ ეფექტურ საბრძოლო ორგანიზებას, რომელიც მოიცავდა მომზადების

სხვადასხვა სისტემას – ცალკეულ მეომრების, მთის ოფიცრებისა თუ სარდლების (Аитберов 2011, 67).

1741 წლის ოქტომბერს ნადერ შაჰმა მეორე ლაშქრობა წამოიწყო ავარიაში. მისი ჯარი საკმაოდ დაშინებული იყო ლეკებისგან და მარცხს მარცხზე განიცდიდა. თავად ნადერ შაჰი კი თურმე თავის მხედართმთავრებს ეუბნებოდა, რომ ისინი არაფრად ვარგიან და ლეკების წინააღმდეგ ვერაფერს გახდებიან. ასეთ ვითარებაში “შაჰი თავის სიმამაცეს სოფლების გაპარტახებაში გამოხატავს, სადაც ვრცელდება მისი ძლევამოსილი ხმალი ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე”. იგივე წყარო მოგვითხრობს, რომ ამ სოფლებში დამალული 12 დავრდომილი უხუცესი ნადერის ბრძანებით ნაწილებად დაჩეხეს (Калушкин 1742-47, 468). როგორც ცნობილია, ნადერ შაჰმა ვერ მოიკიდა ფეხი ამ სოფლებში, რადგანაც მის ჯარს ხელს უშლიდა გაუსაძლისი შიმშილი, ასევე, გადაუღებელი წვიმა, ხოლო მთიელი ხალხი მას არ ასვენებდა, ისინი გაუთავებლად ესხმოდნენ შაჰის ჯარს თავს ღამ-ღამობით, არბევდნენ მათ, იტაცებდნენ ცხენებს. ნადერის დაღესტნის ექსპედიციამ დიდი დანაკლისი განიცადა პირველივე წელს. ოქსუორთი წერს: „ნადერ შაჰის მცდელობა, დაემორჩილებინდა დაღესტანი წარუმატებელი აღმოჩნდა; მსგავსად ზემოხსენებული ისტორიკოსებისა, იგი ასევე მოგვითხრობს დაღესტნელების მამაცი, თავგანწირული ბრძოლის შესახებ ნადერ შაჰის ჯარების წინააღმდეგ. „ენციკლოპედია ირანიკაში“ ერნესტ ტაკერი ნადერის 1741-1742 წლების შეჭრას დაღესტანში ახასიათებს როგორც „უტოპიურ და უსაფუძვლო მოქმედებას, მაგრამ ეს ასე არ არის. მარიონეტმა ტომებმა, რომელთა დასჯაც მან განიზრახა, უარყვეს ნადერის ხელისუფლება და მოკლეს მისი ძმა იბრაჰიმი. ნადერის მსგავსი არც ერთი ავტოკრატიული ლიდერი თავს უფლებას არ მისცემდა, დაეშვა აჯანყება მისი ხელისუფლების უარსაყოფად და რეპუტაციის შესალახად“ (Axworthy 2018, 55).

„კავკასიის რეგიონი ნადერ შაჰისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ზუსტად აქ, კავკასიის (განსაკუთრებით დაღესტნის) მთებსა და ხეობებში განადგურდა ამპარტავანი დამპყრობლის ნარჩევი ჯარები, რომლებმაც სისხლისმღვრელი

ბრძოლებით დიდებასა და წარმატებას მიაღწიეს ავღანეთში, ინდოეთში, ცენტრალურ აზიაში, ოსმალეთში”, – წერს სოტავოვი და აქვე აღნიშნავს, რომ ნადერ შაჰმა დაღესტნელთა თავგანწირვის შედეგად იმდენად დიდი დანაკარგი განიცადა, რომ ვერც კი შეძლო შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება. (Сотавов, 2013, 10)

1741 წლის 30 ნოემბრის რელაციაში კალუშკინი წერდა ნადერ შაჰზე: „დაღესტნის მიერ მოყენებული დარტყმებიც რომ მოიშუშოს და შეძლოს ისეთი მრავალრიცხოვანი ჯარის აღდგენაც კი, როგორც მას აქამდე ჰყავდა, რაშიც ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, იქამდე მაინც ვერ აღიდგენს ის იმ ძველ დიდებას, სანამ მისი ჯარი არ დაგვანახებს ამას საქმით.” (Калушкин 1742-47, 375-76). დაღესტნელები კი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ. კარაყაითაყელებმა ერთ ხანს ავარიის უცმისთანაც დააპირეს გაერთიანება, თუმცა ამას დიდთოვლობამ შეუშალა ხელი და ვერ სთხოვეს ამ უკანასკნელს დახმარება. სურხაი ხანმა კი, რომელიც შაჰს ჩაბარდა, მთიელთა დიდი რისხვა გამოწვია. ჯერ კიდევ 1741 წლის სექტემბერში კალუშკინი იტყობინებოდა, რომ სურხაი ხანი დერბენდთან არსებულ შაჰის ბანაკში გამოცხადდა, რადგან ქალაქში დარჩენას ვეღარ ბედავდა, იმის გამო, რომ მთიელები მასზე განრისხებულები იყვნენ (Калушкин 1742-47, 420). შაჰს უკვე აღარ ჰქონდა იმის იმედი, რომ მთიელებს სძლევდა და, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ცდილობდა იგი დაღესტნელი დიდებულების მოსყიდვას, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ გამოუღია, შაჰმა მაინც ვერ დაიმორჩილა მთიელი ხალხი. „სადაც არ უნდა წავიდეს ნადერ შაჰი, წარმატებას ვერსად ვერ აღწევს“, – წერდა ბრატიშევი. 1741 წლის 7 ნოემბრის რელაციაში კალუშკინი ასევე აღნიშნავდა, რომ ნადერ შაჰი უცმის გადმობირების იმედს არ კარგავდა. იგი მას განსაკუთრებულ შეწყალებას ჰპირდებოდა. ისეთს, როგორც მან გამოამჟღავნა დიდ მოგოლთა და ბუხარის ემირისადმი, მაგრამ შაჰის მაცნეებს უცმისთვის ეს წერილი ვერ გადაუციათ, რადგან ვერ გაიგეს, თუ სად იმალებოდა ეს უკანასკნელი (Калушкин 1742-47, 477-78).

1742 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის წარუმატებელმა ოპერაციებმა შაჰი დაარწმუნა, რომ სჯობდა, ეს უდრეკი ხალხი მოფერებით დაეყოლიებინა. მან სურხაი

ხანი და შამხალი ავარიაში გაგზავნა, რომლებსაც სურხაის შვილი და დანარჩენი უხუცესები უნდა დაერწმუნებინათ, დამორჩილებოდნენ ნადერ შაჰს და არავითარი ხარკის გადახდა არ მოუწევდათ. ასევე, მათ უნდა დაერწმუნებინათ ავარიელი უცმი, რომ შაჰს არ სურდა მათ ტერიტორიებზე შეჭრა, პირიქით, იგი (ნადერი) საერთოდ დატოვებდა დალესტანს, თუკი მას მძევლებს გაატანდნენ. სურხაის შუამდგომლობამ ვერ გამოიღო შედეგი. სურხაი ხანისათვის შვილს უთქვამს, რომ აზრადაც არ მოსდის, შაჰს დანებდეს. უარი მიიღეს ასევე ავარელი უცმისგანაც, უარი თქვეს ავარელებმა მძევლების გაცემაზეც და დაამატეს, რომ არასდროს თავად მტრულად არ უმოქმედიათ სპარსელებთან, არც ახლა არა აქვთ სურვილი ამისა, მათ სურთ იყვნენ თავიანთ სახლებში და თუკი ამის საშუალებას არ მისცემენ სპარსელები, თავს იქამდე დაიცავენ, ვიდრე სპარსელთა თავხედობას საკმარისად არ გასცემენ პასუხს (Арунова 1958, 199-200).

მიუხედავად იმისა, რომ 1742 წლის დასასრულს, მრავალი ბრძოლის შემდეგ, ნადერ შაჰი კუმუხს, ყაითაყსა და ტაბასარანს დაეუფლა, რის შედეგადაც ხალხი ავარიისკენ იძროდა, მაინც ვერ დაიმორჩილა მან ზემოჩამოთვლილი მიწების ხალხები, ისევე, როგორც ავარია და სხვა დანარჩენი ტომები. დალესტანის ლაშქრობებმა ნადერ შაჰის ჯარი, მეომრები მორალურად გატეხა.

„ირან ხარაბ“ (ირანის გაფუჭება) – ესაა ცნობილი სახელწოდება, რომელიც შეერქვა ნადერ შაჰის ჯარების ბანაკს. ლერხი, რომელიც თან ახლდა გოლიცინის საელჩოს, დერბენდთან განლაგებული შაჰის ჯარის შესახებ წერდა: „მე უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვით შაჰის ჯარის სავალალო მდგომარეობის შესახებ.“ იგი წერს, რომ ბანაკში წესრიგი არ არსებობდა, ჯარისკაცებს ეცვათ საკმაოდ ხალვათად, არ ჰქონდათ თბილი სამოსი (ფეხსაცმელი და ქურთუკები), დადიოდნენ ჩამოძონძილები და ხშირად თოვლში შიშველი ფეხითაც კი უწევდათ სიარული. ისინი, ვისაც ოდნავ მაინც ჰქონდა რამის შესაძლებლობა, საელჩოს თანმხლები კაზაკებისგან ყიდულობდნენ ნაბდებს. კარვები, რომლებშიც მეომრები ანთებდნენ ცეცხლს, გაჭვარტლული და დაფლეთილი იყო. ცხრა თვე გასულიყო მას მერე, რაც ჯარისკაცებს ჯამაგირი არ

მიეღოთ და უკიდურესად დამშეულები რუსებს სთხოვდნენ პურს. ჯარი შიმშილობდა და ვინაიდან სხვა სახის ხორცი არსად არ მოიძებნებოდა, ჯარისკაცები ცხენის ძვლებსაც კი ხრავდნენ (Lerch 1776, 292-93).

დაღესტანში ბრძოლების შედეგად ნადერ შაჰის ჯარის დაუძლურებისა და მორალურად გატეხვის, მათ რიგებში ავადმყოფობის გავრცელების, შიმშილის შესახებ მრავალი ისტორიკოსი მოგვითხრობს. არუნოვა და აშრაფიანი წერენ, რომ დაღესტნის ხალხების განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, მარცხმა, რომელიც მათ ნადერ შაჰს აწვნიეს, გატეხა შაჰის სახელმწიფო სამხედრო ძალა. მრავალწლიანმა წარუმატებელმა მცდელობამ დაღესტნელი ხალხის დამორჩილებისა, გამოიწვია შაჰის ჯარის დაშლა, მისი ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება, ბოლო მოუღო ლეგენდებს შაჰის უძლევლობის შესახებ, გააღვივა სახელმწიფოში შიდა დაპირისპირებები, არეულობა. ამ ყველაფერმა დიდი როლი ითამაშა ნადერ შაჰის იმპერიის დასუსტება-დაშლაში (Арунова 1958, 204).

საერთო ჯამში, ნადერის დაღესტანში დამარცხების არაერთი მიზეზი შეიძლება ჩამოითვალოს: მოუმზადებლობა; სრულიად უცხო გარემო; უამინდობა; არასწორი პოლიტიკის გატარება ადგილობრივი ხალხის მიმართ; ძლიერი საყრდენის არარსებობა; დაავადების გავრცელება ჯარში; ასევე, ჯარის დაუძლურება, შიმშილი და დემორალიზება, რისი შედეგიც გახდა საბრძოლო სულისკვეთების უკიდურესად დაქვეითება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნადერ შაჰი არავითარ შემთხვევაში არ შეეგუებოდა ბედს, რადგან ეს მის დიად ამბიციებზე უარის თქმის ტოლფასი იყო, მაგრამ ზუსტად ამ დროს მოხდა მისი მორალურად გატეხვა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მარცხი. რა თქმა უნდა, დაღესტნელი ხალხის უდრეკობის უარყოფა არ შეიძლება, თუმცა, ჩვენი აზრით, თანამედროვე ჩრდილო-კავკასიურ ისტორიოგრაფიაში მკვლევრები იმეორებენ ისტორიის იდეოლოგიზაციით განპირობებულ პოსტულატებს და ხშირად აქცენტს მთლიანად დაღესტნის ხალხის გამირულ და უთანასწორო ბრძოლაზე გადააქვთ.

### 3.2. ნადერ შაჰი და საქართველო

ზემოთ უკვე შევხეთ ნადერ შაჰისა და ერეკლეს ურთიერთობის ერთ-ერთ მონაკვეთს, სადაც აქცენტირებულია საქართველოს მიმართ გატარებული რელიგიის პოლიტიკა ნადერ შაჰის მმართველობის დროს მიუზღრუნდებით იგივე პერიოდს შაჰის, თეიმურაზისა და ერეკლეს ურთიერთობიდან და ყურადღებას გავამახვილეთ ნადერ შაჰის ლაშქრობების, კავკასიური პოლიტიკის უფრო ფართოდ გაშუქებაზე.

1735 წელს, ნადერ შაჰმა, რომელიც იმყოფებოდა სომხეთში, მეფე თეიმურაზ II-სა და ქართლ-კახეთის დიდებულებს უხმო. ზოგი დააპატიმრა, ქართ-კახეთის მმართველად კი ალექსანდე, იგივე ალი მირზა (თეიმურაზ II-ს ძმისშვილი) დასვა. გამუსლიმებული ალექსანდრეს აღმოსავლეთ საქართველოში მმართველად განწესება მიესადაგებოდა სეფიანთა პოლიტიკის ჩარჩოებს, თუმცა შემდგომ ვითარება შეიცვალა.

პაპუნა ორბელიანის თხზულებაში “ამბავნი ქართლისანი” მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი თავადის, გივი ამილახორის 1742 წლის აჯანყებას. აქ ვრცლადაა განხილული მისი კავშირი ლეკებთან და ოსმალებთან, ასევე მეფე თეიმურაზისა და ყიზილბაშების ერთიანი დაპირისპირება აჯანყებული ქართველი თავადების წინააღმდეგ.

მინდა ყურადღება გავამახვილო იმ კონკრეტულ ცნობაზე, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი, თუ როგორ განუდგა გივი ამილახორი მეფეს და, ამავდროულად, ცხადია, ნადერ შაჰსაც.

„ამა ამბავთა შინა, თვესა აპრილსა, ღამესა ბზობისასა, ქალაქიდან ღამე გაიპარა გივი ამილახორი, რომელი იჯდა ვექილად, წავიდა თავისი ცოლ-შვილით და თან გაიტანა პაატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთვისშვილის ცოლი. პაატა აბაშიძე და ზოგი ვინმე თავადნი ზემო ქართლისანი ამავ ბზობის ღამეს გამოიპარნენ იორის პირიდან, რომელნი ახლდენ ჯარად ხანსა ქართლისასა და მივიდნენ ამილახორთან“ (ორბელიანი, 1981, 53). როდესაც გივი ამილახორი მცხეთაში მისულა, ხიდი

ჩავარდნილი დახვედრია, არაგვის ერისთავ ბეჟანს მისთვის ნავები დაუხვედრებია და უვნებლად მისულან დუშეთში. შემდეგ კი ამილახორმა „შემოიყარა ქსნისა და არაგვის ხევისა კაცნი, მისცა მისაცემელი და გამოართვა ფიცი და იერთგულა, ყოველნი თავადნი ზემო ქართლისანი გაიერთა“. როდესაც ეს ამბავი ნადერ შაჰს მოახსენეს, მან გივი ამილახორს ჯერ მიზეზი ჰკითხა ამგვარი საქციელის და როდესაც პასუხად მიიღო : „ქვეყანა ოხერი შეიქნა და არა გამოდიოდის რაო. ველარ შევძელ სამსახური ხელმწიფისა და წაველიო“, მერე კი არა ერთხელ შეუთვალა, რომ მიუტევებდა შეცდომებს, თუკი ჩამოვიდოდა „მაგრამ არა ინება და ვერას ღონისძიებით ვერ დაიმორჩილეს ამილახორი“ (ორბელიანი,1981,53). „მოვიდა ბრძანება ხელმწიფისა, ებრძანა ქართლის ხანისათვის ამილახორზე გალაშქრება“ (ორბელიანი 1981, 55).

შემდეგში, ამილახორმა კავშირი დაამყარა ოსმალეთთან, ასევე სანკტ-პეტერბურგის სამეფო კართან. თავიდან ამ აჯანყებას ჰქონდა გარკვეული წარმატებები, თუმცა ბოლომდე ასე არ გაგრძელებულა.

1745 წელს, სურამის ციხეში ჩაკეტილი ამილახორი, ხუთთვიანი ალყის შემდეგ, თეიმურაზ II-ის ცოლს, თამარს ჩაბარდა. თეიმურაზმა იგი ნადერ შაჰს გაუგზავნა.

პაპუნა ორბელიანის თხზულებაში ვკითხულობთ:

„უგზავნიდნენ ამილახორს კაცს და ეპატიჟებოდნენ გამოსვლასა ციხიდან, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, ცოტა რამ ლეკიც ჰყვანდა ციხეში და ციხეც კარგად გაწყობილი ჰქონდათ სანოვაგითა მრავლითა და ჯაბახანითა ფრიადითა. არა ჰქონდათ ციხის ალების იმედი, იყო დღედაღამ სროლა ზარბაზანთა და ყუმბარათა, რომე კომლისაგან ციხე აღარ ჩნდის. აგრევე ესროდნენ ციხიდან ზარბაზანთა. განაწესნეს ღამით მეომარი ხუთასი მცველად გზებისა, რომე ციხიდან არავინ გაპარვოდათ“ (ორბელიანი,1981,92). (ამის შემდეგ კვლავ შეუთვალა ნადერ შაჰმა ამილახორს, რომ არაფერს დაუშავებდა, თუკი გამოვიდოდა ის ციხიდან, მაგრამ ამილახორმა მისთვის დამახასიათებელი მორიგი ტყუილით ჯერ თითქოსდა დანებება სცადა, ხოლო შემდეგ კვლავ გაამაგრა ციხე). მაშინ შაჰმა გამოუშვა „სამი დიდი კაცი თვისის დიდებულის კარისა“ და თან უბრძანა მათ: „ვითაც ჩემთვის, ეგრე თეიმურაზ ხანს ემორჩილენითო და იმის

ბრძანების მაყურებელი იყავითო (ორბელიანი 1981, 94). შაჰს ასევე მხატვარიც გამოუგზავნია, რომლისთვისაც სურამის ციხის დახატვა უბრძანებია. დახატეს ციხე და გაუგზავნეს ნადერ შაჰს. ნადერმა ასეთი ბრძანება გასცა: „მაგ ციხეს იმრგვლივ ასეთი გალავანი შემოავლევითო, რომ კაცს გარდასვლა არ შეეძლოსო და გარს ამ გალავანს ჯარი შემოუყენოთო და თქვენ ჩამოეცალენითო. ეგ სანამდის იყოსო, რომ თითონვე შემოიხვეწიოსო“ (ორბელიანი 1981, 94). „მისცეს სურამის ციხეს ერთი ნაღმი და ვერა ავნო რა, მისცეს მეორე ნაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია, ბევრიც ავნო მყოფთა ციხისათა. ამა ამბავზე დაუწყო ლაპარაკი გივმა ამილახორმა და შემოუკვეთა: „ბატონი დედოფალი მობრძანდესო და იმას მოვენდობიო“ წაბრძანდა დედოფალი თამარ და მიბრძანდა სურამს, მაშინვე გამოვიდა ამილახორი გივი და იახლა ბატონ დედოფალს, მოართვა ძელი ჭემმარიტი და თავისის საქონლის დავთარი, ფიცი, რომ „თქვენი მოღალატე აღარ ვიყო“. მისცეს ბატონებმაც პირი, რომ „არაფერი არც წახდენითა და არც სიკვდილით არ დაგიშავდეს რაო.“ მოართვა ციხე სურამისა და წამობრძანდა ბატონი დედოფალი ქალაქს და თან წამოიყვანა ამილახორი გივი“ (ორბელიანი 1981,97).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნადერ შაჰმა მეფე თეიმურაზისა და დედოფალი თამარის ხატრით შეუნდო გივი ამილახორს და ასეთი რაყამი გამოგზავნა თეიმურაზთან: „ჩემის დოვლათის მონახევრე შენა ხარო, ყოველჟამ ჩემის უხვის მოწყალების მოიმედე იყავიო. ამილახორის სისხლი შენთვის გვიპატიებიაო“ (ორბელიანი 1981, 97). თეიმურაზმა და თამარმა გაიხარეს ჯერ ამ ამბის გამო, ხოლო შემდეგ, იმ მიზეზითაც, რომ „ამისთანა რაყამი არას ქვეყნის მეპატრონესა და ბეგლარ-ბეგს არ მოუვიდეს“ (ორბელიანი 1981, 98).

პაპუნა ორბელიანის თხზულების ამ კონკრეტული მონაკვეთებიდან კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება ნადერ შაჰისა და თეიმურაზ II- ის მყარი პოლიტიკური და, ხშირად, პირადი ახლო ურთიერთობები. იკვეთება ასევე მეფე თეიმურაზის პოზიცია გივი ამილახორისა და მისი თანამოაზრეების აჯანყებასთან დაკავშირებით: მაშინ, როდესაც ნადერ შაჰის მრავალათასიანი ლაშქარი დაღესტანში იბრძოდა და



ობიექტურად ქართლისა და კახეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, რადგან დალესტნის ფეოდალური არისტოკრატია იმ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს წინააღმდეგ პერმანენტულ ომს აწარმოებდა, სწორად ამიტომაც ამილახორის აჯანყება ნაკლებად ეხმაურებოდა თეიმურაზ II-ის მიერ სწორად გათვლილ პოლიტიკურ სვლებს. აქედან გამომდინარე, მეფე თეიმურაზის სწორმა და რაციონალურმა ქმედებებმა ზემოხსენებული აჯანყებასთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო გაამყარა ნადერ შაჰის ნდობა თეიმურაზისადმი და ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, შაჰის გადაწყვეტილება, 1745 წელს „ყიზილბაშობა“ „ქართველობით“ შეეცვლა და თეიმურაზისთვის დაერთო ნება, რომ ქრისტიანული წესით კურთხეულიყო მეფედ, გარკვეული პოლიტიკური კომპრომისი უფროა, ვიდრე აჯანყებულთა მხრიდან ნადერ შაჰის იძულება, უკან დაეხია, როგორც ამას არაერთი ქართველი და რუსი ისტორიკოსი აღნიშნავს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, რიგ მკვლევრებთან, ირან-საქართველოს ურთიერთობებში ამ ცვლილებების შესახებ პირველწყაროების მონაცემები ძირითადად ინტერპრეტირებულია, როგორც ქართველების ბრძოლის შედეგი და აღქმულია, როგორც ქართველთა გამარჯვების გამოხატულება. ამგვარ ცალმხრივ მიდგომას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული დისკურსი განაპირობებდა („ჩაგრულის“ გამარჯვება „მჩაგვრელზე“). სინამდვილეში, ნადერ შაჰის „ტოლერანტულ“, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, რელიგიურ პოლიტიკასაც არაერთი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორისაა ნადერის მჭიდრო კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს ქართველ მთავრებთან; სეფიანთა პოლიტიკის გაგრძელების შეუძლებლობა (რაც მე-18 საუკუნის დასაწყისიდან თვალსაჩინო გახდა); ნადერ შაჰის ზოგადად პრაგმატული დამოკიდებულება რელიგიის მიმართ.

1745 წლის პირველ ოქტომბერს თეიმურაზი ძველი ქართული წესით ქართლის მეფედ ეკურთხა. ახდა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ნატვრა – ტახტზე ქრისტიანი ერეკლე დაჯდა და „ქართველობა შეიქნა“ (მეგრულად 1973, 454). ეს მოვლენა უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიაში და ამის მოპოვება,

თავისთავად არაა ადვილი საქმე. თუმცა, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ წინადადებაზე, რაც ამას ერთვის: „მაგრამ ეს ნადირ-შაჰის წყალობა როდი იყო. ეს იყო ქართველთა ასორმოდდაათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება.“ ( ბერძენიშვილი 1973, 337)

მაგალითად: მ. არუნოვა და კ. აშრაფიანი წერენ: “საქართველოში, ათი წლის განმავლობაში (1735-1744) მიმდინარეობდა სერიოზული აჯანყებები, რამაც აიძულა ნადირ შაჰი, უარი ეთქვა, რომ საქართველო თავის პროვინციად ექცია”. (Арунова,1958,187); „გივი ამილახორის ბრძოლას, პირველ პერიოდში მაინც, ვიდრე იგი ოსმალთა ჯარებს მოიშველიებდა, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ძლიერი თავადი აიძულებდა მრისხანე დამპყრობელს, ქართლ-კახეთის მიმართ დათმობაზე წასულიყო და ხელს უწყობდა თეიმურაზის პოლიტიკის წარმატებას, რასაც შედეგად ქართლისა და კახეთის პოლიტიკური გაერთიანება მოსდევდა” (ნარკვევები 1973,603); „ისე როგორც შაჰ-აბასმა, ვერც ნადირმა შეასრულა განაზრახი. ბედის ამდენი უკუღმართობის მიუხედავად ქართველ ხალხს მაინც აღმოაჩნდა საკმაო წინააღმდეგობის უნარი დამპყრობლის ამ გაბედული გეგმის ჩასაშლელად“ (ბერძენიშვილი 1973, 323); „ნადირ შაჰმა, ამრიგად, დიდად შეცვალა საქართველოს მიმართ შაჰ აბასის პოლიტიკური ხაზი. ქართლი ძველ საზღვრებში აღდგა. ქართველთა გამაჰმადიანების პოლიტიკაც უარყოფილ იქნა, მაგრამ ეს ნადირ-შაჰის წყალობა როდი იყო. ეს იყო ქართველთა ასორმოდდაათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება“ (ბერძენიშვილი 1973, 337); „ქართლის აჯანყების მეთაური თავადები დამარცხდნენ და დაისაჯნენ, მაგრამ ამით ქართლის ბრძოლა არ დამთავრებულა, პირიქით, აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირ შაჰი, სავსებით უარყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და „ყიზილბაშობა“ აქ თანდათან „ქართველობით“ შეეცვალა“ (ბერძენიშვილი 1973, 337); საქართველოს ისტორიის ნარკვევებში ვკითხლობთ: „ირანელებმა და ქართველთა ლაშქარმა ერთად აიღეს ქსნის საერისთავო, ააოხრეს იგი და აჯანყების ერთი ძლიერი კერა მოშალეს. ნადირ შაჰმა ქართლის თავადებს სახელოები უბოძა და ჯამაგირებიც

გაუჩინა, მაგრამ ქართველთა გულის მოგება არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ნადირ შაჰი ფიქრობდა (დუმბაძე 1973, 452). „ყიზილბაშები ხელოვნურად აღვივებდნენ მტრობას ქართველ თავადებს შორის“ (დუმბაძე 1973, 452); „ნადირ შაჰის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისას გივი ამილახორი ქართლში ოსმალთა შემოყვანას არ ჰფიქრობდა. „ოსმალბის“ სიავეკარგე მას ახლო წარსულიდან კარგად ახსოვდა, როცა ამ ამ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყებას თითონ ხელმძღვანელობდა. ამილახორი ქართლში „ქართველობის“ დაცვისთვის ებრძოდა „ოსმალბასაც“ და „ყიზილბაშობასაც“. ამ საქმეში დამხმარედ მას პეტრე ხელმწიფის მემკვიდრეები წარმოედგინა. რუსეთში ამილახორს მართლაც თავის კაცადა სთვლიდნენ, მაგრამ მისთვის აქტიური დახმარების აღმოჩენას ვერ ახერხებდნენ. ნადირ-შაჰმა კი თეიმურაზ-თამარი დაუპირისპირა ბაქარსა და ამილახორს. ერთადერთი, ვისგანაც ეხლა ამილახორს დახმარების მიღება შეეძლო, ოსმალეთი იყო და გივიც სულ უფრო და უფრო ოსმალეზზე დამოკიდებული ხდებოდა. ოსმალეთი კი ქართლის დასაპყრობად და აქ „ოსმალბის“ დასამყარებლად მოდიოდა. ასე რომ, ქართლის თავისუფლებისათვის მებრძოლი გივი (ამილახორი) მისდაუნებურად ოსმალეზის აგენტი ხდებოდა.“ (ბერძენიშვილი 1944, 207).

საინტერესოა ისტორიკოსების თვალთ ამ კუთხით დანახული წყაროც: „პაპუნა ორბელიანის წერის მანერა, სტილი გარკვეულ გეგმაზომიერებაზეა აგებული. იგი ამა თუ იმ მოვლენას ისე აგვიწერს, გადმოქცემს, მოგვითხრობს, რომ მკითხველში მტრისადმი ზიზღი, სიძულვილი გამოიწვიოს, ხოლო სამშობლოს დამცველი გმირი მკითხველს შეაყვაროს. თვით ჩვენი ავტორის განმარტებით, მან მიზნად დაისახა, დაეწერა ისეთი ისტორია, რომელიც შეასრულებდა ერთ ძირითად ამოცანას: სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის გაღვივებას ახალგაზრდობაში. ჩემი შრომის მიზანიაო, გვამცნობს პაპუნა ორბელიანი, „რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრზალნენ ქვეყანათა თვისთა სიმტკიცისათვის, ვინადგან ესე ოდენი ჭირნი და იწროებანი წარგუხდიან და იუწყებოდენ, თუ ვისგან და ვითა რომლისა მიზეზითა

იქმნეს ესე ყოფილი“ შეძლო თუ არა პაპუნა ორბელიანმა ამ კეთილშობილი მიზნის შესრულება? დიახ, შეძლო.“ (გვრიტიშვილი 1968, ტ. III, 207).

„ქართველთა გაუთავებელმა აჯანყებებმა ირანის მბრძანებელი დათმობების განწყობაზე დააყენა. მაგრამ ავტორი იქვე დასძენს: „ მან თეიმურაზს კახეთის ტახტზე დამტკიცება შესთავაზა, სამაგიეროდ კი ვაჟის, ერეკლეს და ქალიშვილის ირანში გამოძახება მოსთხოვა.“ (სამსონაძე 2012, 336);

ქართველი პროგრესული მოღვაწენი, თეიმურაზისა და თამარის მეთაურობით, ქართლის ტახტის მემკვიდრეობით მიღებისთვის იბრძოდნენ. მეფეთა ბრძოლის ენერჯიამ ყველა დაბრკოლება დაჩრდილა და 1744 წლის ივლისში ნადირ შაჰმა ქართლის ბატონობა თეიმურაზს, ხოლო კახეთის, ერეკლეს უბოძა. (სამსონაძე 2012, 341).

განსხვავებით სხვა ზემოჩამოთვლილი მკვლევრებისგან, მ. სამსონაძე უფრო მეტად „კომპრომისულ პოლიტიკაზე“ ამახვილებს ყურადღებას. „თეიმურაზისა და ერეკლეს ერთგული სამსახურით მაღლიერი ნადირი მზად იყო მათთვის ქართლის სამეფო მფლობელობაში დაემტკიცებინა, მაგრამ ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას არაერთი სერიოზული დაბრკოლება ეღობებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ჩანს, ირანის მბრძანებელი მაინცდამაინც არ ჩქარობდა ქვეშევრდომისთვის ესოდენ სასურველი „საჩუქრის“ მიძღვნას. მას ამ საკითხის გაჭიანურება სურდა, რათა პრეტენდენტი თავდადებულ სამსახურზე კიდევ უფრო წაექეზებინა. მაგრამ იყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი ობიექტური გარემოება, ქართლ-კახეთის პოლიტიკურ შეერთებას რომ ეღობებოდა. მართალია, ყიზილბაშთა ბატონობის უკანასკნელ ათ წელიწადში ქართლში არაერთი გამგებელი (ხანი) გამოიცვალა, მაგრამ ისინი ირანის ჩვეულებრივი მოხელენი იყვნენ, რომელთაც ამ სახელოს მემკვიდრეობით გადაცემის არც უფლება ჰქონდათ და არც პრეტენზია.“ (სამსონაძე 2012, 341).

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არც თუ იშვიათად, მთავარი ყურადღება ექცევა ფაქტისა თუ მოვლენის შეფასებას და არა ამა თუ ფაქტისა და მოვლენის

განმაპირობებელი ფაქტორების კვლევას. აქ უპრიანად გვეჩვენება შუა საუკუნეების მუსლიმი მოაზროვნის, იბნ ხალდუნის სიტყვების გახსენება: „ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებენ ადამიანის საქმეებზე ცვალებადი პირობები, თუ როგორ მოვიდნენ გარკვეული დინასტიები, რათა დაეპყროთ უფრო ფართო სივრცე მსოფლიოში, როგორ აითვისეს მათ დედამიწა და შემდეგ როგორ დაეცნენ.“ (Ibn Khaldun 1967, 5). “ისტორია აღწერს მოვლენებს, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული საუკუნისთვის თუ რასისთვის (ხალხისთვის). რეგიონების, რასების და პერიოდების მთავარი პირობების განხილვა ქმნის ისტორიკოსის შემოქმედების საფუძვლებს.“ (Ibn Khaldun 1967, 29).

საქართველოს მიმართ ნადერ შაჰის პოლიტიკის შესახებ მსჯელობას კი დავამატებთ, რომ ეს რეალურად წარმოადგენდა არა დათმობებს ერთი თუ მეორე მხარის მიერ, არამედ ასახავდა იმ პირობებს, რომლებიც განაპირობებდა ამ პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტს და რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

### 3.3. მოჰამად ქაზემის ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნის სხვა პირველწყაროების შუქზე

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოჰამად ქაზემის თხზულებაში საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVIII საუკუნის კავკასიისა და საქართველოს შესახებ. თხზულებაში არაერთი თავი ეძღვნება კავკასიას, უმეტესად დაღესტანს, ხოლო ხუთი თავი – მხოლოდ საქართველოს.

ამ პერიოდის კავკასიისა და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ერთი და იმავე მოვლენისა თუ ფაქტების გასარკვევად, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, მეტად ფასეულია სპარსული წყაროების შესწავლა. საგულისხმოა, რომ ქართულ და სპარსულ წყაროებში დაცული არაერთი ცნობა ხშირად ურთიერთგამომრიცხავია.

ამჟამად საქართველოზე გავამახვილებთ ყურადღებას და შევჩერდებით ქაზემის თხზულების რამდენიმე მონაკვეთზე. წარმოვადგენთ ისეთი შინაარსის მქონე

ეპიზოდებსაც, როგორც არ მოიძიება ქართველ თუ უცხოელ სხვა თანამედროვე მემატანეებთან. რამდენადაც ქაზემის თხზულებაში აღწერილია ნადერ შაჰის აღზევების წინა პერიოდიც და ის არაერთი საინტერესო ცნობას შეიცავს ირან-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების შესახებ, საჭიროდ ჩავთვალეთ არ შემოვფარგლილიყავით მხოლოდ ნადერ შაჰის ეპოქით და წარგმოგვედგინა ამ ავტორის თხზულებაში არსებული ინფორმაციის ანალიზი წინარე პერიოდთან დაკავშირებითაც.

მოჰამად ქაზემის „აღემ არა- იე ნადერიში“ საინტერესო ცნობებია ქართლის მეფე გიორგი XI-თან დაკავშირებით. საჭიროდ ჩავთვალეთ, სეფიანთა სახელმწიფოს განადგურების წინა პერიოდში მიმდინარე მოვლენების განხილვაც, რაც გარკვეულწილად უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მომავალში ნადერ შაჰის პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტს. ასევე მიგვაჩნია, რომ მოჰამად ქაზემის ცნობების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და მათი ანალიზი ამდიდრებს ნაშრომს.

მოჰამად ქაზემი, ქართველი მემატანეებისგან განსხვავებით, გიორგი XI-სა და ავღანელებს შორის წარმოებულ არცერთ კონკრეტულ ბრძოლას არ აგვიწერს, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ წყაროებში, რომლითაც იგი სარგებლობდა, ეს ეპიზოდები არც ყოფილიყო აღწერილი.

1703 წელს გიორგი XI-ს ქართლის ტახტი დაუბრუნეს და, ამავდროულად, ირანის სპასალარობა და ყანდაარის ოლქის ბეგლარბეგობა უბოძეს. „რა გაეწყობოდა, შეგვექნა სიხარული ქართლსა შოვნისთვის, მაგრამ ყანდაარს წასვლის მოწყენაო“, – წერს სეხნია ჩხეიძე. (ჩხეიძე 1913, 19)

1704 წელს გიორგი XI ირანის ლაშქართან ერთად ყანდაარში გაემგზავრა, ქართლში კი მეფის ჯანიშინად, ანუ მოადგილედ, ვახტანგი, ლევანის ძე დასვეს. გორგინ ხანმა ყანდაარის ამწიოკებლები დაამოშმინა. მან შეძლო მირ ვეისის ხელში ჩაგდება, იგი შებორკილი გაუგზავნა ირანის შაჰს და თან მისწერა: „ესე სოლთანი უარშიობს, უნდა არევა ამა ქვეყნისა, ნულარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე

მოახდენსო“ (ჩხეიძე 1913, 23). გიორგის გაფრთხილებას სეფიანთა კარზე ყურადღება არ მიაქცევს.

მირ ვეისმა ისარგებლა ამ შემთხვევით, იოლად მოისყიდა შაჰის კარის დიდებულები და უვნებლად დაბრუნდა ყანდაარში. შემდგომში შაჰის კარმა მირ ვეისის გიორგი XI-ის წინააღმდეგ გამოყენება გადაწყვიტა. მათთვის უკვე გიორგიც საფრთხეს წარმოადგენდა. 1709 წლის 21 აპრილს მირ ვეისმა გიორგი XI მოაკვლევინა.

უმეტეს ქართულ წყაროებში გიორგი XI-ის სიკვდილი ასეა აღწერილი:

მირ ვეისმა ჯერ, ვითომ დანათესავების მიზნით, თავისი ქალიშვილის ხელი შესთავაზა გიორგის, შემდეგ კი ნადიმზე მიიპატიჟა და იქ მოკლა. ავღანელებმა ამოხოცეს ქართველთა რაზმიც. მოკლულ გიორგის მირ ვეისმა მკერდზე ჩამოკიდებული ჯვარი მოხსნა და შაჰს გაუგზავნა, როგორც დამადასტურებელი საბუთი ქრისტიანი მეფის ღალატისა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „აჰყარა ხატნი და ჯვარნი მეფესა მირ ვეიზ და ფსალმუნნი, რომელსა იკითხვიდა ჟამსა მას, და წარმოუვლინა ყენსა მეტყველმან: ესრეთ გაცდუნებდა მეფე“. (ვახუშტი 1973, 484). სეხნია ჩხეიძე ლხინის ამბავს არ ახსენებს. იგი გიორგი XI-ის სიკვდილის სურათს ასე გვიხატავს: „უღალატა მეფეს გიორგის ყანდაარის სულთანმა მირ ვეისმა, რადგან გალაშქრებულ იყო მეფე გიორგი ყანდაარიდანმე ორს მანძილზე და ძმისწული ალექსანდრე და ქართველთა ჯარი გაუსია უკუ-მდგარსა ავღანსა. ჯარი აღარ ახლდა, მოუხდა განთიადსა, დაესხა თავსა. რა ჰსცნა მეფე მან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდსა, გაიკრა ხმაღს ხელი, როგორც დევი, ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორჭმა დიდების პატრონსა და მოკლეს, ვინცა-ვინ ქართველნი დარჩომილ იყო ამოსწყვიტეს.“ (ჩხეიძე 1913, 26)

ამ საკითხს ეხება ასევე მეჰდი ხან ასთრაბადიც და გიორგი XI-ის სიკვდილს აგვიწერს.<sup>31</sup> იგი წერს, რომ „სპარსთ სამეფოს დაცემის მიზეზი ვინმე მირ ვეიზ ყოფილა, მყოფი ყანდაარსა შინა“, ხოლო ქართლის მეფე კი გიორგი იყო, „რომლისა წინაშე

---

<sup>31</sup> ამ შემთხვევაში ვსარგებლობთ, მეჰდი ხან ასთრაბადის თხზულების დავით ბატონიშვილის ქართული თარგმანით.

იპოებოდნენ უმრავლესნი ქართველნი, რომელთაცა განეხვათ კარი უსამართლოებისა და ურცხვინოსა ქცევისა.“ ქართველების ურცხვი საქციელისგან შეწუხებული მირვეისი მიდის ყენთან და უჩივის გიორგის, შემდეგ კი მიდის ქაბაში. „და ჟამსა მას მეფე გიორგი იყო ქაქი...ად წოდებულ პროვინციაში, ამის შემდეგ კი მირვეისის მთავარ ვინმე ავღან მურად ხანს მოუკლავს იგი.“ (H2104,თავი II, მეფის გიორგის სიკვდილისათვის)

საჭიროა, გავამახვილოთ ყურადღება ირანისტი მაკარ ხუბუას ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის ძალიან მნიშვნელოვან ნაშრომზე, რომელშიც მკვლევარი განიხილავს ზუსტად ამ პერიოდის მოვლენებს, ჰანვეის ცნობებს ავღანელების, ყანდაჰარისა და მეფე გიორგი XI-ის შესახებ.<sup>32</sup> ერთმანეთს უდარებს ზემოთ უკვე ნახსენები სეხნია ჩხეიძისა და ჯონას ჰანვეის თხზულებებიდან (“An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea whith a journal of travels from London through Russia and Persia and back again through Russia, German and Holland”) ამ საკითხებთან დაკავშირებულ ეპიზოდებს.<sup>33</sup> მაკარ ხუბუა სავსებით სამართლიანად მიიჩნევს, რომ ამ ეპოქის დასახასიათებლად ირანულ-კავკასიური და, კერძოდ, ირანულ-ქართული ურთიერთობების შესახებ უცხოურ ენებზე შემონახულ პირველწყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ჯონას ჰანვეის ამ თხზულებას.

„ყანდაჰარის მდებარეობა ქმნის მას ერთგვარ გამაგრებულ ბარიერად ირანისა და ინდოეთის იმპერიათა შორის, ხოლო მისი სატახტო ადგილი ითვლება აზიის ერთერთ მთავარ ციხესიმაგრედ. ამ გარემოებებმა მიიქციეს ყურადღება შაჰაბაზისა (მეორესი), რომელმაც ორი თვის გარემოცვის შემდეგ ჩაიგდო ის 1650 წელს ხელში. ამის შემდეგ ავღანელები ერთგული რჩებოდნენ თავიანთი ახალი ბატონებისადმი (ირანელებისადმი) მისი (შაჰაბაზ II) შვილიშვილის ჰუსეინის მეფობის

<sup>32</sup> ხუბუა, მაკარ. *ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან*. მოამბე V-VI, 1940, 233-267

<sup>33</sup> სტატიაში აღნიშნულია, რომ ჰანვეის თხზულების თარგმანი ინგლისურიდან გადმოთარგმნილ იქნა ენიმკი-ს ისტორიის განყოფილების სპეციალური დაკვეთით. ამიტომ ჩვენც ამ თარგმანს მოვიხმობთ.



დასასრულამდის. სხვანაირად რომ ითქვას ისე დიდხანს, ვიდრე მათ თვლიდნენ ქვეშევრდომებად და არა მონებად. მაგრამ ირანელ გუბერნატორთა სისასტიკემ (სიმკაცრემ) და სიძუნწემ აუმღვრიეს აზრი და გონება ხალხს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ავღანელები კვლავ მზად იყვნენ ასაჯანყებლად... ამ დროს ისპაჰანში იმყოფებოდა ერთ-ერთი თავადთაგანი ბაგრატიონთა გვარისა, რომლისაგანაც წარმოსდგებოდა ბევრი მეფე საქართველოსი. გურგინ ხან, როგორც უწოდებდნენ მას, ირანელების მიერ აყვანილ იყო თვისი სამშობლო ქვეყნის (საქართველოს) ვალის თანამდებობაზე. ხოლო ის კი ცდილობდა გამოეყენებინა ეს მდგომარეობა თვისი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.“- წერს ჰანვეი. (ხუბუა 1940, 248).

ჰანვეის ცნობა გიორგი XI-ის მკვლელობის შესახებ შემდეგი სახისაა: „ამ ხანებში, როდესაც შაჰის შემავიწროვებელი პოლიტიკით გაბრაზებული, გადაღლილი ავღანელები ისფაჰანის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებას გეგმავენ, ჰანვეი წერს - „შაჰის სამეფო კარზე აღარ იცოდნენ რა ზომები მიეღოთ, რომ ისარგებლეს ამ მოულოდნელ შემთხვევით – ასე უცხად რომ გამოტყვრა და გადაწყვიტეს, გაგზავნონ ყანდაჰარში ეს პრინცი, რომლის მხნეობასა, სიმამაცეს და სხვა დადებით სამხედრო თვისებებს შეეძლოთ გაეხადათ ის საშიშ პიროვნებად სხვა პროვინციებში“ (ხუბუა 1940, 248). როგორც შემდგომ დავინახავთ, ასეც მოხდა. ჰანვეის თხზულების მიხედვითაც, გიორგის ძმა ლევანი მის (გიორგის) თანაშემწედ გაგზავნეს საქართველოში, ხოლო თვითონ გორგინ ხანი, რომელიც გარდა იმისა, რომ საქართველოს ვალი იყო, ქირმანის გუბერნატორადაც ითვლებოდა, რაც ჰანვეის აზრით საეჭვოცაა: „ეს გარემოება საეჭვოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რადგანაც საქართველო და ქირმანი შორს მდებარეობენ ურთიერთისაგან, მაგრამ ამას დაბეჯითებით ამტკიცებენ ავტორიტეტული წყაროები), დანიშნეს ყანდაჰარის გუბერნატორად და, როგორც ასეთს, მას ჰქონდა მინდობილი, – ჩაექრო ყოველგვარი შესაძლებელი არეულობანი და თვალყური ედევნებინა საზღვრების უშიშროებისათვის. ის დაუყოვნებლივ შეუდგა მინდობილი საქმის სისრულეში

მოყვანას და აჩქარებული ნაბიჯით გაემგზავრა ყანდაპარისაკენ ირანელებისაგან შემდგარი 20 000-იანი არმიით და ქართველთა რაზმით.

მარტო-ლა მისი მიახლოების ხმებმა აიძულეს უკმაყოფილონი, გაჩუმებულიყვნენ: მაგრამ ასეთმა მოულოდნელმა დაშოშმინებამ ეჭვები აღუძრა გორგინ ხანს. აღარ დაკმაყოფილდა რა იმით, რომ ქვეყნად დამყარდა სიმშვიდე, მას უნდოდა, გაეშიშვლებინა აჯანყების ფესვები. ამ მიზნით ის შეეცადა, გამოემჟღავნებინა ისინი, რომლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას წინა არეულობებში და თვისი ხასიათის სიმკაცრის შესაბამისად, დარწმუნებულმა იმაში, რომ ასეთი ადამიანები არასოდეს დამორჩილდებიან სავსებით, უკეთუ მათ მიმართ არ იქნება მიღებული უსასტიკესი ზომები, – გადასცა ისინი მთლიანად თავისი ჯარისკაცების განკარგულებაში .

ძნელია იმისი წარმოდგენა, თუ ამ ვითარებაში რანაირ სისასტიკესა და შეუბრალებლობამდე მისულა ჯარის მოქმედებანი. ჰანვეის თხზულების მიხედვით, ამგვარი სისასტიკით, ჯარისკაცების თავაშვებულობით შეწყუბებულ ავღანელებს გიორგი მეფისგან მალულად შაჰთან, ისფაჰანში დელეგაცია გაუგზავნიათ, სადაც უკვე იმყოფებოდა მირ ვეისიც. მიუხედავად დელეგაციის დიდი მცდელობისა, მიეღო ისინი შაჰს, „გუბერნატორის (გიორგის), მეგობრებმა გაიგეს რა მათი ჩამოსვლის მოტივები, ყოველგვარი ღონე იხმარეს, რაც კი მათ განკარგულებაში იყო, რომ არ დაეშვათ ისინი შაჰთან. ასე რომ, მათ მოუხდათ ლოდინი იმ დრომდის, სანამ მათ არავინ შეუშლიდა ხელს აუდიენციის მისაღებად.“ ჰანვეისა, ისე როგორც დანარჩენ ისტორიკოსთა ცნობის მიხედვითაც, გორგინ ხანს კარგად ესმოდა ის, რომ ავღანელი ხალხის მიერ ირანის ხელისუფლების წინაშე ქედის მოხრა არ იქნებოდა ადვილი საქმე, და, მით უფრო მანამდე, სანამდეც მირ ვეისს ექნებოდა თავისუფლად მოქმედების საშუალება. „მირ ვეისი, ერთ-ერთი ამ ტომთაგანის წინამძღოლი, იყო ამავე პროვინციის ერთ-ერთი უძლიერეს ადამიანთაგანი, ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ გიორგის სურდა რა თავისი მტრებისათვის სამაგიერო მიეზღო და ამასთანავე გადაჭრილი მოქმედებით დაემინებინა ავღანელები, გაეცა ბრძანება, – დაეჭირათ მირ ვეისი და გაეგზავნათ

ისფაჰანში სამეფო კარზე. ამავე დროს მან აცნობა სამეფო კარს, რომ მირ ვეისი წარმოადგენს დაუდებარ ადამიანს, რომლის მიმართ უნდა იქნას მიღებული ყოველგვარი ღონისძიება მისი იქ გასაჩერებლად. რომ ის არის გარდასულ უთანხმოებათა და უწყობათა სულის ჩამდგმელი და თავისივე ხასიათით განწყობილია ახალ-ახალ არეულობათა გამომწვევ პიროვნებად... ისეთ არეულობათა, რომლებიც შეიძლება სახიფათონი აღმოჩნდნენ სახელმწიფოსათვის“, – წერს ჰანვეი და როგორც მაკარ ხუბუა აღნიშნავს, „ეს გარემოება შეიძლება ჩაითვალოს წინასწარი განჭვრეტის შესანიშნავ შემთხვევად, რაც შემდეგში სავსებით გამართლდა სინამდვილეში“ (ხუბუა 1940 ,249).

ჰანვეის ცნობის მიხედვით, გურგინ ხანმა მოახერხა მირ ვეისის ამგვარად თავიდან მოშორება, რის შემდეგაც, თურმე, მას აღარ ეშინოდა ავღანელების ამბოხის, საგარნიზონო ჯარი სატახტო ქალაქში დატოვა, ხოლო ქართველთა რაზმი თავის მცველად დაუყენებია. ნაწილი ჯარისა კი დაუთხოვია. მირ ვეისმა, რომელიც საკმაოდ გონებამახვილი კაცი იყო, გარკვეული გარემოებები სათავისოდ გამოიყენა. მან დაამყარა კარგი ურთიერთობა გორგინ ხანის მოწინააღმდეგე დაჯგუფებასთან, რომლის სათავეშიც იდგა ფათჰ- ალი ხანი, შემდეგში „პირველ მინისტრად ქცეული.“ „საჩუქრები, რომლები მას მიუერთმევია მათთვის ამ მიზნით თავის ღირებულებით აღწევდა თურმე 30 000 თუმნამდის“ (75.000 გირვ. სტერლინგი).

ბოლოსდაბოლოს, მას იმდენი მოუხერხებია, რომ ახლა შეეძლო თავისუფლად შესულიყო მონარქთან, რომელთანაც საუბრის დროს მუდამ პატივისცემით ლაპარაკობდა თავის მტერზე და იჩენდა მოჩვენებით გულწრფელობას; მაგრამ, ამასთანავე, ერთად თავის მსმენელებს აძლევდა დროსა და მოცალეობას, ეფიქრათ ამ გენერლის ვაჟკაცობისა და ძლიერების შესახებ. ის მოხერხებულად ჩაურთავდა ხოლმე შიგადაშიგ იმის შესახებ, რომ ის, ვინც არის გუბერნატორი საქართველოსი, ქერმანისა და ყანდაჰარისა, ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს უფრო ძლევაძმოსილ მოქიშპეს, ვიდრე ერთგულ სარდალს. ის მოაგონებდა ირანელებს გურგინ-ხანის მოქმედებებზე,

რომელთაც ადგილი ჰქონდათ ტფილისში ირანის ჯარების საწინააღმდეგოდ და სხვ“ (ხუბუა 1940, 250).

მაკარ ხუბუას აზრით, ჯონას ჰანვეის ახასიათებს კატეგორიული მტკიცებანი იმის თაობაზე, რომ გიორგი მეფის ტრალიკულ სიკვდილს ხელი შეუწყო შემდეგმა: ჰანვეი წერს: „როდესაც მირვეისი ტყვედ გადმოიგზავნა ისფაჰანში, ფათჰ-ალი-ხანმა აიყვანა ის თავის მფარველობის ქვეშ და გაგზავნა ისევ უკან ყანდაჰარში. იყო თუ არა ის კეთილად განწყობილი მირვეისისადმი იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი იყო სუნიტი, ანდა. თუ ხელმძღვანელობდა თავისი ზიზლით გურგინ-ხანისადმი? თუ არადა, ბოლოსდაბოლოს, იქნება ის მართლა აცდუნა უხვმა საჩუქარმა, რომელიც მას მიუღია ამ ტყვე ადამიანისგან და ენდო ამ ცბიერი ავღანელის მოჩვენებით გულწრფელობას? ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში ეს იყო საბედისწერო ნაბიჯი, რომლის შედეგები საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეჭვი შეეტანათ მის ერთგულებაში... გურგინ-ხანს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მისი მოქმედებანი ავღანელების მიმართ ცნობილი იყვნენ სამეფო კარზე, მაგრამ ის განაგრძობდა მათთან ურთიერთობას მისთვის ჩვეული სიმკაცრით.“

ჰანვეის ცნობის მიხედვით, მირ ვეისს მოუხერხებია, შემოერიგებინა გიორგი XI. იგი ვითომ დაეთანხმა გორგინ ხანს და დაჰპირდა მას, რომ თავის ქალიშვილს, რომელიც ამ უკანასკნელს მისთვის უთხოვია, ჰარამხანაში გაუგზავნიდა, თუმცა, სინამდვილეში გაუგზავნია მისთვის არა საკუთრი ქალიშვილი, არამედ სულ სხვა გოგო. ამის შემდეგ კი „ეს ფრთხილი ავღანელი, ძალიან მოხერხებული თავის ინტრიგებში, საიდუმლოდ აქეზებს ერთი ტომის წინამძღოლებს, უარი განაცხადონ ჩვეულებრივ გადასახადებზე. როგორც კი გაიგო ხანმა ამის შესახებ, უბრძანა თავისი ქართველი რაზმის უმეტეს ნაწილს გამგზავრებულიყვნენ იმ ტომთან, მათი დამორჩილების მიზნით.“

ამავე დროს მირვეისს გაუცია ბრძანება თავისი ტომისადმი, მოახლოვებოდნენ ყანდაჰარს 2-3 მილის მანძილზე და, როგორც კი გაუგია, რომ გურგინ-ხანს ებრძანებინა რაზმისთვის, გამგზავრებულიყვნენ ურჩი ტომის, ფირინების წინააღმდეგ (ხანთან

ყოფილა 1000-დე კაცი ), მას თურმე დაუწყია ხმამაღლა ძაგება ამ ხალხის აჯანყებისა და არა თუ ცდილა მათ გამართლებას, არამედ წინადადებას იძლეოდა თურმე მიემართათ სხვადასხვა გაზვიადებულ ზომებისათვის მათ დასასჯელად. ასეთ მის ყოფაქცევას იმდენად მოუდუნებია გუბერნატორის სიფხიზლე, რომ მას ყოველგვარი სიძნელის გარეშე მიუღია მირვეისის მიწვევა, მიეღო მონაწილეობა ზეიმში, რაც მოეწყობოთ ორი ავღანელი ბელადის შერიგების გამო, რომლებიც მანამდე არ გამოცხადებულყვნენ მის წინაშე. ამ საზეიმო დღისთვის მირვეისს ყველაფერი მოემზადებინა თავისი გეგმების სისრულეში მოსაყვანად.

დიდი ხნის ლხინისა და ქეიფის შემდეგ, ერთ განცალკევებულ კარავში ხანი მოკლულ იქნა 50 კაცისგან შემდგარ მირვეისის რაზმის მიერ მისივე წინამძღოლობით; ხოლო მისი ოფიცრები, რომლებიც ქეიფის შემდეგ ავღანელების მიწვევის თანახმად წავიდ-წამოვიდნენ მოსასვენებლად თავისსავე კარავებში, სათითაოდ ამოწყვეტილ იქნენ მირვეისის მომხრეთა მიერ. „ცბიერი გურგინ-ხანი აღარ არსებობს; ის იყო ერთადერთი კაცი ირანელთა შორის, რომელმაც დაიმსახურა ჯარისკაცის სახელწოდება“ – უთქვამს მირ ვეისს ყანდაჰარში სპეციალურად მოწვეულ კრებაზე (ხუბუა 1940 ,251), რაც ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად მირ ვეისის მტრული განწყობისა გიორგი მეფისადმი, იგი აღიარებდა გორგინ ხანის ძალას და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ეს უკანასკნელი ძალიან საშიშ, შეუპოვარ, ძლიერ ძალას წარმოადგენდა და იყო ამ პერიოდის ირანის, საქართველოს და ავღანეთის ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა.

მოჰამად ქაზემის ცნობა გიორგი XI-ის სიკვდილის შესახებ, განსხვავდება ზემოჩამოთვლილ ავტორთა ცნობებისგან, თუმცა, მისი ცნობა ჯონას ჰანვეის ცნობას ჰგავს, როდესაც ეს უკანასკნელი მირ ვეისის ქალიშვილის შესახებ მოგვითხრობს.

ავტორი გორგინ ხანს ახასიათებს პიროვნებად, რომელსაც სეფიანთა კარზე პატივსაც სცემენ, თუმცა მის ავ თვისებებსაც უსვამს ხაზს. მისი დახასიათების მიხედვით, გიორგი XI არის თვითნება, უწყესო, მომხვეჭელი და მოძალადე.

„გორგინ ხანი, რომელიც დიდებული პატრონის რჩეულთაგანი და იმ ხანებში უზენაესი ძალაუფლების მქონე ღოღამთაგანი და იმ დროის უმაღლესი ძალაუფლებისა და ყანდაპარის ბეგლარბეგის [სახელის] მქონე იყო და [რომელსაც] უწესობისთვის ჩაეყარა საფუძველი, ხალხის ქონებასა და საკუთრებას უკანონოდ და უსამართლოდ ხელყოფდა და სადმე თუ მოსაწონი გოგო იყო, ძალით იტაცებდა. დღენიადაგ მთვრალი იყო“ (ქაზემი 2016, 17).

ქაზემის ცნობის თანახმად, მირ ვეისის ძმას ულამაზესი ქალიშვილი ჰყოლია, რომლის წამოსაყვანადაც გორგინ ხანს თავისი ხალხი გაუგზავნია. მირ ვეისს არ გაუტანებია ქალი და ისპაჰანში საჩუქრებით დატვირთული შაჰ სოლთან ჰოსეინის კარზე მისულა, რათა ეს ამბავი ემცნო და დახმარება ეთხოვა. სეფიანთა კარის დიდებულებს კი არაფრად ჩაუგდიათ მისი თხოვნა. ექვსი თვის შემდეგ კი ყანდაარში დაბრუნებულა და სწორედ მაშინ გადაუწვეტია გიორგი XI-ის მოკვლა.

„ერთ დღეს მას (გორგინ ხანს) აცნობეს, რომ მირ ვეის ავღანელს, რომელიც ყანდაპარელ ავღანებში ერთ-ერთი დიდი კაცი და აღზევებული პიროვნება იყო, ჰყავდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც სილამაზით ტოლი არ მოეძებნებოდა. იმ თავგასულმა ხეპრემ ამ გოგოს მოსაყვანად რამდენიმე კაცი გაგზავნა.<sup>34</sup>

მირ ვეისმა, რომელიც იმ ტომის უწარჩინებულესი კაცი იყო, [მათ ქალიშვილი] არ გაატანა, ადგა და შესაფერისი ძღვენით ხელდამშვენებული შაჰ სოლთან ჰოსეინის ცამდე ამალღებულ სასახლეში გაემართა, რათა მისთვის თავისი სათხოვარი მოეხსენებინა.“

როგორც ვხედავთ, განსხვავებით ჰანვეის ცნობისგან, ქაზემის ცნობაში არ ითქმის, რომ მირ ვეისმა მოატყუა გორგინ ხანი და მას სხვა გოგო გაუგზავნა ჰარამხანაში, თუმცა გოგო კი ნამდვილად ფიგურირებს ამ მონათხრობში და საქმე სულ სხვაგვარადაა:

---

<sup>34</sup> მოჰამად ქაზემი მირ ვეისის ამ ქალიშვილს ერთგან ძმისშვილადაც იხსენიებს.

„როცა [ირანის] დედაქალაქ ისფაჰანში ჩავიდა, ყველა ამირს შესაფერისი ძღვენი მიართვა და უამრავი საჩუქარი და მოსაკითხი უძღვნა რა, წმინდანთა მოლარის სიუხვის მზერას თავისი საჩივარი მოახსენა. სახელმწიფოს წარმომადგენლებმა [მას] უთხრეს, არაფერი არა გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ გორგინ ხანმა შენი ქალიშვილი წაიყვანოსო!

მთელი ექვსი თვე უზენაეს ბანაკში გაატარა. არავინ მის საჩივარს არ გამოპასუხებია. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, დიდებული ქაბასკენ წავიდა. უფლის სახლიდან (მექადან) რომ ბრუნდებოდა, ნავსადგურის გავლით დანიშნულების ადგილზე მივიდა.

როცა ყანდაჰარში ჩავიდა, თავისი ტომები შეკრიბა და უთხრა: „სეფიანთა შთამომავლობას [მეტი] ძალა აღარ დარჩენია. არ ეგების, რომ ღოლამმა გორგინმა, ავღანელი ხალხის ნამუსზე წაიგრძელოს ხელი და გააკეთოს ის, რაც მას მოესურვება. ქალაქ ისფაჰანში არეულობაა, არავის სხვისი დარდი გულთან არ მიაქვს. რატომაა, რომ ჩვენ, ასი ათას ოჯახს, ერთი კაცის ძალმომრეობისგან თავი ვერ დაგვიღწევია?!“ (ქაზემი 2016,18).

ყველა ბელადმა მასთან ერთად გორგინ ხანის მოკვლა გადაწყვიტა. მოგროვდა 3000 კაცი და მეორე დღეს ერთხმად გორგინ ხანის სასახლეს დაესხნენ თავს, იგი სიცოცხლეს გამოასალმეს და ტაბლი და ნალარა მის სახელზე აახმიანეს; სამეფო საგანძურთა კარები გახსნეს და მოწყალება უშურველად გაიღეს. ყანდაჰარის ველაიათი გამდიდრდა. ლაშქრისა და სპის მოგროვების თადარიგი დაიჭირეს, კეთილდღეობისთვის ზრუნვას მიჰყვეს ხელი იმდენად, რომ [მირ ვეისს] ისფაჰანისკენ წასვლის სურვილი, გაუჩნდა. წავიდა ისფაჰანისკენ და იმ მაღალადგილოვანი ფადეშაჰის სიმდიდრე გაანადგურა და მაღალჩინოსნები ამოხოცა.

იმ ველაიათზე ორი წლის ბატონობის შემდეგ გვერდი უძღურების საწოლზე დადო და ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა“ (ქაზემი 2016, 18).

გიორგი XI-ის სიკვდილის შემდეგ, მის ადგილზე შაჰმა მისი (გიორგის) ძმის, ლევანის, შვილი ქაიხოსრო (1709-1711) დანიშნა. (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 485;)

შაჰმა ქაიხოსრო ისპაჰანში დაიბარა, ირანის ჯარების მხედართმთავრობა ჩააბარა და მასვე დაავალა, ებრძოლა ავღანელების წინააღმდეგ. ხოლო ქართლში გამგებლად კვლავ ვახტანგ ბატონიშვილი დარჩა. 1709 წელს ქაიხოსროს თავრიზი და ბარდაც მისცეს სამართავად (ჩხეიძე 1854,325). ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს მკვლევარ კახა კვაშილავას: „ჰანვეისთან, 1710 წლის სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით თავრიზის ბეგლარბეგად მოჰამედ ხანი ჩანს, რომელიც ყანდაარში მირ ვეისის წინაარმდეგ გაიგზავა 5000 მხედრით, თუმცა მას 500-მა ავღანელმა 1000 კავალერი გაუნადგურა და თვითონაც მძიმედ დაიჭრა (Hanway ციტ. კვაშილავა 2018, 159). ეს ორი ცნობა, როგორც ვხედავთ, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სეხნასთან, რომელიც უკვე ამ დროისათვის, როგორც ვიცით, ქართლში იმყოფებოდა, ისე სჩანს, რომ ქაიხოსროს გამეფება და სხვა წყალობანი, რომელიც მან შაჰისგან მიიღო, თანადროული მოვლენებია. მართალია, ქაიხოსრო I-ის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ყველა წყარო ძალიან მწირ ინფორმაციას გვაწვდის, მაგრამ მათში არსადაა საუბარი რაიმე კომფლიქტზე შაჰის კართან, რომ ქართლის ვალისათვის რაღაც ადრე ნაწყალობევი წაერთმიათ ან ჩამოერთვათ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ქაიხოსრომ თავრიზი მოჰამედ ხანის უშედეგო ყანდაარული კამპანიის შემდეგ მიიღო 1710 წლის მიწურულისათვის. შაჰის კარი ამჟამად უკმაყოფილო იქნებოდა თავრიზელი ბეგლარბეგის უშედეგო სამხედრო ოპერაციით, როცა ათჯერ მცირე რაოდენობის ავღანებმა მოჰამედ ხანი სამარცხვინოს დაამარცხეს. აქედან გამომდინარე, მას, ალბათ, ბუნებრივია, რომ ამ სახელოს უკვე აღარ დაუტოვებდნენ“ (კვაშილავა 2018, 160).

“მოუვიდა ამბავი გამგებელსა საქართველოსასა ვახტანგს, მას ჟამსა შინა იდგა კოჯორსა, ჩავიდა ქალაქსა, განაგო გამჟღავნებისა საქმე, დაჯდა სამეჯლიშოსა სახლსა და აივსო დარბაისლითა, გარეთ მოედანი მოქალაქითა, შემოვიდნენ ეფისკოპოზნი, მიუჩოქეს, ჰკადრეს მეფესა სიკვდილი: შეიქნა თავსა ცემა, აქ ამათ-გან და გარეთჯართა-გან, განაგო რიგი, დაჯდა იმავე სახლსა ჭირის-უფლად, დადგეს კარავი ფილაქანსა ზედან, დაფინეს თავსა კარვისასა სუზანი და დორი, მიაფარეს დორსა



ბაყალბანდი სიასამური, დაუსხდენ იქით აქეთ დიდრონი კაცნი, თუ მცირედნი, სამღვდელონი, გაშალეს ნიშანი, დაფინეს ქვეშაგებნი, ქეშიკ-ხანაში იდგნიან თითო-თითო დარბაისელნი, იტირიან მცხედარი და მიტირიან ჭირის-უფალთა, მზემან ღვთისამან. არა მწუხარება ამას არ შეეძარებოდა, ორმოც დღემდი ტირილი გაუწყვეტელი: მეორმოცესა დღესა ისპაანს დამარცხებულ-იყო მდივან-ბეგი ლევან, ამავე ქორონიკონსა, მკათათვის იგ, მოვიდა ამბავი და შეექნათ მგლოვარობა, ებოძა ყაენს ბატონის-შვილის ქაიხოსროსა-თვინ ქართლი, ერანისა სპასალარობა, თავრიზი და ბარდა” (ჩხეიძე 1913, 7).

„შეუძნდა ყეენსა ფრიად ესე, მერმე მოუწოდა ქაიხოსროს ძესა ლევანისასა, მისცა ქართლი სამეფოდ და სპასალარობა ერანისა. რამეთუ ლევან იყო ფრიდ სალმობიერი და ქართველთა მათ წარუვლინა ნიჭი დიდი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 485).

1710 წელს მან ქართველების და ირანელების ერთობლივი ჯარით ქაიხოსრომ მირ ვეისის წინააღმდეგ გაილაშქრა და ამჯერად გაიმარჯვა კიდევ. როგორც საქართველოს ისტორიიდან არის ცნობილი, ამ გამარჯვებით ქართლის გამგებელმა ვახტანგმაც ისარგებლა და თბილისის ყიზილბაში ციხისთავები ქართველებით შეცვალა. ამის შემდეგ ვახტანგს რამდენჯერმე კიდევ შემოუტიეს ყიზილბაშებმა, შეტაკებები მოხდა ქართველთა და მათ შორის, თუმცა ვახტანგს შაჰის მხარდაჭერა ჰქონდა მოპოვებული და არა მხოლოდ ყიზილბაშთა ალაგმვა, არამედ ტყვეებით ვაჭრობის მოსპობაც კი შეძლო ქალაქში. „ამისთვის არღარა იყო ტყვის-სყიდვა. კუალად ნაზარ-ალიხან, ვითარცა როსტომ მეფე, მრავალგზის წარუვლინებდა ყეენსა ტყუეთა, არამედ ვახტანგ, უკეთუ არა მოითხოვდა ყეენი, არა წარუვლენდა, მასცა უმეტეს მოსყიდულთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 486).

ამ პერიოდის ქართველ ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით, ქაიხოსრო ლევანის ძე შაჰის ერთგულ და მისგან დაფასებულ პიროვნებად გვევლინება, რომელიც საკმაოდ კარგად ართმევს თავს ამ უკანასკნელთან თანამშრომლობას. ასევე, ქაიხოსროს არაერთი გამარჯვება, ისევე როგორც დამარცხება, ავღანელებთან ბრძოლის დროს აღწერილი აქვთ ქართველ მემატეანებს.

ჯონას ჰანვეის ცნობის მიხედვითაც, გიორგი XI-ს გარდაცვალების შემდეგ შაჰმა ქაიხოსროს დაავალა ავღანელებთან ბრძოლა, რადგან შაჰის სამეფო კარის წარმომადგენლების არაერთი მცდელობისა, მშვიდობიანი მოლაპარაკებები ეწარმოებინათ ავღანელებთან, ეს ვერ მოახერხეს.

„1710 წელს სამეფო კარზე მიხვდნენ, რომ არავითარი იმედი არ არის მოლაპარაკებების გზით ყანდაჰარის დაბრუნებისა და გასცეს ბრძანება ჰერათის ხანის მიმართ – გამგზავრებულიყო სალაშქროდ მეამბოხეთა წინააღმდეგ და წინამძღოლობა გაეწია 15 000 კაცისაგან შემდგარ ცხენოსანთა ჯარისათვის. მირვეისმა კარგად იცოდა, თუ რა განსხვავება არსებობდა ირანელებსა და ქართველებს შორის. ამიტომ ის გაემგზავრა მათ შესახვედრად 5000 ცხენოსნით, რომლებსაც მან მოუყარა თავი, როგორც კი მიიღო ცნობა მტრის მოახლოების შესახებ. საველე ზარბაზნებიდან რამდენიმე გასროლის შემდეგ ირანელები ისეთმა პანიკამ მოიცვა, რომ აღარ დაუცადეს შეტევაზე გადასვლას ისე აჩქარებულად იბრუნეს პირი, რითაც თავიანთი თავი მისცეს მტრებს გასაჟლეტად“ ჰანვეის ცნობის თანახმად, ამის შემდეგ ირანის ცენტრალურ ხელისუფლებას კვლავ მრავალრიცხოვანი ჯარის გაგზავნა გადაუწყვეტია ავღანელების წინააღმდეგ „შაჰის არმია (კვლავ ქართველი გენერლის ხოსრო-ხანის წინამძღოლობით) 30000 ირანელისა და 1200 ქართველისაგან შედგენილი ჯარი საომარი წესებით მიუახლოვდა ზებილის გადასავალს. . . “(ხუბუა 1940, 252).

ავღანელები გაოცებულები დარჩენილან „მტრის თავგასულობით“ – წერს ჰანვეი, – ხოსრო-ხანის ჯარი უშიშრად ეკვეთა მათ, რის შემდეგაც ავღანელები უწესრიგოდ გაფანტულან. ხოსრო მირზასაც გამოუყენებია თავისი გამარჯვება. ავღანელების მოუწესრიგებლობას მირ ვეისის იქ არყოფნა იწვევდა, აღნიშნავს ჰანვეი, „რომელიც დარჩა ველად თავისი არმიის ნარჩენებთან ერთად. ასეთ მდგომარეობაში მყოფ გარნიზონმა წარმომადგენლები გაუგზავნა ხოსრო-ხანს და აღუთქვეს მას ქალაქის დანებება იმ პირობით, თუ ის შეუნარჩუნებდა მათ სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ქონებას. ამ გენერლის განკარგულებაში იყო ახლა ამ დამღუპველი ომის შეწყვეტა,

მაგრამ მან მისთვის ჩვეული სიფრთხილე დაკარგა. გამარჯვებით თავბრუდახვეულმა, თვისი ღირსების შელახვად ცნო მეამბოხეებთან მოლაპარაკების გამართვა და მოითხოვა, რომ ისინი დანებებოდნენ ყოველგვარი პირობის გარეშე. რაკი ამაზე ისინი ვეღარ წავიდნენ, ამიტომ გადაუწყვეტიათ თავის დაცვა, რის შედეგადაც ყანდაჰარი ალყაშემორტყმული აღმოჩენილა.

ამასობაში მირვეისს გადაუწყვეტია მტრების დატოვება უფურაჟოდ და უპროვიანტოდ. ამ მიზნით მან დაავალა თავის ჯარებს, გაენადგურებინათ სავარგულები ყანდაჰარის გარშემო. და ეს მისი ბრძანება ისე კარგად იქნა სისრულეში მოყვანილი, რომ მოალყე მტრის ჯარმა მალე იგრძნო სურსათ-სანოვავის ნაკლებობა. ძლივს მოასწრო სარდალმა ალყის მოხსნა, რომ მირ-ვეისი, რომელიც ქალაქის დასახმარებლად მოდიოდა 16 000 ცხენოსნით, თავს დაესხა ირანის ჯარებს, რომლებიც პირველი შეტაკებისთანავე გაიქცნენ. სარდალი ცდილობდა, დაებრუნებინა ისინი უკან, მაგრამ შიშისგან იმდენად დაჩლუნგებულა მათში ყოველგვარი დისციპლინა, რომ მისი ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა და გადაწყვიტა, ასეთ შერცხვენას ცოცხალი აღარ გადარჩენოდა. ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმის სათავეში მოქცეული გაექანა პირისპირ ავღანელებისაკენ და ის მოკლეს გასაოცარი სიმამაცით თავდაცვის დროს.

ასეთი იყო ფინალი ამ თავადისა, რომლის სიმხნე, სამხედრო გამოცდილება და სხვა კეთილნიჭიერებანი უქადდენ მას ყოფილიყო ღირსი უკეთესი ბედ-იღბლისა. მანამდე ის იყო ისპაჰანის გუბერნატორი და ატარებდა ტიტულს დივანბეგისას (რაც ნიშნავს “უზენაესი მრჩეველი” და უდრის ჩვენებურ ტიტულს უზენაესი მსაჯულისას), ხოლო თვისი მამის შემდეგ დაინიშნა საქართველოს ვალიდ (მართველად, მეფედ), მაგრამ სწორედ ამ დროს შაჰმა დააყენა ის თვისი ჯარის სათავეში. ისაც ისევე, როგორც მის ბიძა გურგინ-ხანს, ჰქონდა სისუსტე გაეწირა თავისი რელიგია. . .” (ხუბუა 1940, 253).

მოჰამად ქაზემიც ხოსრო-მირზას, იგივე ქართლის მეფე ქაიხოსროსა და ავღანთა ერთ-ერთ შეტაკებაზე მოგვითხრობს, მაგრამ გვიყვება იმის შესახებაც, თუ როგორ

შეებრძოლნენ ერთმანეთს ქაიხოსრო და მაჰმუდ ავღანი, რომელიც მირ ვეისის შვილი იყო და ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დაიკავა მისი ადგილი. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოჰამად ქაზემი არ არის ამ პერიოდის უშუალო თვითმხილველი და ამ შემთხვევაში მის მიერ აღწერილი მოვლენები წინამორბედთა ცნობებს წყაროებს უნდა ეყრდნობოდეს. სწორედ ამის გამო, ზოგჯერ იგი ცდება. შეცდომასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც, რადგან ქაიხოსრო, იგივე ხოსრო მირზა, გარდაიცვალა 1711 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მირ ვეისი ცოცხალი იყო და ებრძოდა მას.

ქაზემის წერს, რომ მირ ვეისის გარდაცვალების შემდეგ „ტახტი მაჰმუდმა, მისმა შვილმა დაიკავა. მის სახელზე მონეტა მოჭრეს და ხუტბა აღავლინეს. ღაზნის<sup>35</sup>, ბელუჯესთანისა,<sup>36</sup> და ქაბულის<sup>37</sup> ველაიათებში რაყამები დაგზავნეს და დაავალეს იმ მხარეების ლაშქრებით ჩამოსულიყვნენ, – ერაცის დაპყრობა გვინდაო. ცოტა ხანში ურიცხვმა ლაშქარმა მოიყარა თავი“ (ქაზემი 2016,19). მოჰამად ქაზემის თხზულების მიხედვით, როდესაც შაჰს მაჰმუდის ამბავი შეუტყვია, 60 000-კაციანი ლაშქრით, საქართველოს ვალი ხოსროვ მირზა გაუგზავნია და მისთვის “იმ ველაიათის” დაპყრობა დაუვალებია.

ხოსროვ მირზა მთვარის ჰიჯრის 1126 წელს<sup>38</sup> ხორასანში<sup>39</sup> “წარღვნის მომგვრელი მხედრონით” გაემართა, შევიდა, თაყვანი სცეს მას, ხორასნის ლაშქარიც, რომელიც მას ემორჩილებოდა, აიყვანა და ყანდაჰარისკენ გაემართა. იმ მხარეში შესვლის შემდეგ რამდენიმე მძიმე ბრძოლა გაიმართა ავღანელთა და მათ შორის, რის გამოც ბევრი ადამიანი დაშავებულა და დახოცილა. შემდეგ ავღანელები თავშესაფარში ჩაკეტილან

---

<sup>35</sup> ქალაქი სამხრეთ-აღმოსავლეთ ავღანეთში. 1738 წელს მიიტაცა ნადერ შაჰმა.

<sup>36</sup> პროვინცია ირანის მთიანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

<sup>37</sup> ავღანეთის დედაქალაქი. 1747 წლიდან დურანის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო.

<sup>38</sup> მთვარის ჰიჯრის 1126 წელი, ესაა 1714 წელი. აქ უკვე ნათელია, რომ შეცდომაა. ქაიხოსრო, როგორც უკვე ვთქვით, ცნობილია, რომ გარდაიცვალა 1711 წელს.

<sup>39</sup> ისტორიული ოლქი შუა აღმოსავლეთში. მოიცავდა თანამედროვე ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, მარვის ოაზისს, თურქმენეთის სამხრეთ ოაზისებს, ავღანეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს.

და, როგორც ქაზემი მოგვითხრობს, ხელსაყრელ დროს ელოდნენ თავდასასხმელად, რადგან ყიზილბაში დაზიები (საღვთო ომების მებრძოლები) დამშვიდებულები იყვნენ და საკვებისა და ფურაჟის მოსატანად ველაიათის სხვადასხვა მხარეებში გაფანტულიყვნენ.

„ხოსროვ მირზა, რადგან ქართველი იყო, ყოველდღე თვრებოდა და უგონოდ ეგდო. ვეზირები და ახლობლები ეუბნებოდნენ, რომ ციხის ძირას სიფრთხილის გარეშე ყოფნა ლაშქრობის წესს არ შეეფერებაო, მაგრამ იგი მისთვის დამახასიათებელი უკიდურესი ამპარტავნობისა და თვითდაჯერებულობის გამო მათ სიტყვებს ყურს არ უგდებდა და ამბობდა, ამ ბრბოს იმისი შეძლება ვინ მისცა, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლოსო; და უდარდელად იყო. ავღანელთა არსებობას აინუნში არ აგდებდა და ქეიფსა და ლხინში ატარებდა დროს“ (ქაზემი 2016,20).

ქაზემის ამ მონაკვეთიდან გამომდინარე, ქაიხოსროს ამგვარმა უდარდელობამ და მოუფრთხილებლობამ გამოიწვია ამ კონკრეტულ ბრძოლაში ყიზილბაშთა და ქართველთა დამარცხება ავღანელებთან. ავტორი მოგვითხრობს, რომ ავღანელთა ტომი იკრებდა ძალას და ელოდა ხელსაყრელ დროს. მზის ჩასვლისას კი ათი-თორმეტი ათასი კაცი გამოსულა ციხიდან და რამდენიმე მათგანს ქართველებისთვის უთქვამთ, რომ მაჰმუდ ავღანელი ვალის სანახავად მოდისო. „ამგვარად ისინი გულდამშვიდებით ამყოფეს, უცბად მოგროვდნენ, იმ ლაშქარში წარღვნის მსგავსად შეიჭრნენ და ისინი ხოცეს, არბიეს, ძარცვეს, რამდენიმე მათგანმა ხოსროვ მირზამდე მიატანა და თავი მოჰკვეთეს მას. იმ გამარჯვების შემდეგ მაჰმუდ ავღანელი დაეპატრონა ხოსროვ მირზას ხაზინას და ავღადიდებას, რომელსაც კაცის გონება ვერ აუვიდოდა; იქნებოდა ეს ცხენების თავლის ლურსმნები თუ უბრალო ოქრომკედით გაწყობილი ატლასის სამეფო კარვები, ოქროს ჭურჭელი, მოოჭვილი ბურთულები, რომლებიც ცხენებს კუდზე ებათ, სპასალარის ამალის ყოველგვარი მორთულობით“ (ქაზემი 2016, 21).

ჩვენი აზრით, მოჰამად ქაზემი, ჯონას ჰანვეი, ვახუშტი ბატონიშვილი და სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობენ ერთსა და იმავე ბრძოლაზე, რომელშიც მოკლეს ქაიხოსრო.

თუმცა, მირ ვეისის ნაცვლად ქაზემი ამ ბრძოლაში მაჰმუდ ავღანს ახსენებს. ამ მონაკვეთებს თუ ერთმანეთს შევუდარებთ, მათ შორის ნამდვილად დავინახავთ მსგავსებას:

ჰანვეი: „შაჰის არმია (კვლავ ქართველი გენერლის ხოსრო-ხანის წინამძღოლობით) 30000 ირანელისა და 1200 ქართველისაგან შედგენილი ჯარი საომარი წესებით მიუახლოვდა ზეზილის გადასავალს. . . “ (ხუბუა 1940, 252).

„მაშინ ყეენმან წარავლინა ქაიხოსრო სპითა დიდითა და ნიჭითა მოითხოვნა სპანი ქართლისანი ქაიხოსრომ“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 486).

ქაზემი: „როდესაც მაჰმუდის ამბავმა უძლეველ ფადემაჰამდე და სახელმწიფოს დედაბოძებამდე მიაღწია, ხოსროვ მირზა, რომელიც საქართველოს ვალი იყო 6 000 (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ – 60 000) კაცისგან შემდგარი ლაშქრით გააგზავნეს და დაავალეს, ის ველაიათი დაეპყრო და თავის გამგებლობაში მოექცია.“ (ქაზემი 2016,19)

ქაზემის თხზულების მიხედვით, მსგავსად ჰანვეის და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებისა, მოქმედება ხდება ყანდაჰარში.

ჰანვეი: ქართველმა თავადმა გამოიყენა თავისი გამარჯვება: როგორც კი დაბრუნდნენ მისი ჯარები მტრის უკუდევნის შემდეგ, მან უბრძანა მათ განეგრძოთ წინსვლა და დაეზვერათ ყანდაჰარი“ (ხუბუა 1940, 253).

ქაზემი: “მისთვის თაყვანის ცემის შემდეგ ხორასნის ლაშქარი, რომელიც მას ემორჩილებოდა აიყვანა და ყანდაჰარისკენ გაემართა” (ქაზემი 2016, 19).

ჰანვეი: „ამასობაში მირვეისს გადაუწყვეტია მტრების დატოვება უფურაჟოდ და უპროვიანტოდ.“

ვახუშტი: “შემდგომად შეედვათ სენი მუცლისა ყიზილბაშთა და ქართველთაცა მოკლება საზრდელთა. ესე იხილა მირვეიზ და შეკრნა გზანი და მოსრულთა მენუზლეთა ყიზილბაშთა სრვიდა. მისი მხილველი მირსამანდარ, პაემნით აღმთქმელი სპითა მოსლვად წინაშე სპასალარისათა, არღარა მოვიდა და არცაღა მოსცა

საზრდელნი. ამისთვის შემჭირდნენ სპანი სენითა და უსაზრდელობითა. ხოლო მირვეიზი განამხნობდა სპათა თვისთა” (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 489)

ქაზემი: “ლაზიები დამშვიდნენ, ფურაჟისა და საკვების მოსატანად ველაიათის სხვადასხვა მხარეებში გაიფანტნენ. მაჰმუდ ავღანის ხალხი კი ხელსაყრელ დროს უცდიდა” (ქაზემი 2016, 20).

ჰანვეი: „ამ გენერლის განკარგულებაში იყო ახლა ამ დამღუპველი ომის შეწყვეტა, მაგრამ მისთვის ჩვეული სიფრთხილე დაკარგა მან. გამარჯვებით თავბრუდახვეულმა მან თვისი ღირსების შელახვად ცნო მემბოხეებთან მოლაპარაკების გამართვა და მოითხოვა, რომ ისინი დანებებოდნენ ყოველგვარი პირობის გარეშე.“ (ციტ. ხუბუა 1940, 253).

ვახუშტი: „სცნა ესე მირვეიზმან და მოუვლინა ზავისა პირი სპასალარსა: “უკეთუ წარხვიდე, არა რაი გევნოს ჩემ მიერ და, უკეთუ მოგცეს კულად სპანი ყეენმან, მოვედ”. მისმან მრწმუნებელმან სპასალარმან ბრძანა ღამე აყრა, და იესე განაჩინა, რათა არა განუტეოს სპანი, გარნა ბარგნი” (ვახუშტი 1973, 490).

ქაზემი: “ვეზირები და ახლობლები ეუბნებოდნენ, რომ ციხის ძირას სიფრთხილის გარეშე ყოფნა ლაშქრობის წესს არ შეეფერებაო, მაგრამ იგი მისთვის დამახასიათებელი უკიდურესი ამპარტავნობისა და თვითდაჯერებულობის გამო მათ სიტყვებს ყურს არ უგდებდა და ამბობდა, ამ ბრბოს იმისი შეძლება ვინ მისცა, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლოსო; და უდარდელად იყო” (ქაზემი 2016, 20).

ჰანვეი: „სარდალი ცდილობდა დაებრუნებინა ისინი უკან, მაგრამ შიშისგან იმდენად დაჩლუნგებულა მათში ყოველგვარი დისციპლინა, რომ მისი ყოველგვარი ცდა ამო გამოდგა და გადაწყვიტა, ასეთ შერცხვენას ცოცხალი აღარ გადარჩენოდა. ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმის სათავეში მოქცეული გაექანა პირისპირ ავღანელებისაკენ და მოკლულ იქნა გასაოცარი სიმამაცით თავის დაცვის პროცესში.“ (ხუბუა 1940, 253).

ვახუშტი: „ხოლო სპასალარმან არა ინება სივლტოლვა და მოეტევა მირვეიზს, ეკუეთა სპასალარი მცირედითა სპითა, მოსწყვდნა და აოტნა იგინი. არამედ იხილნეს

სპანი ყიზილბაშთა ლტოლვილნი ზეიდამ ავღანთა, უყივლეს სპათა თვისთა გაქცევა მათი, უკუმოიქცნენ კუალად და მოეტევენ სპასალარსა. გარნა მხნედ გამოჩნდა სპასალარი, რამეთუ მოსრნა მხედარნი სამნი. რამედ მერვე სცეს ექუსთა ოროლნი სპასალარსა და მოკუდა ქ~სა ჩ~ლია, ქარ. ტ~ჟთ, ოქტომბერს კ~ვ. შემდგომად მოჰყვნენ ავღანნი, მოსწყდნეს ყიზილბაშნი და აღიხუნეს სრულიად სიმდიდრენი და ალაფნი მათნი.“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 491).

ქაზემი: „უცხად მოგროვდნენ, იმ ლაშქარში წარღვნის მსგავსად შეიჭრნენ და ისინი ხოცეს, არბიეს, ძარცვეს, რამდენიმე მათგანმა ხოსროვ მირზამდე მიატანა და თავი მოჰკვეთეს მას.<sup>40</sup> ამ გამარჯვების შემდეგ მაჰმუდ ავღანელი დაეპატრონა ხოსროვ მირზას ხაზინას და ავლადიდებას, რომელსაც კაცის გონება ვერ აუვიდოდა.“ (ქაზემი 2016,21; Kazem 78, 20).

ამ ბრძოლას, ვახუშტი ბატონიშვილისგან განსხვავებით, უფრო მოკლედ აღგვიწერს სეხნია ჩხეიძე: მეფე ხოსრო ყანდაჰარში ჩასულა, შემდეგ მირ ვეისს შებრძოლებია და გაუმარჯვია. 1711 წელს მირვეისი ხოსროს თავს დაესხა, თუმცა ქართველებს წინასწარ სცოდნიათ ამის შესახებ და მომზადებულები ყოფილან. ამ ბრძოლაში ქართველებმა მირ ვეისს მოუკლეს ძმა, ძმის შვილი, რის შემდეგაც მირ ვეისი გაიქცა. 1711 წელს, მირ ვეისი ციხიდან გამოვიდა და ქაიხოსროს შეებრძოლა: „შეიქნა ომი ფიცხელი, თავ-მან თქვენ-მან, ნახავთა თვის საზარო იყო, გამოექცა თათარის ჯარი მეფესა, დარჩნენ ზოგნი ვინმე ქართველნი: მოახსენა ცალქალამიძემ იასემ: „ხელმწიფეო, გაგვეცალა ჯარი და აღარცა ჩანს ძმა თქვენი, ნუ მოიკლავთვ თავსა,“ უბრძანა მეფემ: „ჩემისა სიცოცხლისთვის არა მოვაყივნო თავი, არცა გვარი ჩემი:“ მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა, ჩამოაგდო შუბითა ორი კაცი, დახუდა მათხარი რუ, წაექვა ცხენი. და ჰსცნეს ცხენის წაქცევა, წამოეხვივნენ, დაჩეხეს ხმლითა.“ (ქართლის ცხოვრება 1854, 326).

---

<sup>40</sup> ტექსტში გამორჩენილია წინადადება - “თავი მოჰკვეთეს”/“მისი თავი ტანს მოაშორეს”. იხ.: (Kazem 1374,60)



ეს კონკრეტული ეპიზოდი ყურადსაღები არის არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ინფორმაციათა შეუსაბამობას ვაწყდებით, არამედ იმიტომაც, რომ მოჰამად ქაზემი, ერთგვარად, ახასიათებს კიდევ ხოსრო მირზას, ხატავს მის პორტრეტს (ანუ იმეორებს წინამორბედი ისტორიკოსის მიერ დახატული ხოსრო მირზას პორტრეტს), რაც მის თხზულებას მხატვრულ ღირებულებას სძენს და გამოარჩევს მას სხვა, მეტად მშრალი ინფორმაციის მქონე წყაროებისგან. მნიშვნელოვანია, რომ ქაზემი ხაზს უსვამს ხოსრო მირზას უარყოფით თვისებებსაც და არ ერიდება ყიზილბაშთა ჯარის სარდლის შეცდომაზე ლაპარაკს.

ბუნებრივია, რომ ქართულ წყაროებში უფრო ნაკლებადაა აქცენტირებული ქართველი მეფეებისა თუ მმართველების იმგვარი თვისება, როგორცაა, თუნდაც, ღვინის მოყვარულობა; ხოსრო მირზას დახასიათების დროს ქაზემი აღნიშნავს, „რადგან ქართველი იყო, ყოველდღე თვრებოდაო“, რაც, შესაძლოა, ხშირ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავდეს ამა თუ იმ პირის გამუდმებით მთვრალ მდგომარეობაში ყოფნას. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელშიც მოჰამად ქაზემი ხოსრო მირზას ამბავს მოგვითხრობს, სულაც არ ცდებოდეს.

თხრობაში გამოყენებული ცალკეული შტრიხები – ყოფითი დეტალები თუ მთარული სტერეოტიპები, რომლებიც ლიტერატურულ ხერხებად შეიძლება მივიჩნიოთ და რომელთა მეშვეობით ავტორი ტექსტის ერთგვარ ბელეტრიზირებას ცდილობს, ჩვენთვის წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას, რამდენადაც, ყოველ კერძო შემთხვევაში, აღწერილი მოვლენას დეტალურად განიხილავს და აზუსტებს და ამით ტექსტის სანდოობის ხარისხს ზრდის. იმავე შედეგს იძლევა ამბის თხრობისას არა მშრალი აღნუსხვა ფაქტებისა, არამედ მოვლენათა შეფასების, მათი კრიტიკული განხილვის მცდელობა. ხოლო თხრობის პერსონაჟების დახასიათებისას მათი არა მარტო ღირსებების, არამედ ნაკლოვანებათა აღნიშვნაც.

ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ეს ნაწყვეტიც ტექსტიდან, რომელშიც თხრობა ხოსრო მირზასა და ავღანელების შეტაკებას ეხება და რომელშიც დამარცხების

მიზეზად სარდლის სიმთვრალე სახელდება; ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ ზემოთ უკვე ნახსენები გიორგი მეთერთმეტეს დახასიათება: „გორგინ ხანი, რომელიც დიდებული პატრონის რჩეულთაგანი და იმ ხანებში უზენაესი ძალაუფლების მქონე ლოლამთაგანი და იმ დროის უმაღლესი ძალაუფლებისა და ყანდაჰარის<sup>41</sup> ბეგლარბეგის [სახელის] მქონე იყო და [რომელსაც] უწესობისთვის ჩაეყარა საფუძველი, ხალხის ქონებასა და საკუთრებას უკანონოდ და უსამართლოდ ხელყოფდა და სადმე თუ მოსაწონი გოგო იყო, ძალით იტაცებდა. დღენიადაგ მთვრალი იყო“ (ქაზემი 2016, 17). ორივე შემთხვევაში ეს ქართველი მმართველების ჩვეულებრივი მდგომარეობა ყოფილა, რაც ავტორს საზოგადოდ ქართველების საყოველთაო სენად, თვისებად მიაჩნია. ქართველების ამგვარ დახასიათებას კიდევ მრავალგან ვხვდებით ქაზემის თხზულებაში: „იმ მხრიდან ნამთვრალევი ქართველები ცხენებზე შესხდნენ და ერთ ხაზზე დაწყობილები თავს დაესხნენ ყიზილბაშთა რაზმს...“ და მისთ. (ქაზემი 2016, 39).

ქაზემის თხზულების ერთ-ერთ თავში: „სვებედნიერი ხელმწიფის მიერ დროშის აღმართვა საქართველოს დასაპყრობად და ედემის მსგავსი სამეფოების ხელში ჩასაგდებად“, რამდენიმე საინტერესო ადგილია საქართველოს ისტორიის შესავსებად (ქაზემი 2016, 27).

ამ თავში ვკითხულობთ: „როდესაც ქვეყნის დამპყრობელმა უზენაესი გონება რუმელთა<sup>42</sup> ტომის არსებობის სიბინძურისაგან გაწმინდა“, ყარაბაღისა და განჯის და ბარდავის მხარის მმართველები დანიშნა, ასევე ერევნის ხანობის ტიტული მისცა მოჰამად-რეზა ბეგ ხორასნელს (ფასაქუს<sup>43</sup> ტომის მინბაშთა<sup>44</sup> დიდებულ კატეგორიას მიეკუთვნებოდაო, \_ წერს ქაზემი).

---

<sup>41</sup> ქალაქი სამხრეთ ავღანეთში. XVIII საუკუნის შუა წლებში ირანელთა გამგებლობაში იყო.

<sup>42</sup> იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.

<sup>43</sup> ხორასნის ერთ-ერთი ოლქი.

<sup>44</sup> ათასისთავი.

როდესაც ქვეყნის მპყრობელმა „საქართველოსთან რჯულისთვის ომის საწარმოებლად ცხენს აღვირი მიანება“ (ქაზემი 2016, 30) ზუსტად მაშინ თეიმურაზ მეფე და დანარჩენი ქართველი დიდებულები შაჰს ეახლნენ და, როგორც ქაზემი მოგვითხრობს: „განჯის მხარეში ძლევამოსილი დროშების აღმართვის დროს, თაჰმურას მირზა გორჯიმ, ქართველების ბეგმა, სხვა თავადებმა და დიდებულებმა, მონობისა და ქვეშევრდომობის რგოლი ყურზე დაიკიდეს რა, თბილისიდან ქვეყნის შემამკობლის სასახლისკენ ქნეს პირი, დიდებული, პატივცემული სამეფო კარის მოსანახულებლად მივიდნენ და ადგილობრივ ხალხს დაუყვავეს“ (ქაზემი 2016, 31). თუმცა ქართველ დიდებულთა გარკვეულ ნაწილს (კახეთის და ქართლის მხარეებიდან) „თავი მორჩილების გზიდან გადაუხრიათ“ და ირანელებს თავს დასხმიან.

„როდესაც იმ ტომთა დაუმორჩილებლობამ და ჯანყმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია, თბილისის მართველმა ალი ყოლი ბეგმა, ქართველების ამ სიავისა და თავგასულობის გარემოება უმაღლეს სასახლეს მოახსენა და როდესაც ძლევამოსილმა დროშებმა ყარსის მიდამოებში დამკვიდრება ინებეს, ამის გამო აღვირს მიმართულება შეუცვალა. როდესაც თბილისის მცხოვრებლებმა გაიგეს, ქვეყნისმპყრობლის დროშები გამოჩნდაო, იმ მხარის დიდებულებმა და წარჩინებულებმა უამრავი ძღვენი და საჩუქარი მიაყარეს ქვეყნის მპყრობლის ცხენების ფლოქვებს, მისი ავჯანდის ამბორით საკუთარი თავი განადიდეს და წყალობა და კეთილგანწყობა დაიმსახურეს. და სვებედნიერი ხელმწიფეც უძლეველი ლაშქრით თბილისში შევიდა. დასცეს ცამდე აწვდენილი კარვები და იმ მხარის დიდებულები და პატივცემულები დაიმორჩილეს. საქმეთა წესრიგში მოყვანის შემდეგ, ის მხარე უზენაესის ნაბიჯების ბრწყინვალეებისაგან სამოთხის ბაღზე უმჯობესი გახდა“ (ქაზემი 31, 2016).

გამომდინარე იქიდან, რომ მოჰამად ქაზემი ხშირად არ წერს თარიღებს, ან წერს შეცდომით (მსგავსი მაგალითი ზემოთ უკვე შეგვხვდა), რთულია ხოლმე, დავადგინოთ, თუ რომელია მის ტექსტში აღწერილი კონკრეტული ბრძოლა ქართულ

წყაროებში, რადგან ძალიან ხშირად ქაზემის აღწერილი და ასევე ქართულ წყაროებში მოთხრობილი შეტაკებები ერთმანეთს ჰგავს.

აქ ავტორი ეხება ნადერ შაჰის მიერ ქართლის და არაგვის ხეობის ჯანყის ჩახშობას, სადაც მისი თხზულების მიხედვით ხდება შემდეგი:

თაჰმურას ხანს (თეიმურაზს) ყიზილბაშთა მხარისთვის კახეთის, ქართლის და „სხვა მხარეების მკვიდრთა“ შესახებ, რომლებიც მანამაღე ირანის ფადემაჰებს ხარკს უხდიდნენ, უცნობებია, რომ ამ ხალხს „იმის გამო, რომ (მათ) ამპარტავნებისა და სიამაყის ნიავი ცხვირში სცემიათ, უმეტესაც ამ მხარეებს ესევიან და ხალხს აწიოკებენ. ლეკთა ტომებთანაც გაერთიანებულან და თათართა ტომთანაც, რომლებიც იალბუზის მთის უკან, „ჩეჰარყაფის“ სახელით არის ცნობილი; გაერთიანებულან, რადგან აქვთ სურვილი, რომ ყოველთვის, როცა ძლევამოსილი დროშები ამ მხარისკენ იზამენ პირს, მოაქციონ რა, იმ მხარეების ველებზე გამოილაშქრონ. თათართა და სხვა ხალხებთან გაერთიანებულან და ეს სვებედნიერი ხელმწიფის ლაშქრისგან თავის დასაცავად გამოუყენებიათ. და ყოველთვის, როცა სვებედნიერი ხელმწიფის ლაშქარი მოვა, თავის ხალხთან ერთად სიმამაცეს გამოიჩინენ რა, უეცრად დაესხმიან თავს.“ (ქაზემი 2016, 32).

ქაზემის თხზულების მიხედვით, „ქვეყნის დამპყრობელი“ გაბრაზებულა ამ ტომის თავგასულობის გამო და თავისი ერთგული და გამოცდილი სარდლები, 12 000 გამოცდილი ჯარისკაცით ამბოხებულების დასასჯელად გაუგზავნია. გარკვეული თავგადასავლის შემდეგ<sup>45</sup> მეომრები იერიშით წასულან ქართლისა და არაგვის ხეობისკენ.

---

<sup>45</sup> მოჰამად ქაზემს დაწვრილებით, უტრირებულად, მაგრამ საინტერესოდ აქვს აღწერილი ირანელი მეომრების თავგადასავალი, სანამ ისინი ქართლში და არაგვის ხეობაში ჩავიდოდნენ. ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ გადალახეს მეომრებმა მდინარე, რომელიც “კაცსა და ცხენს იტაცებდა, ძირავდა და ახრჩობდა”, მოგვითხრობს, ასევე სვავის მსგავსი დიდი ფრინველების შესახებ, რომლებიც ათასობით ყოფილან, ჰქონიათ ბასრი ნისკარტი, ძალიან დიდი კლანჭები და თუკი შემთხვევით ეს ფრინველი რომელიმე მეომარს ან ცხენს თავში დაეცემოდა, თავი შუაზე ეპობოდათ. ისინი კლავდნენ და ჭრიდნენ ადამიანებს და ცხენებს. თუ ვინმე უყურადღებობას გამოიჩინდა, კლანჭებითა და ნისკარტით გლეჯდნენ მათ.

„და მზის ამოსვლის დროს, როცა ციხესიმაგრეში მყოფ ხალხს მშვიდად ეძინა, მიატოვეს თავიანთი საქმეები და ველზე გაიფანტნენ. ღაზიები სანგრებიდან ამოვიდნენ, ციხის გარე მისადგომებთან მივიდნენ და მათ ხოცვა-ჟლეტას შეუდგნენ.“

თაჰმურას მირზამ, შვილმა იმ მხარეების ვალისა და მბრძანებელმა და მმართველმა იმ მხარეებისა, ყიზილბაშთა ტომის შემოსვლის ამბავი რომ შეიტყო, დამფრთხალი ციხესიმაგრისკენ გაიქცა და მასში ჩაიკეტა. სარდალთან კაცი გაგზავნა და უსაფრთხოების პირობა ითხოვა. ემამ ვერდი ხანმა მათ უსაფრთხოების გარანტია მისცა და ბრძანა: „როგორც კი თაჰმურას მირზა მოვა, ჩვენ თავზე ვიღებთ, განუკითხავად წარვუდგინოთ იგი ჩვენი დროის მპყრობელს ძველი ცოდვების პატიებას დიდებულისგან ვითხოვთ და მისადმი მეფური ყურადღების პასუხისმგებელნი გავხდებით“ თაჰმურას მირზამ ხსენებულ სარდლებს შეჰფიცა, ამის შემდეგ ციხესიმაგრიდან გამოვიდა და ზემოთ ხსენებულ ხალხთან მივიდა და ბრძანების თანახმადაც ასე იყო აღსასრულებელი, რომ, როგორც კი თაჰმურას მირზა მშვიდობის კარიდან გამოვიდოდა, სრული პატივისცემითა და ზრდილობით დიდებულ სასახლეში უნდა მიეყვანათ.“ (ქაზემი 2016, 34).

პირობის თანახმად, ირანელებმა ტყვეები გაათავისუფლეს და რამდენიმე დღეს „იმ მხარეებში“ ლხინსა და განცხრომაში ატარებდნენ.

შესაძლოა, მოჰამად ქაზემი აქ საქართველოს ისტორიიდან ცნობილ აჯანყებაზე წერდეს. როდესაც ნადერ შაჰმა ირანიდან ჯერ ავღანელები განდევნა, ხოლო ამის შემდეგ იგი ოსმალებს მიუბრუნდა. ჯერ კიდევ 1732 წელს რუსეთმა ირანს 1723 წელს მიტაცებული კასპიის ზღვის სანაპიროები დაუთმო (რეშთის ტრაქტატი). 1735 წლიდან კი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების საკითხი წამოიჭრა. 1734 წლის შირვანის დაპყრობის დროს, ნადერმა რუსეთს მოსთხოვა, დაეცალა ბაქო და დარუბანდი. რუსეთმა ირანს ეს მოთხოვნაც შეუსრულა.<sup>46</sup> ნადერის მიერ ბრძოლის

---

<sup>46</sup> 1735 წლის 21 მარტს, განჯაში, ნადერ ყულის და სპარსეთში რუსეთის ელჩის, სერგეი გოლიცინის მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთსა და სპარსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება გაფორმდა ირან-ოსმალეთის ომების დროს (1735-1739 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა

ამიერკავკასიაში გადმოტანისთანავე, ქართველები ოსმალებს აუჯანყდნენ და როდესაც ნადერი შემახიაში იყო, თეიმურაზი თავს დაესხა და დაამარცხა თბილისიდან შემახისკენ მიმავალი ოსმალების დამხმარე ჯარი ყარაღაჯაში. ამასობაში ქართლიც აჯანყდა. ქართველებმა ამოხოცეს ოსმალები, ხოლო გივი ამილახორი შევიდა გორის ციხეში, დახოცა ოსმალები, მათი გარნიზონი გაანადგურა და დაიკავა ციხე. შემდეგ ქართლებიც და კახელებიც ეახლნენ ნადერს, რომელმაც მათ გამოაყოლა ყიზილბაშთა რაზმები და დაავალა ლეკ-ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლათ. თეიმურაზმა კარგად შეასრულა ნადერის დავალება და გაწმინდა კახეთი ოსმალებისგან. აქტიურად იბრძოდნენ ასევე ქართლის თავადები თბილისში გამაგრებული თურქების წინააღმდეგ. ნადერმა ბაგავანთან (სომხეთი, ერევნის ახლოს), დაამარცხა ოსმალები, რის შემდეგაც განჯის, ერევნის, ლორეს და თბილისის თურქი მეციხოვნეები მას დანებდნენ.

ოსმალების დამარცხების შემდეგ, ნადერმა ერევანში მიიწვია თეიმურაზი და დანარჩენი თავადები, რის შემდეგაც უმრავლესობა მათგან დააპატიმრა, ხოლო ქართლ-კახეთის მმართველად კი თეიმურაზის ძმისშვილი, ალექსანდრე დავითის ძე დასვა და თანაშემწეებად ასლამაზ ხან ორბელიანი და ალი ყული ბეგ ამირეჯიბი დაუნიშნა. ალექსანდრემ ნადერის დავალებით საკმაო რაოდენობის ხარკი შეაწერა თბილისს. 1735 წელს, ერევნიდან თბილისისკენ წამოსულ ნადერს თან მოჰყავდა თეიმურაზ მეფე და ქართლ-კახეთის თავადები, ქართველები გზიდან გაიქცნენ. თეიმურაზი და კახელები ფშავში, ხოლო დანარჩენები ზოგი რუსეთში, ზოგიც იმერეთში და ნაწილიც ციხეებში გამაგრდნენ.

ასე რომ, ქართლი და კახეთი ისევ აჯანყდა. ნადერმა დამსჯელი რაზმები დააგზავნა ქართლ-კახეთში, თავადაც თბილისში შევიდა და რამდენიმე ხანი დაჰყო იქ. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ირანელებმა ქვეყანა დაარბიეს და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ტყვედ წაასხეს. მის შემდეგ ნადერი მულანში

---

პერიოდში). ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ირანს უბრუნებდა ბაქოსა და დერბენდს, ხოლო ირანი აგრძელებდა ომს თურქეთთან.

მიდის, სადაც იგი შაჰი ხდება და იქიდან აგზავნის სეფი ხანის სარდლობით ყიზილბაშების რაზმს ქართლ-კახეთის ჯანყის ჩასახშობად. სეფი ხანი ახალ ხარკს შეაწერს მოსახლეობას და ახლა უკვე ისინიც კი აჯანყდნენ, ვინც აქამდე არ გამოხატავდა უკმაყოფილებას. ამრიგად, მთელი ქართლი, კახეთი და არაგვი აჯანყებულია. ყიზილბაშთა ჯარის ქართველების მიერ დამარცხების შემდეგ, სეფი ხან სარდალი თბილისში ჩაიკეტა.<sup>47</sup> სეფი ხანი დაპირდა აჯანყებულ ქართველებს, რომ ყენთან უშუამდგომლებდა და მათ ხარკს შეუმცირებდა. თეიმურაზი და აჯანყების დანარჩენი მეთაურები (გივი ამილახორი, გივი ჩოლოყაშვილი, ბარძიმ არაგვის ერისთავი, თამაზ ანდრონიკაშვილი, ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი, ლუარსაბ თარხანი) მივიდნენ სეფი ხანთან, რომელმაც ისინი დააპატიმრა და გააგზავნა ნადერ შაჰთან ისფაჰანში. ამის შემდეგ ნადერ შაჰმა კახეთის და ქართლის მმართველები ისფაჰანში დაიბარა და იქ მყოფ დანარჩენ თავადებთან ერთად აღმოსავლეთის ლაშქრობაში წაიყვანა. ყანდაჰარში კი თეიმურაზს შვილების, ერეკლესა და ქეთევანის ჩამოყვანა დაავალა, რასაც უფრო ვრცლად ქვემოთ შევხებით.

მოჰამად ქაზემი ამ თავში მოგვითხრობს კახეთის ჰაქიმის, ვინმე ასლან ხან გორჯის შესახებ. როდესაც „რამდენიმე დღე იმ მხარეებში განცხრომასა და ნეტარებაში“ ყოფნისას, ემამ ვერდი ხანი 7 500 კაცით კახეთისკენ წასულა და „როდესაც დაზიებმა რამდენიმე ხანი არაგვის ხეობაში დაჰყვეს, ჯამუშებმა კახეთის ჰაქიმს ასლან ხან გორჯის, ყიზილბაშთა შემოსვლის ამბავი შეატყობინა. ის სახელოვანი, გამოცდილი კაცი იყო, ცხოვრების ავი და კარგი ნანახი ჰქონდა. როგორც კი ეს შეიტყო,

---

<sup>47</sup> ამ დროს, არზრუმში ირან-ოსმალეთის ზავი დაიდო, რომლის მიხედვითაც ოსმალეთმა ირანს აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაუბრუნა, შესაბამისად, ქართლ-კახეთიც, რაც ბუნებრივია, იმას ნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთი ოსმალეთს დახმარებას ვეღარ სთხოვდა. შწორედ ამიტომ, ქართველმა აჯანყებულებმა რუსეთსაც მიმართეს, სთხოვეს, ასევე, ვახტანგის ძის, ბაქარის გამოგზავნა, თუმცა, რუსეთი ქართველებს არ დახმარებია, გამომდინარე იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან. რუსეთს არ აწყობდა ცუდი ურთიერთობა ნადერ შაჰთან. შანშე ქსნის ერისთავი და ვახუშტი აბაშიძე გადაურჩნენ ამ პატიმრობას, რომლებიც შემდეგაც განაგრძობდნენ ბრძოლას ირანის წინააღმდეგ.

თავისი ხალხი და საქონელი აჰყარა ყაითაყიესკენ<sup>48</sup> წავიდა. და სხვა ხალხთან ერთად, რომლებიც იალბუზის მაღალ მთებში ცხოვრობდნენ, სასწრაფოდ წასხა, რათა შემდეგ გასახლებულები შემოსულიყვნენ“ (ქაზემი 2016, 35).

ქაზემის თხზულების მიხედვით, ირანელი მეომრები თავს დაესხნენ ყაითაყის დარუბანდში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც იმ მხრიდან დაძრულიყვნენ. იმ ჯგუფის სარდლებმა, დიდებულებმა და მეომრებმა (არითუ ხანი, ბაჰადურ ხანი, გრიგორ ხანი, თუმენე ხანი), ორი-სამი ათასი ცხენით, გზა მოუჭრეს ირანელ მეომრებს. ერთი საათი ბრძოლის შემდეგ ძალა აღარ ეყოთ ქართველებს და დამარცხდნენ. „მუსლიმი მეომრები, რომელთაც იმ ხალხის შვილები დაატყვევეს, გამარჯვებითა და ძლევამოსილებით იქაურ იალაღებზე დაბანაკდნენ. ტყვეთა ჯგუფმა, ვაჟებით, ქალებით და კაცებითურთ, ღაზიების რაზმთან ერთად დიდებულ, ცამდე ამაღლებულ მთავარ ბანაკს მიაშურა“ (ქაზემი 2016, 35).

მოჰამად ქაზემის თხზულებაში ნახსენები ასლან ხან გორჯი ვერ მოვიძიეთ ამ პერიოდის სხვა წყაროებში. ამ სახელით იგი არ ჰყავს ნახსენები იმ პერიოდის არც ერთ ქართველ ისტორიკოსს.

მოჰამად ქაზემი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართლ-კახეთის მეფის, თეიმურაზ II-ის (1744-1762) ქალიშვილისა და ნადერ-შაჰის ძმისშვილის, ალი ყული-ხანის, შემდეგში ირანის შაჰის, ადელ-შაჰის სახელით ცნობილი (1747-1748), ქორწინების შესახებ.

ქეთევანისა და ალი ყული ხანის ქორწინების შესახებ ამ ხანის ქართველ ისტორიკოსებთან ვკითხულობთ:

ვახუშტი ბატონიშვილი: „მუნ ყანდაარსა ყოფასა შინა სთხოვა თეიმურაზ შანადირ ძე და ასული, რათა მიიყვანოს იგინი მის თანა და თეიმურაზ გამოუტევოს კახეთსავე. ესე აღუძნდა ფრიად თეიმურაზს, გარნა არა რა იყო სხუა ღონე მიყვანისაგან კიდე, მოავლინა კაცი და წარიყვანა ერეკლე ძე თვისი და ასული თვისი ქეთევან. ხოლო

---

<sup>48</sup> იგულისხმება დაღესტნის ხაიდაყი.



შანადირ წარიყვანა ერეკლე ინდოეთს და ქეთევან მისცა ძმისწულსა თვისსა ალი-ყულიხანს ცოლად და გამოუტევა თეიმურაზ კახეთს” (ვახუშტი 1973, 627).

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ ნადერ შაჰთან ტყვეობაში მყოფი თეიმურაზ II თავის შვილს, ერეკლეს გამოუგზავნის წერილს, სადაც იგი მას ჩამოსვლას და, ასევე, თავისი დის, ქეთევანის წამოყვანას სთხოვს, რათა შაჰმა გაათავისუფლოს იგი (თეიმურაზი) ტყვეობიდან:

ამ წერილის შინაარსი არაერთ ქართველ ისტორიკოსს აქვს გადმოცემული: „სასურველო ძეო ჩემო! სადაც ბოროტი შეგვემთხვევის, იქ სიკეთეც მოგველის. იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომ შაჰსა სურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლას შენსა და რათა თანა წამოიყვანო ასული ჩემი და დაი შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლაი შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლებასა ტყვეობისგან. ესრეთია ნება შაჰისა!“ (ქიქოძე 1941,31).

პაკუნა ორბელიანი: „ადილ-შაჰ, რომელი ახლა ყაენად დამჯდარიყო, სიძე იყო მეფის თეიმურაზისა, ქეთევან, ასული მისი ცოლად ჰყვანდა.“ (ორბელიანი 1981, 128); „მოვიდა სუფრაჯი მამად-უსეინ, რომელი გაეგზავნა მეფეს მაშათს თავის სიძეს ალი-ყული-ხანთან, რომელი იყო ძმისწული ყაენის შაჰან-შაჰისი.“ (ორბელიანი 1981, 107); „მოვიდა მეფის თეიმურაზისა ამბავი მშვიდობისა, რომ ადილ-შაჰთან მიეწივა, რომელი იყო სიძე მისი, მიეცა პატივი, დიდი იმედი და მამაშვილური, ებოძა ურიცხვი საქონელი, შეიქნა სიხარული...“ (ორბელიანი 1973, 132); „რაც ძველთაგან ჰყოლოდათ კახთა მებატონესა, ეგრევ მოეცა ლარი ანუ მოსართმევი, ხელმწიფობისა შესაფერი სიძესა თვისსა, რომელი ჰყვანდა უმრწემესი ასული მეფის თეიმურაზისა ალი-ყული-ხანს, რომელი იყო ხელმწიფის ძმისწული, ძე იბრეიმ ხანისა...“ (ორბელიანი 1981, 65).

სეხნია ჩხეიძე: „... რომ მეფე თეიმურაზ ქართლის გულისათვის თავი გამოიმეტა და წავიდა ჯერ მისი ამბავი მართალი არა იცოდენ მერე ადილშაჰ რომელი ახლდა ყაენად დამჯდარ იყო სიძე იყო მეფის თეიმურაზისა ქეთევან ასული მისი ცოლად ჰყვანდა მისგან უფრო დიდს წყალობას მოელოდნენ“ (Corpora.iliauni,1-27 სტრ.,82 r).

ომან ხერხეულიძე: „ამ მირზა გურგინას ბეზიას თამარ-ხანუმ რქმევია. ასეთი დედაკაცი ყოფილა, რომ იქაურის ყიზილბაშის ცოლებთან მიჩნეული. თითონ ყენის ნადირშას არამშიაც ცნობილი დედაკაცი ყოფილა და პატივით მიღებული. როდისაც ჩვენი ბატონები და დედოფალი თამარ ნადირშას დაუბარებია და ხლებია, ნადირშასთან და იმის სახლეულეებასთან დილმანჯათ, ისე იგი ლაპარაკის მთარგმნელათ ეს თამარ ხანუმ ჰყოლია. თამარ დედოფალს დიახ კარგად უმსახურნია და დედოფალი თამარ დიახ თურმე სწყალობდა. ყენის ცოლებიც სწყალობდნენ იმ დედაკაცსა. პირველად ის დედაკაცი თამარ ხანუმ მეფის ერეკლეს დას ქეთევან ბატონისშვილს, რომელიც ნადირშას ძმისწულს ადილშას ჰყოლია ცოლად, იმას გაუცნობებია ყენის ცოლებისათვის.“ (ხერხეულიძე 1989, 90).

მოჰამად ქაზემს უფრო ვრცლად და განსხვავებულად აქვს აღწერილი ამ ქორწინების ამბავი. იგი წერს, რომ, როდესაც ქვეყნის რიშეფიდები და ჯარის მეთაურები საჰეყერანის უმაღლესი რაყამითა და ხანის საჩუქრებით საქართველოს ვალისთან, თეიმურაზ მირზასთან გაუშვიათ, ისინი თეიმურაზის სადგომში, კახეთში, შესულან და დიდი პატივით გადაუციათ მისთვის საჩუქრები და დიდებული რაყამი.

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი აღშფოთებულა, უბრძანებია, ელჩების ცალკე შენობაში დაბინავება, თუმცა, ოცი დღის განმავლობაში მათთვის კატეგორიულად არ გაუცია პასუხი.

„მიუხედავად იმისა, რომ მისი (თეიმურაზის) ბუნების შინაგანი სიავე დაინახეს, მაინც ბრძანა, რომ ელჩები ცალკე შენობაში დაებინავებინათ. ოცი დღის განმავლობაში ელჩებს კატეგორიულად არ გასცა პასუხი. ჩაფარები გააგზავნა განჯის სანახებში, რათა ზუსტი ამბავი აზერბაიჯანის სვებედნიერი ჯარის მხედართმთავრის შემოსვლისა მიეტანათ. და ხსენებულ მაცნეებს დაბრუნების და დაბანაკების შესახებ ყარაბაღის მიდამოებში თაჰმურას მირზას ტახტის წინ მოეხსენებიათ.

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ჩაფიქრდა, თუკი არ დავთანხმდები და ქალიშვილს არ მივცემ, შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ სახელოვანი თავისი ძლევა მოსილი ჯარისკაცების თანხლებით, გამოამჟღავნებს რა ამ მხარეების

დაპყრობის სურვილს, ჩვენი ქვეყნისა და მიდამოების აოხრებას შეუდგება. და თუკი მივცემ მას ჩემს ქალიშვილს, განშორება მასთან ჩემს გულსა და ჯიგარს დამიგლეჯს და სულს ამომართმევს. და ამ გაოგნებულ ფიქრებში გადავარდნილმა არ იცოდა, რა ექნა.“ (ქაზემი 2016, 57).

ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზს არ სურდა თავისი ქალიშვილის ალი ყული-ხანზე გათხოვება, თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც დავინახავთ, იგი მაინც მიიღებს ქეთევანის ალი ყული ხანზე მითხოვების გადაწყვეტილებას და ამას, მოჰამად ქაზემის აზრით, ქვეყნის საკეთილდღეოდ გააკეთებს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს ისტორიიდან ცნობილია ფაქტი, რომ როდესაც ნადერ შაჰმა თეიმურაზს ერეკლესა და ქეთევანის ირანში ჩამოყვანა მოსთხოვა, თეიმურაზი ყანდაჰარში იმყოფებოდა და ყანდაჰარის ციხის ალების შემდეგ ნადერ შაჰმა იგი საქართველოში დააბრუნა, ხოლო 18 წლის ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ექსპედიციაში. მოჰამად ქაზემის თხზულების მიხედვით კი ნადერ შაჰი სახელმწიფოს დიდებულებს აგზავნის კახეთში, თეიმურაზთან, რათა ქეთევანი სთხოვონ მას, რაც, ჩვენი აზრით, სიმართლეს არ შეეფერება: „ერთი სიტყვით, ქვეყნის რიშეფიდები<sup>49</sup> და ჯარის მეთაურები, სვებედნიერი ხელმწიფის უმაღლესი რაყამით, ხანის საჩუქრებით, საქართველოს ვალისთან, თაჰმურას მირზასთან გაუშვა. და კახეთში შესვლით, რომელიც თაჰმურას მირზას სადგომი იყო, პატივი ერგოთ დიდებულის ნოხის ამბორისა. საჩუქრები დიდებული რაყამითურთ გადასცეს მას.“ (ქაზემი 2016, 56).

„როდესაც სახელოვანმა დაინახა, რომ იმ მხრიდან ქედხოდები<sup>50</sup> აყოვნებდნენ, საგანგებო რაყამი გაუგზავნა სეფი ხანს, დანარჩენ სარდლებსა და თბილისის მმართველს, რომ რამდენიმე კაცი თავიანთი ტომებიდან თაჰმურას მირზასთვის გაეგზავნათ და ეიძულებინათ იგი, რომ ქალიშვილი ჩქარა გაემზადებინა და გამოეგზავნა ამ მხარეში“ (ქაზემი 2016, 57).

---

<sup>49</sup> უხუცესები.

<sup>50</sup> სოფლის თავი, უხუცესი.

ქაზემის ცნობიდან მეტად ყურადსაღებია, რომ თეიმურაზ II იძულებული ხდება, ქეთევანი ალი ყული ხანს მიათხოვოს, რადგან შაჰის კარის მოთხოვნაში ერთგვარ მუქარასაც ვაწყდებით:

„უმაღლესი ფირმანის მიხედვით, დიდებულმა სარდალმა რამდენიმე კაცი კეთილშობილი, ერთგული და საქმიანი ქედხოდებიდან თაჰმურას მირზასთან მიავლინა. და ბრძანება განუმარტა, რომ ამასობაში, საწუთროს დიდებული ფირმანის მქონე, მოჰამად ებრაჰიმ ხანი, სეფაჰსალარი და ძმა ზემოთხსენებული უდიდებულესობისა, 50-60 000 ლაზით, განჯისა და ყარაბაღის მიდამოებში არიან დაბანაკებულები, რათა გაბედნიერდნენ იმ დიდებულის შვილთან შეხვედრით, და თუკი სურვილი იმ ცის ტატნობზე დამკვიდრებულის მონებისა იქნება ის, რომ დიდძალი ჯარით შესახვედრად და გასამასპინძლებლად იმ მხარეებში მივიდეს, სტუმართმოყვარეობას გამოიჩენს, რათა დიდებული დროშების ჩამობრძანების დროს, სირცხვილი არ ჭამოს, რათა მაშინ, როცა მბრძანებლობა-მსახურებაში თავს იჩენს დაუდევრობა, იგი ცეცხლის რისხვის მსხვერპლი შეიქნება. და წერილები დაუგზავნა ქედხოდებს. იმ ხალხის შესვლისა და წერილების წაკითხვის დროს, დაინახა რა შიში და საშინელება იმ საქმეში, სხვა გზა აღარ ჰქონდა, ვითარების შესაფერისად თავისი შვილი, ისე როგორც დიდებულებსა და ფადეშაჰებს შეეფერებათ, ყოველგვარად შემკულ, მოოქრულ და მოოჭვილ ტახტრევანში ძიძებთან და მსახურებთან ერთად ჩასვა და 2 500 კაციც ქართველ დიდებულთა და რაინდთაგან, სარდალ ყაჰრამან ხანის თანხლებით გააგზავნა დიდებულ სეფაჰსალართან.

გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მივიდნენ ცის ტატნობზე მიწვდენილ ურდოში. დიდებულის კარვის მახლობლად კიდევ სხვა კარავი დასცეს, რათა იმ გოგოს მასში დაეკავებინა ადგილი. რამდენიმე დღე დაჰყვეს იმ მხარეში და იქიდან დაახლოებით 500 ხორასნელი ლაზი გამცილებლად, მოჰამად სალეჰ ბეგ ხურშანი ნიშაბურელთან ერთად გზას გაუყენა. ის კეთილშობილი უფლისწული ქალიც მოოქრული ტახტით, ერთგული მსახურებისა და საჭურისების თანხლებით გააგზავნა

იმ კურთხეული მიწისაკენ. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ სამოთხის მსგავს მიწაზე დადგეს ფეხი“ (ქაზემი 2016, 58).

მოჰამმად ქაზემი აღწერს ქორწილის ცერემონიასაც. ამგვარ დაწვრილებით აღწერას არ ვხვდებით სხვა თანამედროვე ისტორიკოსებთან.

„განგებით მავალი საჰებყერანის დიდებული ფირმანის თანახმად, ტომთა ბელადებს, ამალებს<sup>51</sup>, ბაბაებს,<sup>52</sup> ზაბეთებს<sup>53</sup> და ქედხოდებს თოთხმეტი დღე-ღამის განმავლობაში ჩირაღდად და სარკედ უნდა ექციათ წმინდა მიწა და ისეთი ქორწილი ეჩვენებიათ, მსგავსი ჯერ არავის ჰქონოდა ნანახი. ბრძანების თანახმად, ბედნიერი საათი აარჩიეს რა, ბაზრის ხალხმა, უამრავი ჩირაღდნით, სანთლით გაანათეს დუქნები და გააბრწყინეს და ააბრჭყვიალეს უამრავი ადგილი. სანთლებისა და ლამპების ნათებისაგან და მაშხლებისა და ჩირაღდნების ბრწყინვალეებისაგან დუქნები გასაკვირვებლად განათებული, ზეცის ბურჯებსა და ვარსვლავებს ამბავს აწვდიდნენ. და სიბნელე და წყვიადი ღამისა იმ ღამეს ქალაქიდან დაიკარგა და იმ ხალხის ბრწყინვალეებას სრულ სიმაღლეს ანიჭებდა. დამკვრელები, მომღერლები და ჯამბაზები, სათითაოდ უკრავდნენ და მღეროდნენ და მეჯლისის მონაწილეთა გულს იტაცებდნენ. და ზინათის<sup>54</sup> შემცველი ურიცხვი სამკაულის შემხედვარე ხალხისთვის გული და გონება წაერთმია. საკვირველი დროება და გასაოცარი მარაქა გამოჩენილიყო. ამგვარი ბრწყინვალეობა და ფუფუნება ადამიანის თვალს ჯერ ნანახი არა ჰქონდა. ერთი სიტყვით, როცა თოთხმეტმა დღე-ღამემ განვლო, ნავაბმა ალი ყული- ხანმა, ქედხოდებს, რიშეფიდებს და ქალანთარებს, იმ ხალხს უამრავი ძვირფასი ხალათი უბოძა და მოეფერა მათ. და როგორც წესი მოითხოვს, ჩირაღდნების თანხლებით მისცა მათ წასვლის ნება.

---

<sup>51</sup> რწმუნებული, ოლქის უფროსი.

<sup>52</sup> საპატიო ტიტული. რაიმე საქმის გამგე.

<sup>53</sup> გამგებელი.

<sup>54</sup> სიმდიდრე, დოვლათი.

იმ დამეს, რომელიც იყო დრო ასპიროზის ვენერას ზოდიაქოში შესვლისა, იმ დიდებულმა დიადმა ფეხი შედგა საქართველოს უფლისწული ქალის საძინებელში და ნახა რა, ის საყვარელი კერპი (ქალიშვილი), რომლის ვნებიანი შავი თვალებს ლეილის შესახებ თქმულება სრულ ეყო და მის ამბრის სურნელოვან ზილფს შირინის ხატება დავიწყებისთვის მიეცა. და მის უცვეთელას დამნაყავ ღაწვებს მზის სახე შეემკო და მისი სამშიტის ტანი წალკოტის საროს დაყრდნობოდა.

მოკლედ, იმ ნიშატის მომგვრელ დამეს იმ ქვეყნის მანათობელმა მარგალიტმა ხელი ნახევარმთვარის მსგავსად კისერზე მოჰხვია და თაფლიანი ბაგეების სიტკბოს ინდოეთისა მაჩინისგან ხარაჯა აელო. და სულის წამრთმევი კეკლუც ჰურიის სანთლებისა და ჩირაღდნების მსგავს ღაწვებიანთან იმ სიამოვნების შემცველ ნადიმში ატარებდნენ დროს.

ერთი საათი სულის დამდაგველი სიკეკლუცით და აგზნებით, მოთმინება და თავშეკავება გულისა ერთმანეთს მოსტაცეს რა, საბოლოოდ სამუმიანი უდაბნოს წყურვილი, მას შემდეგ რაც მისგან იწვებოდნენ, იმ უკვდავების წყლით მოიკლეს და ახალი ვნება და უზღვავი სულიერი ნეტარება მოიპოვეს“ (ქაზემი 2016, 60).

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ თეიმურაზ II-ს 5 ქალიშვილი ჰყავდა: ელენე, ანა, ქეთევანი, ელისაბედი და თამარი. ანა 1744 წლიდან დიმიტრი ორბელიანის ცოლი იყო, ელენე (გარდ. 1743) – ზაზა ციციშვილის, ელისაბედი (1750-1770) - ჯერ გიორგი ამილახვარისა და შემდეგ კაცია დადიანის, თამარი (დ.1749), ქეთევანი, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, 1737 წლიდან ნადერ შაჰის ძმის შვილის, ალი ყული ხანის, რომელიც გახდა ირანის შაჰი და იყო ცნობილი ადელ შაჰის სახელით.

მოჰამად ქაზემი თავის თხზულებაში წერს თეიმურაზ II-ის კიდევ ერთი ქალიშვილის და ნადერ შაჰის კავშირის შესახებ. ეს კონკრეტული ეპიზოდი საქართველოს ისტორიისთვის აშკარად უცნობია. თითქმის მთელი თავი ქაზემის თხზულებიდან ეძღვნება ამ საკითხს და ვინაიდან საკითხი მოცულობით საკმაოდ ვრცელია, საჭიროდ ჩავთვალეთ, გაგვემახვილებინა ყურადღება ამ ცნობაზე.

მოკამად ქაზემი, თავისი თხზულების ერთ-ერთ თავში „სვებედნიერი ხელმწიფის ურდოში ამირ ასლან ხანის დაბრუნებისა და თაჰმურას მირზას ქალიშვილის ხელში ჩაგდების ამბავი“, წერს:

„როდესაც თაჰმურას მირზამ (თეიმურაზმა) უზენაესი ბრძანების შესახებ შეიტყო, თავისი პირმთვარე ქალიშვილი, რომელიც უმანკოების ფარდაში აღეზარდა და სილამაზესა, მოხდენილობასა და მიმზიდველობაში ბადალი არ ჰყავდა, – ის მზეთუნახავი გოგო, ორ ძიძასთან და თავის 30 ერთგულ მონასთან ერთად შუა ღამით მთავარი ციხიდან გამოიყვანა და ელბორსის მთის მწვერვალისკენ გაგზავნა; აურაცხელი ქონებაც იმ ადგილას გადაამალა, – ღმერთს არ ექნა! – ქვეყნის მპყრობლის ნაიბებს<sup>55</sup> ის მზეთუნახავი ხელში ჩაეგდოთ.“ (ქაზემი 2016, 50).

გოგოს გამგზავრება და დიდებული ჩაფარების მოსვლა ერთი იყო. მათ შეწყალების რაყამი მიჰქონდათ თეიმურაზისთვის: „ქვეყნის მპყრობლის (ნადირ შაჰის) სურვილი ისაა, რომ ერთმანეთს შორის ერთიანობა გაჩნდეს. ამისთვის საჭიროა, ქალიშვილი, რომელიც თაჰმურასმა უმანკოების ფარდაში გაზარდა, დასვას ოქროთი მოოჭვილ ტახტრევანზე და ათასი კაცის თანხლებით ყიზილბაში დიდებულებისკენ გამოუშვასო“. თაჰმურას მირზამ უწმინდესს უპასუხა: „ქალიშვილი მყავდა, რომელსაც სიცოცხლის ინდისხურმასავით ვზრდიდი, მის აღზრდაში მთელი [მისი] ცხოვრება ასე მიცდია, სრულ ზღვარამდე მიმიღწევია. ზეციური ბედისწერისგან და უფლის განაჩენისგან უფალს ეახლა (გარდაიცვალა)“. ჩაფარები გაბრუნდნენ და ცხონებული დიდებულის სიკვდილის შესახებ ამ ქვეყნის პატრონს აცნობეს.

თაჰმურას მირზასაც გარკვეული რაოდენობის ყიზილბაშ ღაზიებთან ერთად ქვეყნის მპყრობლის სასახლეში მისვლის პატივი დაედო.

ამის გაგონებაზე დიდად ყაენს თავის მეფურ სახეზე დარდი და მწუხარება აესახა, თაჰმურას მირზას დაუტკბა, მოეფერა და ძვირფასი მეფური ბუნებით განადიდა.“ (ქაზემი 2016, 50).

---

<sup>55</sup> მოადგილე, თანაშემწე.

ტექსტში ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზ მეფის ქალიშვილი, შესაძლოა, „უმანკოების ფარდაში აღზრდილი“ და მეტად ახალგაზრდა ქალწული ყოფილიყო. ესეც გახდა, ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი, რომ მამამ იგი გადამალა და ყიზილბაში დიდებულები მოატყუა, ქალიშვილი გარდამეცვალაო.

ქაზემი შემდეგ წერს, რომ ამირ ასლან ხანი მივიდა მოჰამად ალი ხანთან, შეეცინა იქ და ლამაზ ქართველ ქალებთან ერთად მიეცა განცხრომასა და სიამოვნებას. მეორე დღეს, ღაზიების რაზმთან ერთად სანადიროდ გაემართა. უცერად მან მოჰკრა თვალი რამდენიმე ცხენოსანს, რომლებიც მთის კალთაზე დამდგარიყვნენ. ქართველებთან ახლოს მივიდა და დაინახა გოგო, რომელსაც მოხუცი ქალის მუხლებზე დაედო თავი და თავისი სილამაზით მთელ უდაბნოს ანათებდა. ზემოთნახსენებმა სარდალმა ამ გოგოს ამბავი იკითხა. მოახსენეს, რომ ეს საქართველოს ვალის, თაჰმურას მირზას ქალიშვილია, რომელიც მამამ გადამალა, იმის შიშით, რომ დიდებულ საჰბეყერანს მისი წართმევა და შერთვა უსურვებია. როდესაც ამირ-ასლან ხანმა ეს ამბავი შეიტყო, წამოდგა, რამდენიმე მხედარს უკან გაჰყვა და ურდოში წავიდა ოქროთი მოოჭვილი ტატხრევანით გოგოს ჩამოსაყვანად. ის პირმთვარე გოგო ტახტრევანზე დასვეს [და წაიყვანეს] (ქაზემი 2016, 51).

„მგზავრობის დროს, ის სახელოვანი (ამირ ასლან ხანი) იმ ტახტრევანს უკან მიჰყვებოდა და, რაც კი საჭირო იყო (სოლთნის რეჰუტაციის დასაცავად), ყველაფერს ასრულებდა, იცოდა რა, რომ ქვეყნის უდიდეს სვებედნიერ [ხელმწიფეს] ამ პირმთვარის ხელში ჩაგდების ფიქრი ჰქონდა.“ (ქაზემი 2016, 52).

თხზულების მიხედვით, ნადერ შაჰმა შეიტყო სიმართლე, თაჰმურას მირზა დაიბარა და უთხრა: თქვენი ქალიშვილი, რომელიც გარდაცვლილი იყო, გაცოცხლებულა და ამიტომ ეს ამბავი მის დედას, ნათესავებსა და მოყვრებს უნდა აცნობოთ, რომ [იგი] ახლა მოვაო.

თეიმურაზმა უკვე იცოდა, რომ მისი ქალიშვილი ყიზილბაშ ღაზიებს წაეყვანათ და ამიტომ სიმართლის თქმის გარდა სხვა გზა ვეღარ მონახა. ნადერ შაჰმა, იმის გამო, რომ ქრისტიანი ვალიების რიდი ჰქონდა, მის მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა.



მისი ბრძანებით, ქალიშვილი გზიდან მამის სახლში წაიყვანეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი თეიმურაზმა თავისი ქალიშვილის გამზადების თადარიგი თავადვე დაიჭირა. რამდენიმე ქალი თავისი ჰარემიდან, სვებედნიერის (ნადერის) ჰარემში გაუშვა, დიდებულად დააბინავა იქ შემდეგ თავისი ძმა, მოჰამად ალი-მირზა, მეფესთან გაგზავნა და თავისი ქალიშვილის მისთვის მირთმევის სურვილი აცნობა. შაჰმა მოჰამად-ყული მირზას მეფური პატივისცემა მიაგო და თავის მრჩეველებსა და ვეზირებს უბრძანა, ქალი მოერთოთ, მოეკაზმათ და ოქრო-ვერცხლში ჩაესვათ. ამ „უმანკო ქალწულისთვის“ მოამზადა სამკაულები და ძვირფასი ქვების ნაკეთობები. გოგო მორთეს, გაალამაზეს და „განსაკუთრებულ სამინებელში“ მიიყვანეს. „დიდებული სვებედნიერიც ნორჩ ქართველ ქალს შეერწყა.“ (ქაზემი 2016, 53).

„[მეორე დღეს, შაჰმა უამრავი საჩუქარი მიაართვა იმ ქვეყნის მცხოვრებთ. განსაკუთრებული პატივისცემა გამოავლინა ქართველის ხალხის მიმართ. თაჰმურას მირზა იმ ველაიეთის ვალიდ და პატრონად დანიშნა (ე.ი. განუმტკიცა დიდება), ხოლო მოჰამად ყული-მირზა არაგვისხეობისა და ქართლის ოლქში განამწყესა.“ (ქაზემი 2016, 53)

როგორც უკვე ვთქვით, მოჰამად ქაზემის თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებთან ამგვარი ინფორმაცია არ მოიპოვება და მით უფრო იმის შესახებ, რომ ეს ქალიშვილი თვით ნადერ შაჰს მონდომებია, სავარაუდოდ, თავისი ჰარამხანისთვის, თუ ერთი ღამისთვის.

ჩნდება კითხვა, რომელია თეიმურაზის ქალიშვილებისგან ეს გოგონა, რომლის შესახებაც მსგავსი ამბავი არაა ნახსენები არც მოჰამად ქაზემის თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებთან, არც მირზა-მაჰდი ხან ასთრაბადისთან. არ შეგვხვედრია ამგვარი ცნობა არც ჩვენს ხელთ არსებულ ევროპულ ისტორიკოსებთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გოგო ვერ იქნება ვერც ელისაბედი და ვერც თამარი, რომლებიც, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, დაიბადნენ მაშინ, როდესაც ნადერ შაჰი უკვე გარდაცვლილი იყო; თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს ერთერთი დანარჩენი სამი ქალიშვილიდან.

ირანულ წყაროებში ხშირად ვხვდებით ხოლმე გამოგონილ ამბებს, \_ მკვლევართა შეფასებით ლეგენდებსა და ისტორიულ ანეკდოტებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საქმე გამოგონილ ამბავთან არ უნდა გვქონდეს, მაინც მოვიტანთ იტალიელი მკვლევრის, ჯორჯო როტას მოსაზრებას ამგვარ არასრულ ინფორმაციებთან დაკავშირებით, რომელსაც ვეთანხმები. „პირველწყარო თავისი ცრურწმენებით, ვარაუდებითა და დაუდევრობით, მაინც წარმოადგენს დროებითი ადამიანური ყოფის ანარეკლს და ის წყაროც კი, რომელიც ყველაზე ნაკლები ინფორმაციის შემცველია, შესაძლოა, იყოს უფრო მეტის მომცემი და დამაჯერებელი, ისეთივე ღირებული წარსულის გასააზრებლად, როგორც თავისთავად წყარო, რომელიც შეიცავს ზუსტ თარიღებსა და დოკუმენტებს.“ იგი ასევე დასძენს, რომ „ნებისმიერი მსგავსი ნაშრომი, როგორ არაადეკვატურად და არაზუსტადაც არ უნდა იყოს მოცემული მასში რაღაც დეტალები, არის ცალკეული მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ისტორიული ფაქტი და ყველაზე მეტად გასაგები მაშინაა, როდესაც მას ვუდარებთ თანამედროვე წყაროებს და ამის შედეგად, ნათელი ხდება ზოგადი ვითარება კონკრეტული პერიოდისა, რაც, შესაძლოა, დეტალებზე უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდეს ხოლმე.“ (Rota 159,1998).

ნიკოლოზ იაზიკოვს<sup>56</sup> თავის ჩანაწერებში საქართველოს შესახებ ნახსენები ჰყავს მეფე ირაკლის და, რომელსაც, თითქოსდა, ნადერ შაჰთან გაუტარებია ღამე: „როდესაც ნადერ შაჰი საქართველოს ფლობდა, იმ დროს, სადაც კი ლამაზ გოგოს ნახავდნენ (სამეფო წარმომავლობისაც), ძალით წაიყვანდნენ ხოლმე. გადმოგვცემენ, რომ მეფე ირაკლის და ნადერ შაჰთან ყოფილა (აღსანიშნავია ასევე, რომ სპარსელების წეჩვეულების მიხედვით, ქალიშვილის წაყვანა ნებადართულია, ხოლო გათხოვილი

---

<sup>56</sup> რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი, რომელიც 1770 წელს მეფის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა იმ კონფლიქტების მოსაგვარებლად, რომლებიც მეფე ერეკლე II-ს ჰქონდა როგორც გენერალ ტოტლებენთან, ასევე სოლომონ I-თან.

ქალის \_ არა). ამიტომაც იყო, რომ მამებმა თავიანთი ქალიშვილების ადრე გათხოვება დაიწყეს, ბავშვობიდანვე დანიშნავდნენ ხოლმე მათ<sup>57</sup> (Языков 1891, 183-196).

თეიმურაზ II თავის ლექსში „თავგადასავალი“ გულისტკივილს გამოთქვამს თავის ქალიშვილის ალი ყული ხანზე გათხოვებასთან და ვაჟიშვილ ერეკლეს ირანში გამოძახებასთან დაკავშირებით.

“გაგზავნეს კახეთს ჩაფარი, არ ჩემთვის მოსალხენია,  
მათ დამიბარეს ქალ-ვაჟი, დღე მქონდა მოსაწყენია,  
სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყო კაცი ბრძენია,  
აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო ძნელია?!”

“თვით ყეენმან უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი:  
გამომართვა ქალი პირმზე , ვისგან მნათობს რამე ბნელი,  
ძმისწულს მისცა შესართავად, კვლა ბოდებას აღარ ველი,

---

<sup>57</sup> ამ საკითხს ეხებიან ფრანგი მოგზაურები ტავერნიე და ტურნეფორი, რომელთა ცნობების თანახმადაც , იმ მშობლებს, რომლებსაც თავიანთი ქალიშვილების გათხოვებამდე სურდათ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ პატარობიდანვე გზავნიდნენ ქალთა მონასტრებში, ან 7-8 წლის ასაკშივე ათხოვებდნენ (Tavernier 1713, 446; Tournefort 1718 27-33, 135). ამავე ტავერნიესა და ტურნეფორის ცნობებით, მონასტრებში გოგონები მღვდლებზე უფრო მეტ ცოდნას იძენდნენ, შემდეგ ისინი ან იქვე რჩებოდნენ, ან წარჩინებულების სამსახურში დგებოდნენ და იღებდნენ აღსარებას, ნათლავდნენ, ატარებდნენ ქორწინებას და ასრულებენ სხვა საეკლესიო მოქმედებებს. ტავერნიე წერს, რომ ასეთი ჩვეულება მსოფლიოში არსად არ გამოგიაო (Tavernier 1713, 453-454). ტურნეფორი წერს: „ქალები მონასტერში ხდებიან მორჩილნი, შემდეგ მხევალნი, ხოლო ბოლოს უფლება აქვთ შეასრულონ წინამძღვრის ისეთი ფუნქციები, როგორცაა ნათლობა და ზიარება, მირონცხება“ ( ტურნეფორი 1988, 70). ფრანგი გრაფი ლუი-ფრანსუა ფერიე დე სოვებეფის ცნობის თანახმად, ქართველი ქალები ძირითადად ლამაზები იყვნენ, მათ დიდი შავი თვალები და ვარდისფერი ღაწვები ჰქონდათ. ლეკები და ყალმუხები საქართველოდან განუწყვეტილად იტაცებდნენ ახალგაზრდა ქალებს, რომელთა სილამაზე სპარსეთისა და თურქეთის სერალების სამკაული იყო. მისივე ცნობით, ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ჰყიდდნენ თავიანთ ქალიშვილებს, მაგრამ არასოდეს არ ჰყიდდნენ თავიანთ ვაჟებს. თხზულებაში ფრანგ გრაფს შემდეგი ანდაზაც მოჰყავს: „ბედნიერებისათვის საჭიროა იაზდური პური, აზერბაიჯანული ხილი, შირაზული ღვინო და ქართველი ქალი“(ნაჭყებია 2017, 249)

მე მისისა მოშორებით დამიწყულულდა გული მრთელი”

(ქართული მწერლობა 1990, 89-90).

აქა არის მოთხრობილი ქეთევანისა და ალი ყული ხანის ქორწინების ამბავი და ისტორიკოსებიც, ბუნებრივია, აღნიშნავენ, რომ თეიმურაზის ასეთი დარდი სწორედ ამ ფაქტის გამოძახილია.

საინტერესოა ასევე ისიც, რომ მოჰამად ქაზემის თხზულებაში თანმიმდევრობა ამ თავებისა ამგვარია: ჯერ არის თავი, სადაც მოთხრობილია ამ ქალიშვილის შაჰის მიერ ხელში ჩაგდების შესახებ, ხოლო შემდეგ არის თავი, სადაც აღწერილია ქეთევანისა და ალი ყული ხანის ქორწილი.

თუკი გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლის ფაქტორებს \_ იმას, რომ იაზიკოვი წერს ნადერისა და ერეკლეს დის შესახებ და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იაზიკოვი გახლდათ საკმაოდ სერიოზული ფიგურა, ასევე, ყურადსაღებია სიტყვა „ამბობენ“, რომელსაც ხმარობს ავტორი; ასევე ისიც, რომ იაზიკოვის მიერ მოთხრობილი ამბავი არც თუ ისე დიდი ხნის მერეა დაწერილი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმავე ჩანაწერებში იგი ამბობს, რომ გარკვეული ინფორმაციები მას ანტონ კათალიკოსისგანაც აქვს მოსმენილი, ხოლო ანტონ კათალიკოსი, თავად იყო იმ პერიოდის მოვლენების შემსწრე, რომელთაც აღწერს მოჰამად ქაზემი თავის თხზულებაში და ამიტომ თითქმის არ გაგვაჩნია საფუძველი, რომ ექვი შევიტანოთ მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეში.

ასევე, ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ნადერ შაჰი (და არა მარტო ნადერ შაჰი) უკან არ დაიხევდა, არ მოერიდებოდა, ქართველი დიდებულების ოჯახის წევრები წაეყვანა ხან ცოლად და ხანაც თუნდაც ერთი ღამისთვის. მაგალითისთვის, გავიხსენებთ ამ პერიოდის მოვლენას, რომელიც ზემოთხსენებულ ანტონ I კათალიკოსსაც ეხება, როდესაც ნადერ შაჰმა გივი ამილახვარს, შეიძლება ითქვას, წაართვა ქალიშვილი;<sup>58</sup> ასევე, ევროპელი ლუი ფრანსუა

---

<sup>58</sup> ანტონ I, (ერისკაცობაში \_ თეიმურაზ ბაგრატიონი, 1720-1788), ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კათალიკოსი, მწერალი, მეცნიერი. ვახტანგ VI-ის ძმის მეფე იესესა და ერეკლე

დე ფერიე-სოვებეფის ცნობა.<sup>59</sup> თუ გავითვალისწინებთ ამ მოვლენებს, მაშინ მოჰამად ქაზემის ცნობა თეიმურაზ მეორის ქალიშვილისა და ნადერ შაჰის ამ შესაძლო კავშირის შესახებ, შესაძლოა, სიმართლედ იყოს და არა გამოგონილი ამბავი, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხშირად სდევს ხოლმე თან ირანულ წყაროებს. ხოლო რაც შეეხება ვინაობას ამ ქალიშვილისა, ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ეს იყოს ქეთევანი, რადგან:

ა) ნადერ შაჰთან დანათესავებაზე ასეთი დადარდიანება არ არის დამაჯერებელი, გამომდინარე თეიმურაზისა და ნადერ შაჰის ურთიერთობიდან და იმ შესაძლო

---

I-ის ასულის ელისაბედის (ელენეს) ვაჟი. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1727 წლიდან იზრდებოდა თელავის სასახლეში თავის ბიძაშვილთან ერეკლე II-თან ერთად. მის აღზრდაში მონაწილეობას იღებდა დავითგარეჯის წინამძღვარი არქიმანდრიტი სპირიდონი. მიიღო ფართო განათლება. დიდი საერო კარიერისთვის ამზადდებდნენ. ქართლის მძლავრი თავადის, გივი ამილახვრის ასულზე დანიშნეს; მაგრამ 1735 წელს თბილისში ლაშქრით შემოსულმა თამაზ-ხანმა (ნადირ-შაჰი) საცოლედ წაჰგვარა და სასიამოროდ აიძულა უხმოდ დამორჩილებოდა მის ნებას. თავზარდაცემული ანტონ I ჯერ დავითგარეჯას შეეხიზნა, შემდეგ იმერეთს გადავიდა. ერთხანს რუსეთშიც იყო; 1738 წელს კი ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში ანტონის სახელით. (ბაბუნაშვილი, ბარამიძე 1975, 497). ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ს. ავალიანი, ანტონ პირველი, თბილისი, 1987, გვ. 15; კ. გაჩეჩილაძე, ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 2003, გვ. 445; კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, გვ. 1960 ;

<sup>59</sup> 1782-1789 წლებში ოსმალეთის იმპერიასა და სპარსეთში დიპლომატიური მისიით წარგზავნილი ფრანგი გრაფი ლუი-ფრანსუა ფერიე დე სოვებეფი. ევროპაში თამაზ-ყოლი ხანის სახელით ცნობილმა ნადირ-შაჰმა, ინდოეთის დალაშქრიდან სპარსეთში დაბრუნების შემდეგ პრინც ერეკლეს საქართველოზე ინვესტიტურა მისცა იმის შემდეგ, როდესაც მან მუსლიმობა მიიღო; ამ გზით მან გადააყენა პრინცი ალექსანდრე, რომლის ოჯახიც დიდი ხნის მანძილზე მეფობდა თბილისში და რომელიც რუსეთში გაიქცა, რათა თავიდან აეცილებინა ამ დამპყრობლის დევნა. ლუი-ფრანსუა დე ფერიე-სოვებეფის ცნობით, ნადირ-შაჰს თავის კარავში თავისივე ოფიცრებმა მოჰკვეთეს თავი „როდესაც იგი ქართველი ქალის მკლავებში ისვენებდა“. ჯერჯერობით ვერ დადგინდა რამდენად შეესაბამება სინამდვილეს გრაფის ეს ბოლო ცნობა, მაგრამ ის კვლავ მოწმობს, რომ ქართველი ქალის ყოლა ჰარამხანებში აღმოსავლელი მმართველებისათვის სასახელო იყო (ნაჭყებია 2017, 249).

გათვლებით, რომელიც ნამდვილად გააჩნდა თეიმურაზ მეორეს სამომავლო ურთიერთობისათვის, რაც შემდგომში ნათლად და დადებითად აისახა საქართველოს ისტორიაში.

ა) ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდა ამ ლექსისა, მას ნაკლებად დრამატული ტონის მქონე წერილი აქვს მიწერილი ერეკლესადმი, როდესაც იგი მას სთხოვს, ეახლოს შაჰს და თან წამოიყვანოს თავისი და, რათა შაჰმა იგი (თეიმურაზი) გაათავისუფლოს: „სასურველო ძეო ჩემო! სადაც ბოროტი შეგვემთხვევის, იქ სიკეთეც მოგველის. იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომ შაჰსა სურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლას შენსა და რათა თანა წამოიყვანო ასული ჩემი და დაი შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლაი შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლებასა ტყვეობისგან. ესრეთია ნება შაჰისა” (ქიქოძე 1941,31).

ბ) რა თქმა უნდა, საქმეს გაგვიადვილებდა, თუ მოჰამად ქაზემის თხზულებაში სწორად იქნებოდა თარიღები მითითებული (ამ შემთხვევაში საერთოდ არაა დათარიღება).

ნადერ შაჰიც, ისე როგორც სხვა დანარჩენი მმართველები, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, არ ერიდებოდა განცხრომით ცხოვრებას, იქნებოდა ეს ღვინის სმა, ნარკოტიკული საშუალებები თუ ქალების გარემოცვაში დროის გატარება. ბოლოს, კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას ნადერ შაჰის ამგვარ თვისებებზე მისი უფრო სრულყოფილი პორტრეტის წარმოსაჩენად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არა მხოლოდ ნადერის თანამედროვე ისტორიკოსები არ წერენ ბევრს ამის შესახებ (შეიძლება ითქვას, რომ ამგვარ პასაჟებს საკმაოდ მცირე რაოდენობით თუ წავაწყდებით მათ თხზულებებში, ან საერთოდ არ არ მოიპოვება და ეს ბუნებრივიცაა, გამომდინარე მათი ეპოქიდან), არამედ ჩვენი დროის თანამედროვე მკვლევრებიც მეტ ყურადღებას უფრო მის საომარი, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის, ასევე, რელიგიური პოლიტიკის კვლევაზე ამახვილებენ და ესეც ბუნებრივია, როდესაც საქმე ეხება ისეთ ძლიერ მმართველს, როგორიცაა ნადერი. თუმცა, ძალიან საინტერესოა და არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა ის ცნობებიც, რომლებიც მის მანკიერ თვისებებს აღწერს.

ჩვენ მიერ ვილემ ფლორის უაღრესად საინტერესო ნაშრომში „ირანის სოციალური ისტორია“, ავტორი სწორედ ამგვარ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას.

„თაჰმასბ მეორესა და ნადერ შაჰის მმართველობის დროს პროსტიტუციასთან დაკავშირებით არანაირი ცვლილება არ შეინიშნება. ძალიან „კარგ“ მაგალითს იძლეოდა შაჰ თაჰმასბი, როცა იგი მხოლოდ ბახუსისა და ვენერას ტრფობაში ატარებდა დროს. არც მისი უზურპატორი გამგრძელებლის დროს იყო საქმე უკეთესად“ , – აღნიშნავს ფლორი და იქვე დასძენს: „შეიძლება ითქვას, რომ ნადერ შაჰის პერიოდში ირანი ერთი დიდი საროსკიპო იყო, სადაც ღვინო თავისუფლად მორაკრავებდა“. „შირაზში, რომელიც იყო სავსე ძვირფასი ღვინოებით, 1734 წელს, რამაზანის თვეში, ნადერმა თავის 90 000 მეომარს მისცა ღვინის სმის უფლება. მათ რამდენიმე დღეში დააცარიელეს ღვინის სახლი“ (A chronicle of Carmelites. ციტ. Floor 2008, 228). „ნადერის ჯარისკაცების ხარბი ხელისგან არც ერთი დატყვევებული გოგო და ბიჭი არ იყო დაზღვეული. ხშირად, გადასახადების გადახდის მიზნით. დამატებით გაყიდნენ ხოლმე თავიანთ ოჯახის წევრებს (ქალებს, გოგოებს, ბიჭებს). 1730 წელს, ხორასნის ოპერაციის დროს, მაშჰადში, ნადერის ჯარისკაცებმა ბევრი ქალი გააუპატიურეს და რა თქმა უნდა, ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მათ“ (VOC. 2255. ციტ. Floor 2008,229).

„1732 წელს ყაზვინის მცხოვრებლებსა და ნადერის ჯარისკაცებს შორის შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელთ გააუპატიურეს რამდენიმე ყაზვინელი ქალი. ამ შეტაკებაში ორივე მხარეს მსხვერპლი მოჰყვა. ყაზვინელებმა განაცხადეს, რომ ნადერის ჯარს აღარ მოუთმენდნენ. მოჰამად ალი ხანი, რომელიც 1733 წლის იანვარში ვახტანგ მირზასთან ერთად ბანდარ აბასში ინსპექტირებას ატარებდა, ძალიან უხეშად და უზრდელად იქცეოდა, სჩადიოდა ყოველგვარ უმსგავსობას, როგორცაა ქალებისა თუ გოგოების გაუპატიურება, საქონლის გატაცება და საჭმლის გამოძალვა. (Gamronsch Dagregister. ციტ.Floor 2008, 229 ).

1733 წლის 25 იანვარს სპარსელებმა ხელი აიღეს თავიანთ გეგმაზე, თავს დასხმოდნენ ბასრას, დაატყვევეს უამრავი ქალი და ბავშვი ჰოვეიზეში და თითოეული

მათგანი 15-20 მაჰმუდიედ<sup>60</sup> გაყიდეს. 1733 წლის 26 ნოემბერს სარდალმა თაჰმაზბ ყოლი ბეგ ჯალაიერმა გათხოვილ ქალებს სახლიდან გასვლა აუკრძალა, რადგან მოსალოდნელ შედეგებს კარგად ხედავდა. იმავე წლის 23 დეკემბერს მან ბანაკი აშალა და მისმა ჯარისკაცებმა უამრავი ქალი მოიტაცეს და დააყაჩაღეს ოჯახები. იგივე განმეორდა, როდესაც მარადიორი/ყაჩალი ტომები (ბელუჯები, სამხრეთელი ავღანები და ჩრდილოელი ლეკები) ირანის სხვადასხვა ნაწილში შეიჭრნენ. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ქალების, გოგოებისა და პატარა ბიჭების მონად გაყიდვა იყო. 1730 წელს, თურქეთთან ომის შემდეგ, ნადერმა ხორასანში გადაინაცვლა, სადაც მემამბოხე თურქმენები დააშოშმინა. ამის შემდეგ გაუმკლავდა აბდალ ავღანებს, რომელთაც ჰუსეინ ხან დილზაისთან ერთად სასტიკად დახოცეს 12 000 ადამიანი. (კაცები, ქალები, ბავშვები), გაუფატრეს მუცლები ფეხმძიმე ქალებს, დაატყვევეს უამრავი და წავიდნენ დიდი ალაფით. ამბოხებულები სასტიკად ისჯებოდნენ ხოლმე. მათ ცოლებსა და შვილებს აგზავნიდნენ საროსკიპოებში, აძლევდნენ ჯარისკაცებს ან სასახლის მომსახურე პერსონალს. 1741 წლის ოქტომბერს, სპარსული ფლოტის ადმირალმა, ემამვერდი ხანმა, არაბ აჯანყებულებს მშვიდობა შესთავაზა. იმ შემთხვევაში, თუ არ დასთანხმდებოდნენ, სიკვდილით, ცოლებისა და შვილების დატყვევებითა და კუნძულების განადგურებით დაემუქრა. (Floor 2008, 230). ასევე 1744 წელს, მოჰამად თაყი ხან შირაზის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ნადერ შაჰმა მისი ცოლ-შვილი თავიანთ ჯარისკაცებს დაურიგა (Shabani 1977, 28). ის ხშირ შემთხვევაში, მოწინააღმდეგეების დაპყრობის შემდეგ, დატყვევებულ ქალებს საჯარო აუქციონზე ყიდდა (Donboli 1970, vol.1, 467). 1736 წელს ჰოლანდიელებმა ყანდაარში შესული ნადერ შაჰის ჯარი აღრიცხეს და აღმოაჩინეს, რომ 200 000 კაცთან ერთად, 20 000 ქალი იმყოფებოდა (VOC. 2416, ციტ. Floor 2008, 230). 1734 წლის აპრილში, ჰოლანდიელების ცნობით, ნადერ შაჰი სასმელს მიეძალა და თავის ჯარსაც ღვინის დალევის უფლება მისცა. აღაზევა პროსტიტუცია და თავის ჯარისკაცებსაც რეკომენდაციას უწევდა,

---

<sup>60</sup> ფულადი ნომინალი, რომელიც აბზასის/აბაზიანის ნახევარს უდრიდა.



ხელი მიეყოთ ამ ძალიან კარგი საქმისთვის. ეს აქარწყლებს ჭორს, როგორ აქირავებდა ისპაჰანში ვირაც პირი ბორდელებსა და ღვინის სახლებს 5000 თუმნად.(VOC 2323. ციტ. Floor 2008, 231). ჰოლანდიელების ცნობით, ნადერ შაჰი იმდენად ამორალური გახდა, რომ ამბობდა: „ვინ არის ღმერთი?! მე ქალებს საერთო ქონებად ვაცხადებ“. ასევე ცნობილია, რომ მან ძალით წაიყვანა სომეხი გოგონები ჯულფადან საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ნადერ შაჰმა სიმამაცით ცნობილი ბაირამ ალი ხანი გაგუდა, რადგან ქეიფის დროს ნადერ შაჰის დასმულ შეკითხვაზე, თუ როგორი ბავშვები გაუჩნებოდათ ქალებს, რომლებსაც 10 ჯარისკაცთან ჰქონდათ სექსი, უპასუხა, რომ მისნაირი (ნადერისნაირი) ნაბიჭვრები ეყოლებოდათ. (VOC 2416 ციტ. Floor 2008, 231).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგივენაირი პრივილეგიებით ვერ სარგებლობდნენ უცხოელი მამაკაცები ირანელ ქალებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. 1734 წლის პირველ იანვარს, ესფაჰანის მმართველმა ევროპელებს განუცხადა, რომ დღეიდან მათ ეკრძალებოდათ ღვინისა და ბრენდის სმა და, ასევე, აღარ ეძლეოდათ უფლება, ქალები თავიანთ კარვებში შეეყვანათ (VOC 2323. ციტ. Floor 2008,231).

ოტერის ცნობის მიხედვით, ერთმა ქურთისტანელმა კაცმა, რომელიც გადასახადის ვერ გადახდის დილემის წინაშე დადგა და არ იცოდა, საიდან მოეტანა ფული, გაყიდა საკუთარი ქალიშვილი (Eqbali 1984, 181). ქაზემის ცნობის მიხედვით, ერაყის გზაზე მიმავალმა ნადერ შაჰმა სიკვდილით დასაჯა უამრავი ადამიანი იმის გამო, რომ 1746 წელს 11 წლის გოგოს და 14 წლის ბიჭის ფასი 1500 დინარამდე შემცირებულა. (Kazem 1985,181).

არსებობდა ასევე ქალების გაჩუქების პრაქტიკაც. სეფიანთა დინასტიის დაცემის შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოჩნდა ძალიან ბევრი თვითმარქვია მემკვიდრე, რომელთაც სამეფო ტახტის დაკავება სურდათ. სოფლის გულუბრყვილო მცხოვრებლები ხშირ შემთხვევაში მათ საკუთარ ქალიშვილებს სთავაზობდნენ ცოლებად იმ იმედით, რომ, როცა ეს სეფიანები ტახტს დაიკავებდნენ, მათი ცხოვრება გაუმჯობესდებოდა.

დასავლურ ენებზე გამოცემულ ნაშრომებში მე-18 საუკუნის ირანის ისტორია აღიწერება, როგორც ქაოსისა და ანარქიის ხანა სეფიანთა და ყაჯართა შედარებით სტაბილურ ეპოქებს შორის. (Newman 2018, 108).

ირანის შესახებ ბევრი წიგნი არსებობს, რომლებიც გაკვირით მიმოიხილავენ მე-18 საუკუნის ირანის ისტორიას და ხშირად სეფიანთა დინასტიის პერიოდიდან გადადიან პირდაპირ ყაჯართა დინასტიის პერიოდზე, ნადერ შაჰის და ქარიმ ხან ზენდის პერიოდებს კი უგულისყუროდ მიმოიხილავენ.

მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომებშიც იკვეთება, რომ ეს იყო აჯანყებების, ომების, პოლიტიკური არეულობის, ანარქიის, უკანონობის, ვაჭრობის ჩავარდნის, ეკონომიკური კოლაფსის, შიმშილის, იძულებითი მიგრაციებისა და, საზოგადოდ, კოლაფსის საუკუნე. დათვლილია, რომ ქვეყნის მოსახლეობა საუკუნის დასაწყისში შეადგენდა 9 მილიონს, ხოლო საუკუნის დასასრულს 6 მილიონამდე შემცირდა.

ნადერის კრახმა საფუძველი ჩაუყარა ახალი სახელმწიფოების შექმნას ავღანეთსა და საქართველოში, ასევე სპარსეთის დაქვემდებარებულ სხვა ქვეყნებში. სამოქალაქო ომები გაგრძელდა თითქმის საუკუნის ბოლომდე, თუმცა იყო შედარებითი სიმშვიდის პერიოდებიც; ნადერ შაჰის ხანმოკლე მმართველობის შემდეგ ქერიმ ხან ზენდმა დროებით შეძლო ირანის ცენტრალური ნაწილების გაერთიანება, მისი გარდაცვალების (1779) შემდეგ კი ვითარება კვლავ აირია, სანამ 1796 წელს ალა მოჰამად ხანი არ ეკურთხა ყაჯართა დინასტიის პირველ შაჰად.

1743-46 წლებში ამბოხებულთა ტალღა მოედო ხორასანს, ქერმანს, ლურისტანს, მაგრამ ნადერ შაჰის ჯარებმა მათი ჩახშობა მოახერხა. 1747 წელს ამბოხებამ იფეთქა სისტანშიც (მალე მას მოჰყვა ბელუჯესტანიც). ამ ამბოხებაში ადგილობრივი დიდებულები იღებდნენ მონაწილეობას. ნადერ შაჰმა მათ ჩასახშობად თავისი ძმისშვილი, ალი ყული მირზა გაგზავნა, მაგრამ ეს უკანასკნელი თავად შეუერთდა ამბოხებულებს და თავი შაჰადაც გამოაცხადა. 1747 წელს, ხაბუშანში, ერთ ღამით, ნადერი შეთქმულებმა თავისივე კარავში მოკლეს.

ერთხელ, როდესაც ნადერ შაჰს უთხრეს, რომ სამოთხეში ომი არ არის, მან უპასუხა: „მაშ, რა არის იქ მიმზიდველი?“ (Enciklopedia Britannica, Nadir Shah).

ნადერ შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანმა თანდათანობით დაკარგა ავღანეთი, დაპყრობილი ინდოეთი და კავკასია. საბოლოო ჯამში მისი მეტად მყიფე იმპერია უსწრაფესად დაიშალა, რადგანაც მის მემკვიდრეებს არ ეყოთ არც ძალა და არც გამჭირიანობა ნადერ შაჰის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად.

## დასკვნა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იყო ისტორიული კვლევის კომპარატიული მეთოდი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენასა და მათ ანალიზს დასკვნის გამოტანის მიზნით. ასევე, შეუჯერდა ერთმანეთს ნადერ შაჰის ეპოქასთან დაკავშირებული პირველადი და მეორადი წყაროები.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ XVIII ს-ის პირველ მესამედის ირანის მიმდინარე მოვლენები: ნადერ შაჰის აღზევება; ასევე, უკანასკნელი სეფიანების დროს განვითარებული მოვლენები, კერძოდ, ირანში არსებული ვითარება მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში; ავღანელთა შემოსევები – შევისწავლეთ ირანში ავღანელთა შემოჭრის მიზეზები და შედეგები; შევხებთ ნადერ შაჰის მოღვაწეობის პირველ პერიოდს. ასევე, გავანალიზებთ ნადერ შაჰის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და შევხებთ იმ რეფორმებს, რომლებიც ნადერმა გაატარა ქვეყანაში, უპირველესყოვლისა სამხედრო სფეროში; ბრძოლა ავღანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ, ინდოეთის ლაშქრობა და ა.შ. მეტად საინტერესო და შედეგიანი იყო მუშაობა ნადერ შაჰის რელიგიურ პოლიტიკაზე. აქ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ნადერის მცდელობაზე, „შეერწყა“ შიიზმი სუნიზმთან.

ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკაზე მსჯელობისას გამოვყავით ქვეთავები: ა) ნადერ შაჰის ლაშქრობები კავკასიაში, რომელშიც განხილულია დაღესტანში ნადერ შაჰის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიები და გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებები ამ ლაშქრობების შესახებ (რაც ხშირად არ ემთხვევა საბჭოთა და თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებულ შეფასებებს); ბ) ნადერ შაჰი და საქართველო – აქ შესწავლილია ამ პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტები; ნადერ შაჰის ურთიერთობები ქართულ სამეფო ოჯახთან და დიდგვაროვნებთან; გამოკვეთილია აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ სეფიანთა და ნადერ შაჰის პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებები; გაანალიზებულია როგორც ქართული მხარის, ისე ნადერ შაჰის ამა თუ იმ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ფაქტორები.

შევეცადეთ, მიმოგვეხილა ქართულ-ირანული ურთიერთობები სეფიანთა მმართველობის მიწურულს მოჰამად ქაზემის ცნობების მიხედვით. კერძოდ, ყურადღება გავმახვილეთ ავღანეთთან დაკავშირებულ ამბებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს საკითხი წინ უსწრებს ნაშრომის ძირითად საკვლევ პერიოდს, მაგრამ ჩვენ ნაშრომში შევიტანეთ ეს ნაწილიც, რადგან იგი კარგად ასახავს ნადერის გამეფებამდე არსებულ ქართულ-ირანულ ურთიერთობებს და ქართველების როლს ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. ყურადსაღებია, რომ მოჰამად ქაზემის თხზულებაში არსებული ცნობები აქამდე უცნობი იყო ქართული საისტორიო საზოგადოებისთვის. ეს ცნობები სხვა წყაროებში არსებულ მონაცემებს ავსებს და ხშირ შემთხვევაში გვაძლევს აქამდე უცნობ ინფორმაციასაც. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამ საკითხების ასეთი კუთხით კვლევა, რათა ვიცოდეთ, თუ რა მემკვიდრეობა მიიღო ნადერ შაჰმა სეფიანებისგან. მნიშვნელოვანია, ასევე, ნადერ შაჰისა და ქართველების ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული ქაზემის თხზულებაში.

ნადერ შაჰის ეპოქა ყურადღებას იპყრობდა და დღემდე იპყრობს როგორც კავკასიელ და ირანელ, ასევე დასავლელ მეცნიერებში (ამას მოწმობს მათ მიერ

სკრუპულოზურად შესწავლილი ნადერ შაჰის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტები). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ამ პერიოდს უძღვნეს არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი, რომლებშიც, გარდა ცალკეული საკითხებისა, ობიექტურად არის გამოკვლეული მოცემული ეპოქის ზოგადი და ამომწურავი დახასიათება.

სწორედ ამ ნაშრომების შედარებითი ანალიზითა და პირველწყაროებთან მათი შეჯერებით, შევეცადეთ, გამოგვეტანა ამომწურავი დასკვნა ამ პერიოდის ირანისა თუ საქართველოსა და ზოგადად კავკასიის ურთიერთობების შესახებ, რომელთაც გარკვეულ მიზეზთა გამო, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა.

მუშაობის პროცესმა ცხადყო, რომ ნადერ შაჰის მოღვაწეობის ერთგვაროვან შეფასებებს ვერც ვხვდებით ვერც დასავლელ მეცნიერთა ნაშრომებში, სადაც მუდმივად მიმდინარეობს პოლემიკა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის საერთო სურათი, რაც წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს. მთავარი ადგილი, ბუნებრივია, დაეთმო აღმოსავლეთ საქართველოსთან ნადერ შაჰის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტების კვლევას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კვლევითი მიზნების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს მე-18 საუკუნის ავტორის, მოჰამად ქაზემის ნაშრომი „ალამ არაიე ნადერი“. როგორც წინამდებარე ნაშრომში იხილეთ, ამ შედარებით ნაკლებად ცნობილი თხზულების საკმაოდ დიდი ნაწილი ეძღვნება კავკასიას, კერძოდ კი საქართველოს. პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში კვლევა საქართველოს შესახებ კონკრეტულად ქაზემის თხზულების, “ალემ არაიე ნადერის” მიხედვით. თარგმნის პროცესში შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაგვეცვა ავტორის წერის სტილი და მანერა, რათა მკითხველს შეექმნოდა წარმოდგენა იმ პერიოდისა და, კერძოდ, ქაზემის წერის მანერის შესახებ. სწორედ აღნიშნული ნაშრომის ანალიზმა და მისი მონაცემების შეჯერებამ სხვა პირველწყაროებთან, წარმოაჩინა კვლევის ერთ-ერთ მთავარი შედეგი და ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანი: ამ თხზულებაში არსებული არაერთი დღემდე უცნობი ფაქტისა თუ ნაცნობი მოვლენების შემავსებელი ინფორმაციის შეჯერება სხვა

წყაროების მონაცემებთან მათი უტყუარობის დადგენის მიზნით და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა; საბოლოო ჯამში კი, განხორციელებული კვლევის საფუძველზე, ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების წარმოჩენა.

ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად გავართვით თავი მიზანს. „აღემ არაიე ნადერიზე“ მუშაობის შედეგად განისაზღვრა ამ თხზულების ფუნქცია/ხასიათი; შეძლებისდაგვარად დადგინდა მასში არსებული ცნობების ისტორიული უზუსტობები კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან ურთიერთობის მხრივ; ასევე, სადისერტაციო თემაზე მუშაობის პროცესში, შეუდარდა ერთმანეთს აღნიშნული პერიოდის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა ენაზე არსებული ხელმისაწვდომი პირველწყაროები. ამ პირველწყაროებისა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად, ვფიქრობთ, წარმოვადგინეთ მე-18 საუკუნის I ნახევრის ირანის ვითარების ზოგადი სურათი; შევეცადეთ, გამოგვეკვლია ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტები, როგორცაა მაგალითად, კავკასიაში მისი ლაშქრობათა მიზეზები და მათი შედეგები; ნადერ შაჰის ურთიერთობები ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებთან განსხვავებულ სპეციფიკურ ჭრილში და, ასევე, ამ ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორები. ვფიქრობთ, საინტერესოდ წარმოჩნდა ნადერ შაჰის პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოსთან მიმართებით. მისი ურთიერთობები სამეფო საგვარეულოსა თუ თავადაზნაურობასთან. ასევე, ამ ურთიერთობის პერიოდში შაჰთან ამ უკანასკნელთა თანამშრომლობისა თუ დაპირისპირებების განმაპირობებელი ფაქტორები.

ამრიგად, განხორციელებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა არც ერთგვაროვანი იყო და არც არსებული ვითარებიდან თუ კონკრეტული რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე; სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის შედეგად, იგი ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნებს ატარებდა. თუ დალესტნის წარუმატებელი კამპანიის მიზანი (შესაძლოა, ნადერ შაჰის მთავარი საგარეო პოლიტიკური შეცდომაც კი) ელემენტარულად კავკასიის ამ მხარის დაპყრობს

წარმოადგენდა, ბევრად უფრო რთული ვითარება გვესახება აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, მეტად ხისტმა საგადასახადო პოლიტიკამ თუ დაპირისპირებამ ადგილობრივ ელიტასთან, ხოლო მეორე მხრივ, ქართული სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა პრაგმატულმა დამოკიდებულებამ და ნადირ შაჰის მიერ არსებული რეალობის სწორად შეფასებამ, შექმნა სეფიანთა დროს არსებული ე.წ. „კომპრომისული“ პოლიტიკის დასასრულისა და ირანის ორბიტიდან საქართველოს გამოსვლის შესაძლებლობა.

### გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ავალიანი, ს. 1987. *ანტონ პირველი*. თბილისი.
2. ბარათაშვილი, იესე. 1950. *ცხოვრება-ანდერძი*. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და სამიუზიკური ავთანდილ იოსელიანმა. თბილისი.
3. ბატონიშვილი ვახუშტი. 1773. *ქართლის ცხოვრება. აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
4. ბერძენიშვილი, ნიკო. 1973. *საქართველოს ისტორიის საკითხები VI*. თბილისი: მეცნიერება.
5. ბაინდურაშვილი, ხათუნა. 2009. ნადირ-შაჰის რელიგიური პოლიტიკა დალესტანში. *დავით კაციტაძე 80. კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი*. თბილისი. 61-68.

6. გაჩეჩილაძე, კ. 2003. ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თეილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. თბილისი.
7. გელაშვილი, ნანა. 2014. სეფიანთა ხანის საისტორიო წყაროების კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*. VIII. 208-213
8. გვრიტიშვილი, დავით. 1968. *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან III*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
9. დუმბაძე, მამია. 1973. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. რედ. მამია დუმბაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
10. ერევანცი, აბრაამ. 1976. *ომების ისტორია*. თბილისი: მეცნიერება.
11. კაციტაძე, დავით. 2001. *ირანის ისტორია III-XVIII სს*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
12. კეკელიძე, კ. 1960. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1. თბილისი.
13. კვაშილავა, კახა. 2018. ყანდაარი გიორგი XI-ს შემდეგ: მეფე ქაიხოსრო. *საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა*: თბილისი. 158-184.
14. კუცია, კარლო. 2002. ნადირ შაჰი და საქართველო. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო III*. თბილისი.
15. ლეკვეიშვილი, თამარ. 2014. XVIII ს-ის ირანელი ისტორიკოსის მუჰამედ ქაზემის ცნობა ქართული და ირანული სამეფო ოჯახების ურთიერთობის შესახებ. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო* . 221-226.
16. ლეკვეიშვილი, თამარ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის დასაწყისში. *პერსპექტივა VII (2)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2005. 100-106.
17. ნატროშვილი, თამაზ. 1991. *მაშრიკით მაღრიბამდე*. თბილისი: ნაკადული.



18. ნაჭყებია, ირინე. 2017. ფრანგი ავტორების ცნობები ქართველი ქალის შესახებ (XVIII-XIX სს.). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*. X. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 241-248.
19. ნაჭყებია, ირინე. 1997. *ამედე ჟობერი, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში*. თბილისი: მეცნიერება.
20. ორბელიანი, პაპუნა. 1981. *ამბავნი ქართლისანი*. თბილისი: მეცნიერება.
21. სანიკიძე, გიორგი. 2005. *შიიზმი და სახელმწიფო ირანში*. თბილისი: უნივერსალი.
22. სამსონაძე, მიხეილ. 2012. *საქართველოს ისტორია, XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე*. ტომი III. მეორე გამოცემა, თბილისი.
23. სვანიძე, მ. 2002. *ოსმალეთის ისტორია*, II.
24. სურგულაძე, მზია. 1995. *ბაგრატიონთა სამეფო სახლი*. თბილისი: კანდელი.
25. საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი I სეხნია ჩხეიძის მიერ, II პაპუნა ორბელიანისა, III ომან ხერხეულიძისა, IV შედეგი კახეთის ცხოვრების და V ფარსადან გორგიჯანიძისა.
26. ტურნეფორი, ჟ. პ. 1988. *მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში*. თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები მზია მგალობლიშვილისა. თბილისი: მეცნიერება.
27. ფუთურიძე, ვლ. 1977. *სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში*. წიგნი I, ნაკვეთი 4. თბილისი: მეცნიერება,.
28. ქაზემი, მოჰამად. 2016. *მოჰამად ქაზემის ცნობები საქართველოს შესახებ*. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამარ ლეკვიშვილმა. თბილისი: ინტელექტი.
29. ქიქოძე, გერონტი. 1941. *ერეკლე მეორე*. თბილისი: ინსტიტუტის გამომცემლობა.
30. ქართული მწერლობა. 1990. ტომი VIII. თბილისი: ნაკადული

31. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის. 1854. ნაწილი მეორე. გამოცემული ვ. ჩუბინოვისგან სანკტებერბურღს.  
[https://wikisource.org/wiki/File:ქართლის\\_ცხოვრება\\_-\\_ტ.2\\_-\\_1854\\_\(ჩუბინოვი\).pdf](https://wikisource.org/wiki/File:ქართლის_ცხოვრება_-_ტ.2_-_1854_(ჩუბინოვი).pdf)
32. შარაშენიძე, ზურაბ. 1970. *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში*. თბილისი: მეცნიერება.
33. შენგელია, ლუიზა. 1970. ირანი ქერიმ - ხან ზენდის დროს. თბილისი: მეცნიერება.
34. შენგელია, ლუიზა. 2005. მაჰმუდ ავღანის მმართველობა ირანში. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო IV*. თბილისი: ენა და კულტურა. 36-39.
35. შენგელია, ლუიზა. 2011. ნადირ -შაჰის უკანასკნელი ბრძოლები. *ქართული დიპლომატია*. (# 15) წელიწდეული. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. 334-345.
36. შენგელია, ლუიზა. 2013. ნადირ-შაჰის რელიგიური პოლიტიკა. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*. ტ.7. თბილისი: გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. 234-238.
37. ჩხეიძე, სეხნია. 1913 . *საქართველოს ცხოვრება*.
38. ჩხეიძე, სეხნია. 1854. საქართველოს ცხოვრება. ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი II. გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან. სანქტ-პეტერბურღი.
39. ჩხეიძე, სეხნია. <http://corpora.iliauni.edu.ge/qats/upload/S-3671.pdf>.
40. ჭეიშვილი, ანდუყაფარ. 1964. მირზა მოჰამედ მეჰდი ხანის „თარიხე ნადერის“ ქართული თარგმანის შესახებ. *თბილისის, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. ტ.108. 387-403.
41. ხერხეულიძე, ომან. 1989. *მეფობა ირაკლისა მეორისა მეფისა თეიმურაზის ძისა*. თბილისი.

42. ხუბუა, მაკარ. 1949. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
43. ხუბუა, მაკარ. 1944. ქართულ-ირანულ ურთიერთობიდან. *მოამბე V-VI*. 233-267. ბერძენიშვილი, ნიკო. 1944. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის. ნაკვეთი I.* თბილისი.
44. ჯავახიშვილი, ივანე. 1977. *თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VIII*. თბილისი:
45. ჯავახიშვილი, ივანე. 1953. *ქართველი ერის ჰისტორია, წიგნი მეხუთე*. თბილისი.
46. ჯალალიანცი, ესაია ჰასან. 1971. *აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია*. რედ. კარლო კუცია. თბილისი: მეცნიერება.
47. ჯაფარიძე, გ. 1999. *ნადირ შაჰი*. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. თბილისი.
48. Abisaab, Rula. 2004. *Converting Persia. Religion and Power in Safavid Empire*. London-New York: I.B. Tauris.
49. Abu Tarab, Sardadvar. 1975. *Tarikh-e Nezami va Siasi-e Douran-e Nader Shah*. Tehran.
50. Andrew Newman, 2018. Of Mullas, Manuscripts, and Migration: Aspects of Twelver Shi'i Community Life in the 18-th Century. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*; Oxford University Press. 105-125.
51. Anonymous 1939. *A chronicle of Carmelits in Persia and the Papal Mission of the 17-18<sup>th</sup> centuries*. 2 vols. vol. 1. London.
52. Astrabadi, Mirza Mohammad Mehdi Khan. 1385. *Tarikh-e Naderi*. Be virayesh-e Mani Kashani. Entesharat-e Jami.
53. Avery P. 1993. Nadir Shah and Afsharid legacy // *The Cambridge history of Iran: From Nadir Shah to the Islamic Republic*. Cambridge. Vol. VII. 3-62.

54. Avery, Peter. 2008. *The Cambridge History of Iran*, volume 7. from Nadir Shah to the Islamic Republic, Cambridge University press.
55. Axworthy, Michael. 2006. *The Sword of Persia: Nader Shah, from Tribal Warrior to Conquering Tyrant*. London.
56. Axworthy, Michael. 2010. *Empire of the Mind and History of Iran*. I.B. Tauris.
57. Axworthy, Michael. 2011. *Journal of the Royal Asiatic Society*. Nader Shah and Persian Naval Expansion in the Persian Gulf 1700-1741. Vol. 21, No1 (January), 31-39.
58. Axworthy, Michael. 2018. Introduction. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*; Oxford University Press. 1-9.
59. Axworthy, Michael. 2018. The Awkwardness of Nader Shah: History, Military History, and Eighteenth-Century Iranian Context. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press. 43-61.
60. Babaie, Sussan. 2018. Nader Shah, the Delhi Loot, and the 18<sup>th</sup>- Century Exotics of Empire. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press. 215-235.
61. Babayan, K. 2003. *Monarchs, Messiahs and Mystics: Landscapes of Early Modern Iran*. Cambridge: Mass.
62. Basile, Vatazes. 1886. *Voyages de Basile Vatace en Europe et en Asie*, ed. E. Legrand Paris.
63. Basile, Vatazes. 1939. *Persica: Histoire de Chah-Nadir*, ed. N. Iorga. Bucharest.
64. Bazin. 1780. *Second letter du Frere Bazin, Contenant les revolutions qui suivirent la mort de Thamas Kouli-Kan*. Lettres edifiantes et curieuses, ecrites des missions etrangeres. t. IV, Nouv. Ed., Paris..
65. Bontems. *Letters d'un officier francais concernant la relation d'un voyage rapidement fait en Turki et en Perse pendant l'annee 1807*. S.1., S.d.

66. Bournoutian G.A. 2003. Zakaria of Agulis. *The Journal of Zakaria of Agulis*, Costa Mesa Calif.
67. Bournoutian, George. 2004. *Abraham of Erevan and Abraham of Crete: Nader Shah's Rise to Power in Iran*, Modern Middle East Sourcebook Project.
68. Bournoutian, George. 2009. Simeon. Catholicos of Armenia. *Armenian Studies series, 14*. Costa Mesa, Calif. Mazda Publisher.
69. Chardin, Jean. 1810-11. *Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres Lieux de L'orient*, ed. Louis Langles, 10 vols. and map. Paris.
70. Donboli, 'Abdol-Rezzaq Maftuni. 1364/1970. *Tajrabat al-Ahrar va Tasliyah al-Abrar*. 2 vols. Ed. Hasan Qazi Tabataba'i. vol.1. Tehran
71. Enciklopedia Britannica. Nadir Shah
72. Eqbali, Ali. 1363/1984. *Voyage en Turquie et en Perse, Paris, 1748, translated into Persian by as Safarhameh-ye Zhan Uter*. Tehran.
73. Farrokh, K. 2011. *Iran at war 1500-1988*. Grate Britain, oxford: Osprey publishing.
74. Farrokh, Kaveh. 2011. *Iran at War 1500-1988*. Oxford.
75. Fendereski, Sayyed Abu Taleb Musawi. 2009. *Tohfah al-alam: dar awsaf wa akbar-e Shah Soltan Hosayn Safawi*. ed. Rasul Ja'farian, Tehran.
76. Floor, Willem. 2008. *A Social History of Sexual Relations In Iran*. Unated States: Mage Publishers.
77. Floor, Willem. 2018. The Persian Economy in the Eighteenth Century: A Dismal Record. History, Military History, and Eighteenth-Century Iranian Context. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford Unversity Press. 125-150
78. Floor, William. 1988. *The Afghan Ocupation of Safavid Persia 1721-1729*. Paris.

79. Foran, John. 1992. The long fall of Safavid dynasty: Moving beyond the standard views. *International Journal of Middle East studies* # 2. vol. ( May): 281-304.
80. Garthwaite, Gene. 2018. "What's in a Name?": Periodization and 18<sup>th</sup>-Century Iran. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*; Oxford University Press. 9-21.
81. Hanwey, J. 1729-1742. *An historical account of British trade over the Caspian sea*; vol I-II. London.
82. Hanwey, J. *The revolution of Persia*. London: 1853.
83. Hasin, Sheikh. 1830-1831. *The history of Sheikh Mohammed Ali Hasin, written by him*. ed. by F.S. Belfour. Persian text with an english translation. London.
84. Maps of India. *Nadir Shah's Invasion of India*. (30.12.2014.)  
<https://www.mapsofindia.com/history/battles/nadir-shah-invasion-of-india.html>
85. Ibn Khaldun. 1967. *The Muqaddimah : An Introduction to History*, Translated by Franz Rosenthal. Ed. N.J. Dawood. Princeton.
86. Ja'farian, R. 1993. *Elal-e bar oftādan-e Safavian, Mokhafat-nama*. Tehran.
87. Jean Chardin, *Voyages du Chevalier Chardin, en Perse, et autres lieux de l'Orient*, 12 vols. (Paris: Le Normant, 1811), vol. 3.
88. Kazem, Mohammad. 1364/1985. *Alamara-ye Naderi* .3 vols. Tehran
89. Kazem, Mohammad. 1374. *Alem Arai-e Naderi*. Be Tasis v ba Moghadame-I Mohammad Amin Riahi. Tehran.
90. Kretats'i Abraham. *The Chronicle of Abraham of Crete*. Translated by George A. Bournoutian. Costa Mesa, Mazda Publisher: 1999
91. Krushinski, Tadeusz J. 1973. *The History of the Late Revolution of Persia*. New York: Arno Press.
92. Krusinski, Judasz Thaddeusz. 1735. *A History of the Late Revolutions of Persia*, 2 vols. London.

93. Lerch, J.J. *Auszug aus dem Tagebuch von einer Reise, welche D. Johan Jacob Lerch von 1733 bis 1735 aus Mockau nach Astrachan und in die Ufer auf der Westseite des Caspischen Sees belegenes Landes gethan hat.* (Büschings "Magazin", Bd.III), Hamburg: 1769; Lerch, J.J. *Nachricht von der zweiten Reise nach Persien, welche der Keiserliche Russische Collegiebrath J.J. Lerch von 1745 bis 1747 gethan hat.* (Büschings "Magazin", Bd. X);
94. Lerch, Johann. 1776. *Auszug aus dem Tagebuch von einer reise, Welche D. Lerch von 1733 bis 1735 aus Moskau nach Astrachan und in die Ufer auf der Westseite des Caspischen Sees belegenes lands gethan hat.* Busching Magazin, III Hamburg.
95. Lockhart, L. 1958. *The fall of the Safavid dynasty and the Afghan occupation of Persia.* Cambridge, England: Cambridge university press.
96. Lokhart, Laurence. 1383/2004. *Soghut-e Safavieh va ayyame istillay-e Afaghaneh dar Iran.* [The fall of the Safavid dynasty and the Afghan occupation of Persia]. Translated by Ismail Doulatshah. Tehran:
97. Malcolm, John. 2015 *The History of Persia from the most early time ti the present time.* volume II. London: Digital Library of India Item.
98. Mathee, Rudi. 2005. *The pursuit of pleasure.* Princeton university press princeton and Oxford.
99. Mathee, Rudi. 2015. The decline of Safavid Iran in Comparative Perspective, *Journal of Persianate Studies* 8. 276-308.
100. Mathee, Rudi. 2009. *Persia in Crisis, Safavid Decline and the fall of Isfahan.* London and New-York.
101. Matthee, Rudi. 2015. Soltan Hosayan. *Encyclopædia Iranica*, online edition, 2015, available at <http://www.iranicaonline.org/articles/soltan-hosayn> (accessed on 26 June).
102. Matthee, Rudi. 2018. Historiographical Reflections on the Eighteenth Century in Iranian History: Decline and Insularity, Imperial Dreams, or Regional Specificity? History, Military History, and Eighteenth-Century Iranian Context. *Crisis, Collapse, Militarism and*

*Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press. 21-42

103. Mohammad- Ebrāhim b. Zayn-al-‘Ābedin Nasiri, (1994), *Dastur-e: Sālhā-ye 1105 tā 1110 h.q.*, pādesihāhi-e Shāh Soltān Hosayan Safawi, ed. Mohammad-Nāder Nasiri Moqaddam, Tehran. Na (National Archief), Records of the Verenigde Oostindische Compagnie (VOC).

104. Morgan, David. Preface. 2018. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press. VII-XI.

105. Navā’i Abd-al-Hosayan. 1984. *Asnād wa mokātabāt-e siāsi-e Irān az sāl-e 1105 tā sāl-e 1135 h.q.* Tehrān.

106. Newman, A. J. 2009. *Safavid Iran-Rebirth of a Persian Empire*. London-New York.

107. Newman, Andrew. 2009. *Safavid Iran-Rebirth of a Persian empire*. London-New York.

108. Newman, Andrew. 2018 .Of Mullas, Manuscripts, and Migration: Aspects of Twelver Shi’I Community Life in the 18-th Century108 *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press.

109. Notions abrégées sur l’état actuel du gouvernement du Royaume de la Perse par le Citoyen Rousseau Consul de la République française à Bagdad, rédigé au même lieu le 24 Vendémiaire l’an 4<sup>e</sup> de la République française ou le 15 octobre 1795 (v.s.) Mémoires et Documents, Perse, vol. 2, doc. 39.

110. Otter, I. 1748. *Voiage en Turquie et en Perse, avec une relation des expéditions de Thomas Koulikhan*. Vol. I-II. Paris

111. Perry J.R. 1971. The Last Safavids 1722-1773. *Iran, Journal of British Institute of Persian Studies IX*: 58-69.

112. Rashtiani, Goodarz. 2018. Iran-Russian Relations in the Eighteenth Century. History, Military History, and Eighteenth-Century Iranian Context. *Crisis, Collapse,*



*Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press. 163-182

113. Rostam-al-Hokama, Mohammad-Hashem. 1973. *Rostam al-tavarikh*. Tehran.

114. Rota, Giorgio. 2018. Persia 1700-1800: Some Views from Central Europe. History, Military History, and Eighteenth-Century Iranian Context. *Crisis, Collapse, Militarism and Civil War: The History and Historiography of 18<sup>th</sup> Century Iran*. Oxford University Press. 183-216.

115. Rota, Giorgio. 1998. Three Little Persian Sources of the Seventeenth Century .Iranian Studies. Vol. 31, No.2: Published by Taylor and Francis, Ltd. On behalf of International Society of Iranian Studies. 159-176.

116. Rousseau 1810. *Eloge historique de feu Jean-François ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à alep le 12 mai 1808*. Précédé de quelques détails curieux et intéressans sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle, Paris,.

117. Rousseau, J.-B. Louis Jacques. 1899. *Voyage de Bagdad à Alep (1808)*. Publié d'après le manuscrit inédit de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris, Paris, iv-x

118. Sanson, Nicolas. 2017. *Estat présent du royaume de Perse*. Edit par Reink Books.

119. Savory, Roger. 2007. *Iran under the Safavids*. Cambridge University Press.

120. Seid, Abdul Vahed. 2015. *Tarikh-e Nader Shah Afshar-e Khorasani,Boaorgtarin Fateh va Jahangoshai Asia*.

121. Sha'bani, Reza. 1369. *Tarikhe Ejtema'i-e Iran dar 'asare Afsharie*. Jeld-e Avval. Tehran: Iran Honar.

122. Shabani ,Reza. 1977. Anonimus. *Hadith-e Nader Shahi*.Tehran.

123. Stevens, Roger. 1979. *The Land of the Great Sophy*. Methuen and Co.Ltd.

124. Tableaux historique, politique, ecclésiastique et littéraire de la Géorgie, par Eugénius, acchimandrite du cowent de Saint-Alexandre Newski (Journal de l'Empire, Mardi, 10 Mars 1807).
125. Tavernier, Jean Babtiste. 1713. *Les six voyages de Jean Babtiste Tavernier, en Turquie, en perse, et aux Indes, pendant L'espace de quarante ans. I-II.* Paris: Imprimee chez Pierre Ribou.
126. Tienn, M. 1810. Relation de Dourry Effendi. Paris.
127. Touhedi, Kalimolla. 1382. *Nader Sahebgheran.* Mashhad: Anstitooye Farhangiye Kordestan.
128. Tournefort, Joseph Pitton de. *Relation d'un voyage du Levant: fait par ordre du Constantinopole, des Cotes de la Mer Noire, de L'Armenie, de la Georgie, des frontieres de Perse et de L'Asie Mineure. I-II.* Amsterdam: Aux depense de la Compagnie, 1718.
129. Tucker E.S. 2006. *Nadir Shah's Quest for Legitimacy In Post-Safavid Iran.* Florida: University Press.
130. Tucker. Ernest. 1994. Nadir Shah and the Ja'fari Madhab Reconsidered. *Iranian Studies*, vol 27. No.1/4. 163-179.
131. V. Minorsky. 1943. *Tadhkirat al-muluk, a manual of Safavid administration.* Cambridge.
132. Абдурахманов, Г. 1964. Азербайджан во взаимоотношениях России, Турции и Ирана в первой половине XVIII в. Баку.
133. АВПР, Ф. *Сношение России с Персией.* Дела за 1723-1743
134. АВПР, ф. *Сношения России с Персией.* Дела за 1723-1747.
135. Аитберов, Т.М. 2011. *Надир-Шах Афшар и дагестанцы в 1741 году.* Махачкала: Домпресс.
136. Алкадари, Гасан. 1929. *Асари-Дагестан.* Махачкала: Манас.
137. Арунова, М.Р., Ашрафян, К.З. 1958. *Государство Надир-Шаха Афшара.* Москва: издательство Восточной Литературы.

138. Бакиханов, А. 1926. Гюлистан-ират. Баку
139. Бакиханов, А. 1991. *Гюлистан-ират*. Баку: Элм.
140. Бутков, П. Г. 1869. *Материалы для новой истории кавказа (1722-1803), часть первая*. Санктпетербург.
141. Гаджиев, В. 1996. *Разгром Надир-шаха в Дагестане*. Махачкала
142. Гозалова, Негар. 2014. Современная историография государства Надир-шаха Афшара. Азербайджан. Институт Истории им. А.А. Бакиханова НАНА.
143. Жузе П. К.; Похомовым, Е.А. 1931. Хроника воин Джара в XVIII столетии. Баку.
144. Каимаразов, Г. Ш. 1971. *Очерки истории культуры народов Дагестана I*. Москва.
145. Климович, Л. И. 1965. *Ислам* Москва.
146. Массе, А. 1982. *Ислам*. Москва.
147. Миклухо-Маклай, Н. Д. 1945. *Афганское нашествие в Иране*. (Канд. диссертация). Ташкент.
148. Миклухо-Маклай, Н. Д. 1948. О первом томе Муххамеда Казима. *Советское востоковедение V*. Москва
149. Петров, П. 1961. *Поход Надир Шаха в Индию*. Москва: издательство Восточной Литературы.
150. Петрушевский, И. П. 1949. *Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI\_ начала XIX вв.*, Ленинград. 1949
151. Пигулевская, Н.В., Якубовский, А.Ю. Петрушевский, И.П., Строева, Л.В., Беленицкий, А.М. 1958. *История Ирана с древнейших времен до конца XVIII века*. Издательство Ленинградского университета.
152. Рейснер, И. *Развитие феодализма и образование государства у афганцев*. Москва: 1954. 312

153. Решитов, Степан. 1790. *История о Персидском шахе Тахмасп Кулы хане*. Санкт Петербург.
154. С Абрамов Дневная записка в: Центральный архив древних актов (ЦАДА) персидские дела 1726 г №6
155. Соймонов, Ф.И. 1763. *Описание Каспийского моря и чиченных на оном российских завоеваний, яко часть истории государя императора Петра великого, трудами тайного советника, губернатора Сибири Ф.И. Соймонова*. СПб.
156. Сотавов, Н. А. 2013. *Крах “Грозы Вселенной” в Дагестане*. Махачкала: Литрес.
157. Тамаи, А. 1954. *Борба народов Дагестана за свою независимость (30-40-е годы XVIII в.)* кандюдисертасия. М., Институт истории Академии наук СССР.
158. Тодуа, М. А. 1989. *Тбилисская коллекция персидских фирманов*. том II. Тбилиси.
159. Тодуа, М. А. 1995. *Тбилисская коллекция персидских фирманов*. том I. Кутаиси.
160. Хашаев, Х. М. 1961. *Общественный строй Дагестана в XIX веке*. Москва.
161. ЦГАДА, Журнал А. Вольнского, Персидские дела 1715-1718 г.г. #2.
162. Шемахеци, Акоп. 1932. *Походы Тахмасп Кули-хана (Надир-Шаха) и избрание его шахом*. Перевод С. Тер –Аветисяна. Ереван.
163. Шихсаидов, А. Р. 1967. Социально-экономическое и политическое положение Дагестана в V-X в.в. *История Дагестана I*. Москва: 121-175.
164. Языков, *Записка капитана Языкова о Грузии. 1891. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии с 1768 по 1774 год*. Под ред. А. А. Цагарели. С.-Петебург.

